საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№36 (271)
8 – 14 ოქტომბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

რაიმონდ პაულსი:
## «ლატვიაში მოსახლეობის მესამედი დავკარგეთ!» 3



ალექსანდრე ჭაჭია:
## ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი? 4

«ხალხი ეძებდა მხსნელს და იპოვა იგი ივანიშვილის სახით, ხმაც, შესაბამისად, მხოლოდ მას მისცა. ივანიშვილმა კი თან მოიყვანა ადამიანები ნულოვანი რეიტინგით, შემდეგ კი ხელისუფლებიდან წავიდა და მოსახლეობა ბუტაფორიულ პრეზიდენტსა და «ნაციონალ-რესპუბლიკელების» პარლამენტს შეატოვა»

## რუმინეთის პრეზიდენტი და 5 მინისტრი კორუფციაში ამხილეს 2

## «პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო აუცილებლად შესაცვლელია» 12

რას გავხდებით, ერთ „მშვენიერ“ დღეს სააკაშვილის შეიარაღებული და სპეციალურად გაწვრთნილი ზონდერჯგუფები თავს რომ დაესხან სახელმწიფო დაწესებულებებს, სადაც ისედაც დახვდებათ ბევრი შეიარაღებული მიუსიტი, და ძალაუფლება იგდონ ხელთ?

## «რესპუბლიკელებისა და მარგველაშვილისთვის ხმის მიცემა არ შეიძლებოდა» 11

## «თურქეთი გვეუბნება, აჭარა ჩემია, მაგრამ დროებით გითმობთ და, თუ რამე მოხდება, ჩემთან გექნებათ საქმეო» 6



## რა ხდება საჩხერეში? 10



«მას შემდეგ, რაც ბიძინა ხელისუფლებაში მოვიდა, ყველა შეღავათი მოიხსნა – არავის ეხმარებიან»

ჯო ბაიდენი:
## ევროკავშირს არ სურდა რუსეთისთვის სანქციების დაწესება, მაგრამ ობამამ აიძულა! 18

## დასავლეთის ლაშქრობა მართლ-მადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება 20

## «დედას ვუტირებთ მაგათ!» 8

## სუვერენიტეტების აღლუმი ბებერ ევროპაში 25

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლევან ყიფიანი: ულტიმატუმებით საუბარი არავის გაუვა!



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა მოჭიდავეებთან შეხვედრის დაწყების წინ განაცხადა, რომ ჭიდაობის ფედერაციაში შექმნილი პრობლემის მოგვარება ერთიანი ძალებით არის შესაძლებელი.** „ფედერაცია მოქმედებს და ხელმძღვანელობს არსებული წესდებით. აქ გადაცდომებს არ აქვს ადგილი, უბრალოდ, ყველამ თავისი საქმე უნდა გააკეთოს. ჩვენ ერთიანი ძალისხმევით შეგვიძლია ამ პრობლემის მოგვარება, თუ, რა თქმა უნდა, სურვილი იქნება მისი მოგვარების, თუ ულტიმატუმები იქნება, ულტიმატუმებით საუბარი არავის გაუვა“, — განაცხადა ყიფიანმა. მოჭიდავეები ყიფიანს სპორტის სამინისტროში შეხვდნენ. ისინი ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის — ლუკა კურტანიძის გადადგომას მოითხოვენ.



## ნატომ არ დაადასტურა ახალი გენმდივნის განცხადება

**„ნატოს არ შეუძლია, დაადასტუროს, ალიანსის ახალი გენმდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადება პოლონურ ტელეარხ TVP INFO-სთვის მიცემულ ინტერვიუში, რომ „ნატო იქ განალაგებს თავის ჯარებს, სადაც მოისურვებს“ და ალიანსს განზრახული არ აქვს თავისი პოზიციების შეცვლა არც ერთ საკითხზე, პასუხისმგებლობას კი ინტერვიუს პოლონურ თარგმანზე, ვერ დავიკისრებთ, — განუცხადა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელმა სააგენტო „რია ნოვოსტის“.**

5 ოქტომბერს სტოლტენბერგს ინტერვიუ ჩამოართვა პოლონურმა ტელეარხმა TVP Info-მ. ტელეარხის ვერსიით, ნატოს გენმდივანმა განაცხადა: „მომავალ წელს მინისტრების შეხვედრაზე ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას სწრაფი რეაგირების ძალების შესახებ, თუმცა, ამ ძალების შექმნამდეც, ნატოს ისედაც მძლავრი არმია ჰყავს. ჩვენ მისი განლაგება შეგვიძლია იქ, სადაც მოვისურვებთ“. ექსპერტებმა ფრაზას იმის შესახებ, რომ ალიანსი ჯარებს თავისი შეხედულებისამებრ განალაგებს იქ, სადაც მოისურვებს, რუსეთსა და ნატოს ურთიერთობის აქტის საწინააღმდეგო უწოდეს.

მოგვიანებით რამდენიმე მედიასაშუალებაში გაჩნდა განცხადება, რომ პოლონელმა თარჯიმანმა თვითნებურად დაამატა ფრაზა: **„ჩვენ შეგვიძლია განვალაგოთ იქ, სადაც მოვისურვებთ“.**



## აზერბაიჯანი ევროსაბჭოს წინააღმდეგ — «საქართველომ თქვენი ყველა რეკომენდაცია შეასრულა, სამაგიეროდ, ტერიტორიები დაკარგა!»

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა სამედ სეიდოვმა ევროსაბჭოს მოუწოდა, კრიტიკისგან თავი შეიკავოს და საკუთარ იმიჯზე დაფიქრდეს. სეიდოვის განცხადების მიზეზი გახდა ასამბლეის სხდომაზე დაწყებული დისკუსიის დროს გამოთქმული ბრალდებები, რომელთა თანახმად, აზერბაიჯანის ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს.**

სამედ საიდოვმა ევროსაბჭოს ასე მიმართა: **„თქვენ ამბობთ, რომ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სიტუაცია არადამაკმაყოფილებელია, მე კი გეტყვით, რომ არადამაკმაყოფილებელი სწორედ თქვენი მოქმედებაა...**

**განა ევროსაბჭომ არ მისცა რეკომენდაციები საქართველოს სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით? საქართველომ ყველაფერი გააკეთა, შეასრულა ის, რასაც ითხოვდით, საბოლოო ჯამში კი ტერიტორიები დაკარგა... უკრაინამაც ყველა თქვენი რეკომენდაცია შეასრულა, ამის სანაცვლოდ კი უბედურებაში აღმოჩნდა, დაკარგა ტერიტორია და ათასობით ადამიანის სიცოცხლე... იგივე შეიძლება ითქვას მოლდოვის მიმართაც.**

**ჩნდება კითხვა — რატომ გგონიათ, რომ აზერბაიჯანის მიმართ თქვენი რეკომენდაციები წარმატებულ შედეგამდე მიგვიყვანს? ხომ შეიძლება, არასწორად მსჯელობდეთ? კარგი იქნებოდა, რომ იმაზე დაფიქრდეთ, როგორი იმიჯი აქვს ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის!“** — განაცხადა აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა.



ირაკლი ღარიბაშვილი:

## პატიმრების გაუპატიურება, წამება, ლენინის მეთოდებით — ამ ყველაფრის შეფუთვა და გასუფთავება ბოკერიას ევალებოდა

**„ბოკერია წლების განმავლობაში ატყუებდა საერთაშორისო თანამეგობრობას და ყველაზე ამორალურ საქმეს ემსახურებოდა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოს შესახებ მიღებული რეზოლუციის შეფასებისას.**

**„დღეს გამოდიან სიცრუის მთავარი გამხმოვანებლები, მოვისმინე ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის — ბოკერიას განცხადებები. ბოკერია არის ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც წლების განმავლობაში ატყუებდა ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს, საერთაშორისო თანამეგობრობას. ის ყველაზე დიდ ამორალურ საქმეს ემსახურებოდა, ანუ რაც ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს — ციხეებში პატიმრების გაუპატიურება, წამება, ლენინის მეთოდებით — ამ ყველაფრის შეფუთვა და გასუფთავება, ბოდიში და, „გაპრავება“ ევალებოდა ბოკერიას. დღეს გამოდიან ეს ადამიანები, ჭკუას ასწავლიან მოსახლეობას და ეუბნებიან, რომ რაღაც სასწაულ რეზოლუციას მიაღწიეს. არაფრისთვის მიუღწევიათ. ეს ადამიანები ებრძვიან სახელმწიფოს, ებრძვიან საკუთარ მოსახლეობას და განაგრძობენ იმას, რასაც წლების განმავლობაში აკეთებდნენ“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. პრემიერის თქმით, მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის სიმართლე და „ნაციონალური მოძრაობა“ საკუთარი ქმედებებით მოსახლეობაში სიძულვილსა და აგრესიას თესავს. **„მე ამ ადამიანებს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ისინი დღითიდღე საკუთარი თავის მარგინალიზებას ახდენენ და მოსახლეობაში თესავენ სიძულვილსა და აგრესიას. და ძალიან რთული იქნება კონსოლიდაცია, მათი რეინტეგრირება საზოგადოებაში. ამიტომ მინდა, მოვუწოდო კიდევ ერთხელ, შეწყვიტონ საკუთარი სახელმწიფოსა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ეს პარტიზანული ბრძოლა. ის, რასაც ესენი აკეთებენ, არის საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ დამაზიანებელი, მავნებლური საქმიანობა. ამით ჩვენ არაფერს გვაკლებენ რეალურად, მაგრამ ისინი აზიანებენ ჩვენს სახელმწიფოს, მოსახლეობას ძაბავენ, რაც ძალიან ცუდი ფაქტია“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.




## მამაკაცმა მისი ქალიშვილის მოტაცების მსურველი ცემით მოკლა

**საგარეჯოს რაიონის სოფელ კაზლარში 42 წლის მამაკაცმა 21 წლის ბიჭს ჯოხით სცემა. დაშავებული საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გარდაცვლილი ეჭვმიტანილის სახლში გვიან ღამით შეიპარა და, ცოლობის მიზნით, მისი არასრულწლოვანი ქალიშვილის მოტაცება სცადა. ფაქტს გოგონას მამა შეესწრო და ბიჭი ხელკეტით სცემა.

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი მომხდარიდან მალევე დააკავეს. ის ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

## რუმინეთის პრეზიდენტი და 5 ექსმინისტრი კორუფციაში არიან ეჭვმიტანილნი

**რუმინეთის იუსტიციის სამინისტრომ ხუთი ყოფილი მინისტრისთვის, რომლებიც ქრთამის აღებაში არიან ეჭვმიტანილნი, სადეპუტატო იმუნიტეტის შეჩერება მოითხოვა.**



რუმინეთის იუსტიციის სამინისტროს ანტიკორუფციული სამმართველოს წარმომადგენელთა განცხადებით, ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილნი არიან: ინფორმაციული ტექნოლოგიების ყოფილი მინისტრი ადრიანა ციკეუ; განათლების ყოფილი მინისტრები: ალექსანდრე ათანასიუ და დანიელა ფუნერიუ, ფინანსთა ექსმინისტრი მიხაი ტენესისკუ და ეკონომიკის სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი გაბრილა სანდუ. ისინი, სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, ფიგურირებენ სისხლის სამართლის საქმეში, რომელიც 2004 წელს ქვეყნის საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამის შესასრულებლად გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვების სანაცვლოდ ქრთამის აღების გამო აღიძრა. იმხანად სამუშაოების შესრულების უფლება გადაეცა კერძო ფირმებს, მათგან ზოგიერთმა, როგორც გამოძიება მიიჩნევს, სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვით, ფრიად სარფიანი კონტრაქტები (100 მლნ დოლარზე მეტი) მიიღეს.

მიმდინარე წელს კორუფციაში ბრალდებით გაასამართლეს რამდენიმე მაღალჩინოსანი, მათ შორის, ყოფილი პრემიერმინისტრი ადრიან ნესტასე, რამდენიმე ექსმინისტრი, აგრეთვე, პოლიციისა და საბჭოს მაღალი რანგის თანამშრომლები.

სამართალდამცავთა სამიზნეში აღმოჩნდა რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბესესკუც. პრემიერმა ვიქტორ პონტომ განაცხადა, რომ სახელმწიფოს მეთაური მას შემდეგ, რაც წლის ბოლოს პოსტს დატოვებს და იმუნიტეტი აღარ ექნება, აუცილებლად წარდგება სასამართლოს წინაშე.

## დავით ონოფრიშვილის ვარაუდით, პენსია დაახლოებით 5-10 ლარის ფარგლებში მოიმატებს

**პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილის ვარაუდით, პენსია 2015 წლისთვის დაახლოებით 5-10 ლარის ფარგლებში უნდა გაიზარდოს.**

როგორც დეპუტატმა განაცხადა, პენსიის ამ ოდენობით ზრდა პარლამენტისთვის მისაღები იქნება და სათანადო რესურსი ბიუჯეტის პროექტის გადამუშავებულ ვარიანტში უნდა აისახოს. დეპუტატის შეფასებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ბოლო წლებში საუკეთესოა. როგორც საშემოსავლო, ასევე ხარჯვით ნაწილში, ის დაბალანსებული და რეალისტურია.

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა დაადასტურა, რომ მიმდინარეობს მუშაობა 2015 და 2016 წლებში პენსიის მომატების საკითხზე. თუ რა ნაბიჯები გადაიდგმება მომავალი წლისთვის პენსიის ზრდის მიმართულებით, მთავრობის მიერ პარლამენტში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტში ციფრობრივად ასახული არ არის, თუმცა, მინისტრის თქმით, პროექტის საბოლოო ვარიანტში კონკრეტული მაჩვენებლები ჩაიწერება.

2015 წლის საბიუჯეტო პროექტით გამოკვეთილია ოთხი ძირითადი პრიორიტეტი – ჯანდაცვის ხარჯების ზრდა, ასევე დაგეგმილია ზრდა სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და განათლების სფეროებში.

## მარგო ვალსტრემი: აშშ ის არ არის, ვინც ჩვენს პოლიტიკას უნდა განსაზღვრავდეს!



**შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მარგო ვალსტრემმა პალესტინის სახელმწიფოს ცნობის გამო ვაშინგტონის კრიტიკას უპასუხა.** 3 ოქტომბერს შვედურმა მედიასაშუალებებმა, ქვეყნის პრემიერმინისტრ სტეფან ლევენის სიტყვებზე მითითებით, გავრცელდეს ინფორმაცია, რომ შვედეთი იქნება პირველი ევროპული სახელმწიფო, რომელიც ცნობს პალესტინას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამან ვაშინგტონის გალიზიანება და კრიტიკა გამოიწვია. „მიგვაჩნია, რომ პალესტინის აღიარება სახელმწიფოდ ნაადრევია,“ — განაცხადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენიფერ ფსაკიმ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს კი შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასე უპასუხა: „აშშ ის არ არის, ვინც ჩვენს პოლიტიკას უნდა განსაზღვრავდეს!“

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### რაიმონდ პაულსი:
# უკვე მოსახლეობის მესამედი დავკარგეთ!

**სახელგანთქმულმა ლატვიელმა კომპოზიტორმა რაიმონდ პაულსმა გამოცემა „როსიისკაია გაზეტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლატვიაში შექმნილ ვითარებაზე ისაუბრა.**



„იურმალაში კობზონის, გაზმანოვისა და ვალერიას არშეშვება სისულელე იყო... ამჟამად სიტუაცია ძალიან რთულია, უსიამოვნო. კონფლიქტები, სისხლი, სროლები — ეს ყველაფერი საშინელებაა. თანაც ამაში კულტურის წარმომადგენლებსაც ითრევენ. რიგაში ალაპარაკდნენ: „მოსკოვში არ უნდა წახვიდე“. რატომ არ უნდა წავიდეთ? ჩვენ ისედაც აღარ გვაქვს ბაზარი. საბჭოთა კავშირის პერიოდში იყვნენ არტისტები, რომლებსაც შეეძლოთ ქვეყნიდან გასვლა, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომლებსაც ეს არ შეეძლოთ. კვლავ იქით ვბრუნდებით? პოლიტიზაცია უნდა დასრულდეს. კვლავ ერთმანეთს უნდა ვესროლოთ? **დილაობით „ევრონიუსს“ ვუყურებ და სულ მკვლელობებს აჩვენებენ, თითქოს მსოფლიოში კარგი არაფერი ხდება...**

**ლატვიიდან ბევრი ახალგაზრდა მიემგზავრება უცხოეთში. ჩვენ უკვე მოსახლეობის მესამედი დავკარგეთ. ხელფასები ძალიან დაბალია, პენსიები — საერთოდ, კაპიკები.** გვერდით კი გიგანტები არიან — გერმანია, შვედეთი თავიანთი სოციალური უზრუნველყოფით. **ქალაქი დაცარიელდა, თუკი ვინმე ყვირის და იცინის, ესე იგი, ტურისტია...**

**ევროკავშირი ფულს უხდიდა ადამიანებს, ნავები რომ დაეწვათ** (აქ უნებლიეთ გაგახსენდებათ, როგორ ჩეხავდნენ და წვავდნენ ზვრებს საქართველოში სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში. — რედ.). **ასე შეამცირეს თევზის რეწვა. სსრკ-ის პერიოდში ლატვიაში ყველაზე დიდი თევზსაჭერი მეურნეობები იყო, ატლანტიკის ოკეანეშიც კი მიდიოდნენ თევზის დასაჭერად. ადრე ყველა სახლში იყო ნავი და შებოლილი თევზი, მაგრამ დაგვარწმუნეს, რომ შებოლილი ცუდია და არ უნდა ჭამო**“, — განაცხადა რაიმონდ პაულსმა.

**«ევროკავშირი ფულს უხდიდა ადამიანებს, ნავები რომ დაეწვათ — ასე შეამცირეს თევზის რეწვა. სსრკ-ის პერიოდში ლატვიაში ყველაზე დიდი თევზსაჭერი მეურნეობები იყო, ატლანტიკის ოკეანეშიც კი მიდიოდნენ თევზის დასაჭერად. ადრე ყველა სახლში იყო ნავი და შებოლილი თევზი, მაგრამ დაგვარწმუნეს, რომ შებოლილი ცუდია და არ უნდა ჭამო»**



# კემერონსა და ოლანდს ამერიკის პუდელები უწოდეს

**დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა ჯორჯ გალუეიმ განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას მხოლოდ ვაშინგტონის ერთგული მსახურეიბი არ შეეწინააღმდეგენ.**

„რუსეთისთვის სანქციების დაწესების საკითხში აშშ-ის არანაირი გავლენა არ მოუხდენია ბრიტანეთის პრემიერ დევიდ კემერონსა და საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდზე, რადგან ორივე პოლიტიკოსმა უაპელაციოდ დაუჭირა მხარი ვაშინგტონს. აშშ-ის ზემოქმედება არც დასჭირდებოდა, რადგან ოლანდიც და კემერონიც აშშ-ის პუდელები არიან, — განაცხადა ჯონჯ გალუეიმ და დასძინა, რომ მოვლენების სცენარი უკრაინაში, ისევე, როგორც ჰონგკონგში (იქ აშშ კიდევ ერთი „ფერადი რევოლუციის“ მოწყობას გეგმავს), აშშ-ის მიერ არის შემუშავებული, ევროკავშირი კი — თავისი ნებით თუ ზემოქმედების შედეგად — ამერიკელთა პოლიტიკას მისდევს.

ალსანიშნავია, რომ 2012 წელს ევროკავშირში აშშ-ის ინტერესების რეალიზებისთვის საფრანგეთის იმჟამინდელ პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის „ვაშინგტონის პუდელი“ შეარქვეს.





### ალექსანდრ სტუბი:
# ნატოში შესვლა აქტუალური არ არის!

**„ფინეთის მოქალაქეთა უმრავლესობას არ სურს, რომ მათი ქვეყანა ნატოში შევიდეს, სწორედ ამიტომ არ დგას ეს საკითხი დღის წესრიგში“, — განაცხადა ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრ სტუბმა გერმანულ ჟურნალ „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

**„შეგვეძლო ნატოს წევრი გავმხდარიყავით 1995 წელს, როდესაც ევროკავშირში მიგვიღეს, მაგრამ ამჟამად კმაყოფილი ვართ იმ პარტნიორული ურთიერთობითაც, რომელიც გვაქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან, რადგან ჩვენზე თავდასხმის შემთხვევაში, ფორმალურად მაინც, ნატოსგან მხარდაჭერის გარანტია გვაქვს. ამ მომენტში კი ვერ ვხედავ მოქალაქეთა უმრავლესობას, რომელიც ნატოში სასწრაფოდ შესვლას მოითხოვს. ამიტომაც არ არის ნატოში შესვლის საკითხი აქტუალური,“** — განაცხადა ფინეთის პრემიერ-მინისტრმა.

### ჯონ ლოკლენდი:
# აშშ-ის მიზანი ევროპის ორ ნაწილად გაყოფაა!

**„ვაშინგტონის მთავარი მიზანი ევროპის კონტინენტის გეოპოლიტიკური გახლეჩა და აშშ-ისთვის თავისუფალი ვაჭრობის ტრანსატლანტიკური ზონის შექმნაა“, — განაცხადა დემოკრატიისა და თანამშრომლობის პარიზის ინსტიტუტის კვლევითი პროგრამების დირექტორმა, პოლიტოლოგმა ჯონ ლოკლენდმა.**



უკრაინის ხელისუფლება, რომელიც სამხედრო ოპერაციას ახორციელებს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ისგან ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობს. უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო ვაშინგტონის სასურველი სტუმარია. მას აშშ-ის კონგრესში სიტყვით გამოსვლა არაერთხელ შეაწყვეტინეს აპლოდისმენტებით. პოლიტოლოგი ჯონ ლოკლენდი დარწმუნებულია, რომ უკრაინის კონფლიქტს აშშ თავისი გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს.

**„მრავალი ათეული წლის განმავლობაში ევროპის პოლიტიკური კლასი — მე განზრახ ვიყენებ ამ სიტყვას — ამერიკელთა მიერ კონტროლდებოდა. ამერიკელთა მიზანი ნათელია — ევროპის კონტინენტის ორ ნაწილად გაყოფა, სადემარკაციო ხაზის გავლება ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის. ამ გაყოფის მიზანი კი თავისუფალი ვაჭრობის ტრანსატლანტიკური ზონის შექმნაა,** ხელშეკრულების გაფორმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და, შესაბამისად, ტრანსატლანტიკური ეკონომიკურ-პოლიტიკური თანამეგობრობის თანამეგობრობის ჩამოყალიბება. აი, ეს არის ამ თამაშის არსი“, — განაცხადა ჯონ ლოკლენდმა ტელეარხ Russia Today-ის ეთერში.

**«ამერიკელთა მიზანი ნათელია — ევროპის კონტინენტის ორ ნაწილად გაყოფა, სადემარკაციო ხაზის გავლება ნატოს წევრ სახელმწიფოებსა და რუსეთს შორის»**

# «ზამთრის ომი» დაიწყო?

**მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ევროპისთვის რუსული ბუნებრივი აირის მიწოდება 15 პროცენტით შემცირდა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, — იუწყება Bloomberg-ი. ეს განაპირობა უკრაინის ტერიტორიის გავლით ბუნებრივი აირის ტრანზიტის 54 პროცენტით შემცირებამ.**

2013 წლის სექტემბერში დსთ-ს ფარგლებს გარეთ რუსეთის ბუნებრივი აირის მოცულობის 60 პროცენტი უკრაინის მილსადენებით გაედინებოდა. ეს მაჩვენებელი სექტემბერში კატასტროფულად დაეცა. ევროპას შექმნილი მარაგის იმედი აქვს და დარწმუნებულია, რომ „ზამთრის ომს“ გაუძლებს — სექტემბრის ბოლოს ევროპული საცავები 91 პროცენტით შეივსო და იქ ბუნებრივი აირის მარაგმა 75,7 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწია. თუმცა, ექსპერტთა აზრით, თუ ზამთარი ცივი იქნება, მარაგი სწრაფად ამოიწურება და ევროპაც გათბობის პრობლემის წინაშე აღმოჩნდება.



ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველა ნორმალური ადამიანისთვის ცხადია, რომ ევროკავშირში, ნატოში შესვლა ბლეფია, მოსახლეობის მოტყუებაა, მაგრამ ეს სისხლიანი ბლეფია, რომელსაც საზოგადოების გახლეჩა, სისხლისღვრა და ქვეყნის დაშლა მოჰყვება. ასე მოხდა საქართველოში, მოლდოვაში, ახლა იგივე ხდება უკრაინაში. განა ნამდვილი პატრიოტი, ერისკაცი ამაზე წავა?“**

# ალექსანდრე ჭაჭია: ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?

**ცნობილი პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭაჭია საქართველოსა და, საერთოდ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება. ბატონი ალექსანდრე, რომელიც ადრე ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს კრიტიკულად აფასებს.**



**— ჩვენი ბოლო საუბრიდან წელიწადზე მეტი გავიდა. ამასობაში საქართველოსა და, საერთოდ, მსოფლიოში ბევრი რამ მოხდა, თუმცა უკრაინის მოვლენები განსაკუთრებით აქტუალურია. თქვენი აზრით, რა მოხდა ამ ქვეყანაში და როგორ განვითარდება იქ მოვლენები?**

— ჩვენ, ქართველებს, ყველაზე უკეთ უნდა გვესმოდეს უკრაინის ტრაგედიის არსი იმიტომ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში იგივე გადავიტანეთ. **სამწუხაროდ, საქართველოს მწარე გამოცდილება ჩვენი უკრაინელი მეგობრებისთვის გაკვეთილად არ იქცა.** ფორმალური თვალსაზრისით, **კიეველი პოლიტიკოსების ჯგუფმა დასავლეთუკრაინული დაჯგუფებების დახმარებით განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება — განდევნა კანონიერად არჩეული პრეზიდენტი და მიიტაცა ძალაუფლება დედაქალაქში.** მოსახლეობის ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ გადატრიალებას და ლოიალურად მოეკიდა პუტჩისტებს, მაგრამ მნიშვნელოვანმა ნაწილმა, უმთავრესად ქვეყნის აღმოსავლეთში, უარი თქვა ახალი ხელისუფლების აღიარებაზე. მაშინ კიევმა გადაწყვიტა, ძალით დაემყარებინა თავისი იურისდიქცია და ამ რეგიონებს სადამსჯელო რაზმები შეუსია. დაიწყო სამოქალაქო ომი.

ანალოგიური რამ მოხდა საქართველოშიც ოციოდე წლის წინათ, როდესაც თბილისელი პოლიტიკოსების ჯგუფმა სამხედრო დაჯგუფებების მხარდაჭერით დაამხო კანონიერი პრეზიდენტი და მიიტაცა ძალაუფლება (რა თქმა უნდა, არ ვადარებ ზვიად გამსახურდიას კორუმპირებულ ბრიყვ იანუკოვიჩთან). საქართველოს მოსახლეობის ნაწილმა უარი თქვა მოძალადე ხელისუფლების აღიარებაზე და მაშინაც მოსახლეობას დასაშოშმინებლად სადამსჯელო რაზმები შეუსიეს. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. პარალელურად **აფხაზეთის მოსახლეობამ განაცხადა: თქვენ, თბილისში, აზრს არ გვეკითხებით, ისე აწყობთ გადატრიალებას, მერე კი ხოცავთ თანამოძმეებს, რომლებიც არ გეთანხმებიან; არ შეგვიძლია თავი უსაფრთხოდ ვიგრძნოთ ასეთ სახელმწიფოში და უარს ვამბობთ თქვენთან თანაცხოვრებაზე. ომი აფხაზეთზეც გადაერთო და ამ რეგიონის დაკარგვით დასრულდა. ასევე ტერიტორიის დაკარგვით დასრულდება ომი უკრაინაშიც.**

**— არანაკლებ თვალშისაცემია 2003 წლის „ვარდების რევოლუციასთან“ ანალოგიებიც.**

— შევარდნაძის დამხობას ქართველ საზოგადოებაში პროტესტი არ გამოუწვევია, მაგრამ **პოლიტიკური ძალა, რომელიც 2003 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა, სრულიად იდენტურია ძალისა, რომელიც კიევის მაიდანმა მოიყვანა ხელისუფლებაში.** გარე მოხმარების ლოზუნგები — „უკრაინა — ევროპაა!“, „მხარს ვუჭერთ ევროკავშირში შესვლას!“, „ჩვენ — დასავლეთის ნაწილი ვართ!“ და სხვ. შეხამებულია შიგა მოხმარების ულტრანაციონალურ ლოზუნგებთან („უკრაინა — უკრაინელებისთვის!“, „ძირს რუსული ენა!“, „რუსები და ებრაელები — სახრჩობელაზე!“ და სხვ.) და ბანდერას, შუხევიჩისა თუ დიდი სამამულო ომის დროს წითელ არმიასთან მებრძოლი ბოევიკების გმირებად წარმოჩენასთან. დასავლური საინფორმაციო საშუალებები, ბუნებრივია, გადასცემდნენ პროევროპულ ლოზუნგებს, მაგრამ არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ ფაშისტურ მოწოდებებს. საოცარია — **მსოფლიო პრესა, რომელიც ფრიად მგრძნობიარეა ანტისემიტიზმის გამოვლინებებისადმი, სრულიად ბრმა და ყრუ აღმოჩნდა ებრაელების განდევნისა და დახოცვის მოწოდებებისადმი უკრაინაში.** ეს ისე, — დასავლეთში სიტყვის თავისუფლების საკითხისთვის...

ამგვარად, **უკრაინული გადატრიალების ლიდერები მოუწოდებდნენ „ეროვნული სახელმწიფოს“ შექმნის, უცხოტომელების განდევნის, უკრაინული იდენტობის, უკრაინელი ხალხის ტრადიციული ფასეულობების განვითარებისკენ და ამავე დროს კამერების წინ ტლანქად იწერდნენ პირჯვარს მართლმადიდებლურ ტაძრებში და მღვდლებისგან კურთხევას იღებდნენ.** რა მიიღეს შედეგად უკრაინელებმა? — პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ვიცეპრემიერები, უმსხვილესი რეგიონების გუბერნატორები ეთნიკური ებრაელები გახდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი სომეხია; პარლამენტის თავმჯდომარე — მართლმადიდებლების მოძულე ბაპტისტი; ოპოზიციის ძირითად ლიდერს — ტიმოშენკოსაც კი წვეთი სისხლი არ ურევია უკრაინული. ეს არ არის კაზუსი, ეს არ არის შემთხვევითობა. ეს კანონზომიერებაა ყველა იმ გადატრიალებისთვის, რომლებიც ამერიკული სპეცსამსახურების ხელმძღვანელობით ხორციელდება. **გაიხსენეთ სააკაშვილის ხელისუფლება: ეთნიკური ქართველები მასშიც უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდნენ. თითქმის არც ერთი მთავარი ფიგურა არ იყო ქართული წარმომავლობის, მაგრამ ქვეყნის შიგნით ისინიც ფართოდ იყენებდნენ ადამიანების ეროვნულ გრძნობებს, ნაციონალურ რიტორიკას, ისევე მოუქნელად ანთებდნენ საყდრებში სანთლებს, როგორც მათი უკრაინელი კოლეგები, საკუთარ პარტიასაც კი „ნაციონალური მოძრაობა“ დაარქვეს, მაშინ, როდესაც სინამდვილეში პირწავარდნილი კოსმოპოლიტები, გლობალისტები, ეროვნული თვითშეგნების ნებისმიერი ფორმის დაუძინებელი მტრები არიან.** ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ისინი მიზანმიმართულად დევნიდნენ ქართული ეროვნული იდენტურობის ნებისმიერ გამოვლინებას, ამცირებდნენ და შეურაცხყოფდნენ ჩვენი ერის ტრადიციულ სულიერ ფასეულობებს, ყველაფერს აკეთებდნენ მართლმადიდებლობის დისკრედიტაციისთვის, ფართო გასაქანი მისცეს ერის სულიერი ერთობის გამხრწნელ სხვადასხვა ჯურის რელიგიურ სექტებს. ეს ყველაფერი ჩვენ გამოვიარეთ, ახლაც განვიცდით შედეგებს და ყოველივე ეს, ისევე, როგორც ქვეყნის დაშლა, ელოდება უკრაინასაც.

**— რატომ მოჰყავთ ამერიკელებს ხელისუფლებაში არამკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლები?**

— იმიტომ, რომ ასეთ მარიონეტებს არ ადარდებთ მკვიდრი მოსახლეობა და მზად არიან, ნებისმიერი, ყველაზე სასტიკი ექსპერიმენტებიც კი, ჩაატარონ ამ მკვიდრ მოსახლეობაზე; მზად არიან, პატრონების ინტერესებიდან გამომდინარე, გამოიყენონ ქვეყანა ნებისმიერი საერთაშორისო ავანტიურის მოსაწყობად. **ყველა ნორმალური ადამიანისთვის ცხადია, რომ ევროკავშირში, ნატოში შესვლა ბლეფია, მოსახლეობის მოტყუებაა, მაგრამ ეს სისხლიანი ბლეფია, რომელსაც საზოგადოების გახლეჩა, სისხლისღვრა და ქვეყნის დაშლა მოჰყვება. ასე მოხდა საქართველოში, მოლდოვაში, ახლა იგივე ხდება უკრაინაში. განა ნამდვილი პატრიოტი, ერისკაცი ამაზე წავა?** ამიტომაც არჩევენ მკვიდრი მოსახლეობისგან ეთნიკურად, სულიერად უცხო ადამიანებს, გარკვეული ფსიქიკური და ფიზიკური გადახრებით, მათ შორის, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით. ასეთები პატრონებისადმი განსაკუთრებულად ერთგულები არიან, რადგან იციან, რომ მთლიანად მათ ნებაზე არიან დამოკიდებულნი; კურატორების მზრუნველობის გარეშე ამ პირებს არ აქვთ არანაირი შანსი, გახდნენ პოლიტიკური ან სახელმწიფო მოღვაწეები. დააკვირდით იაცენიუკს ან ტურჩინოვს: შეიძლება ასეთი ინტელექტისა და იერის ადამიანები ქვეყნის ლიდერები გახდნენ? როგორც ირკვევა, შეიძლება, თუკი ასეთია აშშ-ის ნება. დააკვირდით იმავე სააკაშვილის სახელისუფლო გუნდის შემადგენლობას — ჩვენი ნება რომ ყოფილიყო, დამოუკიდებელი არჩევანი რომ გვქონოდა, რომელიმე მათგანს ავირჩევდით ქართველები რაიმეს ხელმძღვანელად?

**— ასეა თუ ისე, მოსახლეობა იღებს ამ ტიპის მარიონეტებს. გონების მასობრივი დაბინდვა, ეროვნული ღირსების გაქრობა, რაიმე ძალისადმი ბრმა მორჩილება... რა არის ამის მიზეზი?**

— არ ვიცი, ეს ჩემთვისაც გამოცანაა. **უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმების 9 პროცენტამდე მიიღო ცნობილმა ჰომოსექსუალმა ლიაშკომ, რომელსაც რადიკალი უკრაინელი ნაციონალისტის როლი აქვს მიკუთვნებული, ანუ უკრაინის თითქმის ყოველ მეათე ამომრჩეველს სურდა, თავის პრეზიდენტად ოფიციალური პედერასტი ეხილა!** ეს არც ამერიკის შეერთებული შტატებია, არც საფრანგეთი და არც ჰოლანდია, ეს უკრაინაა — ტრადიციული, ძირითადად, მართლმადიდებელი ქვეყანა. **შინაგან საქმეთა ორგანოები, შინაგანი ჯარები თავის მინისტრად ეგუებიან პედოფილსა და ჰომოსექსუალ ავაკოვს. რით შეიძლება ეს აიხსნას?** — არ ვიცი. როგორ შეიძლება აიხსნას, რომ ანალოგიური ყაიდის ადამიანებს ჩვენ, ქართველები, ვითმენდით და დღემდე ვითმენთ ხელისუფლებაში?

**— პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ქართველებს ასეთი დიაგნოზი დაგვისვა: „გონებრივი სისუსტე მსუბუქი დებილობის ფორმით... ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისთვის შესაფერისი აზროვნება — აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა!“**

— მგონი, ეს უნიკალური შემთხვევაა, როდესაც პრეზიდენტი საკუთარ ხალხს ასე ახასიათებს. **პრეზიდენტმა, ალბათ, საკუთარი თავი აღწერა... ძალიან ჰგავს მას. ისე კი, მიჩნეულია, რომ პრეზიდენტი ერის სახეა, ალბათ, მარგველაშვილიც ასე მიიჩნევს და ამიტომაც ერის სახე საკუთარის შესაბამისად აღწერა.**

**— სერიოზულად რომ ვთქვათ, ხალხმა ხომ ის აირჩია, მანამდე ასევე აირჩია სააკაშვილიც...**

— **საქართველოს ყოველ ხელისუფლებას მოსახლეობა ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, რომ ხალხი მზადაა, ხმა მისცეს ნებისმიერს, ვინც მოაშორებს ამ ხელისუფლებას.** ასე იყო სააკაშვილის მიმართ, ასე იყო ივანიშვილის მიმართაც. რაც შეეხება მარგველაშვილს, მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის, თუ არ ვცდები, მხოლოდ 15 პროცენტმა. ხალხი არჩევნებზე არ მივიდა. **ამ პრეზიდენტის ლეგიტიმურობა ძალიან დაბალია, ხოლო მორალური ლეგიტიმურობა, საერთოდ, არ გააჩნია. ადამიანებმა ხმა მისცეს ცარიელ ფუტლარს, მხოლოდ იმიტომ, რომ ივანიშვილმა ასე მოითხოვა. მარგველაშვილის არჩევა — ეს, რა თქმა უნდა, ივანიშვილის პირადი ავანტიურაა, ისევე, როგორც რესპუბლიკური პარტიის ხელისუფლებაში მოყვანა.** ეს პარტია დღეს რეალურად მართავს პარლამენტს. როგორც ჩანს, ივანიშვილი იმედოვნებდა, რომ მოსახლეობაში ავტორიტეტის არმქონე ▶

**«ადამიანებმა ხმა მისცეს ცარიელ ფუტლიარს, მხოლოდ იმიტომ, რომ ივანიშვილმა ასე მოითხოვა. მარგველაშვილის არჩევა — ეს, რა თქმა უნდა, ივანიშვილის პირადი ავანტიურაა, ისევე, როგორც რესპუბლიკური პარტიის ხელისუფლებაში მოყვანა»**

# „ხალხი ექებდა მხსნელს და იპოვა იგი ივანიშვილის სახით, ხმაც, შესაბამისად, მხოლოდ მას მისცა. ივანიშვილმა კი თან მოიყვანა ადამიანები ნულოვანი რეიტინგით, შემდეგ კი ხელისუფლებიდან წავიდა და მოსახლეობა ბუტაფორიულ პრეზიდენტსა და „ნაციონალ-რესპუბლიკელების“ პარლამენტს შეატოვა.“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პრეზიდენტი და პარლამენტი მთლიანად მასზე დამოკიდებული და ადვილად სამართავი იქნებოდა. ამაში იგი შეცდა და კიდევ არაერთხელ დარწმუნდება, რომ შეცდომა დაუშვა.

საერთოდ, ხელისუფლების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით საქმე ძალიან ცუდად გვაქვს. **ხალხი ექებდა მხსნელს და იპოვა იგი ივანიშვილის სახით, ხმაც, შესაბამისად, მხოლოდ მას მისცა. ივანიშვილმა კი თან მოიყვანა ადამიანები ნულოვანი რეიტინგით, შემდეგ კი ხელისუფლებიდან წავიდა და მოსახლეობა ბუტაფორიულ პრეზიდენტსა და „ნაციონალ-რესპუბლიკელების“ პარლამენტს შეატოვა.**

ნუგეშად თქვენც და საკუთარ თავსაც ისღა შემიძლია ვუთხრა, რომ სუსტი, სამარცხვინო ტიპები ხელისუფლებაში მარტოდენ საქართველოს უბედურება როდია. გადახედეთ ევროპელ ლიდერებს — საფრანგეთში ერთი მასხარა მეორეს ცვლის. **ბრიტანელი კემერონი, ბლერი, მეიჯორი, ბრაუნი წვრილფეხა კლერკის ინტელექტის მქონე უბადრუკი მარიონეტები არიან.** ევროპაში სადმე ხედავთ ძლიერ ეროვნულ ლიდერს? **გერმანია ოკუპირებული ქვეყანაა, რომელიც თავის ოქროს მარაგსაც კი აშშ-ში ინახავს და ვინც უნდა აირჩიონ გერმანელებმა, ვერავინ შეძლებს, თავი დააღწიოს ამერიკელების კონტროლს.**

აღმოსავლეთ ევროპის მარიონეტულ რეჟიმებზე, საერთოდ, არაფერს ვამბობ, მათი ლიდერები, უბრალოდ, სასაცილონი არიან. **ამიტომაც შეიძლება, გავუგოთ პრეზიდენტ პუტინს, რომელიც ამ ევროპელ ლიდერებს უყურებს, როგორც საწყალ ფინიებს. იგი, რა თქმა უნდა, სამი თავით მაღლა დგას, ვიდრე ყველა ეს ლიდერი, ერთად აღებული.**

მსოფლიოს მართავს საერთაშორისო ფინანსური კაპიტალი, მას ძლიერი ეროვნული ლიდერები არ სჭირდება. ამერიკაშიც კი კაპიტალს პრეზიდენტებად კლოუნები მოყავს. **მთელი მსოფლიო, ამერიკელების ჩათვლით, დასცინოდა ბრიყვ ბუშს (ჩვენც დაგვცინოდნენ, როდესაც მისი სახელობის ქუჩა გავხსენით), დღეს დასცინიან უბედურ ობამას.** ლიდერების დეგრადაცია, თავისთავად იწვევს პოლიტიკური ელიტების დეგრადირებას. **თვითონ ამერიკელები ქვეყანაში ყველაზე დიდ სულელებად პრეზიდენტ ბუშს, თავდაცვის მინისტრ რამსფელდსა და ვიცეპრეზიდენტ ჩეინის ასახელებდნენ. დღეს მათი ადგილი ბაიდენმა დაიკავა.** დააკვირდით საშინელ, გულისამრევ ქალებს, რომლებიც აშშ-ის დღევანდელი საგარეო პოლიტიკის სახეს წარმოადგენენ: **სელესტ უოლანდერი, ვიქტორია ნულანდი, ჯენიფერ ფსაკი, მარი ჰარფი.** ოპოზიცია კი ვინ არის? — **ჯონ მაკკეინი** და **სარა პეილინი.** ნახეთ, რა ინტელექტუალური უბადრუკობაა. მაგრამ ეს ყველაფერი არაა იმდენად სასაცილო, რამდენადაც საშიში. **აშშ-ის დღევანდელი ხელმძღვანელობა — ეს იგივეა, რაც მაიმუნი ხელყუმბარით ხელში.**

**— საქართველოში იზრდება ამჟამინდელი ხელისუფლებით უკმაყოფილება. საგარეო პოლიტიკაში, ფაქტობრივად, სააკაშვილის კურსი გრძელდება, ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება, ემიგრაციის ტემპი არ მცირდება...**

— ხელისუფლებისგან არ უნდა ველოდოთ იმას, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ შედის საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაში. **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გადაბჟირდებიან, საქართველოს ხელმძღვანელობის რაიმე საგარეოპოლიტიკურ ინიციატივას რომ მოკრან ყური.** ეროვნული ეკონომიკა არ გვაქვს, იგი განადგურდა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში, ხოლო ნარჩენებს სააკაშვილმა მოუღო ბოლო. ყველა იმაზე შფოთავდა, რომ სააკაშვილმა ვიღაც გომბიო, რომელსაც მხოლოდ მამამისის თონის მართვის გამოცდილება ჰქონდა, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრად დანიშნა. **როდესაც არ გაქვს ეკონომიკა და არც მისი აღორძინების პერსპექტივები, ეკონომიკის მინისტრობას გაწვრთნილი მაიმუნიც შეძლებს.** ეკონომიკა — ეს არის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა განვითარებული შიდა ბაზრითა და კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქციით. ასეთი ეკონომიკის შესაქმნელად საჭიროა მსხვილი და გრძელვადიანი, გასაღების კონკრეტულ ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციები. **დასავლეთის ქვეყნები კი მხოლოდ კრედიტებს იძლევიან მათთვის სასურველი ხელისუფლების მხარდასაჭერად, რაც კიდევ უფრო ზრდის ეროვნულ ვალს, ხოლო დასავლური ბიზნესი ჩვენში ინვესტიციებს არ დებს, რადგან იცის, რომ პოლიტიკურ დასავლეთს საქართველო სჭირდება, როგორც რუსეთთან ბრძოლის ინსტრუმენტი და, როგორც კი გადაწყდება ამ ინსტრუმენტის რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედება, ინვესტიციებს ომის ქარცეცხლი შთანთქავს.** ბოლო მოვლენების ფონზე ასევე ფიქრობს რუსული ბიზნესიც. ამიტომაც **ივანიშვილისა და მისი გუნდისგან ეკონომიკაში გლობალურ პოზიტიურ ძვრებს არ უნდა ველოდოთ.** ამ უიმედო საქმეში ის თავის მილიარდებს არ ჩადებს, თუმცა, პროფესიონალები რომ ყოფილიყვნენ, ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, შეეძლო, შიდა რესურსებზე დაყრდნობითაც კი ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინა ეკონომიკური ვითარება ქვეყანაში.

**— რიგი ექსპერტებისა მიიჩნევს, რომ, უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა გააუარესებს ეკონომიკურ ვითარებას ქვეყანაში...**

— მე ასე არ მიმაჩნია. ასოცირების ხელშეკრულება დაანგრევს უკრაინის ეკონომიკას, ქვეყანა დაკარგავს თავის მრეწველობას, განსაკუთრებით კი მაღალტექნოლოგიურ დარგებს, გარდაუვალია მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცემა. ამ ყველაფერს, როგორც წესი, მოჰყვება მსხვილი სამეცნიერო კოლექტივების დაშლა, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების მოშლა და სხვ. უკრაინისთვის ეს ნამდვილი კატასტროფაა, ხოლო საქართველოსა და მოლდოვისთვის ბევრი არაფერი შეიცვლება. ის კატასტროფა, რომელიც უკრაინას ელის, ჩვენ უკვე გამოვიარეთ. **ერთ დროს აყვავებული მოლდოვა მილიონზე მეტმა მოქალაქემ დატოვა, მათგან 700 ათასი რუსეთში მუშაობს; ისინი სამშობლოში ყოველწლიურად 2 მილიარდამდე დოლარს აგზავნიან, რაც მოლდოვის მშპ-ს 30 პროცენტს შეადგენს.** ეს ღატაკი ქვეყანაა. საქართველოშიც და მოლდოვაშიც ეკონომიკა, როგორც ასეთი, არ არსებობს, აქედან გამომდინარე, მოშლაც არაფერს ემუქრება. სხვა საქმეა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება საბოლოოდ ასამარებს ეროვნული ეკონომიკის აღორძინების პერსპექტივას. წარმოიდგინეთ, რომ მოხდა სასწაული და საქართველოში მოვიდა მთავრობა, რომელიც ეროვნული ეკონომიკის აღდგენაზე იქნება ორიენტირებული. ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პირობებში მას ამის გაკეთება უკიდურესად გაუჭირდება, მეტიც, ეს შეუძლებელი იქნება. ძლიერი ეროვნული ეკონომიკა ორიენტირებულია ექსპორტზე და შიგა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას, რომლის ექსპორტზე გატანაც შესაძლებელი იქნება, ევროპა არ დაუშვებს — კონკურენტები არავის სჭირდება, ხოლო შიდა ბაზარს იაფიანი უცხოური პროდუქცია წალეკავს — ეს ჩიხია!

**— სამაგიეროდ გვეტყვიან, რომ ეს არის მორიგი დროებითი სირთულე ევროპისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ, როდესაც ევროკავშირში მიგვიღებენ, ზღაპრული ცხოვრება გვექნებაო...**

— კი, ევროკავშირში შესვლის შესახებ ბოდვის მოსმენა დიდხანს მოგვიწევს... ისე, **ცუდი არ იქნებოდა, თუნდაც გაზეთებს (ტელევიზიაში ეს შეუძლებელია) გაეშუქებინათ რეალური ცხოვრება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც, დიდი ხანია, ნატოშიც მიიღეს და ევროკავშირშიც.** რუმინეთში, მაგალითად, დახურულია ყველა მსხვილი სამრეწველო საწარმო, უმუშევრობა 40 პროცენტს აჭარბებს, ხოლო ქვეყნის საგარეო ვალი — 50 მილიარდ დოლარს. **უკვე წლებია, ერთი გაუპარსავი ყურპანტურა ბულგარელი გვასწავლის, საქართველოში როგორ უნდა ვიცხოვროთ და როგორ უნდა მოვიქცეთ ევროკავშირში მოსახვედრად. მას, სამწუხაროდ, არავინ ჰკითხა, რატომ არის ასეთ სავალალო მდგომარეობაში მისი მშობლიური ბულგარეთი, რომელიც ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც და სადაც სიდუხჭირის გამო მთავრობები ლამის წელიწადში ორჯერ იცვლებიან.** ამას წინათ მოვუსმინე, როგორ ამუნათებდა ევროკავშირის სიკეთეებით ქართველებს ლატვიის პრეზიდენტი. თუკი მართლა ასეა, მაშინ რატომ გაექცა ამ სიკეთეს ევროკავშირის წევრი ლატვიიდან მოსახლეობის თითქმის მესამედი? განა გარბის აყვავებული ქვეყნიდან მოსახლეობა საშოვარზე სხვა ქვეყნებში? დამუნათებას ის ურჩევნია, დაგვისახელოს ერთი მსხვილი საწარმო მაინც რომელიც ლატვიაში გადარჩა.

> **«უკვე წლებია, ერთი გაუპარსავი ყურპანტურა ბულგარელი გვასწავლის, საქართველოში როგორ უნდა ვიცხოვროთ და როგორ უნდა მოვიქცეთ ევროკავშირში მოსახვედრად. მას, სამწუხაროდ, არავინ ჰკითხა, რატომ არის ასეთ სავალალო მდგომარეობაში მისი მშობლიური ბულგარეთი, რომელიც ნატოს წევრიც არის და ევროკავშირისაც და სადაც სიდუხჭირის გამო მთავრობები ლამის წელიწადში ორჯერ იცვლებიან»**

**— ბრძანეთ, რომ ომის შედეგად უკრაინა დაკარგავს ტერიტორიებს. ყირიმი უკვე დაკარგულია, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები გაქვთ მხედველობაში?**

— არა მხოლოდ. **უკრაინას დაშლა ელის. აქ ისევ იკვეთება პარალელები ჩვენს უახლეს ისტორიასთან. უკრაინის აღმოსავლეთმა მოითხოვა ქვეყნის ფედერალიზაცია, მაგრამ ხისტი უარი მიიღო.** დღეს ფედერალიზაციაზე საუბარი უკვე აღარ არის: აღმოსავლეთი გამოყოფას ითხოვს. იგივე მოხდა ჩვენთანაც: აფხაზური მხარე ფედერალიზაციას გვთავაზობდა ომამდეც, ომის პერიოდშიც და ცოტა ხანს ომის შემდეგაც, მაგრამ უარი მიიღო; დღეს კი ამაზე საუბარიც სასაცილოა.

რაც შეეხება ყირიმს, ისტორია ხომ ყველამ იცის: არამზადა ხრუშჩოვმა 1954 წელს მომავალ ანტისტალინურ კამპანიაში უკრაინული პარტაქტივის მხარდაჭერის სანაცვლოდ, ყირიმი უკრაინას აჩუქა. ამასთანავე, ეს უკანონოდ, სსრკ-ს კონსტიტუციის დარღვევით გააკეთა ისე, რომ უმაღლეს საბჭოს შესაბამისი დადგენილებაც არ მიუღია. ყირიმელები, მათი ძირითადი ნაწილი, თავს უკრაინელებად არასდროს მიიჩნევდნენ, რეფერენდუმის შედეგებიც ამის დასტურია.

სხვათა შორის, ყირიმის რეფერენდუმი ძალიან მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრეცედენტია პოსტსაბჭოთა სივრცეში. **თუკი ოდესმე საქართველოს გონიერი ხელისუფლება ეყოლება, იგი ამ პრეცედენტზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა, რუსეთის მხარდაჭერით, შეძლებს, მოითხოვოს ანალოგიური რეფერენდუმის ჩატარება გალის რაიონში.**

**— ყოველთვის ოპტიმისტურად უყურებდით აფხაზეთის პრობლემას. ამ საკითხზე რეგულარულად გამოდიოდით პრესაში წინადადებებით. დღეს ეს ოპტიმიზმი აღარ ჩანს...**

— განა ვინმემ გამოიყენა ეს წინადადებები? **ხელისუფლებამ ისინი არც განიხილა. ეს ხომ საგარეო პოლიტიკის, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებია, რომლებიც უკვე ამერიკელი კურატორების კომპეტენციაა და საქართველოს ხელისუფლებას არავინ არაფერს ჰკითხავს.** ჩვენ ბევრჯერ გვქონდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარების შანსი. როგორც ბაგაფშის, ასევე ანქვაბის პრეზიდენტობისას, მაგრამ შევარდნაძემ და სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მოესპოთ ეს შანსები, რადგან ამ საკითხში პროგრესი ნიშნავდა საქართველოს ნეიტრალურ სტატუსს და რუსეთთან დაახლოებას, ამერიკელებს კი ეს არ სჭირდებოდათ. ძალიან კარგი და, ვფიქრობ, უკანასკნელი შანსი გაგვიჩნდა ხელისუფლებაში ივანიშვილის მოსვლისას. რატომღაც მეგონა, რომ მისგან დადებული პირობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე, არ იყო უბრალო წინასაარჩევნო ლაყბობა, რომელიც წინამორბედი ორივე პრეზიდენტისგან სისტემატურად გვესმოდა და რომლისგანაც ყველანი დავიღალეთ. მაგრამ **ივანიშვილმა და მისმა მთავრობამ განუხრელად გააგრძელა წინამორბედთა პოლიტიკა, საქართველომ დაკარგა უკანასკნელი შანსი და მეც კი, ამ საკითხში გამოუსწორებელმა ოპტიმისტმა, დავკარგე ყოველგვარი იმედი. დღეს აფხაზეთის ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალები, რომლებთანაც რამენაირ დაახლოებაზე საუბარი ამაოა.** თუკი წინამორბედ პრეზიდენტებთან შემეძლო თავისუფლად, ორმხრივი ინტერესით, ურთიერთგაგების სურვილით განმეხილა ჩვენი დაახლოების პროექტები (არამხოლოდ იმიტომ, რომ მათთან მრავალწლიანი პირადი მეგობრობა მაკავშირებდა), ახალ ხელმძღვანელობასთან არც კი შევეცდები ამის გაკეთებას.

**— საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს მოსახლეობის დარწმუნებას, რომ აფხაზეთს დაიბრუნებს...**

— როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, დაგვპირდნენ, რომ 2 წელიწადში მიაღწევდნენ მნიშვნელოვან პროგრესს. **ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?** ალბათ, ეს 2 წელი საკრალური ვადაა, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის, ასევე ამჟამინდელი მთავრობისთვისაც. ყველანი გვპირდებოდნენ და გვპირდებიან აფხაზეთის საკითხის 2 წელიწადში გადაწყვეტას.

**როგორც ჩანს, ამერიკულ პიარინსტრუქციაში უწერიათ: „დავპირდეთ, რომ 2 წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ“.** ინსტრუქცია შესაცვლელია. არ შეიძლება, 20 წლის განმავლობაში ერთი და იგივე იძახო. მართალია, სააკაშვილის პერიოდში ამ ინსტრუქციაში დამატება შევიდა: „ჩვენ ავაშენებთ ისეთ აყვავებულ ქვეყანას, რომ აფხაზი და ოსი ძმები აქეთ შეგვეხვეწებიან, დაგვაბრუნეთ საქართველოს შემადგენლობაში“. ამ ბოდვას იმეორებს ამჟამინდელი მთავრობაც. სხვათა შორის, იგივე ინსტრუქცია ამერიკელებმა უკრაინის ხელისუფლებასაც გადასცეს. დღეს უკრაინის ხელმძღვანელობაც ერთხმად გაიძახის: ჩვენ ავაშენებთ ისეთ აყვავებულ ქვეყანას, რომ ყირიმელები აქეთ შეგვეხვეწებიან, დაგვაბრუნეთ უკრაინის შემადგენლობაშიო...

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

**(გაგრძელება იქნება)**

დამოუკიდებელი... 
ᲓᲐᲛᲝᲙᲚᲔᲡ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„9 მარტს, გვიან ღამით, ლენინმა თურქებთან საკითხის გარკვევა იოსებ სტალინს დაავალა, 10 მარტს იუსუფ ქემალმა თავისი მოთხოვნები თურქეთის შემადგენლობაში ბათუმ-ართვინისა და ყარსის აღიარებაზე უკან წაიღო, ორიოდე დღის შემდეგ კი ხელშეკრულების პროექტზე საზეიმო ხელმოწერის თარიღად 16 მარტი დაინიშნა.“**

# «თურქეთი გვეუბნება, აჭარა ჩემია, მაგრამ დროებით გითმობთ და, თუ რამე მოხდება და არ შეასრულებთ ყარსის ხელშეკრულების პუნქტებს, ჩემთან გექნებათ საქმეო»



გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა, 35-ე ნომერში (1-7 ოქტომბერი, 2014წ) პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორ თამარ კიკნაძეთან გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, რომელშიც ქალბატონმა თამარმა თურქეთ-საქართველოს ურთიერთობასა და ყარსის ხელშეკრულებაზე ისაუბრა, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ამიტომ დღეს გთავაზობთ ყარსის ხელშეკრულების შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. გვესაუბრებიან ქართული დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი **სიმონ კილაძე** და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი **თამარ კიკნაძე.**



**სიმონ კილაძე:**

— საქართველო-თურქეთის (ოსმალეთის) ურთიერთობა მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასთან, უფრო მეტიც, ხშირად ორი დიდი იმპერიის სამხედრო დაპირისპირება განსაზღვრავდა ხოლმე საქართველოს ბედს. ასე იყო XVIII (იასის სამშვიდობო ხელშეკრულება —1792 წელს) და XIX საუკუნეებში (ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულება —1829 წელს; სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულება —1878 წელს). **საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო სან-სტეფანოს ზავი, რომლის თანახმად, რუსეთის იმპერიამ დამარცხებული ოსმალეთისაგან ისტორიული ქართული ტერიტორიები (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი და სხვ.) მიიღო.** 1878-79 წლების ომის შედეგების მიხედვით კი, რუსეთის იმპერიამ ბათუმი და ართვინ-არტაანი ოსმალეთისგან კონტრიბუციის სახით მიიღო. სან-სტეფანოს ხელშეკრულებითა და, მოგვიანებით, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, დადგენილი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი უცვლელი იყო 37 წლის განმავლობაში. პირველი მსოფლიო ომის კავკასიის სამხედრო თეატრს კორექტივები შეჰქონდა სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებში: **ბათუმსა და ართვინს ჯერ ოსმალები (ბრესტის 1918 წლის ზავის შედეგად), მოგვიანებით კი, ოსმალეთის დამარცხების შემდგომ (მუდროსის 1918 წლის ზავით), ბრიტანელები დაეუფლნენ, არტაანი კი პროთურქული ელემენტებისაგან ჩამოყალიბებულმა თვითმარქვია ე.წ. ყარსის რესპუბლიკამ ჩაიგდო ხელში.**

**თურქეთის მთავრობა მოქმედებდა 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოსა და სომხეთთან დადებული კაბალური ხელშეკრულებებით და როგორც საქართველოს ისტორიულ აჭარა-ტაო-კლარჯეთს, ასევე სომხურ ყარსსა და ყაგიზმანს (ანუ აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ვილაიეთებს) თავის ტერიტორიებად მიიჩნევდა.** ქემალისტებმა თავიანთი ამბიცია იურიდიულადაც გამოხატეს სივასის კონგრესზე და იმხანად უკვე ინგლისელების მარიონეტად ქცეული ოსმალეთის პარლამენტი (მეჯლისი) აიძულეს, 1920 წლის იანვარში მიეღო ე.წ. ეროვნული აღთქმა — ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლითაც თურქეთის მომავალი საზღვრები და სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრა. **ამ დადგენილებაში თურქეთის ტერიტორიად არის წარმოდგენილი ბათუმის ოლქი, რომელიც დედასამშობლოს 1918 წლის ივნისში დაუბრუნდა. ამასთანავე, პარლამენტმა „ეროვნულ აღთქმაში” მოსახლეობის ნების პლებისციტით გამოხატვის პრინციპიც შეიტანა.** „აღთქმის“ საფუძველზე **პირველი პროტესტი ტერიტორიების გამო თურქეთმა საქართველოს ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში გამოუცხადა, როცა დიდმა ბრიტანეთმა აჭარიდან ჯარები გაიყვანა და ბათუმი დაგვიბრუნდა, თუმცა ქემალისტების პროტესტისათვის თბილისს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. არადა, თითქმის იგივე განმეორდა 1921 წლის იანვარშიც, როცა საქართველოს დიპლომატიური მისია სიმონ მდივნის ხელმძღვანელობით ანკარაში ჩავიდა: საზღვრებზე საუბრისას მუსტაფა ქემალმა „ეროვნული აღთქმა“ შეგვახსენა და მისი ტექსტი გადმოგვცაო, — ატყობინებდა ქართველი ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროს თბილისში.**

**„ეროვნული აღთქმა” თურქეთისთვის დღესაც მოქმედი იურიდიული დოკუმენტია, რადგან სწორედ მასშია ასახული თანამედროვე თურქეთის ტერიტორია.**

1921 წლის 19 თებერვალს თურქები მოსკოვში ჩავიდნენ, ხოლო რუსეთ-თურქეთის კონფერენცია 26-ში დაიწყო. ხელშეკრულების პროექტის შემუშავებისას მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება უნდა ყოფილიყო თურქეთის ტერიტორიისა და მისი აღმოსავლეთის საზღვრის აღიარება რუსეთის მიერ.

**მარტის დასაწყისში, ანკარიდან მიღებული დირექტივების საფუძველზე, იუსუფ ქემალმა რუსეთის მთავრობას მოსთხოვა, რომ ბათუმი, ართვინი და არტაანი, აგრეთვე, ყარსი თურქეთის შემადგენლობაში ელიარებინა. ამით მან ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს ქალაქები მხოლოდ და მხოლოდ თურქეთს ეკუთვნის...**

და აი, საქართველოსათვის ასეთ დრამატულ ჟამს არენაზე გამოჩნდა კავკასიის პრობლემათა მცოდნე, რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი იოსებ სტალინი. როგორც თურქი მკვლევარები ამტკიცებენ, მოლაპარაკებისას წარმოქმნილი უთანხმოების გადაჭრაში მთავარი როლი სწორედ სტალინს შეუსრულებია. **9 მარტს, გვიან ღამით, ლენინმა თურქებთან საკითხის გარკვევა იოსებ სტალინს დაავალა, 10 მარტს იუსუფ ქემალმა თავისი მოთხოვნები თურქეთის შემადგენლობაში ბათუმ-ართვინისა და ყარსის აღიარებაზე უკან წაიღო, ორიოდე დღის შემდეგ კი ხელშეკრულების პროექტზე საზეიმო ხელმოწერის თარიღად 16 მარტი დაინიშნა.**




# «2008 წლის აგვისტოში თურქეთის დიპლომატიურმა აქტიურობამ, მისი ლიდერის მოსკოვურმა ვიზიტებმა და, როგორც ამბობენ, კრემლში განხილულმა აჭარის საკითხმა (თურქეთი ბათუმში ჯარების შეყვანას გეგმავდაო) კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პრობლემა არსებობს»

**— მაინც რა მოხდა 9 მარტის ღამეს ისეთი, რამაც თურქების პრეტენზიები დააცხრო?**

— **ზუსტად თქმა ძნელია, მაგრამ შედეგი გვაფიქრებინებს, რომ სტალინმა პრიორიტეტი მიანიჭა ბათუმის, როგორც შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი ნავსადგურისა და ბაქოს ნავთობსადენის ბოლო მონაკვეთის შენარჩუნებას. თურქებს თითქოს უთქვამთ, ბათუმი ჩვენია, მისი სიუზერენები ჩვენ ვართ, მაგრამ გითმობთ, ოღონდ აჭარას ავტონომიის სტატუსი უნდა მიანიჭოთო.**

რასაკვირველია, სტალინმა კარგად იცოდა, რომ ისტორიული ტაო-კლარჯეთი ქართული ცივილიზაციის აკვანი იყო, მას ხომ სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ისიც იცოდა, რომ თურქეთისათვის გადაცემულ ტერიტორიაზე უამრავი ქართული ქრისტიანული ძეგლი იყო შემორჩენილი. მაშ, **რატომ მოხდა, რომ შატბერდი, ბერთა, ანჩი, პარხალი და იშხანი მუსლიმანებს დარჩათ? პასუხის გაცემა ძნელია. შეიძლება სტალინი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ დროებითია, იმჟამად აუცილებელი იყო თურქეთთან მეგობრობის შენარჩუნება, ვითარებას კი მომავალში გამოასწორებდა.**

მოვლენებს თუ გავუსწრებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ **სტალინმა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების საკითხი მართლაც გაიხსენა და ჯერ პოტსდამის კონფერენციაზე, შემდეგ კი გაეროს გენასამბლეის სესიაზე თურქეთს ქართული და სომხური მიწების დაბრუნება ოფიციალურად მოსთხოვა...**

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში ხელი უნდა მოეწერათ რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებაზე. სხდომათა დარბაზში შევიდა თურქეთის დელეგაცია: ეკონომიკის მინისტრი იუსუფ ქემალ თენგირშენქი (მეთაური), თურქეთის ელჩი რუსეთში, გენერალი ალი ფუად ჯებესოი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი რიზა ნური-ბეი...

სსრკ-ის საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა თურქი დიპლომატები მიიწვია მაგიდასთან, რომელზეც ხელშეკრულების პარაფირებული ტექსტი იდო. დოკუმენტს ხელი ჯერ ჩიჩერინმა და სრულიად რუსეთის ცკ-ის წარმომადგენელმა ჯელალ კორკმასოვმა მოაწერეს, შემდეგ კი — იუსუფ ქემალმა, რიზა ნურიმ და ალი ფუადიმ.

სწორედ მოსკოვის ხელშეკრულებითაა „დაბადებული” ყარსის ხელშეკრულებაც.

მოსკოვში ხელმოწერილი **16-მუხლიანი დოკუმენტის მთავარი მარცვალი პირველ მუხლშია, რომელშიც თურქეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია მოცემული. „ცნებაში „თურქეთი“ იგულისხმება ის ტერიტორიები, რომლებიც განისაზღვრა ოსმალეთის დეპუტატთა პალატის მიერ შემუშავებული 1336 (1920) წლის 28 იანვრის „ეროვნული აღთქმით“.** შემდეგ აღწერილია თურქეთის ამჟამინდელი საზღვარი — სარფიდან ნახიჭევანამდე. რაც შეეხება ბათუმის ოლქს, მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტის მეორე მუხლში ვკითხულობთ: **„თურქეთი თანახმაა, დაუთმოს თავისი სიუზერენიტეტი საქართველოს ბათუმის პორტზე, ქალაქსა და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მოცემული საზღვრის ჩრდილოეთით მდე-** ▶

დამოკლეს მახვილი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტის მეორე მუხლში ვკითხულობთ: „თურქეთი თანახმაა, დაუთმოს თავისი სიუზერენიტეტი საქართველოს ბათუმის პორტზე, ქალაქსა და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მოცემული საზღვრის ჩრდილოეთით მდებარეობს, იმ პირობით, რომ: 1) ამ ადგილების მოსახლეობა ფართო ავტონომიით ისარგებლებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის სარწმუნოებრივ-კულტურულ უფლებებს და მიიღებს ისეთ საადგილმამულო კანონს, რომელიც მათ სურვილებს ეთანხმება; 2) თურქეთს მიეცემა ბათუმის პორტით სხვადასხვა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება, ბაჟისა და დაბრკოლებების გარეშე, ხარჯების დაუბეგრავად“.**

◀ **ბარეობს, იმ პირობით, რომ: 1) ამ ადგილების მოსახლეობა ფართო ავტონომიით ისარგებლებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის სარწმუნოებრივ-კულტურულ უფლებებს და მიიღებს ისეთ საადგილმამულო კანონს, რომელიც მათ სურვილებს ეთანხმება; 2) თურქეთს მიეცემა ბათუმის პორტით სხვადასხვა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება, ბაჟისა და დაბრკოლებების გარეშე, ხარჯების დაუბეგრავად".**

**1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში თურქეთისა და საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელიც მოსკოვური დოკუმენტის დებულებებს იმეორებდა.** მეორე მუხლად უცვლელად იქნა შეტანილი მოსკოვის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც ბათუმის ოლქს ეხებოდა: თითქოს ყველაფერი ნათელი იყო: **თურქეთმა საქართველოს ბათუმზე თავისი სიუზერენიტეტი დაუთმო, საზღვარიც სარფზე გავიდა, საშიში არაფერია, მაგრამ გავიხსენოთ „ეროვნული აღთქმა“, რომელიც დღემდე არ შეცვლილა და თურქეთის ხელისუფლება მას მოქმედ კანონად მიიჩნევს.**

**თურქულმა მხარემ 1922 წლის 16 მარტს ანკარაში დიდი ეროვნული კრების დადგენილებით (კანონი №207) ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა.**

**— როგორ განვითარდა მოვლენები ყარსის ხელშეკრულების დადების შემდეგ?**

— **სულ რაღაც სამიოდე წლის წინათ ბევრ პოლიტიკოსსა და ექსპერტ-პოლიტოლოგს მიაჩნდა, რომ ყარსის ხელშეკრულება ისტორიის კუთვნილება იყო, რომ ის უიმედოდ მოძველდა და 90 წლის წინანდელი დიპლომატიური დოკუმენტის პირობები მხოლოდ მკვლევარებსღა თუ აინტერესებდათ, მაგრამ...** ხშირად წარსულის შეცდომები თავს გვახსენებს: **2008 წლის აგვისტოში თურქეთის დიპლომატიურმა აქტიურობამ, მისი ლიდერის მოსკოვურმა ვიზიტებმა და, როგორც ამბობენ, კრემლში განხილულმა აჭარის საკითხმა (თურქეთი ბათუმში ჯარების შეყვანას გეგმავდაო) კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ პრობლემა არსებობს.**

საქართველომ არც ის უნდა დაივიწყოს, რომ ყარსის ხელშეკრულება, შეიძლება ითქვას, „უკვდავია“: ა) ცალმხრივად მისი დენონსაცია შეუძლებელია, რადგან საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი დოკუმენტში ერთი მხარის სტატუსით სარგებლობენ. მართალია, დღევანდელი სომხეთი ყარსის დებულებებს სასაზღვრო საკითხებში არ აღიარებს, მაგრამ აზერბაიჯანისათვის ყარსის ხელშეკრულებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს — ნახიჭევანის კუთვნილების გამო; ბ) ვიდრე არსებობს მოსკოვის ხელშეკრულება, იარსებებს ყარსის დოკუმენტის პირობებიც, რადგან რუსეთი და თურქეთი მოსკოვის ხელშეკრულებას ურთიერთობის მომწესრიგებელ უმთავრეს სამართლებრივ აქტად მიიჩნევენ, მას დღესაც უვადოდ თვლიან, ყოველწლიურად განსაკუთრებულად აღნიშნავენ მისი ხელმოწერის დღეს და შესაბამისად, გინდაც გავაუქმოთ, ამით საქმე მაინც არ გამოსწორდება.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როგორც კი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა, ყარსის ხელშეკრულებამ შეიძინა ავტონომიურობის გაცლებით მაღალი ხარისხი და გადაიქცა დამოუკიდებელ ხელშეკრულებად. ყარსის ხელშეკრულების ბევრი მუხლი მოძველებულია, ბევრიც შესაცვლელია მაგრამ მთავარი არის ის, რომ ყარსის ხელშეკრულება საზღვრების მომწესრიგებელი დოკუმენტია.

**— ბოლო ხანს ბევრს საუბრობენ აჭარაში თურქების ფეხის მოკიდებაზე. დაიცავს კი ეს ქვეყანა ყარსის ხელშეკრულებას და არ დაარღვევს საზღვრებს?**

**— თურქეთი გვეუბნება, აჭარა ჩემია, მაგრამ დროებით გითმობთ და თუ რამე მოხდება და არ შეასრულებთ ყარსის ხელშეკრულების პუნქტებს, ჩემთან გექნებათ საქმეო.** დღეს თურქეთი მართლაც დიდი დოზით არის აჭარაში შემოსული, მუშაობენ თურქული კომპანიები და, ცხადია, რომ, რასაც ომით და იარაღით არ გააკეთებს, დიპლომატიური გზით შეეცდება. დღეს ბათუმში ქართულზე მეტად თურქულს გაიგონებსთ, ბათუმის აეროპორტიც კი მათია. უკვე ყველაფერი ხელში აქვთ და რაღაზე ვსაუბრობთ? იქ შექმნილ ვითარებას ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ და ზომები წინასწარ მივიღოთ.

**— ბევრს დავობენ ყარსის ხელშეკრულების ვადაზე...**

— ამ ხელშეკრულებაში ისევე, როგორც მოსკოვის ხელშეკრულებაში ვადა არ არის მითითებული. ასე რომ, ორივე ხელშეკრულება შეიძლება, მუდმივ ხელშეკრულებად განვიხილოთ. თუმცა სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია აქვს. შესაძლოა, საიდუმლო მუხლებში იყოს ვადა მითითებული, მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერავინ დაამტკიცა.

ყარსის ვალის (მმართველის) რეზიდენცია. ხელშეკრულებაზე ხელმოწერა 1921 წლის 13 ოქტომბერს (თურქი მხატვრის ნახატი)



**«უახლოეს წარსულამდე ყარსის ხელშეკრულებას არავინ იხსენებდა. ზოგიერთი პოპულისტი პოლიტიკოსი აჭარის ავტონომიის გაუქმებასაც კი მოითხოვდა. ასეთი ზედაპირული დამოკიდებულება, სამწუხაროდ, დამახასიათებელია ქართველი პოლიტიკოსებისთვის»**



**თამარ კიკნაძე:**

— პარიზში ანტანტის სახელმწიფოების უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა, ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების პირობების შემუშავებასთან ერთად, განხილულიყო სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საზღვრის დადგენის საკითხიც. ამ მიზნით, კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლების მონაწილეობით შექმნა კომისია, რომელსაც ინგლისელი ბ. კამერერი ხელმძღვანელობდა.

**სომხეთის დელეგაცია პარიზის კონფერენციაზე დასავლეთის დიდი სახელმწიფოების მხარდაჭერით სარგებლობდა. სომხეთის ინტერესების დამცველად გამოვიდა აშშ-ის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი. მისი გეგმით, სომხეთის ტერიტორია უნდა გაფართოებულიყო ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთის ვილაიეთების ხარჯზე და სომხეთს უნდა მისცემოდა ზღვაზე გასასვლელი.**

**სომხეთის დელეგაციის აზრით, სომხეთს უნდა მიეღო გასასვლელი ტრაპზონის ვილაეთში და მას უნდა მიმატებოდა საზღვაო სანაპირო ტირებოლუდან ხოფამდე. მას უნდა მისცემოდა, აგრეთვე, ბათუმში გასასვლელი.**

მოგვიანებით, 1919 წლის 20 აპრილს, სენ-რემოში სამი რესპუბლიკის განახლებულ მოლაპარაკებაზე, **სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა, სომხეთს მინიჭებოდა „საკუთრების უფლება ბათუმის ოლქში გასაყვან რკინიგზაზე, ლიანდაგზე, მოწყობილობაზე“. სომხეთი, აგრეთვე, ითხოვდა რკინიგზის გაყვანის შეღავათიან პირობებს საქართველოს ტერიტორიაზე ლაზისტანის სანაპირომდე — რიზემდე, სადაც ექნებოდა საკუთარი ნავსადგური.** შეთანხმება ვერ შედგა საქართველოს დელეგაციის პოზიციის გამო, რადგან მხოლოდ საქართველო მიდიოდა დათმობაზე და სანაცვლოდ არაფერს იღებდა.

ყარსის ხელშეკრულების შედეგად დაკარგული ქართული და სომხური მიწების დაბრუნებაზე ლაპარაკი იყო პოტსდამის კონფერენციასა და გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. **შემონახულია სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის — კალისტრატე ცინცაძის წერილი გაეროს მიმართ თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების თაობაზე; ალექსანდრე ჯავახიშვილის მიერ მომზადდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა (ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით) და სხვ. არქივებში შემონახულია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის მიერ შემუშავებული გეგმა ტრაპიზონის, არტაანის, ართვინისა და ყარსის დაბრუნებისა და ამ ტერიტორიებზე ეკონომიკური პროექტების განხორციელების თაობაზე;** 45 წლის წინანდელ პრესაში შემონახულია ქართველი მეცნიერების წერილი: „თურქეთმა უნდა დაგვიბრუნოს მიტაცებული ქართული მიწა-წყალი“; შემონახულია, აგრეთვე, საქართველოს კომპარტიის მიერ შემუშავებული ტრაპიზონისა და ართვინის ქალაქკომებისა თუ ალმასკომების წევრობის კანდიდატთა სია. ეს ისტორიული ფაქტები სათანადოდ არ არის შესწავლილი. **როგორც ჩანს, სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ტერიტორიების დაბრუნება და ზემოთ აღნიშნული მასალებიც ამ პროცესის მომზადებას ემსახურებოდა.**

**უახლოეს წარსულამდე ყარსის ხელშეკრულებას არავინ იხსენებდა. ზოგიერთი პოპულისტი პოლიტიკოსი აჭარის ავტონომიის გაუქმებასაც კი მოითხოვდა. ასეთი ზედაპირული დამოკიდებულება, სამწუხაროდ, დამახასიათებელია ქართველი პოლიტიკოსებისთვის.** მათ არც კი იცოდნენ, რომ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთი მხარის სტატუსით სარგებლობენ და რომ ცალმხრივად მისი დენონსაცია შეუძლებელია.

**როგორც ზოგიერთი ექსპერტი აღნიშნავს, თურქული მხარის მოთხოვნით, ყარსის ხელშეკრულება 1992 წელს ედუარდ შევარდნაძისა და სულეიმან დემირელის მიერ ხელმოწერილ „ჩარჩო ხელშეკრულებაში" იქნა გამეორებული. ამ ხელშეკრულებამ თავის დროზე მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ამბობენ, რომ თურქეთთან ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, საქართველომ დე იურე აღიარა დღეს თურქეთის მფლობელობაში არსებული ქართული ტერიტორიები.**

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ აქტიურად ხორციელდება რუსეთის გავლენის ჩანაცვლება თურქული გავლენით. ამას დაუმატეთ ეკონომიკური ექსპანსია და თურქი მოსახლეობის შემოსვლის ტენდენციები. **ადგილს ეკონომიკურად გაჩანაგებული ქართველი მოსახლეობისა, რომელიც სარჩო-საბადებლის საძიებლად მასობრივად გადის ქვეყნიდან, ეკონომიკურად მომძლავრებული მეზობელი ქვეყნიდან (და არა მხოლოდ) ჩამოსული ბიზნესმენები იკავებენ. მომრავლდა მათი ბენზინგასამართი სადგურები, მაღაზიები, სხვადასხვა დაწესებულებები. მუსლიმანი აჭარლებიც ხშირად აღნიშნავენ, რომ რელიგიური ფაქტორი გარკვეული ძალების მიერ არის ინსპირირებული. ოდესღაც ზნეობის მაგალითის მიმცემი ქართველი ქალი ყველაზე უფრო იაფფასიან მეძავად არის ქცეული. თუ ამას თურქეთის პრემიერმინისტრის მიერ გამოცხადებულ დოქტრინას დავუმატებთ, ნამდვილად გვაქვს შეშფოთებისა და დაფიქრების მიზეზი. მით უმეტეს, როდესაც ვიცით კვიპროსის მაგალითი.**

**— ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვაზეც არის საუბარი...**

— ამ ხელშეკრულებაში ვადაზე არაფერი წერია, მაგრამ, **თურქეთის პოზიციას თუ გავითვალისწინებთ, მათ ხელს აძლევთ ამ ხელშეკრულების მოქმედება, რადგან ისინი ვალდებულად თვლიან თავს, ჩაერიონ აჭარაში მიმდინარე პროცესებში, ეს ძალიან კარგად დაგვანახვა 2008 წლის ომმა, როდესაც რუსეთში გაიქცნენ მოსალაპარაკებლად. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ თურქეთმა გამოაჩინა თავისი ინტერესი და აჭარას განიხილავს თავის პოტენციურ ტერიტორიად, რომელიც დროებით არის საქართველოში.**

**დღეს აჭარა კვლავ რჩება რუსეთ-თურქეთის გარჩევის საგნად, ამიტომ საქართველომ ძალიან ფრთხილი პოლიტიკა უნდა აწარმოოს. დასავლეთი ცდილობს, რუსეთი თურქეთით ჩაანაცვლოს, რაც საქართველოსთვის დიდი საფრთხის შემცველია. რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება კი ნამდვილად არ წაადგება ჩვენს ქვეყანას.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«სტალინმა მეორე მსოფლიო ომის მიწურულს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიების საკითხი მართლაც გაიხსენა და ჯერ პოტსდამის კონფერენციაზე, შემდეგ კი გაეროს გენასამბლეის სესიაზე თურქეთს ქართული და სომხური მიწების დაბრუნება ოფიციალურად მოსთხოვა...»**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რატომ არ იჭერენ დავით საყვარელიძეს, პარლამენტის წევრი რომაა იმიტომ? ნუგზარ წერეთლით დაწყებული (თავი წესიერ კაცად რომ მოაქვს), დავით დარჩიაშვილით დამთავრებული, ფრთხილად იყვნენ, თორემ ხალხი ისეა გამწარებული, პარლამენტში შევარდება და ცოცხებითა და როზგებით გამოყრის მაგათ იქიდან. რა უნდათ დამნაშავეებს პარლამენტში?!“**



## ელიზბარ ჯაველიძე:

# დედას ვუტირებთ მაგათ!

**„ნაციონალებსა“ და ხელისუფლების მომხრეებს შორის ამ დღეებში ვითარება კიდევ ერთხელ დაიძაბა. მიმდინარე მოვლენებსა და იმ ხმებზე, რომ „ნაციონალები“ ქვეყანაში არეულობის პროვოცირებას გეგმავენ, „საქართველო და მსოფლიოს“ აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე ესაუბრება.**

**— ამ დღეებში ორ ორგანიზაციას — „თავისუფალ თაობასა“ და „თავისუფალ ზონას“ შორის მომხდარმა კონფლიქტმა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს 90-იან წლებში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების განმეორების შიში გაუჩინა. აქციაზე თქვენც იმყოფებოდით, როგორ ფიქრობთ, რამდენად არსებობს ქვეყანაში სერიოზული დაპირისპირების საფრთხე?**

— პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ 90-იან წლებში სამოქალაქო დაპირისპირება არ ყოფილა. ეს იყო სხვა სახელმწიფოების მიერ ნებადართული აჯანყება, რომელიც საქართველოში არსებულმა „მეხუთე კოლონამ“ განახორციელა. ამიტომ მოსაზრებას, რომ ეს იყო სამოქალაქო ომი, მე არ ვეთანხმები.

**საფრთხე, რა თქმა უნდა, დიდი ხანია, არსებობს, მაგრამ ვითარების დაძაბვას ხელს უწყობს და ცეცხლზე ნავთს ასხამს შეკვეთით შექმნილი ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა დიდი ნაწილი დასავლეთიდან ფინანსდება.** ამ არასამთავრობოების სიის თავშია სოროსის მიერ შექმნილი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და ნინო ლომჯარიას ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“. ასევე, ბოლო ხანს გაჩნდნენ პირადად სააკაშვილის მიერ დაფინანსებული არსამთავრობოებიც, როგორიცაა, მაგალითად, „თავისუფალი ზონა“ და ასევე შაშკინის, უტიაშვილისა და სხვა ყოფილი „ნაციონალი“ მაღალჩინოსნების მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებსაც დიდი ფული აქვთ. ვერავინ დამისახელებს ერთ ფაქტსაც კი, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს ოდესმე ქართველი ერის, ზნეობის დასაცავად აღემაღლებინოთ ხმა. ამას გარდა, ამ ყველაფერს ხელს უწყობენ, ასევე, ტელეარხები — „რუსთავი 2“-დან დაწყებული, „იმედით“ დამთავრებული. ყველა ფულზეა გაყიდული. ისინი ხალხის განწყობას კი არ გამოხატავენ, არამედ იმას, რაც დასავლეთს აძლევს ხელს. ეს შემთხვევითი არ არის. მათ შექმნეს ადამიანის ტვინის ფილტრაციის, გამორეცხვის ინსტიტუტი, რომელიც დაახლოებით 60-მდე სამეცნიერო ცენტრს მოიცავს. როდესაც ადამიანი „რუსთავი 2-ს“ უყურებს, ეგონება, რომ სააკაშვილი დიდი შემოქმედი იყო, მაშინ, როდესაც ასეთი მტრები ჩინგიზ ხანი და თემურ ლენგიც არ ყოფილან საქართველოსთვის.

**— ფიქრობთ, მართლდება გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა სააკაშვილისგან დავალებები მიიღეს, რათა ქვეყანაში არეულობა დაიწყონ?**

— რა თქმა უნდა, და ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ან ბრიყვია ან შეგნებულად იშტერებს თავს, ან საქართველოს გამოკვეთილი მტერია. **ყველამ კარგად იცის, რა განწყობაა ხალხში, „ნაციონალები“ ხელისუფლებაში არჩევნების გზით ვერ მოვლენ. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა ამომრჩეველი, ეს ადამიანები, მაინც არ მისცემენ ხმას ვითომ ვარდებით მოსულ ხელისუფლებას, სინამდვილეში შპრიცებით რომ შემოიჭრნენ პარლამენტში.** მთელი პარლამენტი შპრიცებით იყო მოფენილი. მაშინ მე პირველმა ვთქვი, ეს „ვარდების“ კი არა, „შპრიცების რევოლუცია“ იყო-მეთქი.

**— რისი იმედი აქვთ „ნაციონალებს“?**

— მათ აქვთ დიდი ფინანსები. ხალხის ნაძარცვი ფული გაიტანეს საზღვარგარეთ. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, გზის ფული არ მაქვსო და ამავე დროს რამდენიმემილიონიანი იახტით დასეირნობს. დავით კეზერაშვილმაც დიდი ფული იშოვა, მოწამლული არყები ჩამოჰქონდა... ფინანსების გარდა, საზღვარგარეთიდან მათ აქვთ გარკვეული ძალების მხარდაჭერა, ვინაიდან ამერიკის პოლიტიკური ელიტა მიხვდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს ახალი ხელისუფლება ისეთი მორჩილი აღარ იქნება, როგორიც მიხეილ სააკაშვილის იყო.

**— უცხოეთში სააკაშვილისა და „ნაციონალების“ დაბრუნებას უჭერენ მხარს?**

— სააკაშვილი შეიძლება ისევე მოისროლონ, როგორც, მაგალითად, კადაფი, ჰუსეინი და სხვები. **დღეს მარტო „ნაციონალები“ არ წარმოადგენენ პრობლემას, ნურც რესპუბლიკელები დაგვავიწყდება, რომლებიც „ნაციონალებისგან“ დიდად არ განსხვავდებიან.** ირაკლი ალასანიაც ამერიკის პროექტია. ისინი შესაფერის დროს უცდიან და დაიწყებენ ბიძინა ივანიშვილის გინებას. ქართული ინტელიგენცია, მათ შორის მეც, ივანიშვილმა გადაგვარჩინა და დღესაც გვეხმარება, თორემ აკადემიკოსები და მეცნერება არავის აინტერესებს. არც განათლების სამინისტრო გვაქცევს ყურადღებას. განათლების მინისტრი ლომაიას კვალის გამგრძელებელია. მისი ოთხივე მოადგილე სოროსის მიმდევარია. 3500 კაცი გაათავისუფლეს უნივერსიტეტიდან და მათ მაგივრად უბირი და უწიგნური ხალხი მოიყვანეს, რომელიც იძახდა, რომ მიშა მაგარია.





**დღეს მარტო «ნაციონალები» არ წარმოადგენენ პრობლემას, ნურც რესპუბლიკელები დაგვავიწყდება, რომლებიც «ნაციონალებისგან» დიდად არ განსხვავდებიან**

**ჯერჯერობით ისინი ამას ერიდებიან, რადგან ივანიშვილის ავტორიტეტი ძლიერია და ხალხის განწყობაც, მაგრამ დრო მოვა და სხვანაირად მოიქცევიან.**

უნდა ითქვას, რომ ხალხში არის უკვე უკმაყოფილება, რადგან სამართლიანობის აღდგენა ჩემთვისაც, უპირველესად, „ნაციონალების“ გასამართლებას ნიშნავს და თავს მოხვეული კოჰაბიტაცია ქართველ ხალხს ეჯავრება. მკვლელთან როგორ უნდა ვითანამშრომლო? მკაფიოდ თქვა ღარიბაშვილმა „ნაციონალებს“ საერთოდ არ ველაპარაკებიო. თავის დროზე მარგველაშვილმაც იგივე თქვა, — როგორც კი ამირჩევენ პრეზიდენტად, კოჰაბიტაცია დამთავრდებაო, მაგრამ პირიქით მოხდა — ჩაეხუტა „ნაციონალებს“ და ასე დაამთავრა კოჰაბიტაცია.

**— თქვენ საუბრობთ სამართლიანობის აღდგენაზე, ყოფილი მაღალჩინოსნების დასჯაზე, თუმცა ევროსაბჭოს რეზოლუციაში გაკრიტიკებულია ხელისუფლების ქმედებები „ნაციონალებთან“ მიმართებაში და სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ამან გარკვეულწილად სასამართლოზე უკვე მოახდინა ზეგავლენა.**

— ევროსაბჭო დიდწილად მექრთამეთა ორგანიზაციაა და ამის მაგალითებიც არსებობს. იქ ფართოდაა წარმოდგენილი რესპუბლიკური პარტია, რომელიც მიშას მიერ დაპურებული ადამიანებითაა სავსე.

როგორც კი თქვა ღარიბაშვილმა, ერთსქესიანი ქორწინება არ იქნებაო, პარლამენტმა მაშინვე ერთხმად მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. სირცხვილია. **არ გეგონოთ, რომ ეს ელ-ჯი-ბი-ტები ამ ეტაპზე შეჩერდებიან. მეტ და მეტ უფლებებს მოითხოვენ.**

რა თქმა უნდა, ეს რეზოლუცია „ნაციონალების“ დაბრუნებას უწყობს ხელს. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება, ევროსაბჭო ხარ თუ ვიღაც, მეუბნები, რომ მძარცველს, კაცისმკვლელს, დამნაშავეს რატომ იჭერ, რატომ ართმევთ ქონებასო? მაგალითები მოვიყვანო, რა ხდება იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში და დანარჩენ ევროპაში? — კაპიკების მოპარვის გულისთვის დაიჭირეს პრეზიდენტები და პრემიერები. თურმე იმათთან შეიძლება და ჩვენთან არა, რადგან, როგორც ჩანს, ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ მათ თვალში; ჩვენ ვართ პროვინცია, შტატის დონეზეც კი არ ვართ, თორემ ამერიკაში ყოველ შტატს თავისი კანონები აქვს და დამნაშავეებს სიკვილითაც კი სჯიან.

ბოდიში მკითხველთან, მე ძალიან ზრდილობიანი კაცი ვარ, სოლოლაკში ვარ გაზრდილი, მაგრამ დაახვიონ ეს რეზოლუცია და უკან გაიკეთონ. იმ დღეს რეზო ამაშუკელმა თქვა, ამერიკელებმა უნდა აირჩიონ: ან „ნაციონალები“, ან ქართველი ხალხიო. იმ ქვეყნის მე არ მწამს, რომელიც მიხეილ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებს.

**— ანუ ხელისუფლებამ არ უნდა გაითვალისწინოს ევროსაბჭოს რეკომენდაციები?**

— რა თქმა უნდა, არა. უკრაინაში მიმდინარე პროცესებს შევხედოთ: **ჩვენი უბადრუკი ვითომპოლიტოლოგები, ერთი წიგნი რომ არ აქვთ წაკითხული და ერთი წერილი დაწერილი, რაებს ბოდავენ?** მაგალითად, ეს ნიკა ჩიტაძე რომ გამოდის, რას ლაპარაკობს? საერთოდ, რაში აძლევდა ხელს რუსეთს უკრაინაში არეულობა? დალაგებული ჰქონდა ქვეყანა.

**— ახლახან თქვენ ესწრებოდით სასტუმრო „ბეტსიში“ გამართულ კონფერენციას — „კიევის მაიდანი: გაკვეთილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის“. რამდენად ადეკვატურად იქცევა ჩვენი ხელისუფლება ამ ვითარებაში?**

— ბუნებრივია, უნდათ, ეს არეულობა გადმოიტანონ საქართველოშიც, მაგრამ უკრაინაში ცოტა „ჭრელი“ საზოგადოებაა. ქართველს კი როდესაც უჭირს, ყველაფერს ივიწყებს, გარდა სამშობლოსი.

რატომ არ იჭერენ დავით საყვარელიძეს, პარლამენტის წევრი რომაა იმიტომ? ნუგზარ წერეთლით დაწყებული (თავი წესიერ კაცად რომ მოაქვს), დავით დარჩიაშვილით დამთავრებული, ფრთხილად იყვნენ, თორემ ხალხი ისეა გამწარებული, პარლამენტში შევარდება და ცოცხებითა და როზგებით გამოყრის მაგათ იქიდან. რა უნდათ დამნაშავეებს პარლამენტში?!

კობა ხაბაზმა ცრემლები რომ ღვარა იმ დღეს — სამშობლო მიყვარსო, თუ გიყვარს, შე მამაცხონებულო, სააკაშვილი 9 წელიწადი რომ ანგრევდა ქვეყანას, რომ გაყიდა მთელი საქართველო, ლამის დაკარგულია აჭარა, სად იყავი? ახლა, თითქოს ალექსანდრე მაკედონელი იყოს, შექმნა „თავისუფალი ზონა“ და უკვირს — რას ვაშავებთო. უწესიერესი ბიჭი სცემეს, ჟურნალისტი ზაზა დავითაია. ესენი, თავისუფალი ორგანიზაციის წევრები კი არა, საქართველოს მტრები არიან.

**— ჩვენ ვსაუბროთ დამნაშავეების დასჯაზე, მაგრამ რატომ ვერ მოახერხა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადეობა საკუთარ სიმართლეში დაერწმუნებინა?**

— რას დაარწმუნებდნენ?! „ნაციონალებს“ მოპარული ფულებით ჰყავთ ყველანი ნაყიდი, ხომ დაუმტკიცეს კარლ ბილდტს, რომ მილიონები ჰქონიათ მისთვის გადარიცხული.

ახლა ჩემი ასაკის ხალხი ვქმნით ორგანიზაცია „ლაზარეს“ და დედას ვუტირებთ მაგათ. ჩვენ გვქონდა მსგავსი სახელწოდების ორგანიზაცია და „სახალახო კრება“, სწორედ ეს ხალხი ავმოქმედდებით.

**— მოქმედებას როგორ აპირებთ, რა ბერკეტები გაქვთ?**

— ჩვენი მთავარი ბერკეტია ის, რომ ხალხი გვიჭერს მხარს. ეს ნაძირლები რომ დადიან რეგიონებში, ოცამდე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ჩვენც ჩავალთ და ხალხს შევხვდებით. მოვიდნენ და დაგვიპირისპირდნენ, გვეკამათონ. საზოგადოებრივ აზრზე მოვახდენთ გავლენას და ამით შევებრძოლებით. რაც განათლების მინისტრობიდან წამოვედი, ოცი წელიწადია უკვე და პირველ არხზე ერთხელ არ დაუძახიათ, როცა თეა თუთბერიძე (იდიოტი გოგო როა) ლამის ყოველდღე ზის იქ და ჯულიეტა ვაშაყმაძედ აქციეს. ვისაც სამშობლო უყვარს, იმას დღეს ჩამორჩენილ ადამიანად მიიჩნევენ. დღეს რომ წუწუნებენ „ნაციონალები“, სამსახურებიდან გვყრიანო, უნდა გაყარონ, ეგენი ინდობდნენ ვინმეს? ჩემი ორი ვაჟი ჩემ გამო უმუშევარი იყო.

რა დროს დემოკრატობანას თამაშია! ამდენი პოლიციელი არც ერთ აქციაზე არ მინახავს. ვის იცავენ? ვითომ დემოკრატიას იცავენ? კი არ უნდა დაიცვა, უნდა დაიჭირო და გაასამართლო. თუ ხელისუფლება არ იზამს, ხალხი იზამს. ამას გპირდებით.

**— გამოდის, კვლავ საბრძოლო განწყობაზე ხართ?**

— მე, 20 წელიწადია, ვიბრძვი. კეთილი ყოველთვის ძლევს ბოროტს.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

„საქართველოში, კარგა ხანია, უცხოელები მიწების ყიდვით არიან დაინტერესებულნი. კანონი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ არის ინიცირებული, უცხოელებს აიძულებს, გამონახონ შემოვლითი გზები, რათა დაეპატრონონ ქართულ მიწებს, ანუ მათ შეუძლიათ, ნახონ საქართველოში ნდობით აღჭურვილი პირები და მათი საშუალებით იყიდონ მიწები.“

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართული მიწებით უცხოელების დაინტერესებას მხოლოდ ფასი განაპირობებს

**რამდენიმე თვის წინათ საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა უცხოელებზე სასოფლო სამეურნეო მიწის საკუთრებაში შეძენის აკრძალვა გააუქმა, ფაქტობრივად, ერთნაირ რეგულირებაში მოექცნენ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა. ისეთ პირობებში, როცა საქართველოს მოქალაქეები მასობრივად არაკონკურენტუნარიანნი არიან საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის მსურველთა მასასთან, ახალი კანონპროექტის მიზანია, უცხოელისთვის შექმნას განსაკუთრებული რეგულირება სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებაში ქონასთან დაკავშირებით.
როგორც ცნობილია, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ უცხოელები, ძირითადად, ინდოელები და არაბები, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს მასობრივად ყიდულობენ.
ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის თანამშრომლებმა არსებულ კანონში ცვლილებების შეტანა მოითხოვეს. რა საშიშროებას ხედავენ ეკონომისტები? ამ თემაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ქეთი კრიალაშვილი ესაუბრა.**



ქეთი კრიალაშვილი:

## თუ სახელმწიფო შიშობს, მიწები უცხოელებმა არ იყიდონ, თუ აჭარაში თურქეთიზაციის საფრთხის წინაშე ვდგავართ, მაშინ გადავცეთ სახნავ-სათესი მიწები საქართველოს მოქალაქეებს უსასყიდლოდ და მივცეთ საშუალება გლეხებს, დაამუშაონ. ასე უცხოელებისთვის მისაყიდი მიწა აღარ დაგვრჩება

**— ახლახან დამტკიცდა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი მიწის შესახებ, მაგრამ ეკონომისტებსა და ამ დარგის სპეციალისტებს კანონთან დაკავშირებით პრეტენზიები გაქვთ. აღკვეთს თუ არა აღნიშნული კანონი უცხოელებზე მიწების მიყიდვას?**

— იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა, რომ მიწა უცხოელებს არ მიეყიდოს, აღნიშნული კანონის თანახმად, შედეგს არ მოიტანს, რადგან პრობლემა არ მდგომარეობს იმაში, აიკრძალება თუ არა მიწების მიყიდვა უცხოელებზე. პრობლემის მთავარი არსი ისაა, თუ რატომ აინტერესებს და რატომ უნდათ უცხოელებს ქართული მიწის ყიდვა, ამაზე მოგვიანებით გეტყვით.

**საქართველოში, კარგა ხანია, უცხოელები მიწების ყიდვით არიან დაინტერესებულნი. კანონი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ არის ინიცირებული, უცხოელებს აიძულებს, გამონახონ შემოვლითი გზები, რათა დაეპატრონონ ქართულ მიწებს, ანუ მათ შეუძლიათ, ნახონ საქართველოში ნდობით აღჭურვილი პირები და მათი საშუალებით იყიდონ მიწები. ქართველებს არ აქვთ მიწის საყიდელი ფული, ამიტომ ეს კანონი გამოიწვევს არაფორმალურ გარიგებებს ქართველებსა და უცხოელებს შორის. სწორედ ამის ეშინია მთავრობას, რომ უცხოელები მიწებს ქართველების დახმარებით ჩაიგდებენ ხელში.**

**— მაინც რა იწვევს ჩვენი მიწებისადმი უცხოელების ასეთ დიდ ინტერესს?**

— **2011-2012 წლებში ქართული მიწა ბაზარზე 1კვ მ, დაახლოებით, 5-7 თეთრი ღირდა. დიდი ხანია, ამ საკითხს ვიკვლევთ და იმ დასკვნამდე მივედით, რომ უცხოელების ასეთ დაინტერესებას ქართული მიწით მხოლოდ ფასი განაპირობებს. მსგავსი ნაყოფიერი მიწის შეძენა ხომ სხვაგანაც შეუძლიათ, მაგრამ იქ ძვირია.** 2011-2012 წლებში პრივატიზება ელექტრონული აუქციონის მეშვეობით მიმდინარეობდა. ახალმა ხელისუფლებამ მიწების პრივატიზება სწორედ ამიტომ შეაჩერა. **2011-2012 წლების განმავლობაში სახელმწიფომ აუქციონების შედეგად 21 მილიონი ლარი მიიღო.**

**— ასე კაპიკებად ჩაიგდეს ხელში მიწები? არსად გამიგია, რომ მიწა 5-7 თეთრი ღირდეს.**

— იყო დიდფასიანი მიწებიც, ძირითადად, სიღნაღსა და ზღვისპირა ზოლში. იქ ძალიან დიდი ფართობები გასხვისდა. მიწების 80%-ს სახელმწიფო ფლობს, მიზეზიც იმისა, რომ ბაზარზე მიწის ჭარბი მიწოდებაა, სწორედ ეს არის. თუ ასე გაგრძელდა, 20 წელიწადში მიწების პრივატიზება დასრულდება. საჭიროა, კერძო საკუთრების ფორმირება, ამიტომ პრივატიზება ყველანაირად უნდა მოვახერხოთ და დავაჩქაროთ, მაგრამ როგორ? **მიწები წინა წლებში სახელმწიფოს გამოჰქონდა გასაყიდად; მართალია, 5-7 თეთრი ღირდა, მაგრამ გამოჰქონდა საკმაოდ დიდი ლოტებით, დიდი ფართობებით და შესაბამისად, გლეხს, რომელსაც ეს მიწა უნდა ეყიდა, საკმარისი თანხა არ ჰქონდა. ბევრმა არც ის იცოდა, როგორ მოეხერხებინა პრივატიზება ელექტრონული აუქციონით. მოკლედ, მივიღეთ ის, რომ სხვადასხვა დაინტერესებული პირის ხელში აღმოჩნდა მიწები.** ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებელია, დაჩქარდეს პრივატიზების პროცესი და ხელი უნდა შევუწყოთ ამ პროცესს. პირველი და უმთავრესია, რომ მიწები თანაბრად, უფასოდ გადაეცეს ყველა მოქალაქეს. ვამბობთ, უფასოდ, მაგრამ სახელმწიფოს ამით წელიწადში დაახლოებით 49 მილიონი ლარის მიღება შეუძლია.

**— როგორ?**

— რეესტრში გადაფორმებით, მიწის გადასახადიდან, შემდეგ შემოსავლიდან. არ მინდა, მკითხველი დავაბნიოთ: როდესაც მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემაზე ვსაუბრობთ, მხოლოდ სახნავ-სათესი მიწები იგულისხმება. არავითარ შემთხვევაში არ გვაქვს საუბარი სტრატეგიულ ობიექტებზე: ტყეებზე, კულტურულ ბაღებზე და ა. შ.

ამბობენ, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინება პრიორიტეტულია. იმისათვის, რომ გავზარდოთ წარმოება, აუცილებელი პირობაა, დამუშავებული მიწის ფართობების რაოდენობა გაიზარდოს. მიწები კი სახელმწიფოს ხელშია და მის დამუშავებას ვერ ახერხებს, ამიტომ ამ მიწების გადაცემა მოსახლეობაზე უსასყიდლოდ უნდა მოხდეს. ამ ეტაპზე სახელმწიფო მიწის ფართობების 20%-ზე ახდენს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროგრამების განხორციელებას და ამ 20%-ით ცდილობს ჩვენი მთავრობა სოფლის მეურნეობის განვითარებას.

**როდესაც გლეხის საკუთრებაში არსებული მიწის გვერდით არის სახელმწიფო მიწა, რომელიც 5 თეთრი ღირს, ე.ი. გლეხის ქონებაც 5 თეთრი ეღირება, გამოდის, რომ ჩვენ გვყავს ძალიან ღარიბი გლეხი.** აქედან გამომდინარე, ამ 5-თეთრიანი მიწის გამო გლეხს არც ერთი ბანკი კრედიტს არ მისცემს და ეს ასეც არის.

შეიძლება დღეს მიწის გაყიდვა შეჩერებულია, მაგრამ ქართველი არსებული პირობებით მიწის ყიდვას კარგა ხანს ვერ მოახერხებს; სამაგიეროდ, მოახერხებს უცხოელი ქართველის ხელით — უცხოელს გაღატაკებული ქართველი გლეხის მომადლიერებაც შეუძლია და თავადაც კმაყოფილი დარჩენა.

**— რატომ არის საშიში უცხოელებზე მიყიდვა? ოღონდ მიწა დამუშავდეს... გადასახადებს ბიუჯეტში ისინიც ხომ შეიტანენ?**

— **სამხრეთ ოსეთში ქართველებს მიწები პრივატიზებული არ ჰქონდათ და ტერიტორიების დაკარგვის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც სწორედ ეს გახდა — კერძო საკუთრებაში მიწების არ არსებობა. იმ მიწების 90% საქართველოს მოქალაქეების ხელში რომ ყოფილიყო, ოკუპირება იქნებოდა დროებითი პროცესი, რომელიც გაცილებით ადვილად მოგვარდებოდა. მიწებს პატრონი რომ ჰყოლოდა, მხოლოდ გზების ოკუპირება მოხდებოდა, რადგან კერძო საკუთრება ფასდაუდებელი ღირებულებაა, ფუნდამენტი და უდიდესი მიზეზი იმისა, რომ მოხდეს მისი დაცვა.**

თუ სახელმწიფო შიშობს, მიწები უცხოელებმა არ იყიდონ, თუ აჭარაში თურქეთიზაციის საფრთხის წინაშე ვდგავართ, მაშინ გადავცეთ სახნავ-სათესი მიწები საქართველოს მოქალაქეებს უსასყიდლოდ და მივცეთ საშუალება გლეხებს, დაამუშაონ. ასე უცხოელებისთვის მისაყიდი მიწა აღარ დაგვრჩება.

ბერლინის კედელი როდესაც დაინგრა, გერმანელებმა საკუთარ მოქალაქეებს მიწები უსასყიდლოდ გადასცეს, ამით ფული არ უკეთებიათ, მაგრამ ფულმა თავად დაიწყო ბრუნვა და დიდი შემოსავალიც მოიტანა. ამუშავდა მთელი რიგი მექანიზმებსა, მიწები ჰქონდა ფონდს და ის აბრუნებდა ამ ფულს ეკონომიკაში. ხალხს ფული არ დაუხარჯავს, მაგრამ ფული მიმოქცევაში იყო და მიწებიც ნელ-ნელა გადადიოდა კერძო საკუთრებაში.

გლეხებს უნდა მივცეთ მიწა, მივცეთ საშუალება, თვითონ გადაწყვიტონ, რა დათესონ. თუ ახლა საქართველოში მიწა 5 თეთრი ღირს, გლეხის ხელში გადასულ მიწას ფასი მოემატება, გასასხვისებელი მიწებიც აღარ დარჩება, ბანკები დაინტერესდებიან, კრედიტების გაცემას დაიწყებენ, გლეხი შეძლებს საუკეთესო ჯიშის კულტურების დათესვას, რაც მომავალში უკეთესად გაიყიდება ბაზარზე.

აი, ეს უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, თუ მართლა უნდა, რომ საუკეთესო მიწის ნაკვეთები უცხოელთა ხელში არ აღმოჩნდეს და ქვეყანა საფრთხის წინაშე არ დადგეს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



**«როდესაც გლეხის საკუთრებაში არსებული მიწის გვერდით არის სახელმწიფო მიწა, რომელიც 5 თეთრი ღირს, ე.ი. გლეხის ქონებაც 5 თეთრი ეღირება, გამოდის, რომ ჩვენ გვყავს ძალიან ღარიბი გლეხი»**

## ბიძინა ივანიშვილის გადაცემა ახალ წლამდე გავა ეთერში

**საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის — ბიძინა ივანიშვილის საავტორო გადაცემა, ყველაზე გვიან ახალ წლამდე, ყველაზე ადრე კი დაახლოებით ერთ თვეში გავა ეთერში. ამის შესახებ ივანიშვილმა 6 ოქტომბერს განაცხადა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ ორი პროექტის — „სამოქალაქო განათლების ოლიმპიადა“ და „სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ პრეზენტაცია გაიმართა.**

„როგორც იცით, ვამზადებ ტელეპროექტს. დეტალებზე ვერაფერს გეტყვით, რამეთუ დაზუსტებული არ გვაქვს. ძალიან აქტიურად ვმუშაობთ. ყველაზე გვიან ახალ წლამდე, ყველაზე ადრე, ალბათ, ერთ თვეში გავალთ ეთერში, ამ პროექტით მე გამოვჩნდები და ვიქნები აქტიური კვირაში ერთხელ მაინც“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და დასძინა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ მიერ ადრე გამოცხადებული ჟურნალისტების მომზადების პროექტი ჟურნალისტების დაუინტერესებლობის გამო არ შედგა.



რეგიონი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევების დროს „ქართულმა ოცნებამ“ სულ სხვა ადამიანი წარადგინა მაჟორიტარად, პიროვნება, რომელიც პირწავარდნილი „ნაცი“ იყო და არამხოლოდ თვითონ, მთელი მისი ოჯახი მათი კოორდინატორი იყო. 2012 წლის არჩევნების დროს პედაგოგები სკოლებში ჩაკეტა და შეხვედრაზე არ გამოუშვა. ეს ადამიანია ირაკლი ტეფნაძე.“**

# რა ხდება საჩხერეში?

**„ქართულმა ოცნებამ“ საკუთარ თანამებრძოლებს, ერთგულ ადამიანებსა ამომრჩეველს იმედი რომ გაუცრუა, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ ის, რაც ბიძინა ივანიშვილის რაიონში — საჩხრეში ხდება, როგორც თავად ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებულია. „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საჩხერის რაიონის საკრებულოს დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი დავით შუბითიძე.**

## «მას შემდეგ, რაც ბიძინა ხელისუფლებაში მოვიდა, ყველა შეღავათი მოიხსნა — არავის ეხმარებიან»

— საჩხერის საკრებულოში ერთადერთი დამოუკიდებელი მაჟორიტარი ვარ. მინდა, დეტალურად მოგიყვეთ რაიონში არსებული ვითარება. 2104 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში საუბარი იყო იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ჩემს კანდიდატურას წარადგენდა, რადგან მე ამ კოალიციის დაარსების დღიდან მათ გვერდით ვიდექი და მესტიის რაიონში ძალიან დიდი სამუშაო გავწიე. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იქ საარჩევნო შტაბს ვხელმძღვანელობდი მას შემდეგ, რაც შტაბის ხელმძღვანელი კახა ჟორჟოლიანი დააპატიმრეს. სრულიად მარტო დავრჩი „ნაცების“ წინააღმდეგ, სიცოცხლის რისკის ფასად არჩევნები კოალიციამაც და მაჟორიტარმა ვიქტორ ჯაფარიძემაც მოიგეს, თან, მოგეხსენებათ, როგორი რთული რეგიონი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთი.

მიუხედავად ამისა, **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევების დროს „ქართულმა ოცნებამ“ სულ სხვა ადამიანი წარადგინა მაჟორიტარად, პიროვნება, რომელიც პირწავარდნილი „ნაცი“ იყო და არამხოლოდ თვითონ, მთელი მისი ოჯახი მათი კოორდინატორი იყო. 2012 წლის არჩევნების დროს პედაგოგები სკოლებში ჩაკეტა და შეხვედრაზე არ გამოუშვა. ეს ადამიანია ირაკლი ტეფნაძე.** სწორედ ეს ტეფნაძე აღმოჩნდა „ქართული ოცნების“ ფავორიტი“ ადგილობრივ არჩევენებში. ალბათ, ამ ადამიანმა ამ ორ წელიწადში რაღაცით დაიმსახურა „ოცნების“ ნდობა.

ეს ამბავი რომ შევიტყვე, მაშინდელ შტაბის უფროსს — ლევან ივანაშვილს შევხვდი (საჩხერეში რატომღაც ივანიშვილი მარტო ბიძინაა, დანარჩენები ივანაშვილები არიან) და ვკითხე, რატომ აღმოჩნდა ტეფნაძე იმ ადგილას. მან მიპასუხა, რომ ასე გადაწყვიტა.

მინდა გითხრათ, რომ **ლევან ივანაშვილი რაიონში დიდი ავტორიტეტით არასოდეს სარგებლობდა, მაგრამ შტაბს თავისი გვარის გამო ხელმძღვანელობდა, თანაც მის სახლში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს მანანა კობახიძე ქირით ცხოვრობდა, რომელიც, მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატია. მე და ლევანმა ვისაუბრეთ და ვუთხარი, რომ ჩემს კანდიდატურას მაინც დავაყენებდი და არჩევნებსაც მოვიგებდი.**

ჩემი სოფლისთვის ბევრი მაქვს გაკეთებული, იქ კი ისეთი ხალხი ცხოვრობს, რომ სიკეთეს არ ივიწყებს, ნამუსი აქვთ და ტყუილ-მართლის გარჩევა შეუძლიათ. სწორედ მათი იმედი მქონდა, როდესაც ივანაშვილს ვუთხარი, რომ არჩევნებს მოვიგებდი. ამის შედეგ **შეშფოთებულმა „ოცნების“ თავკაცებმა მანანა კობახიძე ჭალოვანის თემში ჩამოიყვანეს, ანუ იმ თემში, რომელშიც კენჭს ვიყრიდი. სიტყვა „ჩამოიყვანეს“ იმიტომ ვთქვი, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ მას საჩხერეში ფეხი არ დაუდგამს. მოკლედ, ქალბატონ მანანას გაუბედეს და უთხრეს, რომ საქმე ცუდად აქვთ და ეს საკუთარი თვალითაც დაინახა.** დაიწყეს მუშაობა ჩემ წინააღმდეგ, მაგრამ ზოგიერთ ადგილას შეხვედრების ორგანიზება ვერ მოახერხეს. წინასაარჩევნოდ ყველა თავისი კანდიდატის გაყვანას ცდილობს, მაგრამ მეთოდებია მნიშვნელოვანი... თემიდან ცოტას გადავუხვევ და გეტყვით, რომ ჩვენთან არის ასეთი სოფელი — ვაკისა, იქ შუქი დღემდე არ არის, საპარლამენტო არჩევნების დროს მანანა კობახიძე მოსახლეობას ამ პრობლემის მოგვარებას დაჰპირდა, მაგრამ მას შემდეგ არც გახსენებია, დაპირება მოსახლეობამ ადგილობრივი არჩვენების დროსაც მიიღო...

ბოლო არჩევნების დროს კი მანანა კობახიძე სოფელ-სოფელ დადიოდა და ხალხს ეუბნებოდა: რატომ აძლევთ ხმას დათო შუბითიძეს, რა გაგიკეთათ? დაგავიწყდათ ბიძინა ივანიშვილის პატივისცემა? დღემდე მიკვირს და ვერაფრით მოვუძებნე ახსნა, თუ რა შუაშია ბიძინა ირაკლი ტეფნაძის არჩევასთან, ადამიანის, რომელიც მთელი ცხრა წელი „ნაციონალი“ იყო. არჩევნები, რაც უფრო ახლოვდებოდა, ჩემი მხარდამჭერების დაშინება და დაჯარიმება დაიწყეს, ყველა ოჯახს მოუხსნეს სოციალური დახმარებები, ბევრი ოჯახის გადარჩენა შევძელი, მაგრამ, სადაც გამოუვალი მდგომარეობა იყო, ვთხოვე, რომ აშკარად და საჯაროდ ჩემი მხარდაჭერა არ გამოეხატათ.

ვერაფერს გავხდი, ხალხი იჩაგრებოდა. როგორღაც მოვახერხე და წერილი გადავეცი მანანა კობახიძეს, მთელი გულით ვთხოვდი, რომ წინასაარჩევნოდ ხალხის ასეთ მდგომარეობაში ჩაგდება აღეკვეთა, რადგან „ნაცების“ არჩევნებს მახსენებდა, მაგრამ ყურადღება არ მომაქციეს. მაჟორიტარის დახმარების იმედი რომ



**«შეშფოთებულმა «ოცნების» თავკაცებმა მანანა კობახიძე ჭალოვანის თემში ჩამოიყვანეს, ანუ იმ თემში, რომელშიც კენჭს ვიყრიდი. სიტყვა «ჩამოიყვანეს» იმიტომ ვთქვი, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ მას საჩხერეში ფეხი არ დაუდგამს»**

გადამეწურა, თავად დავიწყე დაზარალებული ხალხისთვის ბრძოლა და რამდენიმე სასამართლო პროცესიც მოვიგეთ, ჯარიმები მოუხსნეს, რაც იმის დასტური იყო, რომ ჯარიმა უსამართლოდ იყო დაწერილი. ამ ფაქტმა „ოცნება“ უფრო გააღიზიანა და აშკარა შეტევა დაიწყეს ხეობაზე. **მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარე ინგა ზამბახიძე მოსახლეობას ემუქრებოდა, თუ მხარს დათო შუბითიძეს დაუჭერთ, აღარ ელოდოთ გზის შეკეთებას, წყლის მოწოდებას, სინათლის გაყვანას, მოკლედ, ჰაერის გადაკეტვა დარჩათ უთქმელი.**

არჩევნები ჩემი გამარჯვებით დასრულდა, 61%-იანი მანდატი მივიღე. მაშინვე დავუკავშირდი ყველას და ვუთხარი, რომ ოპოზიციაში არ ვარ, მინდა მათთან თანამშრომლობა, ჩემი ხეობისთვის სიკეთის გაკეთება. მანანა კობახიძესაც იგივე ვუთხარი, მაგრამ მან ასეთი პასუხი გამცა: — **თუ შენ ჩვენიანი იყავი, როგორ გაბედე და ჩვენს კადიდატს დაუპირისპირდი? თავად საკუთარ თავს შავი პიარი უკეთეს, ერთი ტყვია არ უსვრიათ „ნაცებივით“, თორემ ხალხისთვის სხვა არაფერი დაუკლიათ და კიდევ მე ვიყავი დაპირისპირებული?**

82 განცხადება დავწერე საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, პრობლემების მოგვარებას ვითხოვდი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. თავმჯდომარე, თამაზ ნადირაძე ცუდი ადამიანი არ არის, მაგრამ გადაწყვეტილებებს ვერ იღებს.

**— ბატონო დავით, ამ წრილებში რა პრობლემების მოგვარებაზე წერდით?**

— ძირითადად, სოფლის მოსახლეობის პრობლემებზე. ერთ შემთხვევას გეტყვით: ამა წლის 21 აგვისტოს მიწისძვრა მოხდა, სოფელში 9 ოჯახი დაზარალდა. დახმარება ვითხოვეთ, რა თქმა უნდა, პასუხი გაგვცეს, მაგრამ ასეთი — შევამოწმეთ და აღმოჩნდა, რომ სახლები ხანდაზმულობის გამო დაინგრა და სახსრების არსებობის შემთხვევაში, გავუწევთ დახმარებას. მინდა გითხრათ, რომ ყველა წერილზე ასეთ არაადეკვატურ პასუხს გვცემენ. გასაგებია, რომ ბიუჯეტში ფული არ არის და წინასაარჩევნოდ დახარჯეს, მაგრამ სარგოების, ხელფასების ფული ხომ დარჩათ? ერთ-ერთ სხდომაზე დავაყენე საკითხი, რომ ნუ შევიკრიბებოდით იმ დრომდე, ვიდრე ბიუჯეტში ფული არ იქნებოდა, ანუ ხელფასები არ ავიღოთ-მეთქი, მაგრამ არ დამეთანხმნენ. **თანამდებობების განაწილების დროს ერთმანეთი დახოცეს, ყველა ამტკიცებდა ჭორვილელი ვარ, ჩემი ბაბუა იქაური იყოო, ზოგი ბებიის ჭორვილელობას იბრალებდა, ზოგი ნათლიის და ა.შ. ვინც ჭორვილასთან ახლოს აღმოჩნდა, თანამდებობასაც გამოჰკრა ხელი.**

ჩვენი სოფელი რაიონიდან 40 კილომეტრით დაშორებულია, ამიტომ ბავშვებს საშუალება არ აქვთ, სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდნენ, ტრანსპორტი არ მოძრაობს. არადა, ჩვენი ხეობა ყოველთვის წარმატებულ სპორტსმენებს ზრდიდა. საკრებულო რაც შეიკრიბა, მას შემდეგ 300 ლარის გამოყოფას ვითხოვ, რომ ტრანსპორტმა იაროს და ბავშვებს ხელშეწყობა ჰქონდეთ. სპორტული სკოლის დირექტორთან მივედი და ამ თემაზე დაველაპარაკე, **სკოლის ბიუჯეტი 307 ათასი ლარი ყოფილა, კინაღამ გავგიჟდი. და ვუთხარი, როგორ, 300 ლარის გამოყოფა არ შეგიძლია ბავშვებისთვის-მეთქი? აღმოჩნდა, რომ სკოლის დირექტორს შტატში 14 მკვდარი სული უზის, თავისი ინიციატივით კი არა, საკრებულოს დაკვეთით.**

**— ეს „ნაცების“ დროინდელი მკვდარი სულებია?**

— არა, 2012 წლიდან. საკრებულოში ამ საკითხზე ვისაუბრე, მაგრამ ამაოდ... ჩვენთვის არაფერი შეცვლილა, უფრო მეტიც: ხეობა, სადაც მე გავიმარჯვე, უარესად დაზარალდა, რადგან ვერ ინელებენ, რომ 41-მა ვერ გაიმარჯვა.

**«აღმოჩნდა, რომ სკოლის დირექტორს შტატში 14 მკვდარი სული უზის, თავისი ინიციატივით კი არა, საკრებულოს დაკვეთით»**

**— რით აგიხსნეს ის ფაქტი, რომ თქვენ მაგივრად ვინმე ყოფილი „ნაციონალი“ ტეფნაძე დაასახელეს მაჟორიტარად?**

— დაადგინეს, რომ უმართავი პიროვნება ვარ. მათ კი მორჩილი ადამიანები უყვართ.

**— საბოლოოდ თქვენი ასეთი გაღიზიანება რამ გამოიწვია?**

— მთელი რაიონი წუხს საბავშვო ბაღებთან დაკავშირებულ პრობლემაზე. საკრებულოში საკონკურსო კომისია შექმნეს და დაიწყეს ბაღებში თანამშრომლების შერჩევა. კომისიის არსებობა მაჟორიტარებს თავის დროზე არ გაგვაგებინეს. არადა, ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ადგილობრივ მოსახლეობას. კარგი, რაც იყო, იყო... მაგრამ კომისიის სხდომაზე დასწრების უფლებაც არ მომცეს და ბაღის გამგედ დანიშნეს ახალგაზრდა მექანიზატორი. როდესაც ვიკითხე, თუ რა კრიტერიუმით შეირჩა ეს ახალგაზრდა კაცი, მიპასუხეს, რომ ის მათი კოორდინატორი იყო.

ეს არამხოლოდ სულში ჩაფურთხებაა საჩხერის მოსახლეობისთვის, არამედ სასტიკი დასჯა იმ ხეობისა, რომელმაც გაბედა და 41 არ შემოხაზა.

საჩხერეში ის ადამიანები, რომელთაც ჭორვილასთან კავშირი არ აქვთ და არ არიან ივანაშვილები, დაჩაგრულები არიან.

**— მეგონა, საჩხერეში ბიძინა ივანიშვილი ყველას უყვარდა, მისი ქველმოქმედებიდან გამომდინარე.**

— ქველმოქმედება მიზნის გარეშე არ არსებობს. ეს რომ ასეა, შედეგი სახეზე გვაქვს. **მას შემდეგ, რაც ბიძინა ხელისუფლებაში მოვიდა, ყველა შეღავათი მოიხსნა — არავის ეხმარებიან. მგონი, ჯობდა, ის ქველმოქმედება არც ყოფილიყო. ხალხი უარეს დღეში აღმოჩნდა.** საჩხერის რაიონში ტრაქტორი არ მოიძებნება, საჩხერეს აღარაფერი გააჩნია. ბიუჯეტიდან ტრაქტორს არ ყიდულობენ, „ატუ“-ში თუ მიხვალ (ივანიშვილის ფირმაა), ვერ იქირავებ, რადგან საქველმოქმედოა და უფლება არ აქვთ, მოგაქირავონ, ქველმოქმედება კი შეჩერებულია. დღეს აი, ასეთი საშინელი დილემის წინაშე დგას ხალხი.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## „ყველას, ვისაც დღეს ვხვდები, მომავლის რწმენა აქვს დაკარგული. ახალი მთავრობა შორს ვერ გაფრინდება!“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ივანიშვილზე ნაწყენი ვარ, მარგველაშვილი რომ შემოგვტენა. ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, როდესაც ყველგან ვამბობდი, ამ ადამიანს ხმას ვერ მივცემ-მეთქი!“ — განაცხადა მსახიობმა ბერტა ხაფავამ. ქალბატონი ბერტა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს:**

# ბერტა ხაფავა: რესპუბლიკელებისა და მარგველაშვილისთვის ხმის მიცემა არ შეიძლებოდა

— 2 წელიწადი გავიდა, რაც საზიზღარი „ნაცმოძრაობა“ მოშორდა ხელისუფლებას, მაგრამ არსად წასულან — ჩვენი ნერვების მოსაშელელად კიდევ ბევრ ცუდ საქმეს სჩადიან. **დღეს ეს ნაცისტები რომ გაჰყვირიან, რეალურად ქვეყანას ივანიშვილი მართავსო, თუ ასეა, სწორედ ივანიშვილის მზეს უნდა ლოცულობდნენ, რადგან მათ სასიკეთოდ დააწესა ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია და სწორედ ივანიშვილის დამსახურებაა, რომ თავგატეხილი არ დადიან ქუჩაში. ივანიშვილის ადგილას სააკაშვილი რომ ყოფილიყო, ხომ ყველას თავს დაუჩეჩქავავდა, ყველას დაიჭერდა, დედას უტირებდა და ვერავინ ვერაფერს ეტყოდა.** დღეს ზოგიერთი მაინც მისტირის სააკაშვილს... თურმე საჭირო ყოფილა ისე მოქმედება, როგორც ის მოქმედებდა. **აი, ასე უნდა „დააჩმორო“ ქართველო ხალხი და მერე ტაშს დაგიკრავს ამერიკაც და ძალიან „შეშფოთებული“ ევროპაც.** იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ამ ჭირმა, რომელიც ქვეყანას თითქმის მოშორდა, შეიძლება კვლავ გაიხაროს. მაგრამ, ვინც ამას მივხვდით, გავბოროტდით. გიგი უგულავას დაპატიმრებას, იცით, რამდენ წელიწადს ველოდი? როგორ უნდა გიხაროდეს ადამიანის დაპატიმრება, მაგრამ იმ ზომამდე მიმიყვანეს, რომ მიხარია მათი დაჭერა და ცემა. ზაზა დავითაიას ცემა კი, პირიქით, ძალიან განვიცადე. ან **ეს კობა ხაბაზი, კაცს რომ არ ჰგავს, ვის რა ჯანდაბად სჭირდება?! ეს ჩანჩურა ხაბაზი, დარწმუნებული ვარ, თავის ცოლ-შვილსაც არაფერში გამოადგება.** რამდენს ყვირის, არადა, რომ შეხედავ საკაცეთს შეგაჯავრებს. როგორ შეიძლება ამ კაცის მოსმენა? **წარმოგიდგენიათ, ნაცსადისტები რა დღეში არიან, ხაბაზი რომ ჰყავთ ლიდერად?!** მისი ორგანიზაცია მოსასპობია. შევარდნაძეს თავის დროზე „კმარა“ რომ მოესპო, დღეს თუთბერიძე პროფესორად არ დაჯდებოდა უნივერსიტეტში. **ქუჩის ქალი, ქუჩაში ნათრევი თეა თუთბერიძე დღეს პროფესორია და, ალბათ, ხაბაზსა და მის ამალას ჰგონიათ, რომ ამ ქმედებებით თვითონაც პროფესორები გახდებიან.** ეს ყველაფერი „ნაციონალების“ აგონიის მომასწავებელია. ვინც კობა ხაბაზს აჰყვება, კაცი არ არის! ივანიშვილს „ნაცები“ რომ არ მოეშორებინა ხელისუფლებიდან, კახა სულუაშვილის ფილმ „ვარდების ევოლუციაში“ სააკაშვილის ბებიის როლის შესრულებისთვის მეც და კახასაც აუცილებლად დაგვაპატიმრებდნენ.

**— დღევანდელი ხელისუფლების მუშაობით კმაყოფილი ხართ?**

— არც დღევანდელ ხელისუფლებას შეუსრულებია ბევრი დაპირება, მაგრამ **რა შეგვისრულა სააკაშვილმა 9 წლის განმავლობაში, ცოცხების გარჭობის გარდა?** ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელი ხელისუფლების მუშაობით კმაყოფილი ვარ, თუმცა, დღევანდელი ხელისუფლება საჯარო სამსახურებიდან ხალხს რომ ათავისუფლებს, მივესალმები. სააკაშვილის ხელისუფლებამ საჯარო სამსახურებში გააფორმა 500-500 კაცი, რომლებიც არაფერს აკეთებდნენ და მხოლოდ ხელფასს იღებდნენ. ამიხსენით, ასეთი ხალხი არ უნდა გამოყარო? მე კი **მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან სააკაშვილის ბებიამ გამათავისუფლა და თეატრის მმართველად თავისი მეგობრის შვილი — მიშა ანთაძე მოათრია, რომელსაც მხოლოდ იმით იცნობდნენ, რომ პედოფილი მამის შვილი იყო.**

თეატრიდან რომ გამომაგდეს, მიზეზად ჩამიწერეს, დესტრუქციული ძალააო. არადა, არც რევოლუციონერივიყავი და არც კობა ხაბაზივით გავყვიროდი. უბრალოდ, ორგანულად ვერ ვიტანდი ვერც უგულავას, ვერც სააკაშვილს და ვერც მათ მოდგმას, ამიტომაც გამომაგდეს. ამ ადამიანებზე დღესაც ბიოლოგიური ზიზღი მაქვს.

ივანიშვილზეც ძალიან ნაწყენი ვარ, მარგველაშვილი რომ შემოგვტენა. ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო, როდესაც ყველგან ვამბობდი, ამ ადამიანს ხმას ვერ მივცემ-მეთქი.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ **მარგველაშვილი სოროსის ძუძუს წოვდა და ბოკერია-იაკობაშვილის ძმაკაცია. ეს კაცი ივანიშვილს შეტენეს, თორემ ვინ მისცემდა ხმას? ვინ იყო მარგველაშვილი, ვინ იცოდა?** შეიძლება, მარგველაშვილი ივანიშვილს შეტენა გია ხუხაშვილმა, რომელიც ბიძინას ნდობით აღჭურვილი პირი იყო და რა მივიღეთ? **მარგველაშვილი მთხლე სიფათით გამოდის და სისულელეებს როშავს. რესპუბლიკელებისა და მარგველაშვილისთვის ხმის მიცემა არ შეიძლებოდა. სწორედ მათ გამოაცხადეს კოჰაბიტაცია, რომლის შედეგადაც ფეხზე დასმული ღორის ტილი — „ნაცმოძრაობა“ — თავზე აგვაცოცდა.** დააკვირდით, რა დღეში არიან: გია ბარამიძე, რომელმაც მთელი სოფელი ამოწყვიტა, როგორ ჰონორზეა?! გიჟი ბობოხიძე დაწყნარდა და ახლა ეს იქნევს მუშტებს. ისე, ბობოხიძე ძალიან არის დაწყნარებული, ალბათ, რაღაცის ეშინია.

**მარგველაშვილი და რესპუბლიკელები სასწრაფოდ არიან მოსაშორებელი ხელისუფლებიდან!** ან ეს ლევან ბერძენიშვილი რას ბოდავს, ვის დაკარგვია, საერთოდ? ვაჟა-ფშაველა და ილია ჭავჭავაძე მაგისი გასაკრიტიკებელია?! ილიაზე თქვა, ასეთ მწერალს არ ვიცნობო! ამას რომ იტყვი, ქართველი არ ხარ! კაცი, რომელსაც არაფრის ნიჭი არ აქვს და იცის, რომ ისეთს ვერაფერს შექმნის, ისტორიაში შევიდეს, სწორედ ამ უაზრო კრიტიკით ცდილობს დამკვიდრებას. ან რით უნდა შევიდეს ისტორიაში, პარლამენტში რომ ზის და თხლიპინებს?

**საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე საცოდავი დედაკაცია. მეგრელები ასეთ ქალზე ვამბობთ, პრინტი-პრანტი ქალიაო, ანუ გამოპრუტუნებული ქალი, რომელიც დიასახლისადაც არ ვარგა.** თავს მაინც მოუაროს, თმა დაივარცხნოს. მოკლედ, როგორც ჩემი გმირი, კიას ქვრივი ანიკო, ამბობს ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“, თანამდებობისთვის შეუფერებელი პირია. **ისეთი საგარეო საქმეთა მინისტრი გვყავს, თეა თუთბერიძეც კი სჯობს გარეგნულად. თანაც რას ლაპარაკობს? რაღაცას წაიპრუტუნებს და შემდეგ მთელი მთავრობა ცდილობს მის გამართლებას.** სწორედ ფანჯიკიძის გაიძვერობის გამოა დღეს მარგველაშვილსა და ღარიბაშვილს შორის კონფლიქტი. ეს სულელი დედაკაცი არ უნდა იყოს იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელსაც ჰყავს სალომე ზურაბიშვილი. რომ შეხედავ, გესიამოვნება მაინც და თანაც ჭკვიანი პოლიტიკოსია. **უძალლო ქვეყანა არ ვართ და მაია ფანჯიკიძეს რატომ აკნავლებენ, არ ვიცი.**

**— ევროპარლამენტში ეკა ბესელიას ინგლისურად გამოსვლა ჰიტად იქცა...**

— ეს ქალი შემეცოდა. სენაკელია და თავისი მოხსენება მეგრულ-ინგლისურად წაიკითხა. რა ძალა ადგა — წაეკითხა ქართულად, მაგრამ თავის გამოჩენა მოისურვა და, რაც მიიღო, ყველამ დავინახეთ — ქვეყნის სასაცილო გახდა. **პუტინმა გადასარევად იცის ინგლისური, მაგრამ, რუსულის გარდა, სხვა ენაზე არ ლაპარაკობს და ესენი რას მატრაკვეცობენ, არ ვიცი.**

ერთი რამ გარდაუვალია: „ნაციონალური მოძრაობა“ ისე უნდა გაქრეს პოლიტიკური არენიდან, როგორც თავის დროზე ასლან აბაშიძის პარტია „აღორძინება“ აორთქლდა. ამათგან განსხვავებით, „აღორძინება“ დამნაშავე პარტია არ იყო. სწორედ „აღორძინებამ“ და ასლანმა შეინარჩუნეს აჭარა და ერთ თურქს არ მოაკიდებინეს ფეხი ჩვენს მიწა-წყალზე. ახლა რა ხდება? წაგვლეკეს! **ამ ზაფხულს ბათუმში ვიყავი და გავგიჟდი — პლაჟზე რომ გავედი, თურქეთში მეგონა თავი. თქვენს გაზეთში წავიკითხე, ვაჰაბიზმის საფრთხეზე წერდით და მართალიცაა. თუ დროულად არ მოვაგვარეთ ეს პრობლემა, ვაჰაბიზმი გარდაუვალია!** მარჯანიშვილი, თეატრში რომ მივდივარ, სტამბოლის ერთ-ერთი ქუჩა მგონია, ისეა გადაპენტილი თურქებით. ეს უბანი მთლიანად მათ აქვთ ნაყიდი და მითვისებული.

**— როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?**

— თურქებს ვერაფერს ვეტყვით, რადგან საძაგელ საქმეებს სჩადიან ჩვენები თურქეთში — ქურდობენ, ბოზობენ და ა. შ. ყველაფერ საზიზღრობას კადრულობენ. ამიტომ ესტონეთს უნდა მივბაძოთ, სადაც ქვეყნის მოქალაქე ვერ გახდები და ვერ იცხოვრებ, თუ ესტონური ენა არ იცი. ჩვენც დავაწესოთ ასეთი კანონი და თურქები რომელი ენის შემსწავლელები არიან?! და თუ რომელიმე ისწავლის, ჯანდაბას, ეგდოს.

**რომ აკრიტიკებენ დღევანდელ საპარლამენტო უმრავლესობას, მართლაც გასაკრიტიკებლები არიან. ძალიან ცუდი კადრებია შერჩეული. პრეზიდენტიდან დაწყებული, მინისტრ-პარლამენტარებით დამთავრებული, ისე დასუქდნენ, კისერს ვერ ატრიალებენ. ასე იცის მაღალმა ხელფასებმა და პრემიებმა...**

**ან რა წესია, ამ ღარიბი ქვეყნიდან პრემიერმა ღარიბაშვილმა ამერიკაში 43 კაცი რომ წაიყვანა და ხუთვარსკვლავიან სასტუმროში აგულავა?** რა უნდათ, ჩვენს ჯინაზე აკეთებენ ამას თუ მოსწრებაზე არიან — არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა და მოვასწროთო? **რასაც სააკაშვილი აკეთებდა, იმ გზას უნდათ დაადგნენ?** მე და ჩემი თაობა განათლებული ხალხი ვართ ახალგაზრდებთან შედარებით და მეტის მოთმენა შეგვიძლია, მაგრამ ყველას, ვისაც დღეს ვხვდები, მომავლის რწმენა აქვს დაკარგული. **ახალი მთავრობა შორს ვერ გაფრინდება!**

**— რა ხდება მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც 2 წლის წინათ დაბრუნდით?**

— თეატრი პატარა სახელმწიფოა და ის ხდება, რაც სახელმწიფოში. ჩვენი ხელმძღვანელი არის დიმიტრი ღვთისიაშვილი. კარგი ბიჭია, კარგი ახალგაზრდა მსახიობები მოიყვანა და სპექტაკლი სპექტაკლზე კეთდებამ, მაგრამ მე ისეთ რეჟისორებთან ვარ ნამუშევარი, რომლებიც 2-3 კვირაში არ დგამდნენ სპექტაკლს. რეჟისორ გაწერელიას ზოგჯერ წელიწადიც კი დასჭირვებია კარგი სპექტაკლის დასადგმელად. ახლა ვხვდები, რატომ იყო დიდი რეჟისორი გაწერელია და რატომ გამოირჩეოდა ჩვენი თეატრი სამაგალითო დისციპლინით. დღეს ჩვენს თეატრში შტატები ძალიან გაბერილია. დიმამ მიშა ანთაძის მოყვანილი მსახიობები ვერ გაუშვა, პირიქით — დაამატა კიდეც, რაც კარგი არ არის თეატრისთვის...



**«დღეს ეს ნაცისტები რომ გაყვირიან, ქვეყანას რეალურად ივანიშვილი მართავსო, თუ ასეა, სწორედ ივანიშვილის მზეს უნდა ლოცულობდნენ, რადგან მათ სასიკეთოდ დააწესა ავადსახსენებელი კოჰაბიტაცია და სწორედ ივანიშვილის დამსახურებაა, რომ თავგატეხილი არ დადიან ქუჩაში. ივანიშვილის ადგილას სააკაშვილი რომ ყოფილიყო, ხომ ყველას დაუჩეჩქავავდა თავს, ყველას დაიჭერდა, დედას უტირებდა და ვერავინ ვერაფერს ეტყოდა»**

**„საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე საცოდავი დედაკაცია. მეგრელები ასეთ ქალზე ვამბობთ, პრინტი-პრანტი ქალიაო, ანუ გამოპრუტუნებული ქალი, რომელიც დიასახლისადაც არ ვარგა“**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კონტრა

**თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროკურატურაში, სასამართლოში, პოლიციაში, ჯარში, ადგილობრივ ორგანოებშიც (კანგამოცვლილი, „ოცნების“ კანში შემძვრალი „ნაცების“ სახით), ძირითადად, ისევ ძველი, „ნაცმოძრაობის“ კადრებია, და იმასაც, რომ ნაცდეპუტატებს უსუფაშვილ-ალასანიას გუნდთან ერთად (პრეზიდენტის ჩათვლით!) „ერთი ძუძუ“ აქვთ ნაწოვი, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლო ძალაუფლებაც მათ ხელშია! „ნაცებს“ მხოლოდ მისი ლეგიტიმაცია, იურიდიულად გაფორმება სურთ და, რაღა თქმა უნდა, კვლავ ძველებურად, ანუ ქვეყნისა და ხალხის საკუთარ ჭკუაზე მართვა.**

# პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო აუცილებლად შესაცვლელია

## რას გავხდებით, ერთ «მშვენიერ» დღეს სააკაშვილის შეიარაღებული და სპეციალურად გაწვრთნილი ზონდერრაზმუფები თავს რომ დაესხან სახელმწიფო დაწესებულებებს, სადაც ისედაც დახვდებათ ბევრი შეიარაღებული მიშისტი, და ძალაუფლება იგდონ ხელთ?

***ვინ იფიქრებდა ოცდახუთი წლის წინათ, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა?**

***ვინ იფიქრებდა, რომ ამის შედეგად რუსეთისა და ყველა დამოუკიდებლობამიღებული რესპუბლიკის ეკონომიკა დაინგრეოდა?** და დაინგრეოდა ამერიკელი „მრჩეველების“ მიერ რეკომენდებული „რეფორმების“ შედეგად (თუ ვინ ჩაიგდო ხელში რუსეთის მთელი სიმდიდრე, ცნობილია, ამაზე არ შევჩერდები, მხოლოდ ერთს ვიტყვი – ამ დამაქცევარ, „პრიხვატიზაციად“ ცნობილ რეფორმებს მხოლოდ ბელარუსი გადაურჩა. გლობალისტების მიერ „ევროპის უკანასკნელ დიქტატორად“ შერაცხილმა ლუკაშენკომ, დასავლეთის არნახული ზემოქმედების მიუხედავად, ბელარუს ხალხს არაფერი გაუყიდა და წარმოუდგენელი რამ შეძლო — ენერგორესურსების(!) არმქონე სახელმწიფოში ყველა სხვა დანარჩენ რესპუბლიკებზე მაღალი ცხოვრების დონე დაამკვიდრა. ეს ნათლად მეტყველებს პიროვნების გადამწვეტ როლზე ყველგან და ყველაფერში და, უპირველესად, ხელისუფლებაში);

***ვინ იფიქრებდა, რომ ეროვნული მოძრაობის ტალღაზე მოსულ ხელისუფლებას ერთ წელიწადში დავამხობდით — სამოქალაქო ომს გავაჩაღებდით და პირველ პრეზიდენტს მოვკლავდით?**

***ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი უბედურებების წამომწყებ, „თეთრ მელად“ წოდებულ შევარდნაძეს უსისხლოდ მოვიშორებდით?**

***ვინ იფიქრებდა, რომ „ვარდების რევოლუციით“ შევარდნაძის დამამხობელი, დასავლეთში განათლებამიღებული, იქაურ ღირებულებებს ნაზიარები და ევროპული ენების მცოდნე სააკაშვილი ღვთის რისხვად მოევლინებოდა საკუთარ ხალხს და უმოწყალოდ გაუსწორდებოდა მას ცხრა წლის განმავლობაში?**

***ვინ იფიქრებდა, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული „ქართული ოცნება“ თვალს დახუჭავდა გაყალბებებზე, „ნაცმოძრაობას“ გაურიგდებოდა და მასთან დეპუტატობის მანდატების 57/43-ზე პროპორციით განაწილებაზე მოილაპარაკებდა** (შუამავლის მეშვეობით, ცხადია!)?

***ვინ იფიქრებდა, რომ „ნაცმოძრაობის“(!) მიერ შერჩეულ კადრებს პროკურატურა-სასამართლოში, პოლიციასა თუ არმიაში ხელს არ ახლებდნენ, ხოლო „ქართული ოცნების“ მომხრეებს, აქტიურ მხარდამჭერებსაც კი, პირში ჩალაგამოვლებულებსა და უსამსახუროდ დატოვებდნენ?**

***ვინ იფიქრებდა, რომ გამარჯვების სულისჩამდგმელი მილიარდერი და პრემიერ-მინისტრად დანიშნული ივანიშვილი თავის უპირველეს დაპირებას, სამართლის მყისიერად აღდგენის თაობაზე, პატიმრების ამნისტიით დაიწყებდა** (ოპერატიულად და ყველას გასახარად) **და ამის იქით საქმე წინ აღარ წაიწევდა** (უდანაშაულოდ დასჯილებს პატიმრობას არ მოუხსნიდნენ, დამნაშავე მოსამართლეებს პასუხს არ მოსთხოვდნენ, 20 000 ქონებაწართმეულიდან ქონებას არავის დაუბრუნებდნენ და კიდევ ბევრი სხვა), **ხალხს კი წარბშეუხრელად ეტყოდა: რაც დაგპირდით, იმაზე მეტი შეგისრულეთო(!)?**

***ვინ იფიქრებდა, რომ სააკაშვილის იმპიჩმენტის ნაცვლად „ოცნება“ კრიმინალური „ნაცმოძრაობის“ გადარჩენასა და ნაცდეპუტატებთან კოჰაბიტაციას დაისახავდა მიზნად,** სააკაშვილს კი, დაპატიმრების ნაცვლად, უპრობლემოდ დაულოცავდა გზას დასავლეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ?

*ვინ იფიქრებდა, რომ დამნაშავე და არჩევნებში დამარცხებული „ნაცები“ ისე გათავხედდებოდნენ, რომ მორალის კითხვას დაგვიწყებდნენ და აქეთ გადმოვიდოდნენ შეტევაზე, „კმარას“ ტიპის „თავისუფალ ზონას“ შექმნიდნენ და მუქარასთან ერთად ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც გაგვიბედავდნენ ძველებურად, ხელისუფლებას კი ნიშნის მოგებით ეტყოდნენ: თუ შნო გაქვს დაგვიჭირეთ და დაგვიმტკიცეთ დანაშაულიო?

***ვინ იფიქრებდა, რომ „ნაცები“ ამჟამინდელ ხელისუფლებას ღარიბაშვილის მეთაურობით** (მათი ბავშვობის თუ იდეოლოგიური მეგობრების – მარგველაშვილ-უსუფაშვილ-ალასანიას გამოკლებით, ცხადია!) **უუნაროს უწოდებდნენ და გადაგდებითაც დაემუქრებოდნენ არჩევნებიდან რამდენიმე თვეში?**

***ვინ იფიქრებდა, რომ მატროსოვის ციხეში მყოფ რამდენიმე „ნაცს“ (მერაბიშვილი, ახალაია, უგულავა) არც მნახველი მოაკლდებოდა** (ნათესავ-მეგობარ-თანაპარტიელი, ჟურნალისტი თუ „შეშფოთებული“ უცხოელი), **არც ტელეფონ-რადიო-ტელევიზორ-კომპიუტერი, მაშინ, როცა თვითონ ტუალეტის ქაღალდსაც(!) ვერ იმეტებდნენ პატიმრებისთვის და მათ სასტიკი წამებითა და გაუპატიურების გზით** (ხელჯოხით, სკამის ფეხით, ბოთლით, ცოცხით თუ „ქათმების“ საკანში შეგდებით) **„არჯულებდნენ“?**

***ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი უდანაშაულო ახალგაზრდების, სამხედროების, მეცნიერების, დიპლომატებისა და ბიზნესმენების ქუჩაში, საპატიმროებსა თუ საკუთარ სახლებში ჩამხოცავი, საქართველოს მოსახლეობის ერთი მესამედის** (300 ათასი პრობაციონერი, 20 ათასი ქონებაწართმეული, 30 ათასი პატიმარი ოჯახებიანად) **გამაუბედურებელი პარტია, „ნაცმოძრაობად“ წოდებული ბანდა, არ გასამართლდებოდა?**

***ვინ იფიქრებდა, რომ ყველა ტელევიზია („ობიექტივის“ გარდა) გარუსთავ 2-დებოდა, ანუ განაცისტდებოდა, გნებავთ, გამიშისტდებოდა** (მეტ-ნაკლებად და არა — უანგაროდ, ცხადია!) და „ნაცების“ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებით იქნებოდა დაკავებული?

*ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი ნდობით აღჭურვილი, ვაჟკაცობაზე თავის დამდები დეპუტატები პედერასტების გაჯეჯილების კანონს დაუჭერდნენ ერთხმად მხარს?

ამერიკა-ევროპის ორმაგი სტანდარტების თაობაზე, კარგა ხანია, ცნობილია, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი 1999 წლიდან, იუგოსლავიის დაბომბვის (და შემდგომ მსოფლიოში გაჩაღებული ომების) პერიოდიდან გახდა თვალში საცემი, მაგრამ მაინც

***ვინ იფიქრებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის სახელმწიფო ტერორს ჩვენი „მეგობრები“ გულგრილად დააკვირდებოდნენ 9 წლის განმავლობაში** (ცალყბად და კანტიკუნტად გამოთქმული „შეშფოთებები“ სააკაშვილის წახალისება იყო და არა ადეკვატური რეაგირება) **და დღეს ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ სამართლის აღდგენის გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს** (სამწუხაროდ, ერთობ გაუბედავს!) — **მერაბიშვილი-ახალაია-უგულავა-სააკაშვილის წინააღმდეგ წამოწყებულ სასამართლო პროცესებს საპროტესტო განცხადებებითა და რეზოლუციებით შეხვდებოდნენ** (ისე, სხვაგვარი მოლოდინი რატომ უნდა გვქონოდა ან მომავალში გვქონდეს – მათ ხომ ასობით ნაწამები და დახოცილი ადამიანის არც ერთი ოჯახისთვის სიტყვიერადაც არ მიუსამძიმრებიათ, მაგრამ მამალი, უკაცრავად, დედალი „ნაცის“ – ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირის მოსანახულებლად კი პირადად ეწვივნენ მას ოჯახში!)?



**ვინ იფიქრებდა, რომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული «ქართული ოცნება» თვალს დახუჭავდა გაყალბებებზე, «ნაცმოძრაობას» გაურიგდებოდა და მასთან დეპუტატობის მანდატების 57/43-ზე პროპორციით განაწილებაზე მოილაპარაკებდა?**

კარგად ვიცი, რა ახსნას მოუძებნიან „ოცნების“ თავგადაკლული მომხრეები ამ და სხვა, ზემოთ გამოტოვებულ ბევრ „ვინ იფიქრებდა“-ს. ყველაფერს დასავლეთს გადააბრალებენ და ეს არ იქნება ჭეშმარიტებისგან შორს, მაგრამ **ხელისუფლება, რომელიც მხოლოდ სხვის ჭკუაზე დადის და არად აგდებს საკუთარი ხალხის ინტერესებს, პატივისცემას არ იმსახურებს არავისგან, არც შინ და არც – გარეთ!** ნამეტანი წნოლა და ღირსების დაკარგვა მხოლოდ ზიზღს იწვევს ყველაში!

რაც უფრო მეტად წავუხრით თავს (ვის წავუხრით, მნიშვნელობა არ აქვს), მით უფრო ადვილად გამოგვიყენებენ — ეს აქსიომაა, ამას მტკიცება არ სჭირდება!

**ახლა მთავარი:** განვიხილოთ „ნაცების“ მუქარა, რეალურია თუ არა ხელისუფლებაში მათი მობრუნების საფრთხე. ისე, კაცმა რომ თქვას, წასვლით არსადაც არ წასულან. **თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროკურატურაში, სასამართლოში, პოლიციაში, ჯარში, ადგილობრივ ორგანოებშიც (კანგამოცვლილი, „ოცნების“ კანში შემძვრალი „ნაცების“ სახით), ძირითადად, ისევ ძველი, „ნაცმოძრაობის“ კადრებია, და იმასაც, რომ ნაცდეპუტატებს უსუფაშვილ-ალასანიას გუნდთან ერთად (პრეზიდენტის ჩათვლით!) „ერთი ძუძუ“ აქვთ ნაწოვი, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლო ძალაუფლებაც მათ ხელშია!** „ნაცებს“ მხოლოდ მისი ლეგიტიმაცია, იურიდიული გაფორმება სურთ ▶



## ბრიტანელები დედოფლის საცვალს ყიდიან

**აუქციონზე, რომელიც კენტის საგრაფოს ქალაქ სტენფორდში 12 ოქტომბერს გაიმართება, გასაყიდად გაიტანენ დიდი ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას საცვალსა და პერანგს.** „ეს თეთრეული გაწეული სამსახურისთვის აჩუქეს სამეფო სასახლის წევრს და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საცვალი და პერანგი შესანიშნავ მდგომარეობაშია, რადგან ბოლო 75 წლის განმავლობაში ზანდუკში ინახებოდა“, — განაცხადა სააუქციონო სახლ Westernhanger Auctioneers-ის წარმომადგენელმა მაიკლ ჰოგბენმა. ბრიტანული გამოცემები აღნიშნავენ, რომ აბრეშუმის საცვალი და პერანგი საკმაოდ დიდი ზომისაა — პერანგი შეკერილია მკერდისათვის, რომლის გარშემოწერილობა 167 სმ-ია, საცვალი კი 132 სმ დიამეტრის წელისთვის.

100 წლის წინათ შეკერილი აბრეშუმის საცვლების საწყისი ფასი 2 ათასი გირვანქა სტერლინგია.



კონტრა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ვინ იფიქრებდა, რომ დამნაშავე და არჩევნებში დამარცხებული „ნაცები“ ისე გათავხედდებოდნენ, რომ მორალის კითხვას დაგვიწყებდნენ და აქეთ გადმოვიდოდნენ შეტევაზე, „კმარას“ ტიპის „თავისუფალ ზონას“ შექმნიდნენ და მუქარასთან ერთად ფიზიკურ ანგარიშსწორებასაც გაგვიბედავდნენ ძველებურად, ხელისუფლებას კი ნიშნის მოგებით ეტყოდნენ: თუ შნო გაქვს, დაგვიჭირეთ და დაგვიმტკიცეთ დანაშაულიო.

◀ და, რაღა თქმა უნდა, კვლავ ძველებურად, ანუ გაუკითხავად ქვეყნისა და ხალხის საკუთარ ჭკუაზე მართვა.

„ნაცები“ უკვე დაუფარავად აცხადებენ, რომ დესტაბილიზაციის გზით სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ. ამ საფრთხეზე შს სამინისტრომაც მიუთითა და ბევრმა სხვა ორგანიზაციამ თუ პიროვნებამ, მაგრამ, დეტალური ანალიზის ნაცვლად, გვესმის მხოლოდ: „აბა, ერთი გაბედონ, დედას ვუტირებთ, ხალხი გადაუვლის მაგ კრიმინალებს“ და სხვა ამის მსგავსი. ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ განა რას გავხდებით, ერთ „მშვენიერ“ დღეს სააკაშვილის შეიარაღებული და სპეციალურად გაწვრთნილი ზონდერჯგუფები (ამჟამად დროებით მიძინებულნი!) ერთდროულად თავს რომ დაესხან სახელმწიფო დაწესებულებებს, პარლამენტს, პოლიციას (სადაც ისედაც დახვდებათ ბევრი შეიარაღებული მიშისტი პოლიციელი) და ძალაუფლება იგდონ ხელთ? შიშველი ხელები და დიდი გული გვეყოფა მხოლოდ? არც ერთი და არც მეორე არ გვაკლდა 2007-2012 წლებში, მაგრამ ტყვიებთან, გაზთან და ლითონის გარსიან ხელჯოხებთან ვერაფერს გავხდით; გავხდით კი არა, საკუთარ სახლში ხმის ამოღების გვეშინოდა.

ამგვარ ელვისებურ ოპერაციას სრულიადაც არ სჭირდება მოსახლეობის, მით უფრო, უმრავლესობის მხარდაჭერა. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ კიევში, მაიდანზე, უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობამ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და თანაც შიშველი ხელებით? უმრავლესობას კორუფციაში ჩაფლული იანუკოვიჩის გადადგომა და წესიერი ხალხის არჩევა(!) სურდა, მაგრამ არა იმ გუნდის, იმ კატეგორიის ხალხის მოსვლა, რომელსაც ამერიკა ამზადებდა წლების განმავლობაში, მილიარდებსაც ახარჯავდა და, რომელმაც სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვია უკრაინა, მოძმე ერები სამუდამოდ გადაჰკიდა ერთმანეთს, ყირიმის დაკარგვაც გამოიწვია (მომავალში, ალბათ, სამხრეთ-აღმოსავლეთი უკრაინისაც) და, ფაქტობრივად, უკრაინის სახელმწიფო დაშალა (როგორ ჩამოჰგავს 2008 წლის აგვისტოში ჩვენთან დადგმულ სცენარს).



ამიტომ სულ ტყუილად ვიმშვიდებთ თავს, თითქოს „ნაცებს“ მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელების შანსი არ ჰქონდეთ. რა სჭირდებათ მათ ამისთვის? ის, რაც ყველა გადატრიალებისთვისაა აუცილებელი: უპირველესად — ლიდერი, ფული და შეიარაღება; პროპაგანდის საშუალებაც თუ იქნა და რამდენიმე დასაყრდენი პირიც სამთავრობო რგოლში, ხომ მთლად კარგი; და გარედან მხარდაჭერის იმედიც თუა, ხომ აეწყო მაშინ საათივით ყველაფერი! ჩამოთვლილთაგან რამე აკლიათ „ნაცებს“? არაფერი! წარმატებისთვის მათ, ვიმეორებ, სრულიადაც არ სჭირდებათ უმრავლესობის მხარდაჭერა, ამ უმრავლესობას, დაპირებისამებრ, მერე მოგვხედავენ, როგორც ადრე — ზუსტად ისე და იმაზე „უკეთესად“.

**სულ ტყუილად ვიმშვიდებთ თავს, თითქოს «ნაცებს» მზაკვრული ჩანაფიქრის განხორციელების შანსი არ ჰქონდეთ. რა სჭირდებათ მათ ამისთვის? ის, რაც ყველა გადატრიალებისთვისაა აუცილებელი: უპირველესად — ლიდერი, ფული და შეიარაღება; პროპაგანდის საშუალებაც თუ იქნა და რამდენიმე დასაყრდენი პირიც სამთავრობო რგოლში, ხომ მთლად კარგი; და გარედან მხარდაჭერის იმედიც თუა, ხომ აეწყო მაშინ საათივით ყველაფერი! ჩამოთვლილთაგან რამე აკლიათ «ნაცებს»? არაფერი! წარმატებისთვის მათ, ვიმეორებ, სრულიადაც არ სჭირდებათ უმრავლესობის მხარდაჭერა; ამ უმრავლესობას, დაპირებისამებრ, მერე მოგვხედავენ, როგორც ადრე — ზუსტად ისე და იმაზე «უკეთესად»**

პანიკას არ უნდა მივეცეთ და პრევენციული ზომები უნდა გავატაროთ (რაც, მაინცდამაინც, რაღაც არ შეიმჩნევა, „ნაცების“ მიერ შექმნილი ორგანიზაციები კი საეჭვოდ მრავლდება), მაგრამ არც ისე დასამშვიდებლად გვაქვს საქმე, როგორც ეს ზოგიერთ ექსპერტს წარმოუდგენია: „სად შეუძლია წელში გადატეხილ „ნაცმოძრაობას“ სახელმწიფო გადატრიალება?!“ კი, მაგრამ, რა ეტყობათ „ნაცებს“ წელში გადატეხვის? უცხოელის თვალით რომ უყურო ჩვენს ტელევიზიებს, გადატეხილი კი არა, წელგამართული და გამარჯვებული „ნაცმოძრაობა“ ეგონება. ყველა ეთერიდან „ნაცები“ იმუქრებიან გადატრიალებით, ქუჩაში ფიზიკურად გვისწორდებიან, დასავლეთის პრესაში „ოცნების“ საგინებელ წერილებს ისინი აბეჭდინებენ, სახელმწიფოს მეთაურებს თავიანთთვის სასარგებლო განცხადებებს აკეთებინებენ, ევროსაბჭოში ხელისუფლების საწინააღმდეგო რეზოლუციებს აღებინებენ და ჩვენ მაინც უნდა დავასკვნათ, რომ „ნაცები“ წელში არიან გადატეხილები?! ერთი ცნობილი „ხერხემალი“ ციხეშია, დანარჩენები თურმე წელში გადატეხილები დალასლასებენ! დაგვიმარცხებია ბოროტება და ეს არის, რაღა გვაქვს სასაყვედურო „ოცნებასთან?!

მე ვიტყოდი, უხერხემლო და პასიური სწორედ ამჟამინდელი ხელისუფლებაა და მის პირობებში „ნაცებს“ დიდი შანსი აქვთ, დანაქადნი აგვისრულონ, ძველ „დემოკრატიულ“ დროში დაგვაბრუნონ. თუმცა მოიცათ, ეგებ და, კრიზისულ სიტუაციაში ალასანიამ გამოიყვანოს ჯარი მიშისტი ზონდერებისა და პოლიციელებისგან ხელისუფლებისა და ხალხის დასაცავად?! მეტი არაა ჩემი მტერი, ალასანიამ ან მარგველაშვილმა (როგორც ფორმალურმა მთავარსარდალმა!) ამერიკის უნებართვოთ თითი გაანძრიონ და ღარიბაშვილის ხელისუფლება დაიცვან. ისე, ასეთ შემთხვევაში, გენერალიტეტი დაიკისრებს ხოლმე საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას და მას გამოჰყავს ჯარი სახელმწიფოში სტაბილურობისა და სიმშვიდის დასამყარებლად, მაგრამ ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს გამორიცხულია, საკადრო წმენდა, „ნაცებისგან“ განწმენდა ხომ არც ჯარში არ ჩატარებულა. ამიტომ, ჯარის გამოყვანის შემთხვევაშიც, ვერავინ იტყვის დარწმუნებით, თუ ვისი მხარდასაჭერი ბრძანება გაიცემა — „ნაცების“, „ქოცების“ თუ იმ დროისთვის შემზადებული, ლამაზად შეფუთული ახალი, მაგრამ იმავე შინაარსის, იმავე მსოფლმხედველობის მატარებელ-გამტარებელი ძალის.

**უხერხემლო და პასიური სწორედ ამჟამინდელი ხელისუფლებაა და მის პირობებში «ნაცებს» დიდი შანსი აქვთ, დანაქადნი აგვისრულონ, ძველ «დემოკრატიულ» დროში დაგვაბრუნონ**

ევროკავშირი ისევ შარს გვდებს — თავის ამჟამინდელ რეზოლუციაში (ჩვენი „ნაცების“ თუ ევროპის სახალხო პარტიის ინიციატივით მიღებულში, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, ეს არსად აღინიშნება და მხოლოდ ჩვენ ვიცით ამის შესახებ და არა დანარჩენმა მსოფლიომ) გამოკვეთილი კრიმინალების — სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ახალაიას მიმართ განხორციელებულ პოლიტიკურ დევნასა და უკანონო ქმედებებში გვადანაშაულებს. ჩვენი ხელისუფლება (დელეგაცია) კი, რომელსაც ხელთ აქვს ამ ვაჟბატონების მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულის დამადასტურებელი, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი დოკუმენტები, პირადი აღიარებები, ათასობით ნაწამები პატიმრის ჩვენებები, იმის ნაცვლად, რომ იქეთ უტევდეს ევროკავშირს და ყველას, ვინც წაყრუების პოლიტიკით მხარს უჭერდა „ნაცმოძრაობის“ განუკითხაობას საქართველოში 2004-2012 წლებში, თავის მართლების პოზიციაში დგას და მორიდებით ცდილობს, ბრალდებები უარყოს: არა, ბატონებო, ჩვენ კანონებს არ ვარღვევთ, ჩვენ პოლიტიკურ დევნას არ ვაწარმოებთ, ეს არ გვიქნია, ის არ გვიქნია და ა.შ.

ხელისუფლება ისეთი პასუხის გაცემასაც ვერ ახერხებს, როგორიც აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა სამედ სეიდოვმა გასცა ევროსაბჭოს, როცა საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე კრიტიკული შენიშვნები გამოითქვა ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, — „სიტუაცია აზერბაიჯანში არადამაკმაყოფილებელიაო“. აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა კრიტიკისგან თავშეკავებისკენ მოუწოდა ევროსაბჭოს და პირდაპირ განუცხადა: „...მე კი გეტყვით, რომ არადამაკმაყოფილებელი თქვენი მოქმედებაა... თქვენი რეკომენდაციების წყალობით დაკარგა საქართველომ და უკრაინამაც ტერიტორიები და ათასობით ადამიანის სიცოცხლე, იგივე შეიძლება ითქვას მოლდოვაზეც და რატომ გგონიათ, რომ აზერბაიჯანში თქვენი რეკომენდაციები წარმატებულ შედეგებამდე მიგვიყვანს!“ ასევე გვახსოვს, თუ როგორ დასვეს ამერიკის ელჩიც თავის ადგილზე რამდენიმე თვის წინათ, როცა მან აზერბაიჯანის შინაურ საქმეებში ჩარევა განიზრახა. წარმომიდგენია, როგორი იქნებოდა აზერბაიჯანელთა პასუხი, მათაც ჩვენნაირი სამხილები რომ სჭეროდათ ხელთ და თან ევროპელი, კერძოდ, შვედი დიპლომატის კორუფცირებულობის დამადასტურებელი საბუთებიც.

როცა ამერიკა და ევროკავშირი უმსგავსობას დემოკრატიად ნათლავდნენ, ხოლო ამჟამად სისხლის სამართლის დამნაშავეებს იცავენ, საქართველოს შინაურ საქმეებშიც უხეშად ერევიან — გვარებით გვითითებენ, ვინ დავიჭიროთ და ვინ გამოვუშვათ, როცა ცამდე მართალი ხარ და მაინც გეშინია საკადრისი პასუხის გაცემის, როცა „ძებნილი“ სააკაშვილი მასხრად გვიგდებს და აქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე, სარფში(!), ნაცბანდის „სხოდკას“ აწყობს საჯაროდ, ტელეკამერების წინ და გვემუქრება კიდეც და შენ, საქართველოს ხელისუფლებავ, თითსაც არ გაანძრევ მისი ყურით ჩამოსათრევად, უსუსური და შესაცვლელი ხარ, აბა, რა! არადა, რა უნდოდა ათკაციანი სპეცრაზმის სარფში გადასროლას, სააკაშვილს თუ ვერ ჩამოათრევდნენ, 2008-ში გორში დამყარებულ რეკორდს ხომ ნამდვილად გააუმჯობესებინებდნენ!

დასკვნა — ხელისუფლება (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო) აუცილებლად შესაცვლელია, ერთი-ორი წესიერი კაცი, თუნდაც პრემიერის პოსტზე, საქმეს არ შველის. უნდა შეიცვალოს, ოღონდ არა ისევ „ნაცებით“ ან მათ მიერ ამერიკის ფულით დაარსებული არასამთავრობოების კადრებით, არამედ პროფესიონალი, უშიშარი და პატრიოტი ქართველებით. ამას კი აუცილებლად სჭირდება ლიდერი, საარჩევნო გარემოსა და კოდექსის ძირეული ცვლილებები და ფინანსები. მოვახერხებთ ამ პირობების დაკმაყოფილებას, — მიზანსაც მივაღწევთ, არადა, ვიტრიალებთ წრეზე — ისევ შემოგვასაღებენ ანტიეროვნულ, გლობალისტურ იდეოლოგიაზე გამოზრდილ (თუ დამყნობილ), ამერიკული ინგლისურით მოლაპარაკე ცხვირმოუხოცავ ლიბერასტ ახალგაზრდებს!

**იაკობ ლეჟავა**
**3 ოქტომბერი, 2014 წ.**

---

ამერიკა

## საპატრულო სამსახურის სერჟანტმა შავკანიან მამაკაცს სამჯერ ესროლა

**აშშ-ში საპატრულო სამსახურის სერჟანტმა შონ გრუბერტმა ბენზინგასამართ სადგურზე საკუთარი მანქანიდან გადმოსულ შავკანიან მძღოლი დაჭრა. პოლიციელს 20 წლით პატიმრობა ემუქრება.**

სამხრეთ კაროლინის შტატის საპატრულო სამსახურის თანამშრომელმა, 31 წლის შონ გრუბერტმა უიარაღო ადამიანს რამდენჯერმე ესროლა. სამართალდამცველმა 35 წლის ლევარ ჯონსი ბენზინგასამართ სადგურთან გააჩერა. მოგვიანებით მან გამომძიებლებს უთხრა, რომ ჯონსი მოძრაობის წესებს არღვევდა — უსაფრთხოების ღვედი შეკრული არ ჰქონდა. ვიდეოზე, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა, ჩანს, როგორ გადმოდის ჯონსი ავტომობილიდან, ამ მომენტში გრუბერტი მანქანიდან გადმოხტება და მძღოლს მართვის მოწმობას სთხოვს. ჯონსი უკან, თავისი ავტომობილისკენ მიდის და გრუბერტი ცეცხლს ხსნის. მან, სულ ცოტა, სამჯერ ესროლა ჯონსს. ვიდეოჩანაწერში ისმის დაცემული ჯონსის კვნესა და ყვირილი — „რატომ მესროლე?“ კომისიამ, რომელიც პოლიციელის საქმეს იძიებდა, დაასკვნა, რომ ჯონსს იარაღი არ ჰქონია და აგრესიულად არ იქცეოდა, გრუბერტს კი „სროლის საბაბი არ ჰქონია“.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ათი წელი ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა ის სიმართლე, რომელიც მე ვიცი, ვყოყმანობდი. მეგობრებსაც დავეკითხე და ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა.**

# რატომ «გაიქცა» ქვეყნიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი



ნაპოლეონ ქარქაშაძე

**პატივცემულო მკითხველო, ვიცი, რომ მძიმე სათაურია, ამიტომ აქვე განვმარტავ, რომ აკადემიკოსი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე, ქვეყნიდან კი არ გაქცეულა, არამედ, როგორც გონიერი და კრისტალივით სუფთა კაცი, ძალადობაზე დამყარებულ იმ უსამართლობას გაეცალა, რომელიც სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის პირველივე დღეებიდან დაამყარა ქვეყანაში.**

სანამ სათქმელზე გადავიდოდე, ახალ თაობას შევახსენებ (გავაგებინებ), ვინ იყო ალბერტ თავხელიძე — მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი-ფიზიკოსი.

უწინარეს ყოვლისა, ვიტყვი, რომ ეს დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სპეციალობით „თეორიული ფიზიკა“ კურსდამთავრებულია. მეცნიერებაში მის მიერ განვლილი გზა სწორედ დედაუნივერსიტეტიდან იწყება. ამ გზის უმნიშვნელოვანესი ეტაპებია:

**საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის დაარსება, რომლის პირველი დირექტორიც იგი იყო; ანდრია რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში თეორიული ფიზიკის განყოფილების გახსნა, რომელსაც 2005 წლამდე სათავეში ედგა; იყო მისი ინიციატივით თსუ-ში დაარსებული მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ამავე ინსტიტუტის დირექტორი; საქართველოში პაგოუშის მოძრაობის ჯგუფის ხელმძღვანელი; მეცნიერთა მსოფლიო ფედერაციის საქართველოს განყოფილების დირექტორი; მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, იგი სათავეში ჩაუდგა მისი იდეის საფუძველზე შექმნილ „ნაწილაკების ფიზიკისა და კოსმოლოგიის“ კათედრას; თავმჯდომარეობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის „მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის“ პრობლემის სამეცნიერო საბჭოს.**

**1967 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1974 წელს — ნამდვილ წევრად; 1984 წლიდან იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1990 წლიდან — ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი).**

**1986-2005 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახლდათ.**

მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომლებიც ციტირების მაღალი ინდექსით ხასიათდება, ავტორია ფუნდამენტური ნაშრომების კვანტურ ფიზიკაში, მაღალი ენერგიების ფიზიკაში, ელემენტარული ნაწილაკების თეორიაში და ა. შ.

უამრავი ჯილდოსა და უმაღლესი რანგის პრემიების მფლობელია, ბევრი სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი სასწავლებლის საპატიო პროფესორის წოდება ჰქონდა მინიჭებული. და ყველაფერი, რაც ჩამოვთვალე, ალბერტ თავხელიძის მოღვაწეობის მხოლოდ ნაწილია.

აი, ეს მამულიშვილი აიძულეს, დაეტოვებინა სამშობლო.

ახლა კი სათქმელს დავუბრუნდები.

ზოგიერთი შეიძლება დღესაც ფიქრობს, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ რეპრესირებული მოხელეების უმრავლესობა კრიმინალი იყო. ეს საფუძველშივე მცდარი წარმოდგენაა: ბევრი ჩვენგანი სააკაშვილის პირადი განკარგულებით იმიტომ დააპატიმრეს, რომ ცნობილი და საზოგადოებისთვის მისაბაძი ადამიანები ვიყავით. **ჩვენი დაპატიმრებით მან საზოგადოებაში შიში და მორჩილება დანერგა, რამაც ხელ-ფეხი გაუხსნა და, ყველა ბოროტებასთან ერთად, ქართული მეცნიერების ნგრევას შეუდგა. მან და მისმა ხროვამ ქვეყანა მიწასთან გაასწორა.**



ალბერტ თავხელიძე



**საააკაშვილმა ერთიმეორის მიყოლებით დახურა მსოფლიოში აღიარებული აკადემიური ინსტიტუტები, მეცნიერები ქუჩაში გაყარა, გაყიდა ან გაასაჩუქრა შენობები და ქონება, გააუქმა სამეცნიერო წოდებებისა და ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოები, სალანძღავი გახადა აკადემიკოსობა, პროფესორობა და, საერთოდ, — სიტყვა მეცნიერი...**

მე რექტორად ვმუშაობდი საბჭოთა პერიოდშიც და მაშინაც, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მაშინ შეიქმნა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭო, რომელიც პრეზიდენტთან არსებული ორგანო იყო. რექტორებს საშუალება მოგვეცა, სისტემატური კონტაქტი გვქონოდა ქვეყნის პირველ პირთან და ოპერატიულად, შესაძლებლობის ფარგლებში მოგვეგვარებინა ჩვენი პრობლემები. განსაკუთრებული ურთიერთობა გვქონდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან და მის პრეზიდენტ ალეკო თავხელიძესთან.

ერთხელ საზოგადოება „თბილისელის“ სხდომიდან რამდენიმე რექტორმა მეცნიერებათა აკადემიაში შევიარეთ.

პრეზიდენტის კაბინეტში ცნობილი მეცნიერები — რეზო სალუქვაძე, ნოდარ ამაღლობელი და მინდია სალუქვაძე სათათბირო მაგიდასთან ისხდნენ. კარგ დროს მოხვედითო, — გვითხრა ალეკო თავხელიძემ და მაგიდასთან მიგვიწვია.

საუბარი ქართული მეცნიერებისა და საუნივერსიტეტო განათლების პრობლემებს ეხებოდა. ბატონმა ალეკომ გვითხრა, რომ ამ საკითხებზე საინტერესო საუბარი ჰქონდა პრეზიდენტ შევარდნაძესთან და მთავარი აქცენტების შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა.

ედუარდ შევარდნაძეს თავხელიძისთვის უთხოვია, რომ იმ მწირი დაფინანსებით, რომლის გამოყოფაც ქვეყნის ბიუჯეტს იმ ხანად შეეძლო, როგორმე შეენარჩუნებინა აკადემიის ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამეცნიერო პოტენციალი.

**— 2000 წლისთვის საქართველოში შემოვა განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის მსოფლიო ბანკის რამდენიმემილიონიანი გრანტი, 2005 წლისთვის კი ქვეყანა მიიღებს მილიარდიან დაფინანსებას, რომლიდანაც მნიშვნელოვანი თანხა განათლებისა და მეცნიერებისთვისაც გამოიყოფაო,** — დაპირებია პრეზიდენტი.

2002 წელს ვაშინგტონში, მსოფლიო ბანკის სათაო ოფისში, ჩავედით აგრარიკოსი მეცნიერების 6-კაციანი ჯგუფი, წარვადგინეთ სერიოზული პროექტები და რამდენიმე თვეში მივიღეთ კიდეც დაფინანსება — **მებაღე-მევენახეობის კვლევითმა ინსტიტუტმა 1,5 მილიონი, ხოლო აგრარულმა უნივერსიტეტმა 250 ათასი დოლარი.** ჩემი რექტორობის დროს აგრარულ უნივერსიტეტში გამოყოფილი თანხიდან მხოლოდ კომპიუტერული ცენტრის, ღვინის მუზეუმისა და ვაზის უნიკალური ჯიშების საკოლექციო ნაკვეთის მოწესრიგება მოვასწარით.

**უცნობია, რა ბედი ეწია მსოფლიო ბანკის მიერ 2005 წელს განათლებისა და მეცნიერებისთვის გამოყოფილ დაფინანსებას. ყოველ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, რომლის პრეზიდენტიც იმ დროს ვიყავი, და მასში შემავალ კვლევით ინსტიტუტებს, იმ თანხიდან რომ არაფერი მიგვიღია, შემიძლია, დავადასტურო.**

ბატონი თავხელიძე და რექტორები შევეცადეთ, საქმიანი ურთიერთობა გაგვეგრძელებინა სააკაშვილის ხელისუფლებასთანაც, მაგრამ არც მასთან და არც მის მინისტრებთან კონტაქტი არ გამოგვივიდა — ქვეყნის პრეზიდენტისა და მისი მთავრობის წევრების კაბინეტების კარები ჩვენთვის დახურული აღმოჩნდა. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ სააკაშვილს საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილი უკვე „ჩარეცხილი“ ჰყავდა...

**სააკაშვილმა ერთიმეორის მიყოლებით დახურა მსოფლიოში აღიარებული აკადემიური ინსტიტუტები, მეცნიერები ქუჩაში გაყარა, გაყიდა ან გაასაჩუქრა შენობები და ქონება, გააუქმა სამეცნიერო წოდებებისა და ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოები, სალანძლავი გახადა აკადემიკოსობა, პროფესორობა და, საერთოდ, — სიტყვა მეცნიერი.** არნახული ცინიზმი იყო ის, რომ პროფესორის ანაზღაურება, მეეზოვის ანაზღაურებაზე უფრო დაბალი იყო და ამით ხელისუფლება ამაყობდა კიდეც...

ალეკო თავხელიძე იმთავითვე მიხვდა თუ რატომ ანგრევდა სააკაშვილი ახალი ქვეყნის შენება-განმტკიცების საფუძველთა-საფუძველს — ქართულ მეცნიერებას. ხელისუფლებაში მოსულ „ვარდოსნებს“ ხომ ქართველი ერის გენოციდი ჰქონდათ „დავალებული“ და ამ დავალების შესრულებაში მათ ქართული საზოგადოების ინტელექტუალური წარმომადგენლობა — მეცნიერებათა აკადემიები, უნივერსიტეტები, შემოქმედებითი კავშირები, თეატრები და, საერთოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებები უშლიდა ხელს, რადგან მათში სწორედ ერის გამორჩეული ადამიანები იყვნენ დასაქმებულნი.

2004 წლის მარტის ბოლოს ბატონმა ალეკომ თავის აგარაკზე მისვლა მთხოვა. მივედი. ანთებულ ბუხართან ჩაფიქრებული იჯდა. ვიცოდი მისი ხასიათი — საჭირო თემებზე თვითონ იწყებდა საუბარს, მეც ამის მოლოდინში ვიყავი... მაგრამ ამჯერად შეკითხვით მომმართა — იცნობდი თუ არა პრეზიდენტის დედას — გიული ალასანიას?

— კი ვიცნობ, შევხვედრივარ მამამისის — გივი ალასანიას სახლში და ▶

---

ფაქტი

## ეს ევროპაა, შვილო, ევროპა! — ოქტობერფესტზე ბრიტანელი მამაკაცი გააუპატიურეს

**გერმანიის ქალაქ მიუნხენის პოლიცია ეძებს ორ მამაკაცს, რომლებიც ეჭვიტანილნი არიან დიდი ბრიტანეთის მოქალაქეზე სექსუალურ ძალადობაში.** თავხედური დანაშაული ჩადენილ იქნა 27 სექტემბრის ღამეს მსოფლიოში ცნობილ ლუდის დღესასწაულზე — ოქტობერფესტზე.

დაზარალებული, 24 წლის ბრიტანელი მამაკაცი ქალაქ ლიდსიდან, თავდასხმის მომენტში ტერეზინის მდელოზე (სადაც იმართება ფესტივალი) ბუჩქებს იყო ამოფარებული და შარდავდა, როდესაც მას გერმანელი მამაკაცი მიუახლოვდა და განუცხადა, რომ „ბრიტანული სექსი“ სურდა. უარის მიღების შემდეგ თავდამსხმელმა ბრიტანელი წააქცია და გააუპატიურა. გერმანელი სამართალდამცველების განცხადების თანახმად, მოძალადეს ეხმარებოდა თანამზრახველი, რომელსაც ძალადობის მომენტში მსხვერპლი გაკავებული ჰყავდა.



# ბატონმა ალეკომ რამდენიმეჯერ სცადა სააკაშვილთან შეხვედრა, მაგრამ ამაოდ. იგი არც განათლების მინისტრმა ლომაიამ მიიღო და მოადგილესთან გადაამისამართა. ცხადია, თავხელიძე აცნობიერებდა, რომ ასეთ სიტუაციას ხელოვნურად ქმნიდნენ, რათა აკადემქალაქის ტერიტორიას დაპატრონებოდნენ და მისი, როგორც აკადემიის პრეზიდენტის, დისკრედიტაციაც მოეხდინათ.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


ალბერტ თავხელიძე და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ანატოლი ალექსანდროვი

**ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბატონ ალეკოს ვუთხარი, რომ დაპატიმრების მოლოდინში ვიყავი. ახლაც მახსოვს მისი შეშფოთებული სახე. — ნუთუ ამას გაბედავენ?! — ჩაილაპარაკა. თუმცა კარგად იცოდა, რომ, თუ სააკაშვილს ასე სურდა, განწირული ვიყავი...**

რამდენიმეჯერ ჩემთანაც იყო უნივერსიტეტში.

— ეს, ალბათ, მაშინ, თქვენგან სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი რომ მოითხოვა თურქულ-ქართული უნივერსიტეტისთვის?

— დიახ, ამასთან დაკავშირებით მან ზურაბ ჟვანიას სარეკომენდაციო წერილიც მომიტანა, — ვუპასუხე.

— ამბობენ, რომ იგი კარგი თურქოლოგია, — ჩაილაპარაკა თავხელიძემ.

გიული ალასანიას, როგორც მეცნიერს, არ ვიცნობდი და ამის შესახებ ვუთხარი კიდეც თავხელიძეს.

— როგორც მითხრეს, მას არც ჩვენი ისტორიკოსები იცნობენ, მიპასუხა მან.

მივხვდი, რომ თავხელიძე პრეზიდენტის დედას შემთხვევით არ ახსენებდა.

— რა ხდება, იცი?! შეიძლება ადამიანს დაეხმარო საკანდიდატო დისერტაციის დაცვაში, არც ისაა დიდი ცოდვა, რომ ხელი შეუწყო სადოქტორო დისერტაციის მომზადებაში, მაგრამ აკადემიკოსი ადამიანი თვითონ უნდა გახდეს, — თქვა მან.

მივხვდი, რა თავსატეხიც გასჩენოდა აკადემიის პრეზიდენტს: მან იცის, რომ ახალ ხელისუფლებას მეცნიერების ნგრევის პროცესი დაწყებული აქვს. ამ დროს მას „მაშველ რგოლს" აწვდიან. „ვილაცა" ეუბნება, რომ კარგი იქნება, თუ აკადემიაში რამდენიმე ავტორიტეტულ ადამიანს აირჩევენ და, როგორც ჩანს, მაშინ ახსენეს პრეზიდენტის დედის სახელიც.

— იქნებ, ჩაყოლა ჯობია? — ფრთხილად შევაპარე.

— სხვებიც მაგას მეუბნებიან, მაგრამ, თუ ერთხელ დავთმეთ, მერე ესენი აღარ მოგვეშვებიან და აკადემიას ბალაგანად გადააქცევენ, — მიპასუხა ბატონმა ალეკომ.

იგი მართალი იყო, იმ დროს სახელდახელოდ შემოღებული ერთსაფეხურიანი, გამარტივებული წესი ე. წ. აკადემიური დოქტორის ხარისხის მისანიჭებლად აშკარად ადასტურებდა, რომ ისინი თანმიმდევრულად აბითურებდნენ ქართულ მეცნიერებას.

მაგრამ ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა, რომ თავხელიძე სულითა და ხორცით მეცნიერი იყო, რომ მისთვის მეცნიერება დასაქმება და კარიერა კი არ იყო, არამედ საქმის კეთება, რომ არ დაუშვებდა მეცნიერების დაბინძურებას. უჭირდა უაზრო მოხსენებების მოსმენა, ერიდებოდა პარტიულ და სხვა შეკრებებს, მიაჩნდა, რომ ეს ყოველივე დროის ფლანგვა იყო.

არც დიდი ღრეობები მოსწონდა, მისთვის მისაღები 4-5-კაციანი სუფრა იყო, ასეთ წრეში უფრო იხსნებოდა. აფასებდა დახვეწილ იუმორს, მოსწონდა კარგად წაკითხული ლექსი, სიმღერა, თავადაც კარგად მღეროდა. პატივს სცემდა ოჯახურ წვეულებებს და თვითონაც გვიწვევდა საკუთარ ოჯახში. მაინც და მაინც დიდ ყურადღებას არც ჩაცმას აქცევდა, რაზეც წუხდა ხოლმე მისი უსათნოესი მეუღლე — მაია მეუნარგია.

ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ერთი კურიოზიც: აკადემიის წინ ვიდექით, მას, როგორც ყოველთვის, ძველი მოკლე ქურთუკი ეცვა და ძველი კეპი ეხურა. ამ დროს უკრაინაში მოღვაწე ერთმა ჩემმა ნაცნობმა მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და მოგვესალმა. მე ბატონი ალეკო გავაცანი... საღამოს ის ჩემი ნაცნობი ტელეფონით შემეხმიანა და იუმორი შემიქო — ვერ წარმოიდგინა, რომ იმგვარად ჩაცმული კაცი შეიძლება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ყოფილიყო. ბატონმა ალეკომ, ამის შესახებ რომ ვუთხარი, ბევრი იცინა: ამაზე არ მიფიქრიაო. შემდგომში ცდილობდა, კოპწიად ჩაეცვა.

ასეთი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეოთხე პრეზიდენტი — გულწრფელი, მართალი, დიდი ფიზიკოსი, ასეთი გვიყვარდა და პატივს ვცემდით... მაშ, რა მოხდა? თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული კაცი რატომ გაიქცა საქართველოდან?

**ათი წელი ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა ის სიმართლე, რომელიც მე ვიცი, ვყოყმანობდი. მეგობრებსაც დავეკითხე და ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა.**

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მთავრობის სპეციალური განკარგულებით მეცნიერებათა აკადემიას გადაეცა სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია აკადემქალაქის ასაშენებლად. მაშინ ეს ადგილები დაუსახლებელი იყო. ჯერ კიდევ ნიკო მუსხელიშვილის პრეზიდენტობის დროს ერთი კორპუსი მტკვრის მხარეს აშენდა კიდეც... შემდეგ მშენებლობები უსახსრობის გამო შეჩერდა, თუმცა აკადემია ტერიტორიას მაინც ინარჩუნებდა.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილი ქაოტური და უკონტროლო სიტუაციაც კარგად გვახსოვს, ისიც, თუ რა დამართეს ქვეყანას ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილმა უვიცმა ჩინოვნიკებმა. საქართველოში ჩამოსულმა ედუარდ შევარდნაძემ აკადემიაში მისვლის დროს „აკადემქალაქის" პროექტი მოიკითხა და შეწუხდა, რომ მწირი ბიუჯეტით ამ პროექტის განხორციელებას ქვეყანა ვერ შეძლებდა. აკადემიის ხელმძღვანელებს მან პროექტის დაკონსერვება შესთავაზა.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ **დროთა განმავლობაში სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია ქალაქის პრესტიჟულ უბნად ჩამოყალიბდა, დაიწყო მისი დატაცების პროცესი, კაპიტალურმა მშენებლობებმაც მასობრივი სახე მიიღო. ბატონი ალეკო ხვდებოდა, რომ სიტუაციის გაკონტროლებას ველარ შეძლებდა, ამიტომ შესაბამისი წერილით მიმართა ხელისუფლებას, მაგრამ დაინტერესებულმა სამთავრობო სტრუქტურებმა საქმე სპეციალურად აურდაურიეს; თუ რატომ, ამასაც კარგად აცნობიერებდა აკადემიის პრეზიდენტი. მოგვიანებით მთავრობამ აკადემიას მიწების ნაწილი ჩამოართვა.**

ცხადი იყო, რომ ამ პროცესებს ვიღაცის „ძლიერი ხელი" მართავდა. სიტუაციამ პიკს სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიაღწია. **ბატონმა ალეკომ რამდენიმეჯერ სცადა სააკაშვილთან შეხვედრა, მაგრამ ამაოდ. იგი არც განათლების მინისტრმა ლომაიამ მიიღო და მოადგილესთან გადაამისამართა. ცხადია, თავხელიძე აცნობიერებდა, რომ ასეთ სიტუაციას ხელოვნურად ქმნიდნენ, რათა აკადემქალაქის ტერიტორიას დაპატრონებოდნენ და მისი, როგორც აკადემიის პრეზიდენტის, დისკრედიტაციაც მოეხდინათ. მან ამის შესახებ ვიწრო წრეში ისაუბრა კიდეც, თუმცა მაშინ ვერც წარმოვიდგენდით სიბინძურის იმ მასშტაბებს, რომელიც ხელისუფლებას ჰქონდა ჩაფიქრებული.**

მისმა სამეგობრომ შეიტყო, რომ პროკურატურისთვის დაევალებინათ, თავხელიძეზე საქმის „შეკერვა". მაგრამ ვფიქრობდით, რომ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერს ასეთ უნამუსობას ვერ აკადრებდნენ. მწარედ მოვტყუვდით.

არც თავხელიძე ელოდა ასეთ პროვოკაციას. პირველად იგი მაშინ შეშფოთდა, როცა გაზეთმა „ქრონიკამ" ჩემზე შეკვეთილი წერილი გამოაქვეყნა. მკითხველს შევახსენებ: ეს ის პერიოდია, როცა ტელედაპატიმრებებმა მასობრივი ხასიათი მიიღო და მაღალი რანგის მოხელეებს პირდაპირ ქუჩაში აკავებდნენ. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბატონ ალეკოს ვუთხარი, რომ დაპატიმრების მოლოდინში ვიყავი. ახლაც მახსოვს მისი შეშფოთებული სახე. — ნუთუ ამას გაბედავენ?! — ჩაილაპარაკა. თუმცა კარგად იცოდა, რომ, თუ სააკაშვილს ასე სურდა, განწირული ვიყავი... ასეც მოხდა — 2004 წლის ივნისში ბრალის წაყენების გარეშე დამაპატიმრეს.

თავხელიძეს, მისივე თხოვნით, ციხიდან შევეხმიანე. ბევრი რამ აინტერესებდა ბატონ ალეკოს, იგი ჩურჩულით მელაპარაკებოდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ აშკარად გრძნობდა, უსმენდნენ, რომ ხელისუფლება საფრთხეს უმზადებდა.

ციხიდან ჩემი გამოსვლა უფრო ხმაურიანი იყო, ვიდრე დაპატიმრება. ტელეკამერები შინაც დამახვედრეს...

კვირა საღამოს, თავხელიძემ დამირეკა და ორშაბათს აკადემიაში მისვლა მთხოვა. დილის 10 საათზე ვეახლე. კაბინეტში ბოლთას სცემდა. მისალმების შემდეგ დეტალურად გამომკითხა დაპატიმრების ამბები. „მეც მიჩხიკინებენ რაცხასო", — მითხრა აღელვებულმა. „ასე როგორ შეიძლება"... „ასე როგორ შეიძლება" — იმეორებდა, შემდეგ მომიბრუნდა, კიდევ შევხვდებითო, — მითხრა და კარამდე მიმაცილა. შევატყვე, რომ ამ თემაზე საუბარი უჭირდა.

ეს შეხვედრა არ ჰგავდა წინანდელ შეხვედრებს. დამშვიდობებაც უცნაური იყო. აშკარად ჩანდა, რომ იგი საკუთარ თავთან დარჩენას ჩქარობდა...

**მეორე დღეს აკადემიაში პრეზიდიუმის სხდომა იყო დანიშნული, რომელსაც ბატონი ალეკო არ დაესწრო. დილის რეისით გაფრინდა მოსკოვში, იქიდან დეპეშით აცნობა კოლეგებს, რომ გაეთავისუფლებინათ დაკავებული თანამდებობიდან...**

მოგვიანებით მხოლოდ ორჯერ შემეხმიანა, არავინ მოუკითხავს, პირადი თხოვნა გააჟღერა მხოლოდ...

როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მისი პროკურატურაში დაბარება და დაკავება უკვე გადაწყვეტილი იყო... მან არ მისცა ხელისუფლებას ამის გაკეთების საშუალება.

სულ ეს იყო ჩემი სათქმელი. მკითხველი მიხვდება, თუ რა დიდ ჭირს გადაურჩა საქართველო გასული წლის 1 ოქტომბერს.

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

**P.S. ალბერ თავხელიძე 2010 წლის 27 თებერვალს უცხოობაში გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვის ტროეკურის სასაფლაოზე. სააკაშვილის რეჟიმმა მშობლიური მიწა არ აღირსა.**



## პოლონელებმა უარი თქვეს იმ უკრაინულ კლუბთან თამაშზე, რომელიც ბანდერელთა სიმბოლიკის პროპაგანდას ეწევა

**პოლონური პატრიოტული ორგანიზაციების მოთხოვნით, უკრაინის ქალაქ ლვოვის საფეხბურთო კლუბ „კარპატის" უარი უთხრეს პოლონური კლუბის — „მელეცის" დაარსებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ „კარპატი" ოფიციალურად უჭერს მხარს უკრაინელი ნაციონალისტების იდეოლოგიას.**

„კარპატიმ" უკვე წელიწადია, ბანდერელთა შავ-წითელი დროშის ფერები კლუბის ფერებად აღიარა, მატჩებზე კი გულშემატკივრებს ყოველთვის მიაქვთ ბანერები სტეფან ბანდერას გამოსახულებით. პოლონეთის ქალაქ მელცის გულშემატკივართა ასოციაციის თავმჯდომარე მარჩინ შემბიდამ განაცხადა, რომ „კარპატი" აღფრთოვანებულია სტეპან ბანდერათი, რომელმაც 1943-1944 წლებში უკრაინაში პოლონელთა გენოციდი მოაწყო, ამიტომ ამ გუნდთან მატჩის გამართვა, პოლონელებისთვის მიუღებელია.



## დააკავეს სახელმწიფო მოხელეები

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქრთამის აღების ფაქტზე სახელმწიფო მოხელეები დააკავა. დაპატიმრებულნი არიან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები ჭალესა და ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულებში.**

გამოძიების ვერსიით, მათ მოქალაქეს ხემცენარეების ადგილწარმოშობის ყალბი ცნობების დამზადების სანაცვლოდ 850 ლარი გამოართვეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე და 341-ე მუხლებით მიმდინარეობს, რომელიც 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

## ედვარდ ლეისი: უკრაინის კრიზისზე პასუხისმგებლობა ნატოსა და აშშ-ს ეკისრება

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე დიდი ბრიტანეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ედვარდ ლეისმა განაცხადა, რომ უკრაინის კრიზისი ნატოსა და აშშ-ის ხელშეწყობით დაიწყო.**

ნატო და აშშ შეეცადნენ, დასავლეთის უპირატესობით ესარგებლათ და გამაგრებულიყვნენ მოსკოვიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებულ პოზიციებზე. ამით ნატომ და აშშ-მა უკრაინის კონფლიქტის პროვოცირება გამოიწვიეს. ლეისის თქმით, ამ ვითარებაში უკრაინისთვის ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ ნატოში არ შევიდეს. ამით ის რუსეთს სამხედრო მოქმედებებისკენ არ უბიძგებს. ევროსაბჭოში დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე პასუხისმგებელი დასავლეთის ქვეყნები არიან.



**გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლეგენდარული მაკედონელის, ნაპოლეონისა თუ სხვა გამოჩენილი მოღვაწის საქმიანობის აღსაწერად სრულიად საკმარისია ერთი ტომი, ხოლო რამდენი ათეული ტომი დასჭირდება სტალინის ნააზრევისა და გაკეთებულის ქაღალდზე გადატანას, მკვლევარებსა და მწერლებს ჯერაც ვერ დაუდგენიათ.**

**მკითხველო! მინდა, დაგარწმუნოთ, რომ, როდესაც სტალინის ფენომენს ეცნობით, საქმე გაქვთ არა ჩვეულებრივი ადამიანის შემოქმედებასთან, არამედ სხვა, უფრო დიდ განზომილებებსა და სულიერ სიმაღლეებთან... ერთხელ ისააკ ნიუტონმა, რომელმაც თავისი კანონებით სიბნელე გაანათა და ღამე დღედ აქცია, თავისი სახლის კარზე ორი ხვრელი გააკეთა — დიდი და პატარა. როცა ჰკითხეს, ასე რატომ მოიქეციო, უპასუხა, იმიტომ, რომ ორი კატა მყავს — დიდი და პატარაო. ფარდობითობის თეორიის ავტორი, უდიდესი მეცნიერი, მიამიტი იყო ცხოვრებისეულ საკითხებში. სტალინის მსგავსი ადამიანი კი, მეცნიერული, პრაქტიკული და ადამიანური თვალსაზრისით, დედამიწაზე არ დაბადებულა.**

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი, როგორც მრავალმხრივი პიროვნება

სტალინი, როდესაც ზუბალოვოს აგარაკის კომენდანტ ეფიმოვს წერილს სწერდა, ვასილი (შვილი) ბებიას (სიდედრს) მოარიდეთ, რადგან ზედმეტი დათმობებით რყვნისო, პარალელურად, აკადემიკოს ნიკოლაი ციცინს ხორბლის მრავალწლიანი ჯიშის გამოყვანაზე ესაუბრებოდა, მისაღებში კი ჰიდროტექნიკის სპეციალისტ, აკადემიკოსი ჟუკი ელოდებოდა, კუიბიშევის ელექტროსადგურის ტექნოლოგიური პროექტის გეგმის მისაღებად.

***ამ პერიოდში გადამწყვეტ ფაზაშია მოსკოვის მეტროპოლიტენის დაპროექტება სტალინის მიერ შემუშავებული გეგმით.**

*თავაუღებლად მუშაობს „მფრინავი ტანკის" ტექნიკურ პირობებზე, რომლის დეტალებიც, ეს-ეს არის, უნდა გადასცეს კონსტრუქტორს; *საათობით უსმენს და სათანადო დასკვნებს აკეთებს რადიოლოკაციის სპეციალისტის, აკადემიკოს ბერგის ლექციებიდან;

***უშუალოდ არის ჩართული კონსტრუქტორ გრაბინთან ერთად ზარბაზნების დეტალების სრულყოფის საქმეში და საგამოცდო პოლიგონზე ამბრაზურიდან თვალყურს ადევნებს სროლის შედეგებს;**

*ინსტრუქტორ კოშკინთან ერთად ქმნის ლეგენდარულ ტანკს — ტ-34-ს და მასზე სტალინის უშუალო მითითებებით ამონტაჟებენ შესაფერისი დიამეტრის ქვემეხს;

***აშენებს დღემდე საოცრებად მიჩნეულ სტალინურ მაღლივ შენობებს;**

*აძლევს შენიშვნებს კარიკატურისტ ეფიმოვს, რომ სამურაის დახატვა ეშვებით არ შეიძლება, რადგან ეს „ეროვნული ღირსებების შელახვაა";

***კომპოზიტორ ალექსანდრე ალექსანდროვს ურჩევს რეპერტუარს და უზუსტებს ტონალობას;**

*ალექსანდრე კორნეიჩუკთან ერთად კონსპირაციულად წერს პიესა „ფრონტს" და აქვეყნებს გაზეთ „პრავდაში.

***დეტალურად იხილავს მოსკოვის დაცვის საკითხს და პარალელურად პოლიტბიუროს სხდომაზე გამოაქვს საკითხი საქართველოში მეცნიერებათა აკადემიის გახსნის თაობაზე;**

*სტალინგრადის დაცვის მსოფლიოში არნახული ბრძოლების ფონზე, პოლიტბიუროს სხდომაზე გააქვს საკითხი ფრონტიდან სპორტსმენთა გამოწვევისა და 1943 წლის შემოდგომაზე სპორტის რამდენიმე სახეობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ჩატარების თაობაზე;

***უშუალოდ ხელმძღვანელობს კინოფილმ „გიორგი სააკაძის" როგორც სცენარის, ასევე გადაღების ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას;**

*დიდ და მოსკოვის მხატვრულ აკადემიურ თეატრებში უშუალოდ ხელმძღვანელობს, როგორც რეპერტუარის შედგენას, ასევე მისი განხორციელების მიმდინარეობას;

***უდიდეს ძალისხმევას ახმარს საპარაშუტო სპორტის განვითარებას და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას;**

*საბჭოეთის უკიდეგანო ტერიტორიაზე გაჰყავს სარწყავი არხები და აშენებს მილიონობით ჰექტარ ქარსაცავ ზოლს;

***შეიმუშავებს ბერლინის ოპერაციას, რომელიც ომების ისტორიაში კლასიკური ოპერაციის ნიმუშად ითვლება, რომ არაფერი ითქვას, ათ სტალინურ დარტყმაზე და 227-ე ბრძანებაზე, „რომელთა ავტორობაც ისევე მიეწერება ღმერთს, როგორც ადამიანს".**

**ლეგენდარული მაკედონელის, ნაპოლეონისა თუ სხვა გამოჩენილი მოღვაწის საქმიანობის აღსაწერად სრულიად საკმარისია ერთი ტომი, ხოლო რამდენი ათეული ტომი დასჭირდება სტალინის ნააზრევისა და გაკეთებულის ქაღალდზე გადატანას, მკვლევარებსა და მწერლებს ჯერაც ვერ დაუდგენიათ.**

აი, ასეთი თანამემამულე გყავთ, ქართველებო, და მის მიმართ უმადურობას იჩენთ?! მოდი, ერთად გავაანალიზოთ სტალინის მოქმედება, მისი ნააზრევი და მის მიერ გაკეთებული საქმეები, იქნებ გული მოგიბრუნდეთ:

**1936 წელს სტალინმა გადაწყვიტა, კუიბიშევში აშენებულიყო გიგანტური ჰიდროელექტროსადგური, რომლისთვისაც მან თავისთან მიიწვია საბჭოთა ჰიდროტექნიკოსი, აკადემიკოსი სერგეი ჟუკი. როცა მეცნიერს თავისი მოსაზრებები გააცნო დაუმატა:**

— თქვენ ნუ მოცდებით იმის გარკვევაზე, ვარგა თუ არა ეს ადგილი ჰიდროელექტროსადგურისთვის, ეს ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ, ელექტროსადგური იქ უნდა აშენდეს და იცით, რატომ? ელექტროსადგურში მოხმარებული წყალი უნდა გამოვიყენოთ მოსარწყავად და ამისთვის ის უფრო ადვილად მიიღებს წყალს ვოლგიდან, ამასთანავე, აქედან უფრო იოლია ელექტროენერგიის გადაცემა სხვა რეგიონებისთვის. გარდა ამისა, ამ ელ-



**«ზუსტი გაანგარიშების შემდეგ, — იგონებს სერგეი ჟუკი, — ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩვენი მონაცემები სტალინის ზეპირად ნათქვამ მონაცემებს დაემთხვა. ყველა გიგანტური მშენებლობის გეგმა და პროექტი ხომ სტალინის კაბინეტში და მის სამუშაო მაგიდაზე იქმნებოდა»**

ექტროსადგურისთვის საჭირო არხის სამარის არხთან შეერთებით 140 კილომეტრით მოკლდება სამდინარო გზა ვოლგაზე, რომელიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს. სწორედ ამ საკითხების გადასაწყვეტად მოგიწვიეთ თქვენ.

— მჭირდება ათი დღე და თანხმობა კუიბიშევში გამგზავრებაზე, — უპასუხა ჟუკმა.

— თანახმა ვარ, წაბრძანდით კუიბიშევში.

კუიბიშევში ჩასული მეცნიერი საფუძვლიანად გაეცნო ჰესისთვის საჭირო ადგილმდებარეობას და შეეცადა, სპეციალისტებთან ერთად განესაზღვრა, რა სიდიდის რაბები უნდა გაჭრილიყო. ზოგიერთი მეცნიერისა და პრაქტიკოსის აზრით, რაბები გიგანტური უნდა ყოფილიყო, ზოგიერთის აზრით კი — საშუალო. ჟუკი დაუკავშირდა სტალინს და მოახსენა, რას ფიქრობდა რაბების ზომის შესახებ. სტალინმა უპასუხა:

— თქვენ მაგაზე ნუ შეწუხდებით, ეს გარკვეულია.

და სტალინმა ზეპირად უთხრა რაბის სიღრმის, ფსკერისა და ზედაპირის ზომები.

**„ზუსტი გაანგარიშების შემდეგ, — იგონებს სერგეი ჟუკი,** — ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ჩვენი მონაცემები სტალინის ზეპირად ნათქვამ მონაცემებს დაემთხვა. ყველა გიგანტური მშენებლობის გეგმა და პროექტი ხომ სტალინის კაბინეტში და მის სამუშაო მაგიდაზე იქმნებოდა.

1937 წელს სტალინის კაბინეტში პროექტის განხილვა მიმდინარეობდა. კედელზე კუიბიშევისა და საბჭოთა კავშირის დიდი რუკები ეკიდა. რუკასთან ჯოხით ხელში სტალინი იდგა და პროექტზე საუბრობდა. პირველ რიგში, მან ის ადგილები მოხაზა, რომლებიცHჰესის მიერ მოხმარებული წყლით უნდა მორწყულიყო. შემდეგ ელექტროენერგიაზე გადავიდა და განსაზღვრა ის ცენტრალური რაიონები, რომლებსაც ელექტროენერგია კუიბიშევიდან უნდა მიეღოთ.

**როდესაც სტალინს ვუყურებდი, ვხედავდი, რომ საუბარი არ იყო აშენდებოდა, თუ არა ჰესი. ჰესი აუცილებლად აშენდებოდა!..**

**სტალინის თვითდაჯერებულობა ჩვენზეც გადმოდიოდა და ჩვენი შრომის ნაყოფიერება და მონდომება განუხრელად იზრდებოდა. ვმუშაობდით დღე და ღამე, შეუსვენებლად, ხალისითა და აღფრთოვანებით.**

1938 წელს კვლავ გამომიძახეს სტალინთან. მაგიდაზე გაშლილი იყო რუკები, სქემები, ნახაზები, მაკეტები. ხანგრძლივ საუბარში სტალინმა ყველა წვრილმანი განიხილა და საბოლოოდ გადაწყვიტა მშენებლობის დაწყება. იმ საღამოს სტალინმა დაამტკიცა მშენებლობის გეგმა და სადგური ორ ნაწილად გაყო. უნდა აშენებულიყო ორი დამოუკიდებელი ელექტროსადგური: ერთი — „პერევოლოკაში", მეორე — ჟიგულის მაღლობთან, წყალსაცავის გვერდით.

გადავწყვიტეთ, ოთხი რაბის ნაცვლად, ორი გაგვეკეთებინა და ეს, რა თქმა უნდა, სტალინს მოვახსენეთ, მაგრამ მან ჩვენი მოსაზრების მცდარობაში დაგვარწმუნა:

— თუ მხოლოდ ორ რაბს ავაშენებთ, ვოლგაზე 140 კილომეტრით გზის შემოკლება არ გამოგვივა, რაც ეკონომიკურ ეფექტს დაგვაკარგვინებს!

სტალინი მართალი იყო და ჩვენც, რა თქმა უნდა, დავეთანხმეთ. როდესაც საუბარი მორწყვაზე გადავიდა, მას ვაჩვენეთ დაწვიმებითი მორწყვის აგრეგატი, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში ათვალიერებდა, ბოლოს კი გვითხრა:

— მცენარე გაცილებით უკეთესად იღებს სინესტეს მაღლიდან, გარდა ამისა, წვიმის დროს ფოთლებიდან ირეცხება ის მავნებლები, რომლებიც მასზე ბუდობენ, ამიტომ დაწვიმებით რწყვა კარგი საქმეა, ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოდ!

1939 წელს ჯერი მიდგა ტურბინების შერჩევაზე. იმხანად ათვისებული იყო ცხრა მეტრის დიამეტრის ტურბინები, რომლებსაც 55 000 კილოვატის გამომუშავება შეეძლო. თუ ტურბიhნის დიამეტრს 50-100 სანტიმეტრით გავზრდიდით, გამომუშავებული კილოვატსაათების რაოდენობა 200 000-ს მიაღწევდა. ამის შესახებ სტალინს მოვახსენე.

— შეიძლება, ვიფიქროთ ამაზე, — მითხრა სტალინმა, — მაგრამ არა მგონია, ამის აუცილებლობა გვქონდეს. ცხრამეტრიანი ტურბინების გამოშვება ქარხანას ათვისებული აქვს, იქნებ დავკმაყოფილდეთ ამით, მით უმეტეს, რომ კუიბიშევში წყლის დინება უფრო ჩქარია, ვიდრე რიბინსკზე და საშუალება გვექნება, მივიღოთ 170-180 ათასი კილოვატი, რაც დამაკმაყოფილებელია.

კუიბიშევის ჰესი ექსპლოატაციაში 1950-იან წლებში შევიდა. **კონსტრუქტორი ვალერი გრაბინი** თა- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სტალინი, როდესაც ზუბალოვოს აგარაკის კომენდანტ ეფიმოვს წერილს სწერდა, ვასილი (შვილი) ბებიას (სიდედრს) მოარიდეთ, რადგან ზედმეტი დათმობებით რყვნისო, პარალელურად, აკადემიკოს ნიკოლაი ციცინს ხორბლის მრავალწლიანი ჯიშის გამოყვანაზე ესაუბრებოდა, მისაღებში კი ჰიდროტექნიკის სპეციალისტი, აკადემიკოსი ჟუკი ელოდებოდა, კუიბიშევის ელექტროსადგურის ტექნოლოგიური პროექტის გეგმის მისაღებად.




**სტალინი ბლინდაჟიდან ამოწმებდა ჩემი ქვემეხის ვარგისიანობას და თვალყურს ადევნებდა გამოსაცდელად გამოტანილი ქვემეხებიდან სროლის შედეგებს. როდესაც ბოლო ქვემეხმაც გაისროლა, სტალინმა წამოიძახა: «მორჩა!» და ამბრაზურას მოშორდა. მომიბრუნდა და დამისვა შეკითხვები: — რა სიშორეზე იღებდა მიზანს ქვემეხი? როგორი იყო ყველა სახის ჭურვის მოქმედება სამიზნის მიმართ? როგორი იყო ჯავშანის მსხვრევის შედეგი, ზარბაზნის სიმყარე და ა.შ.**

◀ვის მოგონებებში წერს: „სტალინი ბლინდაჟიდან ამოწმებდა ჩემი ქვემეხის ვარგისიანობას და თვალყურს ადევნებდა გამოსაცდელად გამოტანილ ქვემეხებიდან სროლის შედეგებს. როდესაც ბოლო ქვემეხმაც გაისროლა, სტალინმა წამოიძახა: „მორჩა“ და ამბრაზურას მოშორდა. მომიბრუნდა და დამისვა შეკითხვები:

— რა სიშორეზე იღებს მიზანს ქვემეხი? როგორია ყველა სახის ჭურვის მოქმედება სამიზნის მიმართ? როგორია ჯავშანის მსხვრევის შედეგი, ზარბაზნის სიმყარე და ა. შ.

ბლინდაჟიდან ამოვედით და სვლა განვაგრძეთ. ჩაფიქრებულმა სტალინმა თქვა:

— იარაღი კარგია, მაგრამ ის უნდა გვქონდეს ბევრი და უნდა გვქონდეს დღესვე. ზოგიერთი საკითხი კი ჯერ კიდევ გადაუჭრელია. რაც მთავარია, გყავს ჩვენი კადრი.

ჩვენთან ერთად მოდიოდა კონსტრუქტორი მახანოვი. არც მე და არც მას ხმა არ ამოგვიღია, რადგან სტალინი ჩვენ არ გველაპარაკებოდა, ის ხმამაღლა ფიქრობდა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ სტალინი შეჩერდა და მახანოვს მიუბრუნდა: — ამხანაგო მახანოვ, გააკრიტიკეთ გრაბინის ქვემეხი!

ამას არც ერთი არ ველოდით. ჩაფიქრებულმა კონსტრუქტორმა უპასუხა: — გრაბინის ქვემეხზე ძვირის თქმა არ შეიძლება.

ჩემი ჯერიც დადგა.

— ამხანაგო გრაბინ, გააკრიტიკეთ მახანოვის ქვემეხი!

ვუპასუხე, რომ მახანოვის ქვემეხს აქვს სამი ნაკლი. Mმე მოკლედ დავახასიათე სამივე და დავუმატე, რომ ამ სამი ნაკლის გამოსწორების გარეშე ქვემეხის გამოყენება არასასურველია. გავჩუმდი. დუმდნენ სტალინიცა და მახანოვიც. არ ვიცოდი, როგორ მიიღებდნენ ჩემს სიტყვებს ან ერთი, ან მეორე. ვღელავდი... ცოტა ხნის დუმილის შემდეგ სტალინმა მომმართა:

— აბა, ახლა შენი ქვემეხი გააკრიტიკე.

მე მოვახსენე, რომ ჩემს ქვემეხს აქვს სხვადასხვა ნაკლი, თუმცა არა ისეთი მნიშვნელოვანი, რომ მან არ ივარგოს საბრძოლო მოქმედებებისას, მაგრამ, თუ ნაკლოვანებები გამოსწორდება, ეს კიდევ უფრო გაზრდის მის ბრძოლისუნაhრიანობას.

— ეს კარგია, ასე თამამად და საფუძვლიანად რომ აკრიტიკებთ თქვენს ქვემეხებს, ეს ნიშნავს, რომ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია და კოლექტივიც მზარდი და ჯანმრთელია. ერთი ეს მითხარით, რომელია, თქვენს ქვემეხებს შორის ისეთი, რომლის შეყვანაც დღესვე შეიძლება შეიარაღებაში?

ამ კითხვას არ ველოდი. ვდუმდი. სტალინმა კითხვა კვლავ გამიმეორა.

— ამხანაგო სტალინ, ქვემეხი ჯერ უნდა გამოიცადოს და შემდეგ გადაეცეს შეიარაღებას.

— ეს სწორია, მაგრამ იცოდეთ, უნდა ვიჩქაროთ, დრო არ გვიცდის. მითხარით, რომელი ქვემეხია ის, რომელსაც გადავცემთ შეიარაღებას.

იძულებული ვიყავი, დამესახელებია „ჟელტენკა“.

— რატომ მაინცდამაინც ის და არა სხვა?

— ეს უკეთესია, ვიდრე ეფ-22.

— რით არის უკეთესი?

— უფრო გვიან დავაპროექტეთ და ამიტომ მასში გავასწორეთ დაშვებული უზუსტობანი.

— ეს კარგია და სწორია. ახლა თქვენს ქვემეხს გავგზავნით ლენინგრადში — დაე, იქ სამხედროებმა გამოსცადონ. მგონი, სწორად გაგიგეთ, რომ ამ ქვემეხში უცხოური არაფერია.

— დიახ, ამხანაგო სტალინ, ეს ქვემეხი ჩვენს საკონსტრუქტორო ბიუროში შეიქმნა, სამამულო ნედლეულისგან მიღებული მასალებითა და სამამულო მანქანა-იარაღებით.

— შესანიშნავია, — თქვა სტალინმა.

— ამხანაგო სტალინ, არასოდეს მომხდარა, რომ იარაღი გამოცდის გარეშე არმიას გადასცემოდა, — განვუცხადე მე.

— არასოდეს მომხდარა? ახლა მოხდება. ჩვენ უნდა დავზოგოთ დრო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, მწარედ დავიგვიანოთ. თქვენს ქვემეხს პირდაპირ პოლიგონზე გავგზავნით, დავაჩქარებთ საკითხის გადაწყვეტას.

Mმეორე დღეს, 1935 წლის 15 ივნისს, კრემლში გაიმართა თათბირი, რომელსაც მოლოტოვი თავმჯდომარეობდა. იხილებოდა საკითხი ქვემეხებით საბჭოთა ჯარების შეიარაღების თაობაზე. მრავალი გამომსვლელის შემდეგ შემაჯამებელი სიტყვა სტალინმა თქვა:

— უნივერსალური ქვემეხი ვერ გადაწყვეტს ყველა საომარ მოქმედებას. თქვენ, ამხანაგო გრაბინ, იმუშავეთ სადივიზიო ქვემეხებზე. თქვენ კი, ამხანაგო მახანოვ, — საზენიტო ქვემეხებზე. გრაბინის ქვემეხი კი დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს პოლიგონზე“.

**სწორედ გრაბინის ქვემეხი აღმოჩნდა საუკეთესო მეორე მსოფლიო ომში. 1942 წლის 1 იანვარს სტალინმა გრაბინს სტალინური პრემიით დაჯილდოებისას განუცხადა: „თქვენმა ქვემეხმა იხსნა რუსეთი!“**

**მიხეილ კოშკინი** მსოფლიოში სახელგანთქმული ტანკის — ტ-34-ის კონსტრუქტორია. ერთხელ ის კრემლში ესწრებოდა პოლიტბიუროს სხდომას, რომელზეც ამ ტანკზე დამონტაჟებული ქვემეხის ლულის საკითხი იხილებოდა.

„ვოროშილოვს, რომელიც ფეხზე იდგა და ხელში პოლიტბიუროს დადგენილების პროექტი ეჭირა, სტალინი მიუახლოვდა და ქაღალდის ფურცელი გამოართვა. ჩაიკითხა და ჯავშნიანი მანქანების სამმართველოს უფროსს — ფედორენკოს მიმართა:

— რა ტაქტიკურ-ტექნიკური მაჩვენებლებით გამოირჩევა ახალი ლულა ძველისგან?

ფედორენკომ დაიწყო ახსნა, რომ ახალი ლულა მხოლოდ ჩამოსასხმელ საამქროში მზადდება, მაშინ, როდესაც ძველი ლულა სხვადასხვა საამქროში მზადდებოდა.

— მე გეკითხებით, — გაუმეორა სტალინმა, — ტაქტიკურ-ტექნიკურ განსხვავებაზე და არა დამზადების ტექნოლოგიაზე, ვინ არის დაკავებული თქვენთან სამხედრო ტექნიკით?

ფედორენკომ გენერალი ლებედევი დაასახელა.

— აქ არის ლებედევი?

— აქ ვარ, — უპასუხა გენერალმა.

— მე თქვენ გეკითხებით, რა ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებით განსხვავდება ახალი ლულა ძველისგან?

ლებედევმა იგივე გაიმეორა, რაც მისმა უფროსმა მოახსენა სტალინს.

სტალინმა მრისხანედ შეხედა გენერალს და უთხრა:

— თქვენ სად მსახურობთ — არმიაში თუ მრეწველობაში? მესამედ გეკითხებით: რა ტაქტიკურ-ტექნიკური განსხვავებაა ძველსა და ახალ ლულებს შორის. თქვენ კი მელაპარაკებით მისი ჩამოსხმის ტექნოლოგიაზე, ხომ არ სჯობს, წარმოებაში გადახვიდეთ.

„ვიფიქრე, — წერს კოშკინი — რომ პოლიტბიუროზე ეს საკითხი ჩავარდებოდა, რადგან მომხსენებლები საქმის კურსში არ იყვნენ, ხოლო ძველის ახლით შეცვლა აუცილებელი და საჭიროა. სწორედ ეს მაწუხებდა, როდესაც ხელი ავწიე და სტალინს სიტყვა ვთხოვე. სტალინმა ჩემ მხარეს გამოიხედა და მკაცრად თქვა:

— მე კითხვა დავსვი ტაქტიკურ-ტექნიკურ მახასიათებლებზე.

— სწორედ ამაზე მინდა, გიპასუხოთ, — მივუგე მე.

— შენ რა, სამხედრო ხარ?

— არა.

— რა გინდათ, თქვათ? — უკმაყოფილო სახით გადმომხედა სტალინმა.

წამოვდექი და ვუთხარი:

— სხვადასხვა ნაწილებისგან შემდგარ ლულას არასწორი ზედაპირი ჰქონდა და სიგლუვე აკლდა. ჰქონდა შედუღების ხაზები — ახალი ლულა გლუვზედაპირიანია და ნაკერის გარეშე ერთიანად არის ჩამოსხმული, რის გამოც პოლიგონზე ლულის გამოცდის შედეგები შთამბეჭდავია და სტალინს გადავაწოდე ფურცელი ორივე ლულის გამოცდის შედეგებით.

სტალინმა ბოლომდე ჩაიკითხა მიწოდებული ინფორმაცია და ფურცელი უკან დამიბრუნა.

— ეს განსხვავება უკვე სერიოზულია, — განაცხადა სტალინმა.

ნელი ნაბიჯით გაიარა და უკან მობრუნებულმა იკითხა:

— მითხარით, როგორ იმოქმედებს ახალი ლულა ტანკის წონასწორობაზე. კონსტრუქტორი აქ არის?

კონსტრუქტორი წამოდგა და თქვა:

— თუ იმოქმედებს, იმოქმედებს უმნიშვნელოდ, ამხანაგო სტალინ.

— უმნიშვნელოდ! ეს არ არის საინჟინრო ტერმინი. თქვენ თუ იანგარიშეთ?

— არა, არ მიანგარიშია.

— რატომ? ეს სამხედრო ტექნიკაა, კონსტრუქტორის თვალს ეს არ უნდა გამოეპაროს. რა წონით დააწვება იგი ტანკის წინა ხიდს და რა დატვირთვას გაუზრდის ან შეუმცირებს მას?

კონსტრუქტორმა უპასუხა:

— უმნიშვნელოდ.

— რას აიჩემე ეს „უმნიშვნელო“. მითხარი, იანგარიშე თუ არა ეს?

— არა, — ჩუმად უპასუხა კონსტრუქტორმა.

სტალინმა დადგენილების პროექტი მაგიდაზე დადო და განაცხადა:

— გთავაზობთ, გადავდოთ ეს საკითხი, როგორც მოუმზადებელი. გავაფრთხილოთ ამხანაგები, რომ ისინი ასეთი პროექტებით პოლიტბიუროზე არ უნდა გამოცხადდნენ. ახალი პროექტის მოსამზადებლად გამოვყოთ ჯგუფი, რომელშიც შევლენ: ფედორენკო, შემდეგ ხელით ანიშნა მანქანატრაქტორთა მრეწველობის მინისტრ აკოფოვზე და თითი გამოიშვირა ჩემკენ“, — ასე ამთავრებს მიხეილ კოშკინი იმდღევანდელ მოგონებებს.

**1933 წელს წითელი არმიის ცენტრალურ სასახლეში კონცერტი გაიმართა, რომელსაც მთავრობის სხვა წევრებთან ერთად სტალინიც ესწრებოდა. კონცერტში მონაწილეობდა წითელი არმიის სამხედრო ანსამბლი ალექსანდროვის ხელმძღვანელობით, რომელიც 25 კაცისაგან შედგებოდა.**

კონცერტის შემდეგ სტალინმა თავისთან მოიხმო ანსამბლის ხელმძღვანელი, შეუქო საქმიანობა და დაუმატა, რომ რეპერტუარში უნდა შეიტანოს რუსული ხალხური ცეკვები და სიმღერები, ხაზი გაუსვა ანსამბლის მცირერიცხოვნობას და ურჩია, წევრები დაემატებინა.

ალექსანდროვმა მორიდებით შენიშნა, რომ ანსამბლი სამხედროა და ამიტომ თავი შეიკავა ხალხური თვითშემოქმედებისგან, ხოლო რიცხოვნობა ხარჯებთან არის დაკავშირებული.

— გაბედულად იმოქმედეთ. პროგრამაში შეიტანეთ რაც შეიძლება მეტი ხალხური შემოქმედება, რიცხოვნობა კი გაზარდეთ! — მისცა დავალება სტალინმა.

კრემლში გამართული კონცერტის შემდეგ, რომელზეც ანსამბლმა შეასრულა სიმღერა „ვოლჟსკაია ბურლაცკაია“, სტალინმა თავის ლოჟაში იხმო ალექსანდროვი და უთხრა: — შესანიშნავი სიმღერაა, მაგრამ რაღაც აკლია.

— ვერ ვხვდები, რა აკლია, ამხანაგო სტალინ, — უპასუხა ალექსანდროვმა.

— თქვენ კომპოზიტორი ხართ, დაფიქრდით, მიხვდებით, — დაარიგა სტალინმა.

შინ მისული კომპოზიტორი როიალს მიუჯდა და რამდენიმეჯერ დაუკრა მელოდია. ბოლოს აღმოაჩინა, რომ შეცდომა მართლა იყო დაშვებული. მეორე სტროფი ბოლოში გადაიტანა და ნახევარი ტონით აუწია. კომპოზიტორი გაკვირვებას ვერ მალავდა, რატომ ვერ შენიშნა თვითონ ეს შეცდომა, რომლის გასწორებამაც სიმღერას სულ სხვა ჟღერადობა და ტემპერამენტი შესძინა.

ერთ-ერთ კონცერტზე ანსამბლმა შეასრულა სიმღერა „შეკაზმეთ, ბიჭებო, ცხენები“ მარშის სტილში, სტალინმა ხელმძღვანელს შენიშვნა მისცა.

— მგონია, რომ ეს სიმღერა არა მარშის, არამედ ნელ ტემპში უნდა იმღეროთ, ეს ხომ გაშლილი სტეპის სიმღერაა?!

**მე-17 ყრილობის შემდეგ კრემლში გამართულ კონცერტზე ანსამბლმა შეასრულა სიმღერა პარტიაზე ლებედევ-კუმაჩის ტექსტის მიხედვით. სტალინის თხოვნით, სიმღერა გაიმეორეს, მაგრამ უნდა გაეთვალისწინებინათ სტალინის თხოვნა, რომ ემღერათ უფრო საზეიმოდ, როგორც ჰიმნი.**

სტალინს სიმღერის მეორე ვარიანტი ძალიან მოეწონა და ანსამბლს სთხოვა, მისთვის დაერქმიათ არა „სიმღერა პარტიაზე“, არამედ „ბოლშევიკური პარტიის ჰიმნი“.

ერთ-ერთ კონცერტზე, რომელსაც სტალინი და ვოროშილოვი ესწრებოდნენ, ალექსანდროვის ანსამბლის წამყვანმა მოცეკვავემ სახუმარო ხალხური ცეკვა აკრობატული ილეთებით შეასრულა. ადრე მოწონებული ეს ნომერი ამჯერად მაყურებელმა არ მიიღო. არ მოიწონეს მთავრობის ლოჟაშიც. ჩაფიქრებული ალექსანდროვი უფრო აღელდა, როდესაც კულისებში ვოროშილოვი შევიდა (როგორც ჩანს, სტალინის დავალებით).

— რატომ არ მოგეწონათ, ამხანაგო კლიმენტ ეფრემის ძევ, ეს ცეკვა? — იკითხა ალექსანდროვმა.

— არიან კომიკოსები და არიან შერეკილები. თქვენი მოცეკვავე, რომელიც სახუმარო ცეკვას ასრულებდა სცენაზე, გამოიყურებოდა არა როგორც კომიკოსი, არამედ როგორც შერეკილი. სად ნახა თქვენმა მოცეკვავემ აკრობატული ილეთებით შესრულებული ხალხური ცეკვა?

„1943 წელს, პირველი გამარჯვების აღსანიშნავი სალუტის შემდეგ კონცერტი გავმართეთ, მთელი შემადგენლობითა და მთელი მონდომებით შევასრულეთ „ბოლშევიკური პარტიის ჰიმნი“, ოღონდ ნახევარი ტემპით ნელა და ნახევარი ტონით დაბლა. სტალინს მოეწონა სიმღერა და გაღიმებულმა თქვა: „ეს იქნება საბჭოთა კავშირის ჰიმნი“, — იგონებს გიორგი ალექსანდროვი.

სტალინის მიერ შექმნილი და მოწონებული ეს მელოდია დღესაც ჟღერს და ამცნობს დედამიწას სტალინისა და რუსეთის არსებობას.

**P.S. გაზეთის წინა, 35-ე ნომერში დაბეჭდილ მასალაში („სტალინი და თანამედროვეობა“) გამოყენებული იყო ანონიმი ავტორის, ი. მ.-ს მასალები.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## შვედეთი ნატოს წევრობისკენ არ მიილტვის

**შვედეთის ახალმა პრემიერმინისტრმა სტეფან ლევენმა თავისი მთავრობის შემადგენლობა და სამუშაო პროგრამა გამოაცხადა.** შვედეთის ახალ მთავრობას განზრახული აქვს თავდაცვის განმტკიცება და ამ სფეროში ჩრდილოეთის ქვეყნებთან თანამშრომლობა, ამასთანავე, „შვედეთი არ აპირებს ნატოს წევრობას“. შვედეთის ახალი მთავრობა პირველ რიგში შესასრულებელ ამოცანად მავნე გამონაბოლქვის შემცირებას მიიჩნევს — ატომური ელექტროსადგურების ყველა რეაქტორი უნდა შეიცვალოს ენერგიის სხვა წყაროების მოწყობილობებით. აგრეთვე, იგეგმება დიდი ინვესტიციების ჩადება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.



### ჯო ბაიდენი:

## ევროკავშირს არ სურდა რუსეთისთვის სანქციების დაწესება, მაგრამ ობამამ აიძულა!

**„ბარაკ ობამამ ევროპა რთულ მდგომარეობაში ჩააყენა: მან ევროკავშირის ქვეყნები აიძულა, ეკონომიკური ზარალის მიუხედავად, რუსეთის წინააღმდეგ ემოქმედა,“** — თქვა აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა.

**„ეს მართალია, რომ მათ (ევროკავშირის ქვეყნებს) ეს (სანქციების დაწესება) არ სურდათ. მაგრამ ამას პრეზიდენტი დაჟინებით მოითხოვდა“,** — განაცხადა ჯო ბაიდენმა ჰარვარდის უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას. მან დაადასტურა, რომ ობამამ აიძულა ევროპა, სანქციები შემოეღო რუსეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამით ევროკავშირის ქვეყნები ეკონომიკურად დაზარალდებოდნენ: **„იმისათვის, რომ რუსეთს სრულად ეზღო თავისი პოლიტიკის გამო, მოგვიწია, ევროპა რთულ მდგომარეობაში ჩაგვეყენებინა“.**

# უტოია — შავი ლაქა ნატოს ახალი გენმდივნის ბიოგრაფიაში

**1 ოქტომბერს ანდერს ფოგ რასმუსენმა ნატოს გენერალური მდივნის პოსტი დატოვა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — ნორვეგიის ყოფილი პრემიერმინისტრი, 55 წლის იენს სტოლტენბერგი.**



იენს სტოლტენბერგი

ნატოს გენერალური მდივნობის 5-წლიან პერიოდში რასმუსენს ორი პრიორიტეტული მიმართულება ჰქონდა: რუსეთთან ურთიერთობა და ომი ავღანეთში. მისი მუშაობა ორივე მიმართულებით წარუმატებლად დასრულდა.

**დღეს ნატოსა და კრემლის ურთიერთობა იმაზე უკეთესი არ არის, ვიდრე ცივი ომის პერიოდში იყო, არადა, ნატოს გენერალური მდივნის პოსტის დაკავებისას რასმუსენმა პირობა დადო, რომ ძალისხმევას არ დაიშურებდა რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.** რაც შეეხება ავღანეთს, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ძალებმა 13 წლის განმავლობაში ვერ შეძლეს ამ ქვეყანაში ვითარების სტაბილიზება.

**„ნატო არ მიისწრაფვის რუსეთთან კონფრონტაციისკენ. მაგრამ ჩვენ საფრთხის ქვეშ არ დავაყენებთ ჩვენს პრინციპებს, რომლებსაც ალიანსი ეფუძნება, აგრეთვე, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოებას. ძლიერ ნატოს შეუძლია, ააწყოს ურთიერთობები რუსეთთან ჩრდილოატლანტიკური ინტერესების გათვალისწინებით,“** — განაცხადა ნატოს ახალმა გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა 1 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ პირველ თათბირზე.

**ნატოს ახალი გენერალური მდივნის ბიოგრაფიაში შავ ლაქად დარჩება 2011 წელს კუნძულ უტოიაზე მომხდარი ინციდენტი, როდესაც ანდერს ბრეივიკმა 65 ახალგაზრდა სიცოცხლეს გამოასალმა, მათ შორის, ქართველი თამთა ლიპარტელიანიც.** მედიასაშუალებების აზრით, ანდერს ბრეივიკის მიერ ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა სტოლტენბერგსაც ეკისრება. საქმე ის არის, რომ მთავრობის მეთაურის პოსტზე ყოფნისას, სტოლტენბერგის განკარგულებით ნორვეგიის შიგა უსაფრთხოებაზე დანახარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, კუნძულ უტოიაზე პოლიციის უბანი გაუქმდა.

ალიანსის უსაფრთხოების მთავარ პრობლემად ახალმა გენმდივანმა უკრაინაში რუსეთის და ერაყში დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედებები დაასახელა.



## გერმანიაში, შესაძლოა, ინცესტი დააკანონონ

**„გერმანიაში ეთიკის საკითხების სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ინცესტი აკრძალვა „მოძველდა“ და „არღვევს გერმანიის მოქალაქეების სექსუალური თვითგამოხატვისა და თვითგამორკვევის უფლებებს“. — იუწყება The Telegraph-ი.**

ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ, მაგალითად, საფრანგეთში ინცესტის აკრძალვა 2 საუკუნის წინათ გააუქმა ნაპოლეონმა. ახლა კი მეზობლებს შეიძლება, გერმანელებმაც მიჰბაძონ.

ეთიკის საკითხების სახელმწიფო საბჭომ ინცესტის პრობლემებზე მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, როდესაც საქსონიის მცხოვრებნი პატრიკ ს. და სიუზან კ. სისხლის აღრევაში დაადანაშაულეს (აღსანიშნავია, რომ პატრიკს სამი წლით აღუკვეთეს თავისუფლება და დასთან ინტიმური ურთიერთობა აუკრძალეს). ამ წყვილის ისტორიამ დიდი სკანდალი გამოიწვია გერმანელ საზოგადოებაში. გაირკვა, რომ **სხვადასხვა ოჯახში გაზრდილმა და-ძმამ ერთმანეთი გაიცნეს, როდესაც პატრიკი 20 წლის იყო, სიუზანი კი — 16-ის. ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, და-ძმა იყვნენ, ორი ბავშვი გააჩინეს — ორივე ინვალიდი.**

ამ საშინელმა გარემოებამ ვერ შეაჩერა ეთიკური საკითხების საბჭოს წევრები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ინცესტზე აკრძალვა უნდა გაუქმდეს. მათი არგუმენტი კი ასეთი იყო: ბავშვები გენეტიკური გადახრებით იმ წყვილებსაც უჩნდებათ, რომლებიც სისხლით ნათესავები არ არიან, მათ მშობლებს კი არავინ სჯის, ამასთანავე, გერმანიაში საკმაოდ ბევრია სისხლით ნათესავების წყვილი, რომლებიც ინცესტის აკრძალვის გამო იძულებულნი არიან, ერთმანეთს მალულად შეხვდნენ.

### რაინჰარდ მერკელი:

## განა უკრაინის ხელისუფლებამ თავისი ხალხი არ დაბომბა?

**„სირიაში ისლამისტთა პოზიციების დაბომბვა, რომელიც ოფიციალური დამასკოს თანხმობით ხორციელდება, საერთაშორისო ნორმების დარღვევაა“, — განუცხადა ცნობილმა გერმანელმა იურისტმა, ჰამბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა რაინჰარდ მერკელმა გამოცემა Tagsspieged-ს.**



„გაეროს წესდების მე-2 სტატიის მე-4 პუნქტის მიხედვით, სირიაზე განხორციელებული დარტყმები უკანონო სამხედრო ინტერვენციაა. ასეთი ჩარევა უკანონოა იმიტომაც, რომ **მიზნის მიღწევა შეიძლებოდა სირიის ხელისუფლების თანხმობით, რომელიც მზად იყო თანამშრომლობისთვის, მაგრამ აშშ-მა თხოვნით არ მიმართა დამასკოს. მას ეშინოდა, რომ „იმიჯი შეელახებოდა“, რადგან მრავალი წლის განმავლობაში ამბოხებულებს ეხმარებოდა და ბაშარ ასადის ხელისუფლების წარმომადგენლები „ჯოჯოხეთის მოციქულებად“ გამოჰყავდა**. ის, რომ დასავლეთი ბაშარ ასადს უკანონო მმართველს უწოდებს, ინტერვენციას არ ამართლებს.

**გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ბაშარ ასადზე განაცხადა: „ვინც ესვრის და ბომბავს თავის ხალხს, კარგავს ლეგიტიმურობას“. და რატომ არ შეიძლება იმავეს თქმა უკრაინის ხელისუფლებისა და არმიის მიმართ, რომელიც ანალოგიურად იქცევა? განა უკრაინის ხელისუფლება თავს არ დაესხა საკუთარ ხალხს და არ დაბომბა? არ შეიძლება ორი ერთნაირი შემთხვევიდან ერთი მოიწონო, მეორე კი დაგმო. ასეთი საქციელი, ანუ ორმაგი სტანდარტის გამოყენება პოლიტიკური და მორალური არგუმენტების, აგრეთვე, საერთაშორისო სამართლის დისკრედიტებას ახდენს“**, — განაცხადა გერმანელმა პროფესორმა.

DER TAGESSPIEGEL



## რატომ გადადგა აშშ-ის საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელი

**აშშ-ის საიდუმლო სამსახურის უფროსმა ჯულია პირსონმა თანამდებობა დატოვა, — წერს გამოცემა Wall Street Journal-ი, მისი გადადგომის მიზეზად კი ასახელებს მიმდინარე წლის 19 სექტემბრის ინციდენტს, როდესაც დანით შეიარაღებული მამაკაცი თეთრი სახლის ტერიტორიაზე შეიჭრა.**

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აშშ-ის საიდუმლო სამსახურის უფროსად ჯულია პირსონი 2012 წლის მარტში დანიშნა. ის პირველი ქალია, რომელმაც ამ პოსტის დაკავება შეძლო.

ამა წლის 19 სექტემბერს საიდუმლო სამსახურმა დააკავა ტეხასის შტატის მკვიდრი, 42 წლის ომარ გონსალესი, რომელმაც თეთრი სახლის ლობეზე გადაძრომა და აშშ-ის რეზიდენციის შესასვლელამდე მირბენა შეძლო, მანამდე კი ერთი აგენტი გაანეიტრალა. მამაკაცი, რომელიც თეთრი სახლის კარის ზღურბლზე დააკავეს, დანით იყო შეიარაღებული. ომარ გონსალესს ამ საქციელისთვის 10 წლით პატიმრობა ემუქრება. მიუხედავად იმისა, რომ 19 სექტემბრის ინციდენტის შემდეგ საიდუმლო სამსახურმა თეთრი სახლის დაცვა გააძლიერა, 20 სექტემბერს მსგავსი ინციდენტი მაინც მოხდა, თუმცა ამჯერად მამაკაცი თეთრი სახლის ტერიტორიაზე შეჭრას ავტომობილით შეეცადა.

უსაფრთხოების ექსპერტთა მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით, ბარაკ ობამას საიდუმლო სამსახურის წევრებმა 1000-მდე შეცდომა დაუშვეს.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგამოძიებო კომისიის წევრის, ჯეისონ ჩაფესტსის აზრით, 2001 წლის 11 სექტემბერს ტერაქტის შემდეგ განახლებული საიდუმლო სამსახური ძალიან „პოლიტიზებულია“. ამ სამსახურის დირექტორს პოლიტიკური ნიშნით არჩევდნენ, პროფესიონალებს კი უგულებელყოფდნენ.

აღსანიშნავია, რომ სხვა გამოცემის, The Telegraph-ის ჟურნალისტმა საიდუმლო სამსახურის სხვა შეცდომებიც გაიხსენა. კერძოდ, ის, რომ უცნობმა პირმა პრეზიდენტის კერძო რეზიდენციის ფანჯარას ესროლა, როდესაც შენობაში ობამას ერთ-ერთი ქალიშვილი იმყოფებოდა, აგრეთვე ის, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ამსტერდამში (ჰოლანდია) ვიზიტისას, მისი ერთ-ერთი პირადი მცველი ისე გამოთვრა, გონება დაკარგა და სასტუმროს ფოიეში გაიშხლართა.

**P.S. ცნობილი შეიქნა ბარაკ ობამას დაცვის კიდევ ერთი უყურადღებობის შესახებ: ამა წლის 16 სექტემბერს აშშ-ის პრეზიდენტი ლიფტში სამჯერ ნასამართლევ მამაკაცთან ერთად აღმოჩნდა, რომელსაც იარაღი ჰქონდა. ეს ინციდენტი მოხდა ატლანტაში, როდესაც ობამა დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრს სტუმრობდა. როგორც გაირკვა, ამ დაწესებულების დაცვის სამსახურში მუშაობდა მამაკაცი, რომელიც სამჯერ იყო ნასამართლევი.**



ლიბია, 2011 წ. ნატოს ავია-დარტყმების შედეგად ათასობით ლიბიელი უსახლკაროდ დარჩა



ნატოს მიერ განადგურებული მართლმადიდებლური ეკლესია იუგოსლავიაში

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატოს მიერ ჩადენილი დანაშაულები კაცობრიობის წინაშე

**ჰააგის ციხეში ამჟამად სასჯელს იხდიან: სერბეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი (1992-1996) პოეტი და ფსიქიატრიის პროფესორი რადოვან კარაჯიჩი; სერბეთის ვიცეპრეზიდენტი (1998-2000) ვოისლავ შეშელი და სერბი გენერალი რატკო მლადიჩი. მათ „მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურმა სასამართლომ“ — ჰააგის ტრიბუნალმა — კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში დასდო ბრალი.**
**თუმცა ევროპულ თემიდას, როგორც ჩანს, მეხსიერების პრობლემები აქვს, რომ აღარაფერი ვთქვათ, სმენისა და მხედველობის პრობლემებზე.**

აბა, როგორ შეიძლება აიხსნას ის, რომ „სერბი დამნაშავეების“ გვერდით არ სხედან ისინი, ვისაც მილიონობით ადამიანის სისხლში აქვთ ხელები გასვრილი? ესენი კი არიან ნატოს უმაღლესი ხელმძღვანელები, რომლებმაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში რამდენიმე სისხლიანი კონფლიქტი გააჩაღეს, ამ კონფლიქტებს კი „სამშვიდობო ოპერაციებს“ უწოდებდნენ.

ნატოს ერთ-ერთი წევრი-დამფუძნებელი და მისი ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის აშშ, რომელსაც თავისი წარმომადგენლები ჰყავს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმრავლესი კომიტეტის ხელმძღვანელის პოსტებზე. სწორედ ისინი არიან ნატოს სამხედრო ოპერაციების ინიციატორები.

## ნატოს „სამშვიდობო ოპერაციები“

### 1. იუგოსლავიის დაბომბვა (1999 წ)

იუგოსლავიაში ინტერვენციის მიზეზად ნატოს ხელმძღვანელობამ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე — კოსოვოში, მეტოხიაში, აგრეთვე, ბოსნია-ჰერცეგოვინაში — ეთნიკური წმენდის შეჩერება დაასახელა. სინამდვილეში კი ეს იყო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავდა იუგოსლავიის არმიის დემორალიზებასა და იმ მდგომარეობამდე მიყვანას, რომ მას აშშ-ის ინტერესებისთვის საფრთხე არ შეექმნა.

ნატოს ოპერაციებს (პირველი იყო „სამოკავშირეო ძალა“, მეორე — „გააზრებული ძალა“) უწოდეს „ჰუმანიტარული ინტერვენცია“, მაგრამ ისინი გაეროს მანდატის გარეშე განხორციელდა.

*** დაიღუპა — 5700 ადამიანი, მათ შორის, 400 ბავშვი;**
*** დაიჭრა — 7000-მდე მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 2000-ზე მეტი ბავშვი;**
*** უგზო-უკვლოდ დაიკარგა — 821 ადამიანი;**

ნატოს მოქმედება ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკების წინააღმდეგ, რომელმაც საფუძველი დაუდო ამ სამხედრო ბლოკის თანამედროვე ოპერაციებს, ყველა საერთაშორისო ნორმისა და კანონმდებლობის უხეში დარღვევის მაგალითია. **უწინარესად კი, ნატომ დაარღვია ვაშინგტონის ხელშეკრულების, ანუ თავისი წესდების პირველი პუნქტი,** რომლის თანახმადაც, ალიანსის წევრმა-სახელმწიფოებმა **„ყველა საერთაშორისო კონფლიქტი, რომლებშიც შესაძლოა, ჩართულნი აღმოჩნდნენ, მშვიდობიანი ხერხებით უნდა გადაწყვიტონ ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან მშვიდობას, უსაფრთხოებასა და სამართლიანობას მსოფლიოში. მან თავი უნდა შეიკავოს ძალის გამოყენებისგან იმ შემთხვევაში, თუკი ეს შეუთავსებელია გაეროს მიზნებთან“**. ნატომ, აგრეთვე, დაარღვია თავისი წესდების **მე-6 პუნქტი,** რომელშიც ნათქვამია, რომ **ნატოს კომპეტენცია შემოიფარგლება თავისი წევრი-ქვეყნების ტერიტორიებით.** იუგოსლავია, მაკედონია, ალბანეთი და ბოსნია კი ნატოს წევრები არ იყვნენ. ნატო კი უხეშად ჩაერია ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში. **ნატომ და აშშ-მა ფეხქვეშ გათელეს გაერო, კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და სახელმწიფოების სუვერენიტეტი.**

იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატომ გამოიყენა იარაღი, რომელიც აკრძალულია ნიურნბერგის ქარტიით, აგრეთვე, ჰააგისა და ჟენევის კონვენციებით. იუგოსლავიაში ნატო იყენებდა ურანის დაბალი შემცველობის ბომბებს, რომლიც არა მხოლოდ მაღალი სიზუსტით გამოირჩევა, არამედ რადიოაქტიურიც არის და ტოქსიკურიც. გარდა ამისა, ნატომ გამოიყენა ე.წ. კასეტური ბომბები — იარაღი ფეთქებადი ყუმბარებით, რომელთა გამოყენებაც მოგვიანებით ოტავის კონვენციით აიკრძალა.

### 2. ომი ავღანეთში (2001 წლიდან დღემდე)

აშშ-მა ავღანეთში ინტერვენცია კონტრტერორისტული სამხედრო ოპერაციის („შეუმუსრავი თავისუფლების“) ჩარჩოებში დაიწყო. ეს იყო პასუხი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტზე. 2001 წლის 7 ოქტომბერს აშშ-მა და მისმა ნატოელმა მოკავშირეებმა „თალიბანის“ პოზიციებზე პირველი საავიაციო შეტევა განახორციელეს, გარდა ამისა, ამერიკული და ბრიტანული ხომალდებიდან გაშვებული იქნა 500-მდე ფრთოსანი რაკეტა. ავღანეთში მშვიდობის ხელშეწყობის საერთაშორისო ძალები (ISAF) დღემდე მოქმედებენ. ავღანეთის ომი აშშ-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ომია.

*** დაიღუპა 35 ათასი ადამიანი;**




ჟურნალ TIME-ს 1995 წლის 11 სექტემბრის ნომერი დაიბეჭდა სათაურით: „სერბების დაორჩილებით, მასირებული დაბომბვა აღებს მშვიდობის კარს“



ავღანეთი, 2011 წელი.
ნატოს დაბომბვის მსხვერპლი



ერაყი, 2004 წ. ამერიკელები ფოტოს იღებენ აბუ გრეიბის გორად დაყრილი პატიმრების ფონზე



ნატო ბომბავს ბელგრადს

*** ლტოლვილად იქცა — 500 ათასი;**
***გამწვავდა ეთნოსთა შორის კონფლიქტები, მოიმატა ტერორისტული აქტების რაოდენობამ და ნარკოტრაფიკმა.**

### 3.ერაყელთა გენოციდი (2003 წლიდან დღემდე)

2003 წელს ერაყში ამერიკელების შეჭრის საბაბი იყო ის, რომ თურმე ამ ქვეყანას მასობრივი განადგურების იარაღიFჰქონდა, კერძოდ, ბაქტეოროლოგიური (ციმბირის წყლული). დამატებითი მიზეზი კი იყო „დემოკრატიისთვის ბრძოლა“. **ერაყის „დემოკრატიზაციას“ მილიონი მშვიდობიანი ერაყელის სიცოცხლე შეეწირა. „დიქტატორი“ სადამ ჰუსეინი საჯაროდ დასაჯეს, მაგრამ მასობრივი განადგურების იარაღს ვერსად მიაკვლიეს. მოგვიანებით, 2004 წელს აშშ-ის იმჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა აღიარა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ მოპოვებული მონაცემები, რომელთა გამოც დაიწყო სისხლისმღვრელი ომი ერაყში, „არაზუსტი“ იყო (?!).**

ერაყის სამხედრო კომპანიაში ალიანსმა რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა: მსოფლიო შეძრა აბუ-გრეიბის ციხეში მოთავსებული ტყვეების წამებისა და შეურაცხყოფის კადრებმა; ინფორმაციამ მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკების — გაუპატიურების, ძარცვისა და მკვლელობის შესახებ და, რა თქმა უნდა, საშინელი ქიმიური იარაღის — ფოსფორიანი ბომბების გამოყენებამ (2003 წელს იმამ ნასირის შტურმისას, აგრეთვე, 2004 წელს ალ-ფალუჯის აღებისას). ეს იარაღი, რომელიც ძვლამდე წვავს ხორცს, 1980 წლის გაეროს კონვენციით არის აკრძალული, თუმცა აშშ ამ კონვენციას არ შეუერთდა.

*ერაყის ომში მილიონზე მეტი ერაყელი დაიღუპა (ეს თანამედროვეობის ისტორიაში ყველაზე დიდი მსხვერპლია) მათი 25 პროცენტი ქალი და ბავშვია.

### 4.აკრძალული იარაღის გამოყენება ლიბიაში

არეულობებსა და სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ, 2011 წლის 19 მარტს, ლიბია საფრანგეთის, ბრიტანეთისა და აშშ-ის ავიაციამ დაბომბა, სამხედრო ოპერაცია კი ნატომ განაგრძო.

*** დაიღუპა 20 ათასზე მეტი ადამიანი (სამხედრო და მშვიდობიანი მცხოვრები);**
*** ლტოლვილად იქცა — 350 ათასი.**

არადა, **2011 წლის აგვისტოში ნატოს იმჟამინდელი ხელმძღვანელი ანდერს ფოგ რასმუსენი ყველას არწმუნებდა, რომ ნატოს ავიაციის დაბომბვით მშვიდობიანი მოქალაქეები არ დაზარალდებოდნენ.**

არსებობს მონაცემები (რომელსაც ნატოს ხელმძღვანელობა ჯიუტად უარყოფს), რომ **ლიბიის კონფლიქტში ნატომ კასეტური და ფოსფორიანი ბომბები გამოიყენა, როგორც ეს მოხდა იუგოსლავიასა და ერაყის სამხედრო ოპერაციების მიმდინარეობისას. გარდა ამისა, ნატოელებმა ერაყში გამოიყენეს იპრიტი, ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომში აპრობირებული მომწამვლელი ნივთიერება, რომელიც სხვადასხვა კონვენციით არის აკრძალული.**

**ნატოს მთავარი დანაშაული არის ის, რომ მსოფლიო შეიარაღებისკენ რბოლის ახალ ერაში ჩაითრია. ნატო არა მხოლოდ განალაგებს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს ევროპის კონტინენტზე, არამედ აძლიერებს ატომურ პოტენციალსაც.**

სხვათა შორის, **ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, თავისი სამხედრო დოქტრინით, უფლებას იტოვებს, გამოიყენოს ატომური იარაღი, რომელიც 1996 წელს საერთაშორისო სასამართლოს მიერ არის აკრძალული.**

ალიანსის წევრი ქვეყნები წლიდან წლამდე ზრდიან თავიანთ სამხედრო შესაძლებლობებს და ამისათვის კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ. ნატოს ძლიერი არმია იმისათვის სჭირდება, რომ მსოფლიოზე იბატონოს. მსოფლიოზე კი ის იბატონებს, ვისაც ხელი მიუწვდება ნავთობის საბადოებზე, სწორედ ამიტომ მოაწყვეს სისხლიანი სასაკლაო ერაყში, ლიბანში და ახლა ამას სირიაში აპირებენ...

**მოამზადა**
**ნიკა გელაშვილმა**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის იმავე „ფასეულობებმა“ — სიცრუემ და ცილისწამებამ — შთააგონეს ამერიკელებს და ევროპელებს ერაყში შეჭრა 2003 წელს, სადაც, ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან გაკეთებული განცხადებების საპირისპიროდ, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი. ანალოგიური რამ განმეორდა ლიბიაში, მისი ლიდერის — მუამარ კადაფის დემონიზაციის შემდეგ. სირიაში და, მით უმეტეს, ირანში შეჭრისთვის დასავლეთს ძალები არ ეყო, თუმცა ეს ქვეყნები და მათი ლიდერებიც ასევე დემონიზაციის ობიექტს წარმოადგენდნენ.**

# დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება


გულბაათ რცხილაძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №35 (270)

**ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მოახლოებასთან ერთად, იანუკოვიჩისთვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ეს დოკუმენტი უკრაინისთვის სიკეთის მომტანი არ იყო, პირიქით — საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან გაართულებდა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, სანაცვლოდ კი არაფერს იძლეოდა. იანუკოვიჩი ცდილობდა ევროკავშირთან შევაჭრებას, მოითხოვდა მრავალმილიარდიან კომპენსაციებს ხელმოწერის შედეგად მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად, მაგრამ ვერც კი მიხვდა, რომ დასავლეთმა ხაფანგში შეიტყუა. ბოლო მომენტში ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმით იანუკოვიჩმა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. დესტრუქციული ძალებისთვის ადვილი გახდა საპროტესტო გამოსვლების, შემდეგ კი — არეულობის მოწყობა. ასე დაიწყო „მაიდნის“ ორგანიზება 2013 წლის ნოემბერში. როგორც მოსალოდნელი იყო, მომიტინგეთა მოთხოვნები ევროასოციაციის ხელმოწერაზე სწრაფად შეიცვალა პრეზიდენტისა და მთავრობის გადადგომის მოთხოვნებით. ამასთანავე, დასაწყისიდანვე „მაიდანს“ აშკარად ანტირუსული ხასიათი ჰქონდა, ხოლო მის ბირთვს წარმოადგენდნენ უკრაინის დასავლეთ პროვინციების მცხოვრებლები, ძირითადად, არამართლმადიდებლები. საღი აზრი ნაციონალისტურ აურზაურში ჩაიკარგა.**

## დასავლური „დემოკრატიის“ უნივერსალური იარაღი: ცილისწამება და ტყუილი

**ისევე, როგორც მილოშევიჩის შემთხვევაში, უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩის დასამხობად გამოყენებული იქნა სიცრუე და ცილისწამება. მილოშევიჩს თავის დროზე აბრალებდნენ კოსოვის მხარის ეთნიკური წმენდის მცდელობას, თითქოს სერბებს მისი ბრძანებით უნდა გაეძევებინათ მთელი ალბანური მოსახლეობა. ეს ბრალდება არასოდეს დამტკიცებულა და უფრო მეტიც, დღეს აღიარებულია სიყალბედ, რომელიც შეიქმნა გერმანიის თავდაცვის სამინისტროში, იმჟამინდელი მინისტრის — რუდოლფ შარპინგის პირადი მონაწილეობით** (ამ პიროვნებამ თავისი პოლიტიკური კარიერა დაასრულა კორუფციული სკანდალის გამო). **შარპინგის უწყება ფოტოფალსიფიკაციებითაც იყო დაკავებული. მაგალითად, გამოცხადდა, თითქოს სერბები ახორციელებენ ალბანელების მასობრივ დახვრეტას. ამის დასამტკიცებლად წარმოადგინეს ფოტოგრაფია, რომელზეც გამოსახული იყო მამაკაცთა ორ ათეულამდე გვამი. თუმცა შემდგომში გაირკვა, რომ ეს იყო იმ ალბანელი „ბოევიკების“ გვამები, რომლებიც სერბეთის პოლიციასთან ბრძოლებში დაიღუპნენ. სხეულები სპეციალურად იყო შეგროვებული ერთ ადგილას და ისეთნაირად გადაღებული, რომ იქმნებოდა უიარაღო ადამიანების სიკვდილით დასჯის სურათი...** ფალსიფიკაცია 2001 წელს გამოაშკარავდა, გერმანიის პარლამენტის დეპუტატმა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა **ვილი ვიმერმა** დარწმუნებით განაცხადა: „იუგოსლავიის ომი ჩვეულებრივი შეთებითი ომი იყო!“. მაგრამ იმ კრიტიკულ მომენტში, 1998-1999 წლების მიჯნაზე, როცა ნატო ეძებდა იუგოსლავიის განადგურების საბაბს, ამ ცილისმწამებლურმა კამპანიამ და ტყუილმა თავისი შედეგი გამოიღო — საზოგადოებრივი აზრი ევროპაში სამხედრო ოპერაციის დაწყების სასარგებლოდ გადაიხარა.

**დასავლეთის იმავე „ფასეულობებმა“ — სიცრუემ და ცილისწამებამ — შთააგონეს ამერიკელებსა და ევროპელებს ერაყში შეჭრა 2003 წელს, სადაც, ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან გაკეთებული განცხადებების საპირისპიროდ, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი. ანალოგიური რამ განმეორდა ლიბიაში, მისი ლიდერის — მუამარ კადაფის დემონიზაციის შემდეგ. სირიაში და, მით უმეტეს, ირანში შეჭრისთვის დასავლეთის ძალები არ ეყო, თუმცა ეს ქვეყნები და მათი ლიდერებიც ასევე დემონიზაციის ობიექტს წარმოადგენდნენ. ირანი მაინც დაზარალდა ეკონომიკური სანქციების შედეგად, ხოლო სირიას ტერორისტ-ისლამისტები შეუსიეს, რომლებიც ნაწილობრივ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ კონტროლდებიან.**

უკრაინის მიმართ კი საუბარი არ არის დასავლეთის სამხედრო ინტერვენციაზე, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. მაგრამ პრინციპი — ცილი დასწამონ პოლიტიკურად არახელსაყრელ ლიდერს და გაავრცელონ მის შესახებ არასწორი ინფორმაცია — ძალაში რჩება. **იანუკოვიჩს მოწინააღმდეგეებმა დააბრალეს დემონსტრანტების დახვრეტა, მაშინ, როცა ტყვიებისგან დაიღუპნენ არა მხოლოდ მომიტინგეები, არამედ სპეცდანიშნულების რაზმების წევრებიც, რომლებიც კანონიერ ხელისუფლებას იცავდნენ, მაგრამ დასავლელმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა, დეტალებში ჩახედვის გარეშე, ერთხმად დაადანაშაულეს ყველაფერში იანუკოვიჩი და მისი მინისტრები.**

ჯერ კიდევ **1992 წელს, როცა იწყებოდა ეთნოსებს შორის ომი ბოსნიაში, ამერიკელმა ჟურნალისტმა პიტერ ბროკმა გადაამუშავა გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული 1500 სტატია, რომლებიც ეკუთვნოდა ახალი ამბების სააგენტოებს დასავლეთში და უკვე მაშინ მივიდა დასკვნამდე, რომ პუბლიკაციების შეფარდება მათ სასარგებლოდ და სერბების საწინააღმდეგოდ შეადგენდა 40:1 (მართლმადიდებელ სერბებს თავიდანვე არ სწყალობდა დასავლური პრესა). დაახლოებით ასეთივე თანაფარდობა იყო დასავლეთის მასმედიაში კიევის მოვლენების გაშუქებისას იანუკოვიჩის წინააღმდეგ (ხოლო ახლა, დონბასში ომის ფონზე — რუსეთისა და მისი ლიდერის — პუტინის წინააღმდეგ).**


რუდოლფ შარპინგი

**რუდოლფ შარპინგის უწყება ფოტოფალსიფიკაციებითაც იყო დაკავებული. მაგალითად, გამოცხადდა, თითქოს სერბები ახორციელებენ ალბანელების მასობრივ დახვრეტას. ამის დასამტკიცებლად წარმოადგინეს ფოტოგრაფია, რომელზეც გამოსახული იყო მამაკაცთა ორ ათეულამდე გვამი, თუმცა შემდგომში გაირკვა, რომ ეს იყო იმ ალბანელი «ბოევიკების» გვამები, რომლებიც სერბეთის პოლიციასთან ბრძოლებში დაიღუპნენ. სხეულები სპეციალურად იყო შეგროვებული ერთ ადგილას და ისეთნაირად გადაღებული, რომ იქმნებოდა უიარაღო ადამიანების სიკვდილით დასჯის სურათი...**

შეგახსენებთ: კიევის ცენტრში ბრბომ, შეიარაღებულმა ლითონის საგნებით, ქვებით, ცეცხლგამჩენი საშუალებებით, ბარიკადები აღმართა. დაპირისპირება ნოემბრის ბოლოდან თებერვლის ბოლომდე გაგრძელდა. სიტუაცია „მაიდანზე“ დაიძაბა 19 იანვრის შემდეგ, როცა ხელისუფლება შეეცადა, კანონით აეკრძალა მასობრივი არეულობები. გახშირდა ადამიანების მძიმედ დაშავებისა და დაღუპვის შემთხვევები — როგორც მომიტინგეების, ასევე სამართალდამცავების. მაგრამ კიევის ახალი ხელისუფლების განცხადებების საპირისპიროდ ხალხის დახვრეტის ნამდვილი შემკვეთები და შემსრულებლები გამოვლენილნი არ არიან.

**აი, რას წერდა „ნოვაია გაზეტას“ ავტორი 2014 წლის 7 აპრილს:**

**„პირველი: არ მჯერა, რომ ბრძანებებს გასცემდა იანუკოვიჩი (თუმცა მათ ვიღაც გასცემდა). ვიცი რა ამ ადამიანის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმ მომენტში, შემიძლია ვივარაუდო, რომ ის ამაზე არ წავიდოდა.**

**მეორე: როგორც ითქვა, ცეცხლი გაიხსნა 20 თებერვალს სასტუმრო „უკრაინადან“. „ბერკუტი“ ვერაფრით იქნებოდა 20 თებერვალს სასტუმრო „უკრაინაში“, ეს აბსოლუტურად ზუსტია. აღნიშნული სასტუმროს შენობა, ისევე, როგორც პროფკავშირების სახლი და ოქტომბრის სასახლე (მათაც ახსენებდნენ სროლის ადგილებად) მაიდნის თავდაცვის ძალების კონტროლქვეშ იყო. თუ დავუშვებთ, რომ ამ ძალებს შორის იყვნენ პროვოკატორები, რომლებიც მუშაობდნენ მესამე ძალაზე ან „რეგიონალებზე“, მაშინ „თავდაცვის ძალების“ დანარჩენმა ჯგუფებმა რატომ არ დააკავეს სნაიპერები? ნებისმიერ შემთხვევაში, სროლა არ შედიოდა „იანიკის ბრიგადის“ ინტერესებში.**

**მესამე:** ითქვა, რომ ხალხი დახოცეს სიმონოვის თვითმსროლელი კარაბინიდან. საეჭვოა, რომ სპეცდანიშნულების ძალები სარგებლობდნენ ამ იარაღით, რომელიც, დიდი ხანია, მოხსნილია შეიარაღებიდან. უკრაინის შსს-სა და უშიშროების სამსახურის სნაიპერები თანამედროვე შაშხანებს იყენებენ.

**მეოთხე — მთავარი:** არ იქნა გაცემული პასუხი კითხვაზე: ვინ ესროდა თავად „ბერკუტის“ მებრძოლებს, რომელთა რიგებში ბევრი იყო დაღუპული სნაიპერის ტყვიებით?

**დასასრულ, თუ ყველაფერი ისე იყო, როგორც ამბობენ უკრაინის პროკურატურის, შსს-სა და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელები, გაუგებარი რჩება, უშუალო შემსრულებლები რატომ არ გაიქცნენ საზღვარგარეთ, როგორც ეს გააკეთეს იანუკოვიჩმა და ძალოვანი სტრუქტურების ყველა ხელმძღვანელმა? რატომ დაელოდა ეს 12 ადამიანი, რომლებიც ახლა ჩვენებებს იძლევიან, თავიანთ დაპატიმრებას?**

საპასუხო ცეცხლის გახსნის ნებართვა გასცა შინაგან საქმეთა მინისტრმა **ზახარჩენკომ.** 20 თებერვალს ის ულტიმატუმით გამოვიდა: განაცხადა, რომ მილიციონერებს შორის არიან ტყვიებით დაღუპულები, ამიტომ ოპოზიციისგან მოითხოვა იარაღის დაყრა და შენიშნა, რომ სამართალდამცავებს გამოეყოთ საბრძოლო იარაღი და ის გამოყენებული იქნება „მილიციის შესახებ“ კანონის შესაბამისად. „ბერკუტის“ სპეცდანიშნულების რაზმი ხუთეულებით მუშაობდა: ერთი სნაიპერი, სამი დამზღვევი მეავტომატე, ერთი პიროტექნიკოსი. ამოცანა — მოწინააღმდეგის სნაიპერების გაუვნებელყოფა, სამთავრობო შენობებთან მისასვლელების გადაკეტვა, თუ ბრძოლა მიმდინარეობს. ამიტომ არ დაიმალნენ ისინი მოვლენების შემდეგ: დარწმუნებული იყვნენ, რომ კანონიერ ბრძანებას ასრულებდნენ და სპეციალურად არავის ხოცავდნენ.

უიარაღო დემონსტრანტები (პირობითად უიარაღო — ფარებითა და ბე- ▶

**ისევე, როგორც მილოშევიჩის შემთხვევაში, უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩის დასამხობად გამოყენებული იქნა სიცრუე და ცილისწამება. მილოშევიჩს თავის დროზე აბრალებდნენ კოსოვოს მხარის ეთნიკური წმენდის მცდელობას, თითქოს სერბებს მისი ბრძანებით უნდა გაექცევებინათ მთელი ალბანური მოსახლეობა. ეს ბრალდება არასოდეს დამტკიცებულა და უფრო მეტიც, დღეს აღიარებულია სიყალბედ, რომელიც შეიქმნა გერმანიის თავდაცვის სამინისტროში, იმჟამინდელი მინისტრის — რუდოლფ შარპინგის მონაწილეობით.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ისბოლის ბიტებით აღჭურვილები) სწორედ ამ მომენტში გადავიდნენ შეტევაზე. „ბერკუტელები" ვერ ხვდებოდნენ, საიდან მოდიოდა ცეცხლი და თავადაც ისროდნენ თავდაცვისას. რადგან ტელევიზიით უკვე გადაიცა ინფორმაცია, რომ „ბერკუტი" იარაღით ხელში გამოვიდა ქუჩაში, „ლეგიონერებმა" (ასე დავარქვათ) მიიღეს ბრძანება, ცეცხლი გაეხსნათ დემონსტრანტებისთვისაც. გარდა ამისა, ომში ხშირად თავისიანები ხვდებიან „მეგობრული ცეცხლის" ქვეშ — რამდენი ასეთი შემთხვევაა ერაყსა და ავღანეთში?! ხოცვა-ჟლეტის შედეგი —ასზე მეტი დაღუპული.

სწორედ ამ სცენარზე მიანიშნა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ურმას პაეტმა** თავის ცნობილ სატელეფონო საუბარში **ბარონესა ეშტონთან.** ვფიქრობ, უკრაინის ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს გამოძიება და არ შეეშინდეს იმის აღიარების, რომ სნაიპერები ორივე მხრიდან იყვნენ. ისევ და ისევ, პირობითად, რადგან „მაიდნის მხარე" ძალიან ბევრ ძალას და ადამიანს მოიცავდა. და თუნდაც მეორე მხარეს, ხელისუფლებაში, სხვადასხვა პერსონაჟები იყვნენ — ლევოჩკინი, მაგალითად, დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა მაიდნის სასარგებლოდ. იანუკოვიჩი, რა თქმა უნდა, დამნაშავეა იმაში, რომ მან ევროპული ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. მაგრამ იმის თქმა, რომ მან შეუკვეთა ყველა მკვლელობა, ნახევარსიმართლეა. ეს კი ტყუილზე უარესია, განსაკუთრებით ამ სიტუაციაში".

„ნოვაია გაზეტა" მაინც ძალიან რბილად წერს და არ ითვალისწინებს ისტორიულ გამოცდილებას. მაგრამ პარალელები ბევრია — **1989 წელს ბუქარესტში და 1991 წელს ვილნიუსში ადამიანები ასევე უცნობი სნაიპერების ტყვიებისგან იხოცებოდნენ. ამერიკის სპეცსამსახურებისა და მათი აგენტურის დადანაშაულება მტკიცებულების გარეშე ძნელია, მაგრამ დამტკიცებულია მათი მონაწილეობა მრავალ ტერორისტულ აქტში ევროპის ტერიტორიაზე, ათწლეულების განმავლობაში, რომლებიც ეწყობოდა მემარცხენე ძალების დისკრედიტაციის მიზნით, მათთვის ტერაქტების გადაბრალების საშუალებით. საუბარია ნატოს არმიების საიდუმლო ქსელზე, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც პარტიზანული არმია დასავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის შეჭრის შემთხვევაში, მაგრამ ამგვარი შეჭრის არარსებობის პირობებში, მუტაცია განიცადა და გადაიქცა ტერორისტულ ორგანიზაციად, რომელსაც მფარველობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო** (ცსს). თავის დროზე ფართო რეზონანსი ჰქონდა შვეიცარელი ისტორიკოსის — **დენიელ განსერის** (Daniele Ganser) კვლევას სახელწოდებით „აშშ-ის საიდუმლო არმიები: ოპერაცია „გლადიო" და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში". ამ კვლევის შესახებ მოთხრობილია ჩემს წიგნში „აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით" (თბილისი, 2008 წ.).

**შვეიცარიელი დენიელ განსერი მრავალრიცხოვანი ფაქტების საფუძველზე დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ე. წ. ცივი ომის დროს, დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ გასაიდუმლოებული ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც აწყობდნენ აფეთქებებს, გატაცებებს, მკვლელობებს, ხოლო მასმედია ამაში ბრალს სდებდა მემარცხენე პარტიებს (კომუნისტებს და მათ მოკავშირეებს). იტალიის ტერიტორიაზე აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი საიდუმლო ქსელი ატარებდა „გლადიოს" (ხმალი) სახელწოდებას. განზერის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ 1960-70-იან წლებში იტალიაში მომხდარი რამდენიმე გახმაურებული ტერორისტული აქტი სწორედ ამ ქსელის ოპერატიული მუშაკების მიერ იყო მოწყობილი და არა მემარცხენე „ბოევიკების" მიერ, როგორც ადრე ფიქრობდნენ.** ამასთანავე, საიდუმლო აგენტების კოორდინაციას სპეცსამსახურები აწარმოებდნენ, ხოლო ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლოები და პოლიტიკოსებიც კი უძლურნი იყვნენ, მათი მოქმედება გაეკონტროლებინათ ან შეეჩერებინათ. **ანალოგიური ქსელები იყო შექმნილი დანიაში, ნორვეგიაში, ბელგიასა და ბევრ სხვა ქვეყანაში. თურქეთში მოქმედებდა მძლავრი და განშტოებული ქსელი სახელწოდებით „რუხი მგლები", რომელსაც მფარველობდნენ ნატოს სპეცსამსახურები და თურქი სამხედროები.**

კიევში სიტუაციის დაძაბვის ფონზე გაჩნდა ხელსაყრელი პირობები ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედებისთვის, „გლადიოს" სტილში. ულტრამემარჯვენე ნაციონალისტების დაჯგუფება, ე.წ. მემარჯვენე სექტორი, **დიმიტრი იაროშის** ხელმძღვანელობით, გადაიქცა „მაიდნის" დამრტყმელ ძალად, ამასთანავე, ითავსებდა ჟანდარმის ფუნქციებს თვითონ ოპოზიციური სპექტრისა და მთელი უკრაინის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძალამ გამოავლინა კარგი ორგანიზებულობა, დისციპლინა, სტრუქტურული გამართულობა, იდეოლოგიური მოტივაცია და, ამასთანავე, აშშ-თან ათანხმებდა თავის მოქმედებებს. **რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კიეველი სნაიპერები დაკავშირებულნი იყვნენ ამ აშკარად ფაშისტურ ორგანიზაციასთან? მათი პრინციპი ხომ ასეთია: ნაციონალისტური მიზნების მისაღწევად ყველა საშუალება გამოდგება! ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული იქნა — დაღვრილი სისხლი იანუკოვიჩს მიაწერეს და მისი დამხობა დროის საკითხი გახდა.**

თუ გავასწრებთ მოვლენებს, დასავლეთის ცრუ და ცილისმწამებლური პროპაგანდის კონტექსტში უნდა აღვნიშნოთ მალაიზიური თვითმფრინავიც, რომელიც 17 ივლისს ჩამოვარდა აღმოსავლეთ უკრაინაში, საბრძოლო მოქმედების ზონაში, რომლის შედეგადაც დაიღუპა 298 ადამიანი, მათი უმრავლესობა ევროპის




**მალაიზიურმა ავიაკომპანიამ ტრაგედიამდე 10-ჯერ ისარგებლა მარშრუტით, რომელიც დონეცკის ოლქს გვერდს უვლიდა. 17 ივლისს კი ამ მარშრუტმა, გაურკვეველი მიზეზით, აღმოსავლეთისკენ — საომარი მოქმედებების ზონის თავზე გადმოიწია**

მოქალაქე იყო. ეს რეზონანსული ტრაგედია, რა თქმა უნდა, არავის ტოვებს გულგრილს. ბევრი ჩვენგანი სარგებლობს ავიატრანსპორტის მომსახურებით და ჩვენ, როგორც მგზავრები, განსაკუთრებულად თანავუგრძნობთ და სოლიდარობას ვუცხადებთ ავიაკატასტროფების მსხვერპლთა ოჯახებს. ასეა მთელ მსოფლიოში და ამიტომ ყოველი ავიაკატასტროფა რეზონანსულია, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება სამხედრო მოქმედებებით გამოწვეულ ტრაგედიას. შესაბამისად, ამგვარი ტიპის მოვლენები ადვილად შეიძლება პოლიტიკური მიზნებით იქნას გამოყენებული. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი დაგმობს და მკვეთრად უარყოფითად იქნება განწყობილი მათ მიმართ, ვინც თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზი გახდა.

ნათელი უნდა იყოს, რომ **არც დონბასელ მეომრებს, არც, მით უმეტეს, რუსეთს, არ ჰქონდათ არავითარი საჭიროება სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებისა. მაგრამ დასავლური პრესა უკვე ტრაგედიის დღესვე უსირცხვილოდ „აყეფდა" და დამნაშავეც „იპოვა", რა თქმა უნდა, დონბასელი მებრძოლების სახით.** ბევრი პირადად პუტინს ადანაშაულებს, მაგრამ **დასავლეთის ნაქები „თავისუფალი" პრესა, როგორც ვნახეთ იუგოსლავიის მაგალითზე, იშვიათად აზროვნებს დამოუკიდებლად, ის თავისი პოლიტიკოსების მითითებებს ელოდება.**

**აშშ-ის უმაღლესი ხელმძღვანელობა — პრეზიდენტი ობამა, აგრეთვე, პენტაგონისა და ცსს-ს წარმომადგენლები აკეთებენ უპასუხისმგებლო, პროვოკაციულ განცხადებებს, თითქოს მათ უკვე აქვთ მონაცემები, რომ ლაინერი აჯანყებულების მიერ გაშვებულმა საზენიტო რაკეტამ ჩამოაგდო. მაგრამ სად არის დაპირებული მტკიცებულებები?** რასაკვირველია, ამგვარი საბუთები ობამასა და მის ქვეშევდრომებს არ აქვთ, ყოველ შემთხვევაში, მათი სიტყვები ჯერჯერობით არაფრით არის გამაგრებული. სამაგიეროდ, აგრესიულად მორჩილი მასმედიის საშუალებით მოხდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რომ ტრაგედიაში დამნაშავე არის რუსეთი. ავიაკატასტროფის მომწყობად, რომლის გამოძიება ჯერ მხოლოდ დაიწყო და თვითონ რუსეთმა მოითხოვა საერთაშორისო გამოძიების ჩატარება, უკვე გამოაცხადეს გარკვეული მხარე (ამბოხებულები). უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში დასავლური პრესა პირდაპირ პროვოკაციებს აწყობდა. მაგალითად, წამყვანი გერმანული ჟურნალი Der Spiegel გამოვიდა გარეკანით, რომელზეც გამოსახული იყო MH17 რეისის დაღუპული მგზავრების ფოტოები, ხოლო მათ ქვემოთ მოთავსებული იყო წარწერა: „შეაჩერეთ პუტინი ახლავე!". დასავლური მასმედიის ისტერიამ დაღუპული მგზავრების ოჯახების წევრებიც დაარწმუნა, რომ ყველაფერში დამნაშავეა რუსეთი და მისი მხარდაჭერით მოქმედი აჯანყებულები. ჰანს დე ბორსტი, დაღუპული 17 წლის გოგონა ელზემიკის მამა, ღია წერილში წერდა ვლადიმერ პუტინს: „ბატონო პუტინო და კონფლიქტის სხვა მონაწილეებო, მე მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ ერთ-ერთი თქვენგანი ჩემი ქალიშვილის მკვლელია".

რა თქმა უნდა, **უბედური ჰოლანდიელი გოგონას უბედურ მამას წარმოდგენა არ აქვს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში, უკრაინის ჯარის საარტილერიო და საავიაციო შეტევების შედეგად, დასავლეთის ჩუმი მხარდაჭერით** (მათ შორის, მისი მშობლიური ჰოლანდიის მხარდაჭერით), **ყოველდღე იღუპებიან ისეთივე მშვიდობიანი ადამიანები, როგორებიც იყვნენ მალაიზიური „ბოინგის" მგზავრები.** ხოლო პუტინს არ შეუძლია, სამშვიდობო ძალები შეიყვანოს კონფლიქტის ზონაში და შეაჩეროს სისხლისღვრა, რადგან იცავს საერთაშორისო კანონმდებლობას, საზიანოდ ჰუმანიზმის პრინციპებისა, რუსეთის ინტერესებისა და ბოლოს — პირადი რეიტინგისა. უნდა ავუხსნათ ბატონ ევჰროპელებს, რომ სლავები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც „თეთრი ევროპელები". ამიტომ **ხმაური უნდა ატეხილიყო არა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის დღეს, არამედ დიდი ხნით ადრე — მაშინ, როცა დაიწყო ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა აღმოსავლეთ უკრაინაში. მაგრამ დასავლური მასმედია ბოლო მომენტამდე უგულებელყოფდა მართლმადიდებელი აღმოსავლეთის მსხვერპლს.** არავინ დასვა კითხვები: **თუ დონბასელი მებრძოლები ასეთი საშიში ტერორისტები არიან, რატომ დართეს ნება მშვიდობიან „ბოინგს" უკრაინელმა დისპეტჩერებმა, საბრძოლო მოქმედებების ზონის თავზე გადაეფრინა? რატომ ასაიდუმლოებს უკრაინა პილოტების საუბრებს დნეპროპეტროვსკელ დისპეტჩერთან? კითხვა კიდევ ბევრია...**

მალაიზიურმა ავიაკომპანიამ ტრაგედიამდე 10-ჯერ ისარგებლა მარშრუტით, რომელიც დონეცკის ოლქს გვერდს უვლიდა. 17 ივლისს კი ამ მარშრუტმა, გაურკვეველი მიზეზით, აღმოსავლეთისკენ — საომარი მოქმედებების ზონის თავზე გადმოიწია. წყარო: Dailymail.com

ასეა თუ ისე, **ვაშინგტონის კიდევ ერთი პოლიტიკური მიზანი მიღწეულია: ავიალაინერის ტრაგედიის შემდეგ ევროპა, როგორც იქნა, დათანხმდა რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციების შემოღებას. აშშ-სა და გერმანიას შორის მომხდარი ჯაშუშური სკანდალი, რომელიც დაკავშირებულია ამერიკელების მიერ გერმანიის კანცლერის პირადი ტელეფონის მოსმენასთან, უკანა პლანზე გადავიდა. ხოლო წინა პლანზე წამოიწია რუსეთის დასჯის მოთხოვნები. გონიერების ხმა ისევ ჩახშობილი იქნა. აშშ-მა მოახერხა ევროპის ჩათრევა რუსეთთან სანქციების ომში.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დანანებით აღნიშნა ეს ფაქტი და ამასთანავე, გამოკვეთა მოსკოვის საპასუხო ქმედებები: „გვრცხვენია ევროკავშირის მაგივრად, რომელიც, საკუთარი „ერთიანი ხმის" ხანგრძლივი ძიების შემდეგ, ვაშინგტონის ხმით ალაპარაკდა და, პრაქტიკულად, უკუაგდო საბაზისო ევროპული ფასეულობები, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფცია. ...ევროკავშირი, როგორც ჩანს, მზად არის, წავიდეს სერიოზულ ეკონომიკურ დანაკარგებზე, ავანტიურული გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელების გულისთვის. ...რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ ევროკავშირის ამჟამინდელ არაკონსტრუქციულ და არადამოუკიდებელ ქცევას, მასთან შემდგომი ურთიერთობების აგების თვალსაზრისით", — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარში 2014 წლის 30 ივლისს ევროკავშირის მიერ გამოცხადებული მორიგი სანქციების თაობაზე.






**შვეიცარიელი დანიელე განზერი მრავალრიცხოვანი ფაქტების საფუძველზე დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ე.წ. ცივი ომის დროს დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ გასაიდუმლოებული ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც აწყობდნენ აფეთქებებს, გატაცებებს, მკვლელობებს, ხოლო მასმედია ამაში ბრალს სდებდა მემარცხენე პარტიებს (კომუნისტებს და მათ მოკავშირეებს)**

**გულბაათ რცხილაძე**,
**ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

არსებობს მოსაზრება, რომ „ანსარ აშ-შარია“, იგივე „ალ ქაიდაა“, უბრალოდ, თავისი მრისხანე სახელი აქ მოსახლეობასთან დასაახლოებლად და გავლენის გასაფართოებლად შეიცვალა.

# ობამა ან დაზვერვის ანგარიშებს არ კითხულობს, ან ცრუობს

**გადაცემაში „60 წუთი“ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თავისი ჯაშუშები დაადანაშაულა იმაში, რომ მათ ვერ შეძლეს ელის-ის (ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო) გაძლიერების წინასწარ გათვლა. მაგრამ მის განცხადებაში ერთი უზუსტობაა: დაზვერვის ანალიტიკოსები მას ამ დაჯგუფების შესახებ აფრთხილებდნენ.**



ჯერ კიდევ რვა თვის წინათ აშშ-ის სადაზვერვო უწყების მაღალი რანგის ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ ელისი ამოძრავდა. 2014 წლის დასაწყისში „ისალმური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა ფალუჯაში ერაყის ჯარი გააცამტვერეს, რამაც ამერიკული სადაზვერვო საზოგადოება აიძულა, მისულიყო იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ორგანიზაცია ერაყში ახალი მიწების დაპყრობას შეეცდებოდა.

მაგრამ რამდენიმე დღის წინათ ტელეეთერში გასულ ინტერვიუში ამერიკის პრეზიდენტი აცხადებს, რომ იმ ახალი დაჯგუფების გაძლიერებამ, რომელმაც სირიასა და ერაყს შორის ტერიტორიაზე ხალიფატი გამოაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვა დააბნია. ობამამ კონკრეტულად დაადანაშაულა ნაციონალური დაზვერვის ამჟამინდელი დირექტორი ჯეიმს კლეპერი.

პრეზიდენტთან ამ ინტერვიუს ეთერში გასვლის შემდეგ ვებსაიტი The Daily Beast პენტაგონის ერთ-ერთ მაღალი რანგის ხელმძღვანელ პირს დაუკავშირდა. ეს ადამიანი უშუალოდ შეისწავლიდა საფრთხეებს, რომლებსაც სირიასა და ერაყში სუნიტი ჯიჰადისტები ქმნიდნენ. მან შეძრწუნებულმა განაცხადა: „ან პრეზიდენტი არ კითხულობს დაზვერვის ანგარიშებს, რომელთაც ღებულობს, ან იტყუება“.

**მართლაც, კლეპერმა სულ ცოტა ხნის წინათ განაცხადა Washington Post-ის წარმომადგენელს — დევიდ იგნატიუსს, რომ სათანადოდ ვერ შეაფასა ელის-ის ბოევიკები ერაყში და გადაჭარბებულად შეაფასა ერაყის უსაფრთხოების ძალების შესაძლებლობები ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ელის-თან დაპირისპირების საკითხში. მან ასევე განაცხადა, რომ მისი ანალიტიკოსები იტყობინებოდნენ აღნიშნული ორგანიზაციის შესაძლებლობებისა და თავდადების შესახებ.**

დაზვერვის სხვა მაღალი რანგის ხელმძღვაენლი პირები კი მრავალი თვის განმავლობაში აფრთხილებდნენ ელის-ის შესაძლებლობებისა და მისგან მომავალი საფრთხეების თაობაზე. სენატში დაზვერვის საკითხთა კომიტეტებში საფრთხეების თაობაზე ყოველწლიურ მოსმენებზე, რომლებიც მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში იმართებოდა, ახლახან თანამდებობიდან გადამდგარი თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი, გენერალ-ლეიტენანტი მაიკლ ფლინი ამბობდა, რომ ელისი წლის ბოლომდე შეეცდებოდა ახალი ტერიტორიების მიტაცებას. ელისი „სავარაუდოდ შეეცდება, 2014 წელს საკუთარ კონტროლს დაუქვემდებაროს ერაყისა და სირიის ტერიტორიები, რათა საკუთარი ძალების დემონსტრირება მოახდინოს“. ცხადია, ამგვარი პროგნოზი ძნელი გასაკეთებელი არ იყო. როგორც ფლინმა აღნიშნა, იმ დროისთვის ელისს უკვე დაკავებული ჰქონდა ქალაქები რამადი და ფალუჯა, ამით ყველას აჩვენა, რომ „შეუძლია, ერთდროულად აკონტროლოს სირიის მრავალი საიმედო თავშესაფარი“.

**„ელის-ის შესაძლებლობები, შეინარჩუნოს ზემოხსენებული ტერიტორიები, დამოკიდებული იქნება მის ხელთ არსებულ რესურსებზე, ადგილობრივ მხარდაჭერაზე, ასევე ერაყის უსაფრთხოების ძალების საპასუხო ქმედებებსა და სირიის ოპოზიციურ ძალებზე“,** — დასძინა ფლინმა. მან აღნიშნა, რომ მართალია, მრავალი სუნიტი შეიძლება ელისის წინააღმდეგ გამოვიდეს, მაგრამ „ტაქტიკური მოსაზრებებით ზოგიერთი სუნიტური თემი და ამ- ▶

# იემენი, როგორც ტერორისტების ბაზა

**ბოლო წლების განმავლობაში იემენმა ტერორიზმის გამავრცელებლის სახელი მოიხვეჭა. ამასთანავე, იგი გახდა ადამიანთა საცხოვრებლად ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ქვეყანა მსოფლიოში. 2012 წლის ტერორიზმის გლობალურ ინდექსში, რომელიც მერილენდის შტატის უნივერსიტეტმა შეადგინა, იემენი მე-5 ადგილს იკავებს. ტერაქტების რაოდენობის მხრივ მას მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, ასეთივეა ამ ტერაქტებში დაღუპულთა და დაზარლებულთა მაჩვენებლები და მიყენებული მატერიალური ზიანი.**



ტერაქტების მთავარი შემსრულებელი იემენში არის „ალ ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“. ნიშანდობლივია, რომ ნასირ ალ-ვუხეიში — ამ ორგანიზაციის ემირი — 2013 წლის მაისში ჟურნალმა Foreign Policy მსოფლიოს 500 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში შეიყვანა.

ქვეყნის ექსპრეზიდენტმა ალი აბდალა სალეჰმა ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მთელი რიგი ზომებისა გაატარა ქვეყანაში მდგომარეობის დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით და იმის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფო მეთაურის რანგში მისი კანდიდატურა ულტერნატივო იყო. მან დაუშვა, რომ იარაღის რამდენიმე საწყობი ფუნდამენტალისტების ხელში აღმოჩენილიყო, ამდენი იარაღი კი ამ უკანასკნელთ აუცილებლად უბიძგებდა, ისლამის სახელით „გმირობების“ ჩადენისკენ.

ახლა სალეხი ამერიკელებს იმაზე მიანიშნებს, რომ ქვეყანაში ტერორისტული მდგომარეობის გამწვავება ხელისუფლებიდან მის წასვლას უკავშირდება, რომ მხოლოდ მას შეეძლო ფუნდამენტალისტებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და რომ ცუდი არ იქნებოდა, თუ ყველაფერს თავის ადგილას დააბრუნებდნენ. პრეზიდენტ ხადის არ შეუძლია, უყურადღებოდ დატოვოს ექსპრეზიდენტის ამგვარი გამოხდომები.

„ალ ქაიდა“, სარგებლობს რა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით, იემენში ნელ-ნელა პოზიციებს იძლიერებს. დაჯგუფება „ანსარ აშ-შარია“ დაკავშირებულია ორგანიზაციასთან „ალ ქაიდა“ არაბეთის ნახევარკუნძულზე. ამასთანავე, „ალ ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“ საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებს მომხრეების მნიშვნელოვან რაოდენობასთან ერთად, რაც არ შეესაბამება ამ ორგანიზაციაზე ჩვეულ წარმოდგენებს — მისი ბოევიკები, როგორც წესი, ძნელად მისადგომ მთიან რეგიონებში იმალებოდნენ ხოლმე.

**ტერაქტების მთავარი შემსრულებელი იემენში არის «ალ ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე». ნიშანდობლივია, რომ ნასირ ალ-ვუხეიში — ამ ორგანიზაციის ემირი — 2013 წლის მაისში ჟურნალმა Foreign Policy მსოფლიოს 500 ყველაზე გავლენიანი ადამიანის სიაში შეიყვანა**

**არსებობს მოსაზრება, რომ „ანსარ აშ-შარია“, იგივე „ალ ქაიდაა“, უბრალოდ, თავისი მრისხანე სახელი აქ მოსახლეობასთან დასაახლოებლად და გავლენის გასაფართოებლად შეიცვალა.**

რაიონებში, რომლებსაც „ალ ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“ აკონტროლებს, ფუნდამენტალისტები სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების ფუნქციებს ასრულებენ. გარდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, „ანსარ აშ-შარია“ გაჭირვებულებს ეხმარება, ცდილობს, უზრუნველყოს მოსახლეობა სამედიცინო მომსახურებით, აღადგინოს ელექტროგენერატორები და ხალხს პირველადი მოხმარების საგნები მიაწოდოს.

„ალ ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“ ცდილობს, გააფართოოს საკუთარი გავლენის ზონა და ამისათვის მოსახლეობაში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა. ამასთან დაკავშირებით ფუნდამენტალისტები არც თუ იშვიათად გამოდიან ერთადერთი დაცვის გარანტის როლში იმ ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც მოსახლეობას ძარცვავენ. მაგალითად, „ანსარ აშ-შარიამ“ მოსახლეობის თხოვნით დაცვის ქვეშ აიყვანა აბიანეს, შაბვესა და ხადრამაუტას გზები.

მიუხედავად საკეთილდღეოდ აწყობილი რეგიონალური კონიუნქტურისა, „ალ-ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე“ ბოევიკების უკმარისობის გამო არ ცდილობს, საკუთარი „პასუხისმგებლობის ზონის“ გაფართოებას. ის ▶

**სირიაში მყოფი წყაროები იტყობინებიან, რომ ავიადრტყმების შედეგად დაზარალებული და განადგურებული ბაზებისა და ობიექტების დიდი ნაწილი უკვე დაცარიელებული იყო.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბოხებული დაჯგუფება მზადყოფნას აცხადებს ელისთან თანამშრომლობაზე, რადგან მათ საერთო ანტისახელისუფლო მიზნები აქვთ".

თავის შეფასებებში ფლინი მარტო არ არის. მოსმენების დროს თავად კლეპერიც ამბობდა, რომ სირიის სამი ყველაზე აფექტური ჯიჰადისტური დაჯგუფება, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ ელისია, საფრთხეს წარმოადგენენ და მაგნიტივით იზიდავენ უცხოელ ბოევიკებს.

ცსს-ს დირექტორი ჯონ ბრენანი ასევე აცხადებდა, რომ ელისი და „ან-ნუსრას ფრონტი", რომელიც თავის მხრივ „ალ ქაიდას" ოფიციალური განშტოებაა სირიაში, განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენდნენ, რადგანაც შესწევდათ უნარი, საზღვარგარეთ დასავლეთის საწინააღმდეგო ოპერაციები განეხორციელებინათ.

სენატორი დაიენ ფაინსტაინი, რომელიც სენატში დაზვერვის სპეცკომიტეტის თავმჯდომარეა, 4 თებერვალს აცხადებდა, რომ სირიაში არსებობს რაიონები, რომელთაც ვერც რეჟიმი აკონტროლებს და ვერც ზომიერი ოპოზიცია. ამის გამო, მისი თქმით, დიდ შეშფოთებას განაპირობებდა ბოევიკებისთვის საიმედო თავშესაფრების შექმნა, ასევე სავსებით რეალურია პერსპექტივა, რომ სირია შეიძლებოდა ქცეულიყო სასტარტო მოედნად ან გადასაზიდ ბაზად ტერორისტებისთვის, რომელთა მთავარი მიზანი აშშ-ისა და სხვა ქეყნებისთვის დარტყმების მიყენებაა.

**The Daily Beast**

◀ ფსონს პროპაგანდაზე დებს და ცდილობს, ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა მოიპოვოს. ამისათვის ფუნდამენტალისტები სატელევიზიო და რადიო გადაცემებს იყენებენ. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანწილად აიოლებს ფუნდამენტალისტების ამოცანას, შეივსონ რიგები ახალი მომხრეებით. ამრიგად, იემენში „ალ ქაიდას" მუშაობის მეთოდებმა ევოლუცია განიცადა.

ზემოხსენებული მუხაფაზის გარდა, „ალ ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე" განაგრძობს ბუდეების შექმნას ქვეყნის სხვა რეგიონებშიც და მათი აქტივიზაციისთვის შესაბამის პოლიტიკურ მომენტს ელის. მის მიერ კონტროლირებად რაიონებში ორგანიზაცია აქტიურ სამუშაოებს ატარებს ახალი მიმდევრების შესაძენად, ასევე მოიზიდავს ალ-ჯაუფის, მარიბის და ხადრამაუტის მუხაფაზების ბოევიკებს.

ფუნდამენტალისტებმა უკვე მოახერხეს თანამშრომლობის აწყობა სომალელ ექსტრემისტებთან ორგანიზაციიდან „აშ-შაბაბ" და ახლა მათგან იღებენ იარაღსაც და ბოევიკებსაც.

სამხრეთ მუხაფაზები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იემენში, რადგან სწორედ იქ არის თავმოყრილი ნავთობსაბადოები. თუ იემენის არმიის შეზღუდულ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, ამ ტერიტორიის ტერორისტებისგან გათავისუფლება კარგა ხანს ვერ მოხერხდება.

**cont.ws**

# ამერიკელთა ავიადარტყმებმა ჯიჰადისტები უფრო გაააქტიურა

**ელის-ი (ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო) თავისი ამჟამინდელი იპოსტასით გასული წლის აპრილში გაჩნდა. მას შემდეგ ამ ორგანიზაციის წინაშე დგას დილემა — როგორ მოიპოვოს პოპულარობა ადგილობრივ მოსახლეობას შორის ისე, რომ პარალელურად განაგრძობდეს გენოციდის დაუნდობელ პოლიტიკას თვით თანამოძმე სუნიტების წინააღმდეგაც კი. ამერიკის მეთაურობით მოქმედი კოალიციის გადაწყვეტილება, მიეყენებინა დარტყმები ელის-ისთვის ასადის რეჟიმის სრული იგნორირებით, ამ დილემის გადაჭრაა. ავიადარტყმები შეასუსტებს დაჯგუფებას და მის რიგებში დანაკარგებსაც განაპირობებს, მაგრამ ამავე დროს ამ ავიადარტყმებმა, სავსებით შესაძლებელია, ორგანიზაციის ლეგიტიმურობა გაზარდოს.**



ელის-ისთვის ავიადარტყმების მიყენება გარდაუვალი იყო, რადგან ადგილობრივი ძალები აშკარად ვერ ახერხებენ, შეაჩერონ ბოევიკების მიახლოება ბაღდადთან, ერბილესთან და ჩრდილოეთ სირიასთან, მაგრამ იმის გამო, რომ აშშ-ის მეთაურობით მოქმედი კოალიცია, რომელსაც ახლა ბრიტანეთიც შეუერთდა, გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, შესაძლოა, სასწორი ჯიჰადისტების სასიკეთოდ გადაიხაროს.

ყველაზე ცუდი არის ის, რომ კოალიცია უგულვებელყოფს ბაშარ ასადის რეჟიმს. შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ სწორედ ის გადაარჩინა კოალიციამ. რამდენიც უნდა ამტკიცოს ვაშინგტონმა, რომ ეს ასე არ არის, მსგავსმა აზრმა, შესაძლოა, ფესვი გაიდგას რეგიონში, თუკი სირიის რეჟიმი დაიწყებს იმ ვაკუუმის შევსებას, რომელსაც ელის-ზე დარტყმები გააჩენს. ეს კიდევ უფრო მოსალოდნელია იმ ფაქტების არარსებობის ფონზე, რომლებიც შესაძლებელს გახდიდა მტკიცებას, რომ ოპოზიციის ძალები ასევე ჩართულნი არიან ელისის საწინააღმდეგო კამპანიაში.

ამ შთაბეჭდილების გასამყარებლად რეჟიმმა, შესაძლოა, მიზანმიმართულად გაზარდოს ზეწოლა ზოგიერთ სფეროში და თავის კონტროლქვეშ დააბრუნოს ჯიჰადისტების მიერ დათმობილი ტერიტორიები.

შემთხვევით არ იყო, როდესაც სირიის ოფიციალურმა პირებმა ნაადრევად განაცხადეს, რომ რეჟიმს წინასწარ მიაწოდეს ინფორმაცია ავიადარტყმების თაობაზე.

სირიელი ამბოხებულების მრავალი ჯგუფი, მათ შორის ისინიც, რომლებსაც პირდაპირ აფინანსებენ ამერიკელები და სპარსეთის ყურის ქვეყნები, ეჭვის თვალით უყურებენ კოალიციის ოპერაციებს ან გამოდიან მის წინააღმდეგ. კერძოდ, ამგვარი განცხადებები გააკეთეს მოძრაობა „ხაზმმა", მე-13 დივიზიამ და ბრიგადა „სუკურ აშ-შამმა". ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საუბარია დაჯგუფებებზე, რომლებიც მოქმედებენ არა ელისის დაქვემდებარებაში მყოფ, მაგრამ გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე. ეს ნიშნავს, რომ საჰაერო დარტყმების დაცვის ქვეშ მყოფთ სხვებზე იოლად შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ელისზე პოტენციურ სახმელეთო შეტევაში. ზოგიერთი მათგანი, გამოდის რა ამგვარი პოზიციიდან, როგორც ჩანს, პირველ რიგში პრაქტიკული მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, რადგან, თუ ელისის შეჩერებისა და უკან დახევის იძულების მცდელობები წარუმატებლობით დასრულდება, ამის შედეგებს პირისპირ სწორედ ისინი შეეჯახებიან. თუმცა ზემოხსენებულ დაჯგუფებებს ასევე ცალსახად აშფოთებთ ისიც, რომ საერთაშორისო კოალიცია, შესაძლოა, ასადს დაეხმაროს.

რეგიონში ოპერაციას სკეპტიკურად შეხვდნენ როგორც სხვადასხვა ორგანიზაციის, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები. „ძმები მუსლიმანები", მათ შორის ისეთი გავლენიანი ფიგურები, როგორიც დოჰაში მცხოვრები იუსუფ ალ-კარდავია, გმობენ სირიის ტერიტორიაზე ავიადარტყმების მიყენებას.

არაბულ ქვეყნებს (საუდის არაბეთს, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და იორდანიას), რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო სამხედრო კამპანიაში, ბევრი აკრიტიკებს იმის გამო, რომ მათ ვერ მოახერხეს ამავე კამპანიის სხვა — არა მხოლოდ ელისის პოზიციების, არამედ პარალელურად ასადის რეჟიმის დამანგრეველ ფორმატში გადაყვანა. ამასთანავე, ირანი სირიის ტერიტორიაზე ელისზე დარტყმების მიყენების წინააღმდეგ გამოდის, თურქეთი კი ხაზს უსვამს, რომ ოპერაცია ვერ იქნება წარმატებული ასადის წინააღმდეგ მიმართული ზომების გატარების გარეშე. ამგვარ ზომებში თურქეთი სხვა ყველაფერთან ერთად არასაფრენ ზონასაც მოიაზრებს.

ეს ნიშნავს, რომ ელისს შეუძლია, მის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო

## თუ კოალიციის სტრატეგია არ შეიცვლება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, ელის-ის წინააღმდეგ ბრძოლა დამარცხებისთვის იქნება განწირული



კამპანიიდან სარგებელი ნახოს, თუ, რა თქმა უნდა, მიმდინარე სტრატეგია უცვლელად დარჩება. სირიის აღმოსავლეთში ადამიანებთან, მათ შორის ელისის წევრებთან და მის გულშემატკივრებთან, საუბრების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიელისურმა კამპანიამ ჯიჰადისტებს ერთი სარგებელი უკვე მოუტანა: ორგანიზაციის მთელი რიგი წევრები, რომლებიც მის პერიფერიებში იყვნენ გაბნეულნი, მიუახლოვდნენ მისსავე ბირთვს, მისი მოწინააღმდეგე ისლამისტების გარკვეული არც თუ მცირე რაოდენობა კი ნეიტრალიზებულ იქნა.

ელისში მრავალი ახალბედაა და ბევრი მათგანი იდეოლოგიურად არამდგრადია. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაჯგუფება პირისპირ აღმოჩნდა რიცხობრივი უპირატესობის მქონე ალიანსის ძალებთან ვაშინგტონის მეთაურობით, მისი წევრები, რომლებიც სხვა შემთხვევაში შესაძლოა, ჩამოშორებოდნენ მის პოზიციებს, თავდაჯერებულ მომხრეებად გარდაისახნენ.

ელის-ს შეუძლია, საკუთარ თავს მომარაგების მარშრუტების, ინფრასტრუქტურისა და საკუთარი წევრების გარკვეული ნაწილის დაკარგვის უფლება მისცეს. ამ წევრებს შორის მრავალი ახალბედა იქნება და ელის-ი გაწირავს მათ, თუ სანაცვლოდ საზოგადოებრივ აღიარებას მიიღებს. მათ უკვე დაიწყეს გადაწყობა კამპანიის პირობების შესაბამისად: ბლოკ-პოსტების რაოდენობა მინიმუმამდე შეამცირეს, ძირითადად, მობილურ რაზმებად იქცნენ და თავიანთი იარაღის საწყობები ერაყისა და სირიის ტერიტორიების ყველაზე უსაფრთხო ადგილებში გადაიტანეს.

სირიაში მყოფი წყაროები იტყობინებიან, რომ ავიადრტყმების შედეგად დაზარალებული და განადგურებული ბაზებისა და ობიექტების დიდი ნაწილი უკვე დაცარიელებული იყო. ცხადია, დარტყმები დააზიანებს იმ გზებს, რომლებიც ქარხნებთან და ნავთობსაბადოებთან მიდის, და ეს გარკვეულწილად დაეხმარება კოალიციას, ელისს შემოსავლის ნაწილი დააკარგვინოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ორგანიზაციას თავისუფლად შეუძლია, ამ იოლი ფულის გარეშეც გაიტანოს თავი.

ასევე, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ჯიჰადისტებმა „მთვლემარე" ბუდეების რთული სისტემა შექმნეს. ამ ბუდეებს ჯერ თავი არ გამოუაშკარავებიათ — ისინი „მთვლემარე" მდგომარეობაში რჩებოდნენ მაშინაც კი, როდესაც ორგანიზაცია საკუთარ ტერიტორიებზე თავს აბსოლუტურად უსაფრთხოდ გრძნობდა.

იმისათვის, რომ ელის-ის წინააღმდეგ ბრძოლა პოპულარული გახადონ, სუნიტური ქვეყნების მოზიდვა საკმარისი არ არის — აუცილებელია ყურადღების გამახვილება იმ ფაქტორებზე, რომლებმაც სირიელების ნაწილი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბა.

იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ მონაწილეობს კამპანიაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოკავშირეები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სრულ იგნორირებას უწევდნენ სირიაში არსებულ მდგომარეობას, მაგრამ მშვენივრად მოახერხეს უსწრაფესად მძლავრი საერთაშორისო კოალიციის ორგანიზება იმ დაჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელსაც სირიელები გასული წლის ზაფხულიდან ებრძოდნენ. თუ კოალიციის სტრატეგია არ შეიცვლება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, ელის-ის წინააღმდეგ ბრძოლა დამარცხებისთვის იქნება განწირული.

**The Guardian**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლიტვის დანაკარგმა 922 მილიონი ევრო შეადგინა (საუბარია ქვეყანაზე, რომლის მოსახლეობა 3 მილიონზე ნაკლებია); მეორე ადგილზეა პოლონეთი — მისი დანაკარგი 840 მილიონ ევროს შეადგენს. ამის შემდეგ მოდის გერმანია (589 მილიონი ევრო), ჰოლანდია (503 მილიონი ევრო), დანია (341 მილიონი ევრო), ესპანეთი (326 მილიონი ევრო), ბელგია (281 მილიონი ევრო) და ფინეთი (273 მილიონი ევრო).**

# ევროპა დანაკარგს ითვლის



**სექტემბრის შუა რიცხვებში ევროკავშირის პარლამენტის საიტზე გაჩნდა ინტერაქტიული რუკა, რომელზეც ფერებშია გამოსახული რუსეთის საპასუხო სანქციების შედეგად ევროკავშირის თითოეული ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი 2013 წლის ექსპორტის მოცულობებთან მიმართებაში. მუქი ბორდოსფერით აღნიშნულია ყველაზე დიდი დანაკარგები (ამ ფერით ლიტვა და პოლონეთია აღნიშნული); ოდნავ ღია ფერითაა გერმანია, ნიდერლანდები, დანია, ესპანეთი, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, ავსტრია და უნგრეთი.**

**ლიტვის დანაკარგმა 922 მილიონი ევრო შეადგინა (საუბარია ქვეყანაზე, რომლის მოსახლეობა 3 მილიონზე ნაკლებია); მეორე ადგილზეა პოლონეთი — მისი დანაკარგი 840 მილიონ ევროს შეადგენს. ამის შემდეგ მოდის გერმანია (589 მილიონი ევრო), ჰოლანდია (503 მილიონი ევრო), დანია (341 მილიონი ევრო), ესპანეთი (326 მილიონი ევრო), ბელგია (281 მილიონი ევრო) და ფინეთი (273 მილიონი ევრო).**

გათვლებით გულმოკლულმა ევროპარლამენტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთის სანქციების შედეგად ევროპელი ექსპორტიორები „სერიოზულად დაზარალდებიან“, რადგან რუსეთი „სიდიდით მეორე საექსპორტო ბაზარია სოფლის მეურნეობის პროდუქციისთვის“.

2013 წელს რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ექსპორტის ღირებულება 11,3 მილიარდ ევროს შეადგენდა. რუსეთის მიერ მხოლოდ კვების პროდუქტების იმპორტზე დაწესებული ემბარგოს შედეგად დანაკარგებმა, როგორც სავარაუდო იყო, 5,1 მილიარდ ევროს მიაღწია.

ექსპერტების აზრით, ევროკავშირის ეკონომიკამ საერთო ჯამში რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული საკუთარი სანქციებისა და რუსეთის კონტრზომების შედეგად, შესაძლოა, 1 ტრილიონამდე ევრო დაკარგოს. სანქციებს ორი სახის დანაკარგები მოაქვს. იმ პროდუქციის წარმოება, რომელზეც რუსეთმა უარი განაცხადა, პირდაპირი დანაკარგებია. მეორე მხრივ კი, საზღვარგარეთ გაუტანელი პროდუქცია მნიშვნელოვნად იკლებს ფასს იმ ქვეყანაში, სადაც იქნა წარმოებული. ეს დანაკარგების მეორე — ირიბი ფორმაა.

ახლა ლიტვის აგროფირმები და საკონსერვო ქარხნები იძულებულნი არიან, გათავისუფლდნენ „ზედმეტი“ თანამშრომლებისგან. ჩეხეთი აღარ ჩანს ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან შეტანილი ხილისა და ბოსტნეულის გორებში და შესაბამისად ფასები განახევრდა. ესმით რა, რომ დამნაშავენი პოლიტიკოსები არიან, ფერმერები მიტინგებზე პროტესტით გამოდიან და პროდუქციის გატანის არალეგალურ გზებს ეძებენ.

ევროპის საქმიან წრეებში სანქციების თვითმკვლელური პოლიტიკით აღშფოთება უკვე ჩვეულ მიდგომად იქცა. სანქციების მკაცრი კრიტიკით გამოვიდა გერმანიის საშუალო ბიზნესის საწარმოთა ფედერალური გაერთიანების პრეზიდენტი მარიო ოჰოფენი. „უკრაინის კრიზისი მხოლოდ მოლაპარაკებების მაგიდასთან შეიძლება მოგვარდეს. სანქციების სპირალის ყოველი ახალი შტო კიდევ უფრო მეტად უბიძგებს რუსეთს ჩინეთისკენ, რომელიც უმალ დაიკავებს წასული დასავლელი ექსპორტიორების ადგილს“, — განაცხადა მან.

ახლახან სანქციების წინააღმდეგ გამოვიდა გერმანული ეკონომიკის აღმოსავლეთ კომიტეტის მეთაური ეკხარდ კორდესიც. მისი განცხადებით, ყოველთვის არსებობენ სახელმწიფოები, რომლებიც არ მონაწილეობენ სანქციებში“. ეს ნათელი მინიშნება იყო ჩინეთზე, რომელიც ახლა ცდილობს, რუსეთის ბაზარზე გერმანული ბიზნესი ჩაანაცვლოს. კორდესმა ასევე აღნიშნა, რომ საჯარიმო ზომების შემოღებით გერმანული მხარე სულ უფრო მეტ ზიანს აყენებს საკუთარ თავს და ვერ აღწევს მოსალოდნელ პოლიტიკურ ეფექტს. უკრაინის კრიზისზე საუბრისას იგი მიიჩნევს, რომ ამ დრომდე რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა ვერანაირმა სანქციებმა ვერ მოიტანა მოსალოდნელი პოლიტიკური ეფექტი.

გერმანელი მეწარმეების პოზიციებს იზიარებენ ეკონომისტებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები შხამია გერმანული ეკონომიკის დინამიური განვითარებისთვის.

**Фонд Стратегической Культуры**

# ევროპული მკაცრი ეკონომიის რეჟიმის აჩრდილები

**ძველი ანდაზის თანახმად, „თუ ფაქტები ვერ შეესაბამება თეორიას, საჭიროა თეორიის შეცვლა“, მაგრამ ხშირად თეორიის დაცვა უფრო ადვილია, ვიდრე ფაქტების შეცვლა. ყოველ შემთხვევაში ასე თვლიან გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და ევროპის სხვა ლიდერები, რომლებიც მკაცრ ეკონომიას უჭერენ მხარს. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტები ცხვირწინ აქვთ, ისინი რეალობის უარყოფას განაგრძობენ.**



მკაცრი ეკონომია ვერ გამოვიდა, მაგრამ მისი მცველები მზად არიან, გამარჯვებაზე განაცხადონ პრეტენზია ყველა შესაძლებელი მტკიცებულებიდან უსუსტესის საფუძველზე: ეკონომიკა უკვე აღარ არის რეცესიაში, ანუ მკაცრმა ეკონომიამ გაამართლა! მაგრამ ამგვარი პრეტენზიების პირობებში ასევე ლოგიკური იქნებოდა იმის თქმა, რომ მთიდან ჩამოსვლის საუკეთესო საშუალება ხევში გადახტომაა — შედეგად ხომ ფსკერზე აღმოვჩნდებით.

მაგრამ ნებისმიერ ვარდნას აქვს დასასრული. წარმატება უნდა იზომებოდეს არა იმით, რომ ბოლოსდაბოლოს აღდგენა დაიწყო, არამედ იმით, თუ რამდენად სწრაფად მოიცავს ის სიტუაციას და რამდენად დიდი იქნება დანაკარგები ვარდნის შემდეგ.

ამ აუცილებლობების გათვალისწინებით, მკაცრი ეკონომია ნამდვილი გამანადგურებელი უბედურება იყო, რომელიც კიდევ უფრო ნათელი ხდება, რადგან ევროკავშირის ეკონომიკა კვლავ ეჯახება რეცესიას, სამმაგ ვარდნას და რეკორდულად მაღალ დონეზე შენარჩუნებულ უმუშევრობას. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შიდა საერთო პროდუქტი კი მრავალ ქვეყანაში კრიზისამდელ მაჩვენებელზე დაბალი რჩება. თვით ყველაზე ეფექტურ ეკონომიკებშიც კი, როგორიც გერმანიაა, 2008 წლის კრიზისის შემდეგ ზრდა იმდენად ნელია, რომ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში მას კრახს უწოდებდნენ.

ყველაზე დაზარალებული ქვეყნები დეპრესიაში არიან. სხვა სიტყვა არ არსებობს იმისათვის, რომ აღიწეროს ესპანეთის ან საბერძნეთის ეკონომიკების მდგომარეობა. იქ ყოველი მეოთხე ადამიანი და ახალგაზრდების 50%-ზე მეტი სამუშაოს ვერ შოულობს. ეკონომიკის გამოჯანმრთელების მტკიცება მხოლოდ იმის გამო, რომ უმუშევრობის დონემ ორი პუნქტით იკლო ან რაღაც მცირე ზრდა შეინიშნება, ძალიან ჰგავს შუასაუკუნოვანი ექიმის მტკიცებას, რომ სისხლის გამოშვება კურნავს, რაკი პაციენტი ჯერ კიდევ ცოცხალია.

**1980-იანი წლებიდან მოყოლებული გათვლებით გამოდის, რომ დღეს წარმოება ევროზონაში 15%-ით ნაკლებია, ვიდრე 2008 წლის ფინანსური კრიზისის გარეშე იქნებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 1,6 ტრილიონი დოლარი მხოლოდ მიმდინარე წელს დაიკარგა.** კიდევ უფრო მეტად საგანგაშოა ის, რომ ეს სხვაობა განუხრელად იზრდება.

სხვაგვარად და უფრო მარტივად რომ ითქვას, ხანგრძლივი რეცესია ევროპაში ზრდის პოტენციალს ამცირებს. არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ ახალგაზრდები დგანან მთელი ცხოვრების მანძილზე გაცილებით მცირე შემოსავლის პერსპექტივის წინაშე, ვიდრე სრული დასაქმების პერიოდში შეიძლებოდა ჰქონოდათ.

**გერმანია სხვა ქვეყნებსაც აიძულებს, მისდიონ პოლიტიკას, რომელიც ასუსტებს მათ ეკონომიკასა და დემოკრატიას. მოქალაქეებმა არაერთხელ მისცეს ხმა პოლიტიკის შეცვლას.**

საფრანგეთმა სამი წლის წინათ მისცა ხმა კურსის შეცვლას. კურსის შეცვლის ნაცვლად, ამომრჩევლებს მისცეს მკაცრი ეკონომიის მორიგი დოზა, რომელიც ბიზნესისკენ იყო მიმართული. საფრანგეთში კი ეგრეთ წოდებული სოციალისტური ხელისუფლება ამცირებს კორპორატიულ გადასახადებს და ამცირებს ხარჯებს — ეს არის ეკონომიკის გარდაუვალი დასუსტების, მაგრამ გერმანიისგან ჯილდოების მიღების გარანტირებული რეცეპტი.

იმედოვნებენ, რომ დაბალი კორპორატიული გადასახადები ინვესტიციების სტიმულირებას განაპირობებს, მაგრამ ეს წმინდა წყლის სისულელეა. ინვესტიციებს მაღალი გადასახადები კი არა, მოთხოვნილების არარსებობა აკავებს.

ზუსტად ანალოგიურად ახლა იტალიას სთავაზობენ, დააჩქაროს პრივატიზაცია, მაგრამ პრემიერმინისტრ მათეო რენცის საკმაოდ საღი აზროვნება აქვს საიმისოდ, რომ აღიაროს — ნაციონალური აქტივების დისკონტურ ფასად გაყიდვებს აზრი არ აქვს. კერძო სექტორში მოქმედებას უნდა განაპირობებდეს გრძელვადიანი მოსაზრებები და არა მოკლევადიანი ფინანსური საჭიროებები.

ქვეყნებს პენსიებზე ექსპერიმენტები ძვირად დაუჯდათ. დიდწილად ამერიკის კერძო ჯანდაცვის სისტემა მსოფლიოში ყველაზე ნაკლებეფექტიანია. ეს რთული საკითხები აჩვენებს, რომ სახელმწიფო აქტივების იაფად გაყიდვა გრძელვადიანი ფინანსური ძალების გაუმჯობესების კარგი საშუალება არ არის.

იმის მტკიცებულებები, რომ მკაცრი ეკონომია არ მუშაობს, დღითიდღე იმატებს, გერმანია და სხვა ქორები მასზე ფსონს აორმაგებენ და ამით ევროპის მომავლის ფსონს დებენ იმ თეორიის ხარჯზე, რომელსაც დისკრედიტირების გრძელი ისტორია აქვს.

**Project Syndicate**

მსოფლიო



## ევროპელები რადიკალ მუსლიმანებს მიჰყვებიან ცოლად

**ევროპელი გოგონები ახლო აღმოსავლეთში გადადიან საცხოვრებლად და რადიკალურად განწყობილ მუსლიმანებს მიჰყვებიან ცოლად.** ემიგრანტთა ასაკი, ძირითადად, 14-15 წელია. ზოგი არც მალავს, რომ, თუ დასჭირდება, თავადაც იარაღს აიღებს ხელში. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ მათი ნაწილი სოციალური ქსელის საშუალებით მოატყუეს — მუსლიმანები ევროპელ გოგონებს ახლო აღმოსავლეთში უფასო ტურებს ჰპირდებიან. ისლამისტთა ევროპელ ცოლებს შორის რაოდენობით ფრანგი ქალები ლიდერობენ, მათ მოსდევენ ქალები აშშ-დან, ავსტრალიიდან, ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან და გერმანიიდან.







**შოტლანდიის რეფერენდუმმა ახალი ლეგიტიმაცია მისცა ბებერი ევროპის ნაციონალიზმს. ის გავლენას ახდენს და მომავალშიც მოახდენს სხვა განწყობებზე, სხვა რეგიონებსა და სახელმწიფოებში ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილზე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პოსტშოტლანდია და პრეკატალონია: სუვერენიტეტების აღლუმი ბებერ ევროპაში

**2014 წლის 18 სექტემბერს შოტლანდიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა. 9 ნოემბერს კი მსგავსი რეფერენდუმი ესპანეთში კატალონიის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით გაიმართება. პირველმა რეფერენდუმმა აჩვენა, თუ როგორ შიძლება, რომ დამოუკიდებლობის იდეა უპერსპექტივოს კატეგორიიდან შესაძლებლისა და მოსალოდნელის კატეგორიაში გადავიდეს.**



შოტლანდიის მაგალითმა ევროპელებს უჩვენა, რომ დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული, განვითარებული და მსოფლიოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით კეთილდღეობაში მცხოვრები საზოგადოება, ისეთი, როგორიც ბრიტანეთშია, არც თუ სტაბილური აღმოჩნდა ახალი ნაციონალიზმის წინაშე, როგორც ეს ადრე წარმოედგინა ყველას. გარდა ამისა, ახალმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა ევროპაში ყველას უჩვენეს თავიანთი ლეგალური შესაძლებლობები. შოტლანდიის რეფერენდუმამდე რეგიონული სეპარატიზმის მსგავსი სცენარით განვითარების შესახებ მხოლოდ კანადურმა კვებეკმა თუ იცოდა.

იმ დროს, როდესაც ეკონომიკური კრიზისი ისედაც ღრღნის ევროკავშირს, გამოწვევა სწორედ ზენაციონალური ევროპული ინსტიტუტებისა და პრინციპებისთვის, ბრიტანეთის ხალხთა კავშირის შესაძლო აღსასრული და კატალონიაში ესპანური იდენტურობის ნაწილობრივ დაძლევა დააკანონებს იმ ნაციონალურ პრეტენზიებს, რომელთა საკუთარი ნაციონალური სახელმწიფოებიდან აღმოფხვრასაც ევროპა უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ცდილობდა.

შოტლანდიის რეფერენდუმმა ახალი ლეგიტიმაცია მისცა ბებერი ევროპის ნაციონალიზმს. ის გავლენას ახდენს და მომავალშიც მოახდენს სხვა განწყობებზე, სხვა რეგიონებსა და სახელმწიფოებში ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილზე. იგულისხმება ევროკავშირის ისეთი წევრები, როგორებიც არიან ესპანეთში კატალონია და ბელგიაში ფლანდრია. კრიზისული წერტილები არსებობს იტალიურ ტიროლსა და რუმინულ ტრანსილვანიაშიც. პოლონურ სილეზიაში მიმდინარეობს მუშაობა პოლონურისგან განსხვავებული სილეზიური ეროვნული იდენტურობის გასაფორმებლად. მაგრამ ამ ფონზე ბრიტანული შემთხვევა მაინც უნიკალურია, რადგან წამოწეულ იქნა ისტორიულად არსებული სახელმწიფოს აღდგენისა და ბრიტანელი ხალხისთვის მომგებიანი კავშირის დარღვევის საკითხი.

საფრანგეთთან მწვავე დაპირისპირების ფაზის შემდეგ ბრიტანეთი იმ რთული საერთაშორისო სისტემის ცენტრად იქცა, რომელიც ნაპოლეონისეული ომებიდან მეორე მსოფლიო ომამდე არსებობდა. ბრიტანეთის იმპერიამ ჩამოაყალიბა არა მხოლოდ ურთიერთობათა საერთაშორისო სისტემა, არამედ გავლენას ახდენდა შიდაპოლიტიკურ განაწესებზეც ბრიტანეთის კოლონიების ბაზაზე აღმოცენებულ ისეთ მსხვილ ქვეყნებში, როგორიც აშშ, კანადა, ავსტრია, სამხრეთი აფრიკა და ინდოეთი იყო. ბრიტანეთის იმპერია ყალიბდებოდა არა მხოლოდ ძალით, არამედ თავისუფალი ვაჭრობითაც, რაც საკუთარი სამრეწველო რევოლუციის მიღწევებს ეფუძნებოდა. ბრიტანეთის იმპერიამ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ მის მიერ მიღებული დივიდენდები ამ დრომდეც აძლევს მოგებას დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებს.

მაგრამ ბრიტანეთის იმპერიის ზრდის დაწყებამდე ინგლისი და შოტლანდია ისტორიული მტრები იყვნენ. ისინი ერთმანეთს არ ენდობოდნენ და საამისოდ ორივეს საკმაო მიზეზი ჰქონდა. ერთ კუნძულზე თანამცხოვრები ორი ხალხისთვის მუდმივად იდგა ნაციონალური უსაფრთხოების პრობლემა. ინგლისელები შიშობდნენ, რომ შოტლანდიის მხრიდან მტერი დაესხმოდა თავს და შოტლანდიას მოხერხებულ ბაზად გამოიყენებდა. შოტლანდიელები, თავის მხრივ, შიშობდნენ, რომ ინგლისური დომინირება შოტლანდიელთა ექსპლოატაციას განაპირობებდა, დროთა განმავლობაში კი — ასიმილაციასაც, ანუ მათი ენისა და კულტურის გაქრობას. ენასთან მიმართებაში ეს შიში სავსებით გამართლებული აღმოჩნდა.

1701 წლის უნია ორი ქვეყნის პარლამენტთა დადგენილებების შედეგად იქცა. ინგლისი კუნძულოვანი გეოპოლიტიკის პრინციპით ხელმძღვანელობდა, შოტლანდიამ კი იცოდა, რომ დამოუკიდებლად ვერ გადაიხდიდა დაგროვილ უზარმაზარ ვალს. გარდა ამისა, ამ კავშირის წყალობით შოტლანდიამ ბრიტანეთის კოლონიზაციის ხარჯზე მოაგვარა ჭარბი მოსახლეობის პრობლემა, რომელმაც ღატაკ ქვეყანას დიდი შვება მისცა.

**ევროპაში არსებული სეპარატისტული კონფლიქტები დიდწილად კულტურის გაჩენილია — ნაციონალური იდენტურობა დამოკიდებულია ისტორიულ მეხსიერებაზე, რომელიც კულტურული საშუალებებით იმართება**



ინგლისისა და შოტლანდიის კავშირის საფუძველზე ბრიტანეთის მთავარ კუნძულზე შეიქმნა დიდი ბრიტანეთი. XX საუკუნის ბოლოსთვის ნაციონალური განსხვავებები თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა. კელტური ენის მატარებლები მინიმუმამდე შემცირდნენ, თავად შოტლანდიელები ლიტერატურულ ინგლისურზე გადავიდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა შოტლანდიურ ნაციონალიზმს ვერაფერი დააკლო.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერი ნაციონალური სახელმწიფო პრაქტიკაში ეჯახება რეალობას, რომ არ შეუძლია იყოს მონოეთნიკური. ნებისმიერ ნაციონალურ სახელმწიფოში არსებობს ეთნიკური უმცირესობები. გარდა ამისა, თვით ერთი ეთნოსის ფარგლებშიც კი თავს იჩენს ხოლმე კულტურული სხვადასხვაობები.

სინამდვილეში ეთნიკური იდენტურობა, რომელიც დაკავშირებულია არა მიწასთან და სისხლთან, არამედ კულტურასთან, პრაქტიკაში ისეთივე ცვალებადია, როგორიც თავად კულტურა. ამ პრობლემას ნაციონალური სახელმწიფოები გაჩენის დღიდან ეჯახებიან და სხვადასხვაგვარად წყვეტენ — ხშირად კონფლიქტითა და სისხლისღვრით.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაციონალური სახელმწიფოს იდეა აბსურდამდე მივიდა. ევროპაში იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი, მიღებულ იქნა პრინციპი არსებული სახელმწიფოების საზღვრების უცვლელობის შესახებ.**

მაგრამ დოქტრინა არასრულყოფილი აღმოჩნდა — რიგ შემთხვევებში შიდა ადმინისტრაციული საზღვრები ახალი ნაციონალური სახელმწიფოების საზღვრებად იქცა და ახალი სისხლიანი კონფლიქტები გაჩაღდა, მაგრამ ევროპას მსგავსი შემთხვევები მისთვის სახიფათო პრეცენდენტებად არ ულიარებია.

ნაციონალური თვითგამორკვევის უფლება და ნაციონალური სახელმწიფოს პრინციპი საფუძველშივე მანკიერი აღმოჩნდა, რადგან ყოველ ისტორიულ პერიოდში ახალ-ახალ კონფლიქტებს ბადებდა. ევროკავშირის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ დაძლეულიყო ევროპაში ნაციონალური თვითგამორკვევის პრაქტიკა ზენაციონალური სტრუქტურების ფორმირებით.

შოტლანდიაში ჩატარებულმა რეფერენდუმმა აჩვენა, რომ შოტლანდიელების თითქმის ნახევარი ეკონომიკურად განუსაზღვრელ მომავალს არჩევს საუკუნეობით გამოცდილ ხალხთა კავშირს.

**ევროპაში არსებული სეპარატისტული კონფლიქტები დიდწილად კულტურის გაჩენილია — ნაციონალური იდენტურობა დამოკიდებულია ისტორიულ მეხსიერებაზე, რომელიც კულტურული საშუალებებით იმართება.**

შოტლანდიელებმა დაიჯერეს, რომ შოტლანდია შეიძლება მათი მეზობელი ნორვეგიის მსგავსი ქვეყანა გახდეს. სეპარატიზმის წინააღმდეგ არ არსებობს რაციონალური არგუმენტები, რომლებიც გადასახადების გადახდას ან ბანკებში ანგარიშების შენარჩუნებას ეფუძნება. ნაციონალიზმი ნებისმიერ ეკონომიკურ ლოგიკას ამარცხებს.

ევროპის სეპარატისტული მისწრაფებები და მასთან დაკავშირებული ნაციონალიზმი ისტორიის თანამედროვე ეტაპის კანონზომიერება არ არის. ისტორია მუდამ ხალხთა ბრძოლის ველი იყო, მაგრამ ამ მოვლენის აღმოფხვრა არ შეიძლება. სახელმწიფოებრიობის არსის ნაციონალურიდან რაიმე სხვაზე გადაყვანა შეიძლება, მაგრამ მხოლოდ თეორიულად, ამიტომ სახელმწიფოს მხოლოდ რაციონალური კონტროლიღა რჩება ეთნიკური იდენტურობისა და მისი დამბადებელი კულტურის მიმართ.

ბრიტანეთის ხელისუფლებამ თამაშის პირველ ტურში შოტლანდიელ ნაციონალისტებთან გამარჯვებას მიაღწია. ახლა მას ამ გამარჯვების გამყარება სჭირდება შოტლანდიური ეთნიკური იდენტურობის შემთხვევაში ნაციონალიზმის დაბლოკვის მიმართულებით. ანალოგიური გამოცდის რიგში შემდეგი ესპანეთის ხელისუფლებაა...

cont.ws

მოკლედ




## ებოლამ აშშ-შიც შეაღწია

**აშშ-ში ებოლას ცხელების პირველი შემთხვევა ტეხასის შტატის ქალაქ დალასი დარეგისტრირდა.** ტეხასის პრესვიტერიანული ჰოსპიტლის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, პაციენტი, რომლის ვინაობაც არ სახელდება, ინფექციურ იზოლატორშია გადაყვანილი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, დასავლეთ აფრიკაში ებოლას ეპიდემიის შედეგად დაღუპულთა რაოდნობამ 3 ათასს გადააჭარბა. იმავე მონაცემებით, ეპიდემიის დროს ინფიცირებულთა 70% დაიღუპა.



გეოპერსპექტივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოდომური მაფია გადაქცეულია მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც სულ უფრო აგრესიული ხდება თავისი მრავალსახიერებით, კონტროლს აწესებს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებზე, მიიწევს მსოფლიოს პოლიტიკური მწვერვალებისკენ.**

# სექსუმცირესობა ხელისუფლებაში უმრავლესობით არის წარმოდგენილი

**დავიწყოთ უახლესი ინფორმაციით: მამათმავლების ჟურნალმა Gay Times-მა, რომელიც ინგლისში გამოიცემა, გამოაქვეყნა 30 ადამიანის სია, რომლებიც სექსუმცირესობის სიმბოლოდ არიან აღიარებულნი. მათ შორის პირველი, არც მეტი, არც ნაკლები, დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერმინისტრი ტონი ბლერია. რა დამსახურებისთვის? მოგახსენებთ: პრემიერად ყოფნის პერიოდში მან დაუღალავად იღვაწა, რათა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონიდან ამოეღოთ 28-ე მუხლი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფალთ უკრძალავდა ჰომოსექუალიზმის ნორმალურ მოვლენად აღიარებასა და წახალისებას. მისივე წამოწყებულია ტრანსსექსუალების იურიდიული დაკანონება და სექსუალური ორიენტაციის მიზეზით სამსახურიდან მათი გათავისუფლების აკრძალვა.**
**ესეც — „ევროპული ღირებულებების“ ნაწილი, რომელთა გულის ფიცარზე დაწერის ვალდებულება ვიკისრეთ.**
**პუბლიკაცია, რომელსაც გთავაზობთ, მამათმავლობის, ლგბტ-ის, გეიზმის, ანუ პედერასტობის მომძლავრებას ეხება, პრობლემას, რომელიც განსაკუთრებით გვაწუხებს ჩვენ — ქართველებს.**
**ფაქტობრივი მასალა უცხოური მედიიდანაა ამოკრეფილი.**



**თანამედროვე საზოგადოებაში სოდომელების დამკვიდრების მთავარი იდეა ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის სრული უგულებელყოფაა. ოჯახს ისინი თვლიან ჩამორჩენის ნიმუშად, ატავიზმად, რომელმაც ამოწურა თავისი ტრადიციული დანიშნულება**

## კანონიერი გარყვნილები

XIX საუკუნის ჩათვლით მამათმავლობა დასავლეთში გარყვნილებად იყო მიჩნეული, უდიდეს ცოდვად და სულის ავადმყოფობად, რომელიც ხრწნის ადამიანის არსსა და ბუნებას.

ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაცია, რომელიც დღეს ნეოლიბერალიზმის დროშით მიმდინარეობს, მსოფლიო მოვლენად იქცა, გამოიწვია არამხოლოდ ამ გარყვნილთა მკვეთრი მომრავლება.

**სოდომური მაფია გადაიქცა მძლავრ იდეურ-პოლიტიკურ მოძრაობად, რომელიც სულ უფრო აგრესიული ხდება კონტროლს აწესებს საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროებზე, მიიწევს მსოფლიოს პოლიტიკური მწვერვალებისკენ.**

ამ მღვრიე ტალღას სერიოზულად არც აღიქვამდნენ, მამათმავლებს ჩვეულებრივ უმცირესობად მიიჩნევდნენ. საქართველოში დარწმუნებულები ვიყავით, რომ პედერასტიზმის პრობლემა ცალკეული ინდივიდებით ამოიწურებოდა, ჩვენ არ გვეხებოდა, უფრო საზღვარგარეთისკენ ვიშვერდით თითს.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ესენი არამხოლოდ გაერთიანდნენ და ძალად იქცნენ, არამედ მნიშვნელოვანი პოტენციალი დააგროვეს: შეიქმნა მათი ორგანიზაციების ფართო ქსელი, ისინი მსოფლიო ასპარეზზე გავიდნენ. საოცარ დასკვნამდე მივიდნენ ანალიტიკოსები: **გაირკვა, რომ სახელისუფლო სტრუქტურებში სექსუალური უმცირესობა, დიდი ხანია, უმრავლესობით არის წარმოდგენილი. დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით შეიარაღებულები, განიმტკიცებენ თავიანთ განსაკუთრებულ უფლებებს და თანდათან ყალიბდებიან ხელშეუხებელთა კასტად.**

სოდომური მაფია თავის საქმიანობას საკრალურ ხასიათს ანიჭებს და რელიგიური გაერთიანების სახით ყალიბდება. სატანისტური ლოგიკით მოქმედებს და თანმიმდევრულად, ფარულად ცვლის ჭეშმარიტებათა არსსა და ფასეულობათა გაგების პრინციპებს. მაქსიმალურად ცდილობს, თავის წრეში რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩათრევას, რომლებიც მათდამი „ტოლერანტულები“ ხდებიან და სიცრუისა და სიმართლის გარჩევის უნარს კარგავენ, ჩლუნგდებიან.

მაგრამ, რაც უფრო „ტოლერანტული“ ხდება მამათმავალთა მიმართ საზოგადოება, მით უფრო აგრესიული ხდებიან ისინი მისდამი. ძალადობენ.

**ადამიანის უფლებათა დაცვის საფარქვეშ ისინი კლავენ ადამიანს და მისგან უსქესო არსებას — ანტიადამიანს ქმნიან. ერთსქესიანთა ქორწინების შემოღებით ისინი აუქმებენ ჭეშმარიტ ქორწინებას, უარყოფენ ოჯახს, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობასა და თანაცხოვრებას, ბავშვებს — როგორც ქალისა და კაცის ღვთივკურთხეული კავშირის ნაყოფს.** ნაშვილებ პატარებსართმევენ მშობლიური ფესვების შეგრძნებას, გვარტომობის ძირსა და ფუძეს.

კლავენ ჭეშმარიტ სიყვარულს.

ღვთის სახლის — ეკლესიის საწინააღმდეგოდ აშენებენ ანტიეკლესიას, რომელიც აერთიანებს გარყვნილთა თანამეგობრობას.

**ყველა ეს პროცესი, ფაქტობრივად, „სექსუალური რევოლუციის“ ეტაპებად წარმოგვიდგა, რომელიც ადამიანის ბუნების საწინააღმდეგოდ იყო და არის მიმართული. კარგად ორგანიზებული მოძრაობაა, რომელიც შემოქმედის წინააღმდეგ საბრძოლველად წარმოქმნეს ამბოხებულმა სატანისტურმა ძალებმა. დემოკრატობის ქურქში გახვეულები, ისინი იხვეჭენ გავლენას მთელ მსოფლიოში, შლიან და არღვევენ ღვთითბოძებულ წესრიგს, რათა მის ნამსხვრევებზე დაამკვიდრონ თავიანთი ანტისამყარო.**

## დანომრილი მშობლები

ცნობილია, რომ 2010 წელს შვეიცარიის პარლამენტში ფემინისტებმა, ევროპაში პირველად, შეიტანეს წინადადება, რომლითაც მიჩნეული იყო, რომ სიტყვები „დედა“ და „მამა“ დისკრიმინაციულია, „დედა“ ქალს გოჭების დამყრელი დედალორის სახით წარმოგვიდგენს და ეს ყველა ქალისთვის შეურაცხმყოფელია. ამ წინადადებას უყარეს კენჭი და დაადგინეს, რომ დედას და მამას ამიერიდან ეწოდოს „მშობელი №1“ და „მშობელი №2“. შემდეგ — მშობლები ნუმერაციის მიხედვით — №3, №4, №5. მათი არგუმენტაციის გვირგვინი: „ძაღლთან, კატასთან და ა.შ. ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს“...

ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ევროკავშირის წევრმა სხვა ქვეყნებმაც. ზოგიერთს არ მოეწონა ნუმერაცია და, მაგალითად, საფრანგეთმა რომაული ციფრები ლათინური ანბანით ჩაანაცვლა: „მშობელი ა“, „მშობელი ბ“ და ა. შ.

რას ნიშნავს მშობლების ციფრობრივი ჩამონათვალი ერთისა და ორის (დედისა და მამის) შემდეგ? სამი, ოთხი და — მიყოლებით? ან ანბანის ასოების რიგი პირველი ორის (ა და ბ — დედ-მამა) შემდეგ?

**გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: ამერიკა დღეს დაჟინებით მოითხოვს ქორწინების 30 ტიპის ლეგალიზებას. რიცხვებისა თუ ანბანის ასოების ასეთი სიმრავლე ტრადიციული ქორწინებისგან განსხვავებული დანარჩენი 29-ის(!) აღსანიშნავად სჭირდებათ:** ოჯახი, მათებური გაგებით, შეიძლება იყოს ორმამიანი, ორდედიანი და ა. შ. არის სხვა ვარიანტებიც.

ნორმიდან აშკარა გადახრაა!

**თანამედროვე საზოგადოებაში სოდომელების დამკვიდრების მთავარი იდეა ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის სრული უგულებელყოფაა. ოჯახს ისინი თვლიან ჩამორჩენის ნიმუშად, ატავიზმად, რომელმაც ამოწურა თავისი ტრადიციული დანიშნულება,** მაგრამ იმდენი კი იციან, რომ საყოველთაო მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ და **დაიწყეს აქტიური პოლიტიკური კამპანია — გამოსვლები ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების მოთხოვნით, რომელმაც, მათი ჩანაფიქრით, შიგნიდან უნდა ააფეთქოს ტრადიციული ქორწინების ინსტიტუტი.** თბილისში 17 მაისისთვის გათვალისწინებული აქცია, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ ჩაშალა, ამ კამპანიის შემადგენელი ნაწილი იყო.

ამერიკა, როგორც ყოველთვის, სატელიტი ქვეყნებისთვის მაგალითის მიმცემია. **ისტორიაში პირველად აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ მხარს უჭერს ერთსქესიან ქორწინებას.** რამდენიმე წლის წინათ მისი ინიციატივით გაუქმდა კანონი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებს ავალდებულებდა, დაემალათ თავიანთი ორიენტაცია, რადგან, ასე თუ არ მოიქცეოდნენ, მათ დაითხოვდნენ არმიის რიგებიდან, ამ განცხადებით მან გაამყარა თავისი პოზიცია:

ეს განცხადება ნოყიერ ნიადაგზე დაეცა: უკანასკნელ წლებში ამერიკელები სულ უფრო დადებითად ეკიდებიან ჰომოსექსუალებს. ამჟამად აშშ-ის მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი მხარს უჭერს ერთსქესიანთა შეუღლებას, თუმცა შტატების უმრავლესობაში ასეთი კავშირი კანონით აკრძალულია; ამა თუ იმ ფორმით ნებადართულია მხოლოდ 8 შტატში. პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტის აღნიშნული განცხადება მომხრეების რაოდენობას მას არ გაუმრავლებს, შემცირება კი გარანტირებული აქვს. ასეთია კონსერვატორების პოზიცია.

1989 წელს დანია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ოფიციალურად აღიარა ერთსქესიანთა ქორწინება.

ის, რაც უწინ ნორმიდან გადახრად მიიჩნეოდა, ნორმად იქცა. როგორ, რის საფუძველზე მოხდა ასეთი ტრანსფორმაცია?

## „ოქროს მილიარდი“ – კაცობრიობის შავი დღე

ჩვენმა მკითხველებმა უთუოდ იციან, რომ 1968 წელს შეიქმნა რომის კლუბი, რომლის 200 წევრი მთელ მსოფლიოს უკარნახებს ქცევის წესებს და განვითარების სტრატეგიას. ერთ-ერთი პირველი მოხსენება, რომელიც ამ კლუბმა გამოაქვეყნა, გავრცელდა სათაურით — „ზრდის ზღვარი“. „მსოფლიოს პატრონებმა“ სწორედ ამ დოკუმენტით გაასაჯაროეს თავიანთი პოზიცია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო „ოქროს მილიარდის“ თეორია.

პუბლიკაციის თარიღია 1972 წელი. ერთი წლის შემდეგ კი, ანუ 1973 წელს ფსიქოლოგების ამერიკულმა ასოციაციამ ჰომოსექსუალიზმი დაავადებათა სიიდან ამოიღო.

ამერიკაში მიღწეული გამარჯვების შემდეგ გეებად წოდებულმა მამათმავლებმა მთელ მსოფლიოში დაიწყეს თავიანთი შეხედულებების პროპაგანდა.

1992 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ გააკეთა იგივე, რაც ამერიკელმა ფსიქოლოგებმა 1973 წელს — დაავადებათა ჩამონათვალიდან ჰომოსექსუალიზმი ამოშალეს.

რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, თავისი ბრძანებულებით, გააუქმა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლი, რომელიც მამათმავლობისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა.

ეს მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდანაც გაქრა.

ცნობილია, რომ როცა სანქტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების ერთ-ერთი დეპუტატი გამოვიდა წინადადებით, რათა აკრძალულიყო გეიპროპაგანდა არასრულწლოვან ყმაწვილთა შორის, ამ კანონის წინააღმდეგ ამხედრდა და დაირაზმა მთელი გეიინტერნაციონალი, მათ შორის, აშშ-ის იმდროინდელი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. სალ კლდესავით აღიმართა ეს ქალბატონი მათ დასაცავად, რადგან მათი უფლებების დაცვა ყოფილა თურმე ჭეშმარიტი დემოკრატია.

თავისი ქმრისთვის მოევლო ქალბატონ ჰილარის, პრეზიდენტყოფილ ბილ კლინტონისთვის, რომელსაც, მადლობა ღმერთს, პედერასტობის არაფერი ეტყობოდა, მაგრამ ისიც მამათმავლების ▶

## დღეს ტრადიციულ მართლმადიდებლურ ქვეყნებს, როგორებიცაა რუსეთი და საქართველო, აქტიურად ითრევენ „ცისფერ თანამეგობრობაში“. შოუბიზნესში თუ ტელეეკრანებზე მიმდინარეობს „ცისფერ ფასეულობათა“ აქტიური პროპაგანდა, ხატავენ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანის მიმზიდველ სურათს.

გეი-პერსპექტივა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მხარდამჭერი აღმოჩნდა.

**დღეს ტრადიციულ მართლმადიდებლურ ქვეყნებს, როგორებიცაა რუსეთი და საქართველო, აქტიურად ითრევენ „ცისფერ თანამეგობრობაში“. შოუბიზნესში თუ ტელეეკრანებზე მიმდინარეობს „ცისფერ ფასეულობათა“ აქტიური პროპაგანდა, ხატავენ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანის მიმზიდველ სურათს.** მამათმავლები, როგორც წესი, აქტიურად მონაწილეობენ ასეთ პროპაგანდისტულ უხამსობაში და ზემოქმედებენ ყმაწვილების ფსიქიკაზე.

რუსეთში გაჩნდა ჰომოსექსუალური მიმართულების ჟურნალები. მათ შორის პირველი იყო ჟურნალი „ბოლშოი გოროდ“ („დიდი ქალაქი“), რომელმაც გამოაქვეყნა „გეიკვირეული“, შემდეგ — ჟურნალი „აფიშა“, რომლის ყდაზე გეითანამეგობრობის დროშა გამოსახეს. მოსკოვის 30 მამათმავალი მოგვითხრობდა, რამდენად მნიშვნელოვანია თურმე პედერასტობა, რამდენად მოდური და „მაგარი“.

**ჟურნალი „ნიუ ტაიმსი“ („ახალი დრო“) მამაკაცების გარყვნილ ურთიერთობას სიყვარულს უწოდებს.**

**თუ გსურთ, რომ ჩვენი ქვეყანა მათი გავლენის ქვეშ მოექცეს, თქვენი ბავშვის გონება მათნაირებმა გარყვნან, მსოფლიო ისეთი „ცივილიზებული“ გახდეს, რომ უარი თქვას გამრავლებაზე, მაშინ ვნება ცხოვრების არსი ყოფილა.**

ნორვეგიის განათლების სამინისტროსთან შექმნილია სპეციალური ცენტრი, რომელიც განათლების პროგრამების შედგენითაა დაკავებული. იქაურ ლგბტ-ის ლიდერები მიიჩნევენ, რომ ამ მიმართულებით საქმიანობა უმჯობესდება, მაგალითად, **მათემატიკის სახელმძღვანელოებში შეტანილია ამოცანები, რომლებშიც ფიგურირებს ორმამიანი ოჯახები.**

— ჩვენ დავდივართ სკოლებში, — კამერის წინ ბილწსიტყვაობენ ისინი — ვუყვებით მოსწავლეებს, რას ნიშნავს იყო გეი. ჩვენი მიზანია, განვუმარტოთ ადამიანებს ჩვენი ყოფის მრავალფეროვნება.

როგორ აფასებს ამ ნორვეგიულ ექსპერიმენტს ბებერი ევროპა? რა თქმა უნდა, დადებითად. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რეტროგრადობა დაბრალდება.

ქაჩალის მიერ თავის მოფხანასავითაა: **ნორვეგიის საბავშვო ბაღებში აკრძალეს ტრადიციული, კლასიკური საბავშვო ლიტერატურა, რომლის მიხედვით მზრუნველი არის დედა, მამა ოჯახის მარჩენალია. ფემინისტებს ასეთი მიდგომა დისკრიმინაციად მიაჩნიათ. არატრადიციული საზოგადოება აქტიურად უჭერს მათ მხარს.**

ბრიტანული გაზეთი „დეილი მეილი“ წერს: „ევროპას სერიოზულად სურს, აკრძალოს ტრადიციული დედის და ტრადიციული მამის სახეები საბავშვო ლიტერატურაში, რომლებიც გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესი სკოლებისა და საბავშვო ბაღებისთვის“.

**გენდერული ინკვიზიციის ახალი დოკუმენტი მომზადებულია ევროპარლამენტის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის კომიტეტის მიერ. საბავშვო წიგნებში ტრადიციული ოჯახის პოპულარიზაციის აკრძალვის გარდა, ევროპელი ფემინისტები მოითხოვენ ევროკავშირის კანონმდებლობის შეცვლას ქალის სახის კორექტირების მიზნით.**

2013 წელს შვედეთი შეუდგა „დაძველებული“ საბავშვო ლიტერატურის სრულ დემონტაჟს. ტელევიზიებში განსჯიან და განიხილავენ ახალ გენდერულ წიგნებს, რომლებზეც კოლოსალური მოთხოვნაა სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში. ეს წიგნები ბავშვებს სექსუალური მრავალფეროვნების სამყაროში თავისებური გზამკვლევების სახით წარმოუდგება.



## გენდერული ინკვიზიციის ახალი დოკუმენტი მომზადებულია ევროპარლამენტის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის კომიტეტის მიერ. საბავშვო წიგნებში ტრადიციული ოჯახის პოპულარიზაციის აკრძალვის გარდა, ევროპელი ფემინისტები მოითხოვენ ევროკავშირის კანონმდებლობის შეცვლას ქალის სახის კორექტირების მიზნით

ასეთი წიგნები სავალდებულო ლიტერატურადაა გამოცხადებული. სპეციალური სახელმწიფო დამკვირვებლები მკაცრად აკონტროლებენ სკოლების მასწავლებლებისა და საბავშვო ბაღების აღმზრდელთა მიერ ამ აუცილებელი ლიტერატურის გამოყენების პრაქტიკას.

სახელმწიფოს მიერ ამგვარად მხარდაჭერილი ფემინისტები უფრო შორს წავიდნენ და მოითხოვეს, გაუქმებულიყო ბავშვების ბიჭებად და გოგოებად დაყოფა — **ყველა მათგანი საშუალო სქესად უნდა მონათლულიყო.** საღად მოაზროვნე პოლიტოლოგები ხაზგასმით ამბობენ, რომ ამ ქვეყნის სათავეში საბავშვო ბაღები იქცა ბავშვების სქესის იძულებით შეცვლის ლაბორატორიებად.




რა ვქნათ ახლა ჩვენ, ქართველებმა, რომლებმაც შალახოს რიტმში ხელი მოვაწერეთ ევროპასთან ასოცირებას, დაუყოვნებლივ დავნერგოთ ჩვენს საბავშვო ბაღებში შვედური გამოცდილება თუ ნებაყოფლობით ევროპულ ყულფში თავგაყოფილები დაველოდოთ, როდის გამოგვაცლიან ფეხქვეშ სკამს, რომელიც ისე ყანყალებს, რომ თავისითაც შეიძლება წაიქცეს?

**შარშანდლიდან შვედეთში პატარებს ახალ „ნეიტრალურ“ ნაცვალსახელს აზეპირებენ — „ჰენ“, რომელიც გოგოსაც ნიშნავს და ბიჭსაც, ქალსაც და კაცსაც.**

**მოგვიწევს ამ ნოვაციის გადმოღება. მომზადებული რომ შევხვდეთ, ეგებ, აქედანვე გზა მივცეთ გურულ კილოში ხშირად გამოყენებულ „იმანოს“, რომელიც ქალსაც ნიშნავს და კაცსაც, გოგოსაც და ბიჭსაც, ნეიტრალური ნაცვალსახელია.**

**ვითომ რითაა შვედურ „ჰენზე“ ნაკლები?**

ფემინისტებს ჭეშმარიტად ქალური ლოგიკა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ არიან „ჰენ“ — არც ქალია, არც — კაცი. მხოლოდ „ჰენის“ ლოგიკით შეიძლება აიხსნას მათი ასეთი განცხადება: „არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენ გვსურს, გოგონები ბიჭებად ვაქციოთ, ბიჭები — გოგონებად, მაგრამ ეს სულაც არ არის ის, რისთვისაც ვიღვწით. ჩვენ გვსურს, რომ ყველა ადამიანს თანაბარი უფლებები ჰქონდეს, თანაბარი შესაძლებლობები და პასუხისმგებლობის ერთნაირი ხარისხი. ეს დემოკრატიის საკითხია“.

გომბეშოს ულამაზეს პატარძლად გადაქცევაზე რას იტყვით, სქესდაკარგულო ფემინისტებო?

მაგრამ „ჰენს“ არ სჭირდება პატარძალი ქალწული, მძინარე მზეთუნახავი!

**ახალ შვედურ ზღაპრებში უფლისწულები ცხრა მთას იქით საცოლეების საძებრად არ მიდიან. მეფეს მეფე შეუყვარდება, დედოფალს — პრინცესა, უფლისწულს — უფლისწული... და ცხოვრობენ სიამტკბილობაში დიდხანს და ბედნიერად.**

### იხარე, ცისფერო გეჯეჯილო!

ოღონდ ჩვენთან არა, სხვაგან ჯობია! მაგალითად, **ნორვეგიაში, სადაც არატრადიციული ორიენტაციის 19 ათასი საზოგადოებაა, სადაც ქალი და კაცი ყავლგასული მცნებებია, ატავიზმია დღევანდელი საზოგადოების დემოკრატიულ სხეულზე.**

იმათ დემოკრატიას თავისი პრინციპები აქვს, თავისი სუბკულტურა, თავისი გამოცემები; წიგნები, რომლებშიც **სოდომიზმს კაცობრიობის უკეთილშობილეს, ჰუმანურ მოვლენად წარმოგვიდგენენ.**

ეზიარეთო ამ მშვენიერებას.

მხოლოდ ერთი მაგალითი, ერთი წიგნი — „გეის ბავშვები“, რომელშიც მოთხრობილია არატრადიციული ორიენტაციის ბავშვების ცხოვრება. ავტორები ოცნებობენ, რომ ეს წიგნი სასკოლო სახელმძღვანელოდ იქცეს, გამოიცეს ინგლისურ ენაზე, სხვა ქვეყნების მკითხველები რომ გაეცნონ.

ეს ნაბეჭდი ნაგავი თურმე იმითაა გამორჩეული, გვიმტკიცებენ ავტორები, რომ ბავშვებს გააგებინოს (მიაქციეთ ყურადღება!), არიან თუ არა მამათმავლები!

ხედავთ, რა კეთილშობილი მიზანი ამოძრავებთ? არიან თუ არა გეები, ეს ყოფილა ადრეულ ასაკში ბავშვებისთვის უმთავრესი პრობლემა!

მაგრამ ის, რაც ახლა წაიკითხეთ, ყვავილებია იმასთან შედარებით, რისი წაკითხვაც მოგიწევთ.

ყურადღება!

**შარშან ზაფხულში „განათლებული“ ევროპის ერთმა პოლიტიკოსმა წამოაყენა წინადადება: მამაკაცებს დაევალოთ, მოშარდონ უნიტაზებზე დამჯდრებმა.** თავისი წინადადება მან ჰიგიენის დაცვის აუცილებლობით დაასაბუთა. მაგრამ მთავარი მაინც სხვა ყოფილა: მას თურმე ამ **„ექსპერიმენტით სურდა, დაემტკიცებინა, რამდენად ერთგულებენ შვედი მამაკაცები სქესთა თანაბარუფლებიანობას“.**

ყველა ქვეყანას ერთი ჟირინოვსკი მაინც უნდა ჰყავდეს!

ანალიტიკოსები ირწმუნებიან: ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე გამოჩნდა ინფორმაცია, რომლის თანახმად **ნორვეგიელი სოციოლოგები განახორციელებენ ექსპერიმენტს ჰომოთანამეგობრობის საზოგადოების შექმნის მიზნით. მათი აზრით, 2050 წლისთვის ამ საზოგადოებაში 90 პროცენტზე მეტი იქნება ჰომომამათმავალი, ანუ ჩამოყალიბდება არატრადიციული საზოგადოება.**

განახორციელებენ თუ არა ამ ექსპერიმენტს, ჯერ კიდევ საკითხავია, თუმცა თვით ასეთი განზრახვის არსებობაა უკვე საშიში.

უარესი არსებული რეალობაა: **ნორვეგიაში, მაგალითად, ერთსქესიანი წყვილები დღეს 20 ათასზე მეტ ბავშვს ზრდიან. საზოგადოების ორ მესამედზე მეტი მხარს უჭერს შვილად აყვანის ასეთ პრაქტიკას.**

**გერმანიაში მრავალშვილიან დედას პატიმრობა ემუქრება, რადგან მისი ქალიშვილი უარს ამბობს დაესწროს „სექსგანათლების“ გაკვეთილებს.**

თუ წვერულვაშიანი „კონჩიტა“ შეიძლება „ევროვიზიის“ საუკეთესო მომღერლად აღიარონ, აღარაფერია გასაოცარი და გასაკვირი!

დასაფიქრებელი კი ნამდვილად არის.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ ვეგნერუსმა 2010 წლიდან დაიწყო ერთსქესიანი ოჯახების პრობლემების შესწავლა. შედეგები საგანგაშოა:

ამ გარემოში გაზრდილი ბავშვების ერთი მეოთხედი თვითმკვლელობისკენ მიდრეკილია; 60 პროცენტს უჭირს თავისი სექსუალური მისწრაფებების იდენტიფიცირება; მათ მესამედს მშობლებად შერაცხული გეები აიძულებდნენ სექსუალურ სიახლოვეს.

გარყვნილების მწვერვალი!

ამ სიბილწეში სად გაქრა ევროპული ღირებულებები, რისკენაც ვისწრაფით?!






## ერაყის არმიამ ტყვია-წამალი შეცდომით ისლამისტებს მიაწოდა

**ერაყის სამხედრო საჰაერო ძალებმა შეცდომით სამხედრო ტვირთი „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ მიაწოდა.** პარაშუტებით ჩამოყრილი საკვები პროდუქტები და ტყვია-წამალი ისლამისტების წინააღმდეგ მებრძოლი ერაყელი ჯარისკაცებისთვის იყო განკუთვნილი. ერაყის ავიაციამ ტვირთი ჩამოყარა პროვინცია ანბარში, რომელსაც მთლიანად ისლამისტები აკონტროლებენ. როგორც ჩანს, ინციდენტის მიზეზი ერაყის არმიის სარდლობის მიერ დაშვებული შეცდომაა.



## ისლამისტებმა ბრიტანელს თავი მოჰკვეთეს

**ინტერნეტში გავრცელდა კიდევ ერთი ვიდეო, თუ როგორ კვეთენ თავს „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკები ბრიტანელ მძევალს — ალან ჰენინგს.** 47 წლის ტაქსის მძღოლი ალან ჰენინგი სირიაში დეკემბერში აიყვანეს მძევლად, როდესაც ჰუმანიტარული დახმარება გადაჰქონდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის — დევიდ ქემერონის განცხადებით, ალან ჰენინგი სირიაში ყველა სარწმუნოების ხალხის დასახმარებლად იყო ჩასული და მისი მკვლელობის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ ბარბაროსულია „ისლამური სახელმწიფო“. ბრიტანელი მძევლის თავის მოკვეთა დაგმო აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნანოტექნოლოგია არის ატომებისა და მოლეკულების შეკავშირებისა და მოწესრიგების გზით 1 დან 100 ნმ-მდე (ანუ ადამიანის თმის სისქის მეათასედამდე) ზომის ხელსაწყოების, მასალებისა და სისტემების შექმნა.**



# ყველაფერი ნანოტექნოლოგიების შესახებ

**ნანოტექნოლოგია არის ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებისა და ტექნიკის დისციპლინათშორისი სფერო, რომელიც საგნების ატომურ და მოლეკულურ დონეზე მანიპულირების მეთოდებსა და ხერხებს შეისწავლის. ძოგადად, ნანოტექნოლოგია იკვლევს სტრუქტურებს, რომელთა ზომა 100 ნანომეტრს არ აღემატება. ნანოტექნოლოგია უკიდურესად მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც არსებული მოწყობილობების ახლებურად აწყობის საშუალებებს, ისევე სრულიად ახალი მასალების შექმნას ნანოსკალის დონეზე.**



**ნანოტექნოლოგიურ მექანიზმებზე დაფუძნებული სიმსივნის მკურნალობის მეთოდების დანერგვა, ფაქტობრივად, 2007 წელს დაიწყო და ამ კვლევების წარმატება რევოლუციის ტოლფასია სიმსივნის მკურნალობაში. მეცნიერების ვარაუდით, სულ რამდენიმე წელიწადში ის ჩაანაცვლებს ქიმიო და რადიოთერაპიული მკურნალობის მეთოდებს**



ნანოტექნოლოგიას აქვს პოტენციალი, შექმნას მრავალი ახალი მოწყობილობა, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება მედიცინაში, ელექტრონიკასა და ენერგეტიკაში. ამასთანავე, ბადებს კითხვებს მის შესაძლო უარყოფით გავლენასთან დაკავშირებით ეკოლოგიასა და გლობალურ ეკონომიკაზე. შესაბამისად, მიმდინარეობს დებატები იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამ სფეროს სპეციალური რეგულირება.

საზოგადოდ, „ნანო“ მეცნიერებაში აღნიშნავს რაიმე სიდიდის მემილიარდედ ნაწილს და ბერძნულად ჯუჯას ნიშნავს. 1959 წელს ცნობილმა ამერიკელმა ფიზიკოს-თეორეტიკოსმა, რიჩარდ ფეინმანმა გამოთქვა მოსაზრება „უმცირესი ფორმების გასაოცარი სამყაროს“ არსებობის შესახებ. იმავე წელს თავის ცნობილ ლექციაში „იქ, ქვემოთ, დიდი სივრცეა“ აღნიშნა ამ ნაწილაკების გამოყენების შესაძლებლობა მედიცინაში.

ყველაფერი 1959 წლის 29 დეკემბერს ქალაქ კალთეკში დაიწყო, სადაც ამერიკელ ფიზიკოსთა ასოციაციის შეხვედრაზე ფეინმანმა გააჟღერა სრულიად უცნობი ნანოტექნოლოგიური მეცნიერების კონცეფცია. მან აღწერა პროცესი, რომლის მიხედვითაც მანიპულატორების გამოყენებით შესაძლებელია ორგანიზმში ცალკეული ატომისა და მოლეკულის გარკვეულ ადგილამდე მიტანა და აღნიშნა, რომ ამ პროცესის განსახორციელებლად საჭიროა ბუნებრივი ცვლადი სიდიდეების, მაგალითად, გრავიტაციის (შედარებით ნაკლებად) და ვანდერ-ვაალსის მიზიდულობის ძალების (უფრო აქტიურად) გამოყენება. ეს იდეა რეალობას მოწყვეტილი ნამდვილად არ იყო და მოგვიანებით დაედო კიდეც საფუძვლად ნანოტექნოლოგიას.

ტერმინი ნანოტექნოლოგია 1974 წელს შემოიტანა ტოკიოს მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორმა ნორიო ტანიგუჩიმ. მოხსენებაში „ნანოტექნოლოგიების ძირითადი კონცეფციის საფუძვლები“ მან აღნიშნა, რომ „ნანოტექნოლოგია ძირითადად მოიცავს სხვადასხვა ნივთიერების სეპარაციის, კონსოლიდაციისა და დეფორმაციის პროცესებს ერთეული ატომების ან მოლეკულების დონეზე“.

ნანოტექნოლოგიის, როგორც მეცნიერების, რეალიზაცია კი XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო. 1986 წელს მოხდა ნახშირბადის ნანომილების დაპატენტება, რომელსაც მოჰყვა ნახევარგამტარული ნანოკრისტალების შესწავლა, ლითონთა ოქსიდების მრავალწერტილიანი ნანონაწილაკების რიცხვის ზრდა. ატომური მიკროსკოპიის გამოყენება ხუთი წლით გვიან დაიწყო.

**ნანოტექნოლოგია არის ატომებისა და მოლეკულების შეკავშირებისა და მოწესრიგების გზით 1 დან 100 ნმ-მდე (ანუ ადამიანის თმის სისქის მეათასედამდე) ზომის ხელსაწყოების, მასალებისა და სისტემების შექმნა.** ცნობისთვის, ადამიანის თვალს შეუძლია მინიმუმ 10 000 ნმ ზომის ობიექტის გარჩევა, ვირუსების ზომები საკმაოდ დიდია და 50-100 ნანომტრს შეადგენს, სისხლის წითელი ნაწილაკები კი, თავისი 5000-ნანომეტრიანი ზომით, ნამდვილი გიგანტები არიან.

ნანოტექნოლოგია გამოყენებით მეცნიერებებსა და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგია და მისი მთავარი თემა საკითხის მოლეკულურ დონეზე მართვაა. მასში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ასეთი მცირე ზომებისას მასალათა თვისებები რადიკალურად იცვლება და ისინი სულ ახალი, მოცულობითი მასალისგან სრულიად განსხვავებულ თვისებებს ავლენენ.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში ნანონაწილებით შექმნილი ტექნოლოგიები შეცვლიან სამყაროს, საზოგადოებას, კაცობრიობის ცხოვრების წესს...

ამ მიმართულებით კვლევები მიმდინარეობს მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში. ნანოტექნოლოგიები განსაკუთრებით განვითარებულია ამერიკაში, რუსეთსა და ჩინეთში. ამ მეთოდით დამზადებული სისტემებით დაინტერესებულია როგორც საბუნებისმეტყველო და სიცოცხლის შემსწავლელი, ისე საინფორმაციო, ფარმაცევტული და საინჟინრო მეცნიერებები. აქედან გამომდინარე, ნანოტექნოლოგია, როგორც უაღრესად მულტიდისციპლინარული გამოყენებითი სფეროს მეცნიერება, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მიმართულებას მოიცავს.

**ნანოტექნოლოგიით შექმნილი ხელსაწყოები თუ სხვა საქონელი უკვე დამკვიდრდა ბაზარზე და მათი რაოდენობა სწრაფად იზრდება. თავიდან ეს იყო ნანობოჭკოვანი საბურავები, გოლფის ბურთები, მეხანძრეთა სპეცტანსაცმელი.** ამას მოჰყვა აირის სენსორები, შუქდიოდები, შუშები, რომლებიც მტვერს და ჭუჭყს არ იჩერებენ, თვითმფრინავის ფრთების გამამაგრებელი ნანობოჭკოვანი კომპოზიტები, ხისა და კედლების დამცავი ნანოსაღებავები, რომლებიც წყალს არ იკარებენ... ნანოტექნოლოგიის მეშვეობით დღეს დნმ-ის ანალიზი უფრო სწრაფად ხორციელდება და მისი ფასი 300 დოლარამდე დაეცა. ნანომიმართულებით მომუშავე მეცნიერთა რამდენიმე ჯგუფი უკვე დაჯილდოვდა ნობელის პრემიით.

მომავლის პროგნოზები კი თითქმის ყოვლისმომცველია.

კომპიუტერების სწრაფმოქმედება ტერაჰერცებს მიაღწევს, ინფორმაციის ჩაწერის სიმკვრივე კი – ათასობით ტერაბიტს კვადრატულ სანტიმეტრს; შეიქმნება ზემტკიცე მასალები ნანომილაკებისა და ნანოსტრუქტურული კომპოზიტების საფუძველზე; ტემპერატურამედეგი და კოროზიამედეგი მასალები და დანაფერები; ნანოტექნოლოგიები დაინერგება საწარმოო და ბირთვული ენერგეტიკის ნარჩენების გადამუშავებაში; შემუშავდება ახალი კატალიზატორები; ნანოფოროვანი ფილტრები წვრილდისპერსული დამაბინძურებელი აგენტების მოსაშორებლად.

ნანოტექნოლოგიების გამოყენება ენერგეტიკაში ხელს შეუწყობს წყალბადის ენერგეტიკაზე გადასვლას; სითბური ელემენტების შექმნას; მინიმუმამდე შეამცირებს ნავთობისა და ბუნებრივი აირების გამოყენებას.

ზენიტში მყოფ მზეს დედამიწის 1 კვადრატულ მეტრზე 1 კილოვატი ენერგია მოაქვს. დღევანდელ საყოფაცხოვრებო მზის ელემენტებს ამ ენერგიის მხოლოდ 20%-ის ათვისება შეუძლიათ. ნანოტექნოლოგიების გამოყენებით ეს მაჩვენებელი 40%-ს გადააჭარბებს.

სოფლის მეურნობაში ნანოტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს უვარგისი მიწების გამდიდრებას და სასოფლო-სამეურნეო სარგებლობაში დაბრუნებას; მიწათმოქმედების ეფექტურობის ამაღლებას; ახალი ჯიშების შექმნას; კვების პროდუქტების სინთეზს.

კოსმოსურ აპარატებში გამოსაყენებლად შეიქმნება მინიატიურული ხელსაწყოები, ნანოსენსორები, ნანომოწყობილობები, თერმოსაიზოლაციო და ცვეთამედეგი საფარები.

ნანომედიცინის მიმართულებით მოსალოდნელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგების მიღება. ბიოლოგიურ დაავადებათა გამომწვევი ობიექტები ნანოზომებით ხასიათდებიან. დღეს მათთან ბრძოლა სწორედ მათი თანაზომადი და კიდევ უფhრო მცირე ნანონაწილაკებით, ნანორობოტებითა და ნანოხელსაწყოებით მიმდინარეობს, რაც მკურნალობის მეთოდების ეფექტურობას მნიშვნელოვნად ზრდის.

2009 წლის ნობელის პრემია ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში მიენიჭა სამ ამერიკელ მეცნიერს, რომლებმაც ნანონაწილაკებით მარკირების მეთოდით აღმოაჩინეს ქრომოსომათა დაყოფისას მათ განაპირა რეგიონებში დეფექტების გაჩენის, სიბერის გამოწვევისა და მასთან ე.წ. ტელომერებით ბრძოლის ეფექტი. ეს აღმოჩენა, სავარაუდოდ, სულ მალე შეძლებს სიბერის გადავადებას.

**დღეს უკვე რეალობად იქცა სამკურნალო პრეპარატების მოლეკულების ჩანერგვა ისეთ ნანონაწილაკში, რომელიც სისხლს გაჰყვება და დაუკავშირდება მხოლოდ წინასწარ დაგეგმილ ორგანოს, მაგალითად, ღვიძლს ან თირკმელს. ამრიგად, შესაძლებელი ხდება წამლის სელექციური მიტანა დაავადებულ ორგანოში, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის პრეპარატის ეფექტიანობას.**

ტიპური ერთჯერადი თერაპიული დოზა ორგანიზმში 1-დან 10 ტრილიონამდე ნანორობოტის შეყვანას გულისხმობს. მოზრდილი ადამიანის სხეულის მოცულობა 100 ათასი კუბური სმ-ია. აქედან სისხლის მოცულობა 5400 კუბურ სმ-ს შეადგენს, ასე რომ, ნანორობოტების დამატებას ორგანიზმი პრაქტიკულად ვერ შეიგრძნობს, მით უფრო, რომ ისინი იმოქმედებენ ▶







# ყველაზე პატარა ვერტმფრენი

**მსოფლიოში ყველაზე პატარა რადიომართვადი ვერტმფრენი არის Pico Falcon, რომლის სიგრძე სულ რაღაც 45 მილიმეტრს შეადგენს. ის გაყიდვაში გამოვა ამ წლის ბოლოს. ვერტმფრენი იმდენად პატარაა, რომ მისი ჰაერში აფრენა გაშვერილი თითიდანაც კი შეგიძლიათ.** ვიდეოთამაშების შემქმნელი ცნობილი იაპონური კომპანია Bandai აპირებს, გამოუშვას მსოფლიოში ყველაზე პატარა RC-ვერტმფრენი სახელწოდებით Pico Falcon. ზომით ის ასანთის კოლოფზე პატარა იქნება. აკუმულატორის 30-წუთიანი დატენვის შემდეგ ვერტმფრენი 4 წუთს იფრენს. ეს, ალბათ, ცოტაა, მაგრამ, მწარმოებლის საბაზო ფასთან შედარებით, 45 დოლარი, არც ისე ცუდი შედეგია. შემქმნელები თვლიან, რომ მათი მოწყობილობა სასურველი საჩუქარი გახდება ახალ წელს და შობას.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ ისე, როგორც მათ სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით „უბრძანებენ“. ორგანიზმში მოხვედრილი ნანორობოტები სისხლის ნაკადის მეშვეობით გადაადგილდებიან. იმის მიხედვით, თუ სად განსახლდებიან, განსხვავებული იქნება მათი ზომაც. მაგალითად, ყველაზე დიდი ზომისანი სისხლის ნანორობოტები იქნებიან, შედარებით პატარები — ქსოვილებში მობინადრენი. რობოტს, ისევე, როგორც ნებისმიერ მოწყობილობას, გადაადგილებისა და ფუნქციონირებისთვის ენერგია სჭირდება. მეცნიერებმა ამაზეც იზრუნეს — მოწყობილობა მუშაობისთვის საჭირო ენერგიას თავად ორგანიზმში, ჟანგბადისა და გლუკოზის მეტაბოლიზმის დროს მიმდინარე რეაქციების საშუალებით მიიღებს.

იმუნური სისტემა სწრაფად ახერხებს ორგანიზმში მოხვედრილი ნებისმიერი უცხო სხეულის ამოცნობას და მის გაუვნებელყოფას. ნანორობოტები ჩვეულებრივი უცხო სხეულები არიან, რომელთაც იმუნური სისტემა მალევე აღმოაჩენს, მაგრამ გლუვი ალმაზოიდური სტრუქტურის მქონე ნანორობოტები მცირედ გამოხატულ ლეიკოციტურ აქტივობას ამჟღავნებენ და ალმასის ძლიერი ზედაპირული ენერგიის წყალობით მათი გარსი ქიმიურად აბსოლუტურად ინერტულია. ამის გამო ისინი იმუნური სისტემის აგრესიას თითქმის არ იწვევენ და არ იდევნებიან.

**ნანომოწყობილობათა ერთ ნაწილს შესწევს უნარი, ადამიანის ბუნებრივი გამომყოფი არხების მეშვეობით დამოუკიდებლად დატოვოს ორგანიზმი, მეორე ნაწილი კი ისე იქნება კონსტრუირებული, რომ მათ ორგანიზმიდან მედპერსონალი სპეციალური ნანოგამომყვანი აპარატის საშუალებით გამოდევნის.**

უკვე შექმნილია ძვლისა და კანის შემცვლელი ხელოვნური ნანომასალები. ცნობილია, რომ ადამიანის გაცვეთილი ხრტილი აღარ აღსდგება, ესკი ბევრი ადამიანის, მათ შორის სპორტსმენის ინვალიდობას იწვევს. წელს გაცხადდა, რომ შეიქმნა ბიოაქტიური ნანომასალა, რომელიც ხრტილის აღდგენასა და სახსრის განკურნებას შესაძლებელს ხდის.

არის ნანომედიცინის ბევრი სხვა მიღწევაც, რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდება.

უკვე არსებობს ერთ მიკროსქემაში ჩატეული ქიმიური ლაბორატორიები, რომელთა ზომები კვადრატული მილიმეტრებით განისაზღვრება. ასეთი იკროსქემები სისხლისა თუ დნმ-ის ანალიზისთვის უმცირეს წვეთებს მოიხმარენ. მათი საშუალებით შეიძლება დნმ-ის სწრაფი ანალიზი, მასში მომხდარი მუტაციებისა და, შესაბამისად, დაავადების ადრეული დიაგნოსტიკა.

რაც შეეხება კიბოს მკურნალობას, უკანასკნელ ხანს ერთ-ერთ პროგრესულ მეთოდად მიჩნეულია სისხლში სპეციალური მაგნიტური ნანონაწილაკების შეშვება, რომლებიც მხოლოდ კიბოთი დაავადებულ უჯრედებთან გროვდებიან. გარედან რეზონანსული მაღალსიხშირიანი ველის მოდებისას მხოლოდ ეს ნანონაწილაკები ითვისებენ ველის ენერგიას, ხურდებიან და მეზობელი კიბოიანი უჯრედების განადგურებას და, შესაბამისად, კიბოს განკურნებას იწვევენ.

**ნანოტექნოლოგიურ მექანიზმებზე დაფუძნებული სიმსივნის მკურნალობის მეთოდების დანერგვა, ფაქტობრივად, 2007 წელს დაიწყო და ამ კვლევების წარმატება რევოლუციის ტოლფასია სიმსივნის მკურნალობაში. მეცნიერების ვარაუდით, სულ რამდენიმე წელიწადში ის ჩაანაცვლებს ქიმიო და რადიოთერაპიული მკურნალობის მეთოდებს.**

ის ფაქტი, რომ ნანოტექნოლოგიური მექანიზმები თავისი ზომით ათჯერ და ათასჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ადამიანის უჯრედები, მათ საშუალებას აძლევს, გააღწიონ სისხლძარღვში, გასცდნენ ჰემატო-ენცეფალურ, ეპითელოენდოთელიარულ ბარიერებს, იმოქმედონ როhგორც სიმსივნური უჯრედის ზედაპირზე, ასევე უჯრედის შიგნით.

ნანონაწილაკებით შექმნილ მექანიზმებს აქვს პოტენციალი, რადიკალურად შეცვალოს სიმსივნის საწინააღმდეგო თერაპია უკეთესობისკენ და მნიშვნელოვნად გაზარდოს მაღალეფექტური თერაპიული აგენტების რიცხვი. ნანონაწილაკები სრულიად არაინვაზიურია და ბოჭავს უშუალოდ სიმსივნურ უჯრედებს, განსაზღვრავს მათ ანატომიურ სტრუქტურას, დაზიანების კონტურს და ხილვადს ხდის მას. ნანონაწილაკები გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ ის მოლეკულები და უჯრედები, რომელთაც რუტინული ტესტებითა და მეთოდებით ვერ გამოვყოფთ. ის ფაქტი, რომ შეგვიძლია მონიტორინგი ვაწარმოოთ სიმსივნურ უჯრედზე, წარმატებულს ხდის ნანონაწილაკების გამოყენებას სადიაგნოსტიკოდ და სამკურნალოდ და ფარმაკოლოგიური პრეპარატებისა და საკონტრასტო ნივთიერებების ტრანსპორტირებისთვის.

სამწუხაროდ, პროგრესულ მეცნიერულ კვლევებს ქიმიაში, ბირთვულ ფიზიკასა თუ ბიოლოგიაში არა მხოლოდ დადებითი შედეგი, არამედ მომწამლველი აირების, ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის შექმნაც მოჰყვა. ამ მხრივ ნანოტექნოლოგიური მედლის მეორე მხარე ძალზე სახიფათოა.

ნანოტექნოლოგიაში ფართოდ გამოიყენება ე.წ. თვითორგანიზების ან თვითაწყობის მეთოდები, რომელთა დროსაც ნანოსისტემაში არსებული ატომები და მოლეკულები გარკვეული წინასწარ არსებული შაბლონების ან კანონების მიხედვით ახორციელებენ ერთმანეთთან შერწყმას და რაღაც ფუნქციონალურ ნანოსისტემას, ნანორობოტს ქმნიან. როგორც ცნობილია, ბიოლოგიური ორგანიზმების ჩამოყალიბება და განვითარებაც სწორედ თვითორგანიზაციის ასეთ პროცესს ეფუძნება. მაგრამ ადამიანის ხელით შექმნილმა ამ თვითაწყობის უნარის მქონე ნანოტექნოლოგიურმა რობოტმა ადამიანისავე ნებით შეიძლება ერთ შემთხვევაში სამკურნალო პრეპარატი მიიტანოს რაიმე ორგანომდე, მეორე შემთხვევაში კი — რაიმე მომწამვლელი ნივთიერება. ერთხელ გაშვებული ასეთი რობოტები თვითონ გამრავლდებიან და თვითონვე აირჩევენ თავის მსხვერპლს.

ნანომეტრის ზომის მასალებს სრულიად ახალი თვისებები უჩნდებათ. თუ მიკროზომის ნივთიერება ადამიანისთვის სრულიად უვნებელია, ნანოზომის იგივე მასალა შეიძლება მისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდეს. თუ ასეთ მომწამლველ ნანომასალას, ვთქვათ, კბილის პასტაში შევურევთ, მაშინ ქიმიური ანალიზით მასhში შხამი არ დაფიქსირდება, რეალურად კი ასეთი კბილის პასტა ხანგრძლივმოქმედ მასობრივი განადგურების იარაღს წარმოადგენს.

**არსებობს ნანოტექნოლოგიის ბოროტად გამოყენების ბევრი სხვა სცენარიც. ძალზე საშიშია ნანოტექნოლოგიაზე დაფუძნებული ზემგრძნობიარე და უზუსტესი აპარატურის გამოყენება თანამედროვე საბრძოლო სისტემებში, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის მათ ეფექტიანობას.** დასამალი არ არის, რომ თავის დროზე სწორედ მიკროელექტრონიკის სამხედრო-სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა მისი განვითარება, საყოველთაო გამოყენება, საინფორმაციო ერის ჩამოყალიბება და ნანოტექნოლოგიის გაჩენა. დღეს უკვე ნათელია, რომ უახლოეს მომავალში ნებისმიერი სახელმწიფოს სამხედრო-სტრატეგიულ პოტენციალს სწორედ მისი ნანოტექნოლოგიური მიღწევები განსაზღვრავს.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ნანოტექნოლოგებმა იმუშაონ სალი გონებითა და სუფთა ხელებით, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ოცნების სფეროა.

სავარაუდოდ, ნანოტექნოლოგიით გამოწვეული რეალური რევოლუციური ცვლილებები მსოფლიოში 2025 წლიდან დაიწყება.







# მფრინავი თეფშის არქაული ნახატები



**ინდოეთში, შტატ ჩხატისგრახში, ქალაქ რაიპურიდან 130 კილომეტრში არსებული გამოქვაბულის კედლებზე უცნაური ნახატები აღმოაჩინეს. კედლებზე გამოსახულია ჰუმანოიდები.**

რამდენიმე მათგანი სკაფანდრით და ხელში იმ უცნაური ნივთებითაა დახატული, რომლებიც იარაღებს წააგავს. აგრეთვე, გამოქვაბულში დახატულია ობიექტი, რომელსაც სამი ფეხი აქვს და ძალიან ჰგავს მფრინავ თეფშს.

ნახატები დაახლოებით ათი ათასი წლის წინანდელია. არქეოლოგები და უფოლოგები ფიქრობენ, რომ არქაულმა მხატვრებმა დედამიწაზე ჩამოფრენილი უცხოპლანეტელები დახატეს.

არქეოლოგების თქმით, ადგილობრივ მცხოვრებლებში გავრცელებულია ლეგენდა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა: თითქოს, ოდესღაც ციდან რამდენჯერმე დაეშვნენ პატარა ტანის ადამიანები. მათ თან ორი ადამიანი მიჰყავდათ და უკან კი აღარ აბრუნებდნენ. შტატის ხელისუფლება ამ აღმოჩენას ძალიან სერიოზულად უდგება, მათ სჯერათ, რომ გამოქვაბულის კედლებზე უცხოპლანეტელები არიან გამოსახულნი. ისინი აპირებენ, კვლევაში ნასას წარმომადგენლები ჩართონ.

ასეთი სურათები უფოლოგებს თავიანთი თეორიის გამყარებაში ეხმარება. ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს პლანეტას ძალიან ადრე უცხო ცივილიზაციების გონიერი წარმომადგენლები სტუმრობდნენ.







# ყველაზე სექსუალური მძარცველი

**სულ ცოტა ხნის წინათ ინტერნეტის მდედრობითი სქესის მომხმარებლების გული დაიპყრო ამერიკელმა კრიმინალმა, რომელმაც თავისი ფოტოგენურობით მსოფლიო აალაპარაკა. ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და ინტერნეტს მეორე ტალღამ გადაუარა. ამჯერად ინტერნეტმომხმარებელთა ყურადღება 21 წლის სექსუალურმა მძარცველმა ქალმა მიიპყრო.**

მონრეალელი გოგონა, სახელად სტეფანი ბოდუა, ასზე მეტ დანაშაულშია ბრალდებული, მათ შორის 48 საცხოვრებელ სახლში უკანონო შეჭრაა. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გოგონას თანამზრახველები იყვნენ 15-17 წლის ახალგაზრდები, რომელთაც სტეფანი დანაშაულებრივ საქმიანობაში დახმარების სანაცვლოდ ინტიმს სთავაზობდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მოსვაროვსკებული მერსედესი

**არ გეგონოთ, რომ ეს ძვირფასი თვლებით მორთული მანქანა რომელიმე არაბ მილიონერს ეკუთვნის. 21 წლის სტუდენტმა დარია რადიონოვამ თავისი 25,000 ევროდ ღირებული მერსედესი 20,000 ევროს სვაროვსკის თვლებით მორთო, თვლების საერთო რაოდენობა ერთ მილიონს აღწევს.** ლონდონის ცენტრში გაჩერებულმა ბრჭყვიალა მანქანამ გარშემომყოფთა ყურადღება მიიპყრო. როგორც გაირკვა, მანქანის მფლობელი გოგონა დიდ ბრიტანეთში ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლობს.

# ბავშვების უნიკალური აღმოჩენები

**თურმე ძალიან ბევრი რამ, რაც ცხოვრებას გვიმარტივებს და საინტერესოსაც ხდის, სერიოზულმა ბიძიებმა და დეიდებმა კი არა, ბავშვებმა გამოიგონეს.**



## ბრაილის შრიფტი

15 წლის ლუი ბრაილმა 1824 წელს გამოიგონა შრიფტი, რომელმაც ყველა უსინათლოსთვის შესაძლებელი გახადა კითხვა. ამ შრიფტს დღემდე იყენებენ მთელ მსოფლიოში. მას საფუძვლად დაედო „ღამის შრიფტი“, რომელსაც არტილერიის კაპიტანი შარლ ბარბიე იყენებდა სიბნელეში წასაკითხად. რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტის გამომგონებელი ბიჭი თავადაც უსინათლო იყო.



## დამცავი ყურსაცვამები

15 წლის ჩესტერ გრინვუდმა დამცავი ყურსაცვამები 1973 წელს გამოიგონა. იდეა აუცილებლობის გამო გაუჩნდა — რადგან გორგოლაჭებზე უყვარდა სრიალი და ბებიას სთხოვა, ქურქის ნაჭრები მიეკერებინა ყურსაცვამებზე, რომ ყურები სიცივისგან დაეცვა. მოგვიანებით ეს ყურსაცვამები გააუმჯობესეს და ახლა ფართოდ გამოიყენება.



## პლასტელინი

საძერწი პლასტელინი სკოლის მოსწავლე გოგონამ – შპალერების გასასუფთავებელი საშუალებების მწარმოებელი კლეო მაკვიკერის შვილიშვილმა გამოიგონა. საშუალება, რომელიც შემდეგ საძერწად იქცა, შპალერების გასასუფთავებლად გამოიყენებოდა. გოგონამ პაპას შესთავაზა, სათამაშოდ მიეცა, რადგან შენიშნა, რომ მისთვის სხვადასხვა ფორმის მიცემა შეიძლებოდა. მოგვიანებით მისი შემადგენლობიდან მოაშორეს გასასუფთავებელი კომპონენტი, დაუმატეს ნუშის ზეთი და საღებავები.





## ბატუტი

ბატუტის შექმნის იდეა 16 წლის ტანმოვარჯიშე ჯორჯ ნისენს ეკუთვნის. ბატუტი ოთხმოცწლიანი ისტორიის განმავლობაში არ შეუცვლიათ — ყველაფერი გენიალური ხომ მარტივია.



## აკუმულატორის ახალი სახეობა

კალიფორნიელმა სკოლის მოსწავლემ ეიშა კხარემ გამოიგონა ახალი ტიპის აკუმულატორები მობილური ტელეფონებისთვის. მათში ენერგია 20-30 წამში ივსება და დიდხანს ჩერდება. თავისი გამოგონებისთვის გოგონამ ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია მიიღო.



## დოლბანდის უმტკივნეულოდ მოსაცილებელი საშუალება

8 წლის ალანა მაიერსმა გამოიგობა საშუალება, რომელიც უმტკივნეულოდ აცლის კანიდან დოლბანდს. პროდუქტის შემადგენლობაში შედის საპონი, ლავანდის ზეთი და წყალი. იდეა მას მერე გაუჩნდა, რაც საავადმყოფოდან გამოწერეს და ბინტების მოხსნა დასჭირდა — ეს პროცესი კი, როგორც ცნობილია, ძალიან მტკივნეულია.



## მოწყობილობა სუსტი სმენის მქონეთათვის

14 წლის ჯონ კონმა გამოიგონა მოწყობილობა Good Vibrations, რომელიც ბგერით ტალღებს ტაქტურ შეგრძნებებად გადააქცევს. სუსტი სმენის მქონე ადამიანებს მისი მეშვეობით მუსიკის მოსმენა შეუძლიათ. ეს იდეა მას მაშინ გაუჩნდა, როცა გიტარა კბილებთან მიიტანა და 2012 წელს „გუგლის“ მეცნიერთა კონკურსის გამარჯვებულიც გახდა.



## სლოკინის საწინააღმდეგო საშუალება

13 წლის გოგონამ, ამერიკელმა მელორი კიუვმენმა გამოიგონა სლოკინის საწინააღმდეგო საშუალება, რომლის შემადგენლობაშიც შედის შაქარი და ვაშლის ძმარი.



## სიმსივნის დიაგნოსტირების ახალი მეთოდი

15 წლის ამერიკელმა ჯეკ ანდრაკამ სიმსივნური დაავადების დიაგნოსტირების ახალი მეთოდი მოიგონა. „გუგლში“ ბიჭმა მიაგნო საშუალებას, თუ როგორ უნდა გაეკეთებინა ტესტი კუჭქვეშა ჯირკვლის, საკვერცხეებისა და ფილტვების სიმსივნის ნაადრევი სტადიების დიაგნოსტირებისთვის და ეს ტესტი ასჯერ უფრო სწრაფი და იაფი აღმოჩნდა მანამდე გამოყენებულ ანალოგებზე. შედეგებს ტესტი ხუთ წუთში იძლევა.



## ოთახის მზომი რობოტი

12 წლის მაქსიმ ლემამ შექმნა რობოტი, რომელიც ინჟინრის ფუნქციებს ასრულებს. რობოტი ოთახის სკანირებას ახდენს, ზომავს ფართობს, ადგენს გეგმას და რადიოსიგნალის მეშვეობით კომპიუტერზე გზავნის მონაცემებს.



## ჩვენი გალაქტიკის ენერგია

**გალაქტიკაში დაგროვილი ენერგია, რომელშიც მზის სისტემა შედის, 100-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე დღემდე მიიჩნევდნენ.** როგორც ცნობილია, გალაქტიკები ერთიანდება ჯგუფებად — რეგიონებად, სადაც დიდ დაგროვილ ენერგიად გარდაიქმნებიან, მაგრამ ამ კოსმიური სტრუქტურის მასური განსაზღვრება ზუსტი არაა. დღეს მეცნიერები ცდილობენ, პასუხი გასცენ კითხვას — **როგორ გავიგოთ, სად მთავრდება ერთი დაგროვილი ენერგია და სად იწყება მეორე?** ჰავაელმა ასტრონავტებმა შექმნეს კოსმოსში დაგროვილი ენერგიების რუკა და მას ლანიაკეა (გაუზომელი ზეცა) უწოდეს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ინტერაქტიული საკალათბურთო მოედანი

**სპორტის პოპულარული სახეობები უფრო ინტერაქტიული ხდება. ეს ეხება არამხოლოდ მათ შესაბამის ტექნოლოგიებს, მაგალითად, ვიდეოტრანსლიაციას, არამედ თამაშის პროცესს და ინვენტარსაც კი. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ კომპანია NIKE-ის მიერ შექმნილი ინტერაქტიული საკალათბურთო მოედანი შანხაიში.**



კალათბურთი ჩინეთში ეროვნული სპორტია და ფეხბურთზე პოპულარულია. მთელ ქვეყანაში ყოველწლიურად იხსნება ასობით ახალი არენა სპორტის ამ სახეობისთვის, მათ შორის ბევრი არის თანამედროვე და უცნაური. მათგან ერთ-ერთი, მაგალითად, ექსპლუატაციაში შევიდა 2014 წლის ზაფხულში ქალაქ შანხაიში და ლეგენდარული კობი ბრაიანტის, ზედმეტსახელად „შავი მამბას“, საპატივცემულოდ House of Mamba დაერქვა.

გახსნის მომენტიდან House of Mamba გახდა მსოფლიოში პირველი ინტერაქტიული საკალათბურთო მოედანი. ამ არენის პარკეტი დაფარულია შუქდიოდური ელემენტებით, რომლებსაც შეუძლია გამოსახოს ნებისმიერი გამოსახულება, მათ შორის დინამიურიც.

მომავალში ამ გიგანტური ეკრანის გამოყენებას გეგმავენ თამაშის ინტერაქტიული ელემენტის სახით, რომელზეც გამოისახება მატჩის ანგარიში, მეოთხედების თაიმინგი და შესვენებები, ასევე ბევრი სხვა სასარგებლო ინფორმაცია.

უახლოეს მომავალში ეს ინტერაქტიული მოედანი გამოყენებული იქნება საკალათბურთო სუპერშოუსთვის NIKE RISE — საჩვენებელი შეჯიბრებები ახალგაზდებს შორის პოპულარული ცნობილი მოთამაშეების მონაწილეობით როგორც ჩინეთიდან, ასევე მსოფლიო კალათბურთიდან. მათ შორის თვითონ კობი ბრაიანტიც იქნება.





# რეკორდსმენს ზაზუნა შეეჯიბრა

**ლოს-ანჯელესში გაიმართა უჩვეულო შეჯიბრი, რომლის გმირიც გახდა ზაზუნა, სახელად ბოგარტი. პატარა მღრღნელი ჰოთ-დოგების სწრაფად შეჭმაში მსოფლიო რეკორდსმენს, ტაკერ კობაიასს, შეეჯიბრა. კონკურსის მიზანი იყო, გამოევლინა, ვინ უფრო წრაფად შეჭამდა ჰოთ-დოგებს.**

ტაკერ კობაიასი, უკვე რამდენიმე წელია, ჰოთ-დოგების სწრაფად შეჭმაში მსოფლიო რეკორდს არავის უთმობს.

2011 წლის 4 ივლისს მან მოახერხა 10 წუთში 69 ჰოთ-დოგის შეჭმა და დღემდე ამ მიღწევის განმეორება ან გაუმჯობესება ვერავინ შეძლო.

მართალია, ადამიანთა შორის კობაიასის რეკორდი ვერავინ გაიმეორა, მაგრამ ეს ზაზუნამ შეძლო.

ვიდეოში დაფიქსირებულია, როგორ მიირთმევს ბოგარტი ყურძნის, სტაფილოსა და ფინიკებისგან დამზადებულ ჰოთ-დოგებს ერთიმეორის მიყოლებით, მაშინ, როდესაც რეკორდსმენი ტაკერი გაჭირვებით ინარჩუნებს ტემპს მის დასაწევად.





# ყოველი მე-5 ქალი გაუპატიურებულია



**აშშ-ის დაავადებათა და პროფილაქტიკური ცენტრის ანალიტიკოსებმა გაუპატიურების შემთხვევები შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ ამერიკელი ქალების 19% გაუპატიურების მსხვერპლია.**

ანალიტიკოსებმა სექსუალური ძალადობის სხვა ფორმებიც განიხილეს, რომელთა შედეგადაც მსხვერპლთა რაოდენობა 44%-მდე გაიზარდა. მსხვერპლად მეცნიერებმა მიიჩნიეს ქალთა ის კატეგორიაც, რომელსაც სქესობრივ კონტაქტზე თანხმობა არ უთქვამს. მიზეზი ის იყო, რომ ალკოჰოლით ან ნარკოტიკებით იყვნენ გაბრუებულნი და პოზიციის გამოხატვის საშუალება არ ჰქონდათ.

ცენტრის მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში დაახლოებით 11 მილიონი ქალი ხდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი.

მოხსენებაში მოხვდა მონაცემები მამაკაცების შესახებაც — გაუპატიურებულთა შორის 2% მამაკაცია, 23%-ის მიმართ კი სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები გამოიყენეს. ორივე სქესის ძალადობას მსხვერპლნი, ძირითადად, 25 წლამდე ასაკის არიან.

# ძროხამ ექვსფეხა ხბო გააჩინა

**ჩინეთში ხბო ექვსი კიდურით დაიბადა. ამის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ მედიას ფერმერმა ჟან გონქსუნმა მიაწოდა. ხბოს დამატებითი ორი კიდური დედის მუცელში განუვითარდა.**

**„დედამისს ხუთი წელი ვზრდიდი და მის ოთხ მშობიარობას შევესწარი, მიუხედავად ამისა, ასეთი ჯერ არაფერი მინახავს. ხბოს დამატებითი ფეხები დისკომფორტს არ უქმნის, უბრალოდ, მათი გამოყენება და ამოძრავება არ შეუძლია. მას შემდეგ, რაც მეგობარმა ფოტოები ინტერნეტში გამოაქვეყნა, ყველას უნდა მისი ნახვა და ფოტოს გადაღება. ჩემს ფერმასთან ყოველდღე ხალხის რიგია. ხბოს გადაღება ტელევიზიის წარმომადგენლებსაც სურთ“,** — ამბობს ფერმერი.

ვეტერინარები უარყოფენ ხმებს, რომ დამატებითი ფეხები გენეტიკური მუტაციის შედეგია. მათი აზრით, ძროხის მუცელში ორი ნაყოფი იზრდებოდა, ერთ-ერთი აღარ განვითარდა და განვითარებულ ორგანიზმს შეუერთდა.

## გელა გურალია:

# მოსკოვიდან მაძევებდნენ — «აილე ჩემოდანი და წადი!»




მცირე შემოკლებით გთავაზობთ გაზეთ „სობესედნიკში“ დაბეჭდილ ინტერვიუს მოსკოვში მოღვაწე ქართველ მომღერალ გელა გურალიასთან.

**რუსეთის „პირველ არხზე“ წარმატებით მიმდინარეობს პროექტ „ხმის“ („Голос“) მესამე სეზონი. წინა ორი სეზონის მონაწილეები კი გაბედულად უტევენ მუსიკალურ ოლიმპს — ტელეშოუში მონაწილეობის შემდეგ მათი ცხოვრება კარდინალურად შეიცვალა. რა ცვლილებები მოხდა ტკბილხმიანი გელა გურალიას ცხოვრებაში, თვითონ მისგან შევიტყვეთ.**

### „ჩემი ცხოვრება ლამაზ ზღაპარს ჰგავს“

„ხმამდე“ თავის ცხოვრებას გელა სევდიანად იხსენებს. 19 წლის იყო, მამა რომ დაკარგა. მშობლიურ საქართველოში 5 წლიდან მღეროდა სცენაზე: ჯერ — ანსამბლში, შემდეგ — ეკლესიის გუნდში. კარიერის გასაგრძელებლად მოსკოვში წასვლა გადაწყვიტა. დამხმარე და სპონსორი არ ჰყავდა და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა.

— მოსკოვში 12 წლის განმავლობაში ვცხოვრობდი, მაგრამ შოუბიზნესის კარი ჩემთვის დახურული იყო, — გვიყვება გელა, — რამდენიმე ადამიანი (მათ შორის იყვნენ ძალიან ცნობილებიც, მაგრამ გვარებს არ დავასახელებ) პირდაპირ მეუბნებოდა: „აილე ჩემოდანი და უკან გაემგზავრე, შენ აქ არავის სჭირდები!“ რაღაც მომენტში სასოწარკვეთილება დამეუფლა. და მართლა გადავწყვიტე შინ სამუდამოდ დაბრუნება. მაგრამ ერთხელ ტელეეკრანზე შოუ „ხმის“ კასტინგის შესახებ განცხადებას მოვკარი თვალი და კვლავ ვცადე ბედი. გავგზავნე ანკეტა, ნაცნობებისგან ვისესხე ფული მოსკოვამდე ბილეთის შესაძენად... და წავედი.

**— შემდეგ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც კინოში?**

— თითქმის (იღიმის). **ახლა უამრავი თაყვანისმცემელი მყავს. ზაფხული გასტროლებზე გავატარე. დარბაზები — სავსე! ყვავილების ზღვა! ადამიანები წერილებს მწერენ, მიძღვნიან ლექსებს, მეუბნებიან თბილ სიტყვებს. ჩავწერე ალბომი, ძალიან მალე, 18 ნოემბერს, კრემლში გაიმართება ჩემი კონცერტი ორკესტრთან ერთად. ადრე ჩემი მხოლოდ ჩემს ოჯახს სჯეროდა, ახლა ათასობით ადამიანს სჯერა.** პროექტ „ხმას“ და „პირველ არხს“ უღრმეს მადლობას ვუხდი შანსისთვის, რომელიც მომცეს. ყველაფერი, რაც ამჟამად ჩემს თავს ხდება, მართლაც ჰგავს ლამაზ ზღაპარს, რომლის მთავარი გმირიც მე ვარ *(იღიმის)*. ცოტა ხნის წინათ ღონისძიებაზე შევხვდი ერთ-ერთს, რომელიც მარწმუნებდა, რომ შოუბიზნესი არასოდეს მიმიღებდა და მირჩევდა, სახლში წავსულიყავი. ისე მოვიქეცი, თითქოს ვერ შევამჩნიე — უბრალოდ, გვერდი ავუარე.

### „ვიყავი შეყვარებული, მაგრამ ურთიერთობა არ შედგა“

— ამჟამად ჩემი გული თავისუფალია. ვიყავი შეყვარებული, მაგრამ ურთიერთობა არ შედგა. როგორი გოგონები მომწონს? — ძნელი სათქმელია. გული იგრძნობს, როცა ჩემი ადამიანი გამოჩნდება.

**«ახლა უამრავი თაყვანისმცემელი მყავს. ზაფხული გასტროლებზე გავატარე. დარბაზები — სავსე! ყვავილების ზღვა! ადამიანები წერილებს მწერენ, მიძღვნიან ლექსებს, მეუბნებიან თბილ სიტყვებს. ჩავწერე ალბომი, ძალიან მალე, 18 ნოემბერს, კრემლში გაიმართება ჩემი კონცერტი ორკესტრთან ერთად. ადრე ჩემი მხოლოდ ჩემს ოჯახს სჯეროდა, ახლა ათასობით ადამიანს სჯერა»**



**— პირველი სეზონის გამარჯვებული დინა გარიპოვა მშობლიურ თათრეთის რესპუბლიკაში ბინით დაასაჩუქრეს. თქვენი წარმატება რამენაირად თუ აღნიშნეს საქართველოში?**

— „ხმის“ ფინალის დღეს ჩემ პატივსაცემად დიდი სალუტი მოაწყვეს. **ბინა არ მოუციათ, არც მინდა — თვითონ ვიშოვი საყიდელ ფულს. თუმცა ახლა ყველაფერს მუსიკაში ვდებ. კვლავ არ მყავს სპონსორი, პროდიუსერი. არც მინდა. მიკარნახონ, რა ვიმღერო და რა — არა? არა! არიან ადამიანები, რომლებსაც რჩევას ვეკითხები, მაგრამ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შემოქმედებას ეხება, ყოველთვის თვითონ ვიღებ.**

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— ახლა თავისუფალი დრო თითქმის არ მაქვს: მუშაობა და კიდევ ერთხელ — მუშაობა, რაც ძალიან მიხარია. **მახსოვს, როცა მოსკოვში პირველად ჩამოვედი, ძველ არბატზე მოვხვდი. მივდიოდი და ვოცნებობდი. ახლა, როცა იქ ვსეირნობ, ვფიქრობ: რა კარგია, როცა ოცნებები ხდება!** თქვენს მკითხველებს ვუსურვებ, ირწმუნონ თავიანთი ოცნებების და არასოდეს დანებდნენ!

**ვიქტორია კატაევა**
„სობესედნიკ“

## მადლობა მკურნალს, მაყვალა ცინცაძეს

ორივე მუხლის ართროზის გამო სიარული მიჭირდა და ჯოხს ვიშველიებდი. დიდი ხნის განმავლობაში ვმკურნალობდი ათასნაირი მეთოდებით, მაგრამ მდგომარეობა უარესობისკენ მიდიოდა. ძალიან ვნანობ, თავიდანვე მკურნალ მაყვალა ცინცაძის უნიკალური მცენარეული საფენები და თეთრ მუმიოზე დამზადებული მალამო რატომ არ გამოვიყენე, რამაც მე-5 დღიდან მომცა საოცარი შვება, ტკივილები შემიმცირდა, ხოლო 1 კურსის (15 დღე) დასრულებისთანავე თითქოს ხელახლა დავიბადე, რასაც არ მოველოდი. მკურნალობიდან თითქმის 12 წელია გასული, ჯოხსაც არ ვხმარობ და აღნიშნულ დაავადებას თავი აღარ შეუხსენებია. ახლახან მეგობარს დაუსვეს ანალოგიური დიაგნოზი და მყისვე ქ-ნ მაყვალასთან გავყევი. მაყვალა ცინცაძის მკურნალობის მეთოდი საოცარ ეფექტს იძლევა ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა ოსტეოქონდროზი, ასევე რადიკულიტი, კისრის, მუხლ–სახსრის, მხრის, მენჯ–ბარძაყის ოსტეოართროზი და დისკოზი, სამწვერა ნერვის ანთება და ჰაიმორიტი.

**ჯემალ ბოცვაძე,**
მუხიანის ბაზრობის დირექტორი. 37-94-34; 899-25-83-54

**მკურნალის მისამართია:**
**წერეთლის გამზირი №72, მესამე კორპუსი, ბ. №19, ტელ: 34-62-51; 899-20-19-66**

## საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ევროპის სოფლის მეურნეობის აკადემიების კავშირის წევრია

17-19 სექტემბერს ქ. პრაღაში გაიმართა ევროპის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების გენერალური ასამბლეის მე-8 სხდომა, რომელზეც, სხვა საკითხებთან ერთად, განიხილეს ახალი წევრების — ინგლისის, პორტუგალიის, საქართველოსა და სლოვაკეთის გაწევრების საკითხი.

მეცნიერთა წინაშე სიტყვით გამოვიდნენ ამ ქვეყნების წარმომადგენლები. საქართველოდან სიტყვით გამოვიდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო აკადემიის სტრუქტურა და ძირითადი მიმართულებები.

გენერალურმა ასამბლეამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა შვედეთის სამეფო აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი კარენ ნიბლაუ, ერთხმად დაუჭირა მხარი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის აკადემიების კავშირის წევრად არჩევას. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ქართული აგრობიოლოგიური მეცნიერების კიდევ ერთი წარმატებაა.

გენერალური ასამბლეის სხდომაში მონაწილეობდნენ: საფრანგეთის, ინგლისის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვეგიის, რუმინეთის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, ლატვიის, ლიტვის და სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიების წარმომადგენლები.

ასამბლეის შემდეგი სხდომა 2016 წელს საფრანგეთში გაიმართება.

აკადემიის პრესსამსახური

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge
მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009